გარიგება – მაჭანკალი დედა და დამფრთხალი სასიძო

ცხელი წიგნები

სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

გამომცემლობა „პალიტრა L“
www.elva.ge ტელ.: 38-26-73; 38-26-74

დარეკეთ, შეგვიკვეთეთ და ჩვენი კურიერები წიგნებს უმოკლეს ვადაში მოგართმევენ

„ცხოველები“
საყმაწვილო ენციკლოპედია

ფორმატი: 24X31სმ.
გვ.რაოდ.: 256
ყდა: მაგარი
ფასი: 32.99

ცხოველთა სამყარო მეტად მრავალფეროვანია და საინტერესო. ამ უზარმაზარ წიგნში ყველაფერია: ცხოველები, ფრინველები, მწერები, თევზები, მედუზები... სად ბინადრობს ცხოველის ესა თუ ის სახეობა? რით იკვებება, როგორ მრავლდება? ამ და სხვა კითხვებზე ამომწურავ პასუხს მიიღებთ. წიგნს ახლავს ფერადი ილუსტრაციები.



„ჭკუა“
ავტორი: ამირან ჭიჭინაძე
ფორმატი: 14X20 სმ.
გვ. რაოდ.: 320
ყდა: რბილი
ფასი: 5.99

საყმაწვილო სათავგადასავლო რომანი „ჭკუა“ პატარა ბიჭის საინტერესო და ფათერაკიან თავგადასავალზე მოგვითხრობს. წიგნი ერთნაირად დაინტერესებს ყველა თაობის მკითხველს.



„ჭკუა 2“
ავტორი: ამირან ჭიჭინაძე
ფორმატი: 14X20 სმ
გვ. რაოდ.: 326
ყდა: რბილი **ფასი:** 5.99

საყმაწვილო სათავგადასავლო მძაფრსიუჟეტიანი დეტექტივის „ჭკუას“ გაგრძელება აგებულია თანამედროვე საქართველოს რეალობაზე. წიგნი ერთნაირად საინტერესო და სახალისოა ყველა თაობის მკითხველისათვის.



„ჩემი ბავშვობის ალბომი“
ფორმატი: 21X28 სმ.
გვ. რაოდ.: 48
ყდა: მაგარი **ფასი:** 11.99

თქვენი შვილის მეგობარი დაბადებიდან სკოლამდელ ასაკამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარის ცხოვრების ამსახველი მნიშვნელოვანი დეტალებით — ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით...



„ჯადოსნური ფოკუსების დიდი წიგნი“
ფორმატი: 25X31 სმ
გვ.რაოდ.: 120
ყდა: მაგარი
ფასი: 21.99

ამ წიგნის საშუალებით ისწავლი 50-ზე მეტი ფოკუსის გაკეთებას. შეიტყობ ყველაზე გამოცდილი და ცნობილი ილუზიონისტების საიდუმლო ნომრების შესახებ.

„მსოფლიოს დიდი ატლასი“
ფორმატი: 27X34 სმ.
გვ. რაოდ.: 176
ყდა: მაგარი
ფასი: 32.99



„მსოფლიოს დიდი ატლასი“ — მოიცავს სრულ და ამომწურავ ინფორმაციას ჩვენი პლანეტის შესახებ. წიგნში მრავლადაა ფერადი ილუსტაციები და განმარტებითი ტექსტები, სხვადასხვა ქვეყნის დროშა და 100-ზე მეტი რუკა. წიგნი თვალწინ გადაგიშლით საოცარ სამყაროს...

„მოკლე მოთხრობები“
ავტორი: ო' ჰენრი
ფორმატი: 14X20 სმ
გვ.რაოდ.: 363
ყდა: რბილი. **ფასი:** 5.99

ო' ჰენრი აშშ-ის ისტორიაში მოკლე მოთხრობის დიდოსტატის სახელითაა შესული. იგი წერდა ორიგინალური სიუჟეტის, იუმორისტულ და ამავე დროს, თანაგრძნობით სავსე მოთხრობებს.



„თეთრი თათმანი“
ავტორი: თომას მაინ რიდი
ფორმატი: 15X21 სმ.
გვ. რაოდ.: 460
ყდა: რბილი **ფასი:** 5.99

ცნობილი ინგლისელი მწერლის, თომას მაინ რიდის სათავგადასავლო ნაწარმოებში „თეთრი თათმანი“ მოთხრობილია XV საუკუნის ინგლისელი ხალხის ბრძოლა ტირანიის წინააღმდეგ, სიყვარულისა და გამარჯვების ამბები.

„ბოგონებანი გალაკტიონზე“
ფორმატი: 14X20სმ.
გვ.რაოდ.: 440
ყდა: რბილი. **ფასი:** 5.99

ეძღვნება გასული საუკუნის უდიდესი პოეტის გარდაცვალების 50 წლისთავს. წიგნში გადმოცემულია ახლობელ ადამიანთა მოგონებები გალაკტიონზე. მკითხველი ბევრ საინტერესო დეტალს შეიტყობს პოეტის ცხოვრების შესახებ.

„მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი“
ფორმატი: 14X21 სმ.
გვ.რაოდ.: 320
ყდა: რბილი **ფასი:** 10.00

ამ წიგნში უამრავ ნაცნობ სახეს ნახავთ და რაც მთავარია, დაინახავთ — კარგად ან არცთუ კარგად. მაგრამ აქ ყოველი სიტყვა ბოლმის გარეშეა ნათქვამი, ამიტომაც იკითხება ლაღად და თავისუფლად. მერე კი რჩება ფიქრი და განსჯა...



„მხიარული ხმები“
ხმოვანი გასართობი წიგნი

ფორმატი: 26X26 სმ.
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი
ფასი: 19.99

კუ კაკუჩას დაბადების დღეს მეგობრები ყვავილხივილით ულოცავენ. გადაშალე წიგნი და შეუერთდი მხიარულებას!



„კონკია“, „პრინცი ბაყაყი“

ეს უბრალო ზღაპრების წიგნი არ გეგონოთ — აქ ჯადოსნური ნახატები გადაფურცვლისას ელვისებურად იცვლება.

ფორმატი: 24X31 სმ.
გვ. რაოდ.: 29
ყდა: მაგარი
ფასი: 21.99

„პლასტილინის ჯუნგლები“
ფორმატი: 23X27 სმ.
გვ.რაოდ.: 12
ყდა: მაგარი
ფასი: 19.99

გააცოცხლე ცხოველები პლასტილინისა და საჭრელების დახმარებით! ასე ძერწვასაც ისწავლი!

ფარნიანი წიგნები!

ფორმ. 28X28 სმ.
გვ.რაოდ: 10.
ყდა: მაგარი.
ფასი: 19.99

იმოგზაურე ცხოველთა სამყაროში ხმელეთსა და ოკეანის ფსკერზე. ჯადოსნური პროექტორით აღმოაჩინე და გააცანი გარეულ ცხოველებსა და ზღვის ბინადრებს.



„მაგნიტებით მოგზაურობა“
ფორმატი: 30X32 სმ.
გვ.რაოდ.: 10
ყდა: მაგარი
ფასი: 19.99

წიგნში გელით მხიარული მოგზაურობა მზიან ქალაქში პატარა მაგნიტური ფიგურებით.



„მხიარული მანქანები“; „ოთავარი ცხენები“;

ფორმატი: 26X26 სმ.
გვ.რაოდ: 9
ყდა: მაგარი
ფასი: 11.99

წაიკითხე წიგნის გმირების სახალისო ამბები და გააცოცხლე ფერადი ნახატები პაზლების საშუალებით.



გარდა ჩამოთვლილი წიგნებისა, ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ 2000-ზე მეტი დასახელების თქვენთვის სასურველი წიგნი

№43 (489)
22 - 28 ოქტომბერი. 2009 წ.
ფასი 1 ლარი

■ მინიატიურები 5
„ჩვენი მიშა უკეთესია!“
■ ფაქტი და კომენტარი 6
■ ინფორმაცია 7
■ ჭრელი მსოფლიო 8
■ SOS! 9
■ მასმედია 10
„გადავარჩინოთ თავისუფალი სიტყვა!“
■ დემოკრატია 11
■ საზრდო 13
■ დაიჯესტი 14
■ ექსპერტი 17
ქართული მხარის შეცდომები და რუსეთის გავლენის გაძლიერება
■ ამპლუა 19
ნინი ქარსელაძე და მისი სადა იმიჯი
■ ეკრანს მიღმა 21
დიდი ალიაქოთი...
■ თაობა 23
„პრინცესების“ კლასიკური ნაწარმოები
■ ტანდემი 24
განუყრელი პარტნიორების ახალი ინტრიგები
■ ფესტივალი 26
■ წყვილი 28
დაჩი ცაგურიამ პირადი ცხოვრება აიწყო
■ კონკურსი 29
■ ვარსკვლავები 30
■ სიტუაცია 33
სატელეფონო რეკლამების ბუმი
■ თქვენთვის, ქალბატონებო! 35

ქვეყანა



დავიხსნათ „დაპატიმრებული“ ქართველი მეზღვაურები!

უკვე 7 თვეა, რაც 22 ქართველი ბანგლადეშში მონურ პირობებში ცხოვრობს. ჩვენს ხელისუფლებას კი დღემდე ისიც კი ვერ გაურკვევია — კონკრეტულად რომელმა უწყებამ უნდა მოაგვაროს მათი პრობლემა.

6

სახე

განუყრელი პარტნიორების ახალი ინტრიგები

„ეკასთან თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ. კინო კიდევ უფრო სხვანაირად გაახლოებს ადამიანთან და გაცნობს მას. ამ სერიალის შემდეგ კიდევ უფრო ახალი და საინტერესო წახნაგები გამოიკვეთა ჩვენს შემოქმედებით თუ პირად ცხოვრებაში“.

19

ცხოვრება

არჩევანი შვილსა და მამაკაცს შორის

„ ლადო ეჭვიანი ქმარი აღმოჩნდა და სულ აყალმაყალი გვქონდა მისი ეჭვიანობის გამო. როცა დავფეხმძიმდი, მითხრა, ბავშვი უნდა მოიშორო, რადგან დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩემიაო...“

33

ფეიერვერკი

„ჩემს დაქალს შეყვარებული ჰყავდა 8 თვე. სიგიჟემდე უყვარდათ ერთმანეთი. ყოველ შემთხვევაში, ბიჭი ასე ამბობდა. ეს ჩემი ქალბატონი კი გათხოვებას არ ჩქარობდა, რადგან კარიერაზე ზრუნავდა, მაგრამ ვინ უსმენდა? ეს ჩვენი სასიძო კი რატომღაც ჩქარობდა და თითქმის ყოველდღე ბეჭდით დარბოდა, რომ ქეთი დაენიშნა“.

85

■ **კონსულტაცია** 37
სად უნდა ეძებო იდეალური მამაკაცი

■ **დედაშვილობა** 39
არჩევანი შვილსა და მამაკაცს შორის

■ **ფესვები** 41
■ **გატაცება** 43
კაცი, რომელიც პურის საყიდლად ტანკით დადის

■ **საკითხავი ქალებისათვის** 45
■ **ავტო** 47
■ **ეს სამყაროა** 48
■ **ტაძარი** 50
■ **ჯანმრთელობა** 52
■ **კოლორიტი** 55
ქალბატონი, რომელმაც გიტარის ჯადოქარს ცხოვრება მიუძღვნა

■ **თემა** 8
მაჭანკალი დედა, დამფრთხალი სასიძო და სადედამთილოს მიერ შემოწმებული ქალწულობა

■ **პერსონა** 61
კახა კუკავას „აღიარებითი ჩვენება“

■ **თინეიჯერული პონტები** 64
■ **წვეთი პოეზია** 67
■ **გულახდილი დღიური** 68
მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)

■ **დოკუმენტური პროზა** 70
შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)

■ **ქართული დეტექტივი** 72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)

■ **მინირომანი** 76
შეხვედრა წარსულთან

■ **რომანი** 78
სვეტა კვარაცხელია. აკრძალული ოცნებები (გაგრძელება)

■ **გზავნილები** 85
■ **ყველა ერთისათვის** 89
■ **მობილი-ზაცია** 91
■ **გონიერი მკითხველი** 96
■ **მოზაიკა** 97
■ **ასპარეზი** 98
■ **გასართობი** 102
■ **ასტროლოგია** 104
■ **სკანვორდი** 105
■ **საფირმო კროსვორდი** 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



კაცი, რომელიც პურის საყიდლად ტანკით დადის

„სამოძრაოდ „ჟიგული“ მყავს, სამხედრო ავტომობილი კი ჩემი სულიერი სამყაროს ნაწილია, ჩემი ძმაკაცია. შაბათ-კვირას, როცა მეგობრები პიკნიკს ვაწყობთ, ბუნებაში ამ მანქანით გავდივართ ხოლმე. მას ძალიან ვუფრთხილდები“.

43

ადამიანი

ქალბატონი, რომელმაც გიტარის ჯადოქარს საკუთარი ცხოვრება მიუძღვნა

„ალბათ ერთმანეთის ბედისანი ვართ და ოჯახიც ასე მოვიტანეთ დღემდე. ოთარი არ არის პრეტენზიული. თუმცა აქამდე თავისი ცხოვრებით იცხოვრა, მე კი, შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი ცხოვრება არ მქონია; გამოვიდა, რომ სულ მისთვის ვიცხოვრე“...

55

ბიბლუსი

შეხვედრები სტალინთან

ფინეთთან ომმა გვიჩვენა, რომ ჩვენი სამეთაურო კადრები ძალზე სუსტადაა მომზადებული, ხოლო დისციპლინა ჯარში ძლიერ მოიკოჭლებს. ეს ყველაფერი ამხანაგ ვოროშილოვის დროს მოხდა და ახლა მას ესოდენ რთული საკითხების მოკლე დროში მოგვარება გაუჭირდება.

67

ტაიმ-აუტი

პრემიერლიგაში დაბრუნების პერსპექტივა

„ინგლისში ყველას მიაჩნია, რომ 13 უიღბლო ნომერია, მაგრამ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. იმედი მაქვს, გუნდს 13 ნომრითაც მოვუტან წარმატებას“.

97

„ჩვენი მიშა უკეთესია!"

შესავლის ნაცვლად დღესაც რომ დავიწუწუნო, საღადაო და საპროვოკატორო (ახალი და სხვანაირი, თორემ ერთი და იგივე — იცოცხლე!) არაფერი ხდება-მეთქი, ხომ ვიქნები მოსაკლავი?! დღეს კი არა, ვინც ენდი გარსიას ცრემლები ნახა „12 აგვისტოს" მიტინგზე გამოსვლისას, რომელიც 20 ოქტომბერს „ჩატარდა", კარგა ხანს უნდა გვეყოს „საღლაბუცოდ"...

ოეე... ენდი, შე ჩემის პრეზიდენტო!..

ისე, რა გულის ამაჩუყებელი იყო, არა?! ენდი გარსია და გვერდით — გივი სიხარულიძე ესტონეთის პრეზიდენტის როლში; და ყველაზე მაგარი — „რუსთავი 2"-ის სიუჟეტები „მასოვკაში" მონაწილე ქალებთან ინტერვიუებით (ასაკი 15-დან 115 წლამდე), სადაც უკლებლივ ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ენდი გარსია ახლოდან უფრო კარგი ბიჭი ყოფილა, ვიდრე ეკრანზე, მაგრამ „ჩვენი მიშა უკეთესია!" (ანუ „ჩვენი მიშა" უკეთესია არა მხოლოდ „ნატურალურ" ენდი გარსიასთან, არამედ მის მიერ განსახიერებულ უმცროს კორლეონესა და მოდილიანისთან

შედარებითაც!!!). და ამის შემდეგ ვიღაც-ვიღაცებს არ სჯერათ, რომ საკაშვილმა არჩევნები მართლა მოიგო!..

ამბობენ, ეს პოლიტიკური ფილმი არ იქნებაო, მაგრამ ჰოლივუდის ვარსკვლავი ისე „პოლიტიკურად" „აღვარღვარებდა კურცხალს", რომ უნებურად, ცხინვალში ემირ კუსტურიცას ვიზიტი გამახსენდა და ძალიან დავინტერესდი — „ჩვენები" მოასწრებენ რუსების სამხილებელი ფილმის გადაღების დასრულებას თუ კუსტურიცა (ანუ ამ შემთხვევაში, რუსები) — ქართველების მტარვალობის მაჩვენებელი კინოოპუსის შექმნას? მაგრამ ეგენი, რატომღაც, ძალიან ასაიდუმლოებენ დეტალებს, თუმცა ინფორმაციამ მაინც გამოჟონა: შეიძლება, „ჩვენებმა" დაასწრონ, რადგან „იმათებს" კოკოითის როლზე კი დაუმტკიცებიათ რიჩარდ გირი, მაგრამ ალ პაჩინო არაფრით თანხმდება ჩოჩიევის როლზე: გინდა თუ არა, გენერალი ბორისოვი მათამაშეთო!..

რეალურ პოლიტიკას რაც შეეხება, ცხადია, უბრალოდ დაემთხვა, მაგრამ მაინც სიმბოლურია: ერთი კუბელი ჩვენი პრეზიდენტის როლს თამაშობს და ერთ წასლუკუნებაში 500 ათას დოლარს იღებს; მეორე და მთავარი კუბელი კი — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის იურიდიული ცნობისათვის მზადყოფნას გამოთქვამს. რას ვიზამთ, რუსებს მეტი ფული აქვთ — კუბასთან ერთად იქვე, შორიახლოს მდებარე, კიდევ 7-8 ქვეყანა „დაკერეს" — ბოლივია, ეკვადორი, ჰონდურასი, ანტიგუა-ბარბუდა და ა.შ. სამაგიეროდ, ენდი გარსია უფრო სიმპათიურია, მიშა — კიდევ უფრო მეტად, აბა, ფიდელ კასტრო რას ჰგავს, თანაც — ბებერია!.. ჰოდა, იმიტომაც არის, რომ ორი დღეა, ქართული „დამოუკიდებელი ტელევიზია" სულაც არ დაინტერესებულა ბოლივიითა და კუბით, ხოლო ერთი კუბელის „მარგალიტის ცრემლები" ყველა რაკურსით გვანახვა...

რაც ვერ ვნახეთ, ის კიდევ სხვა იყო: მიტინგის ეპიზოდამდე „ბატონმა პრეზიდენტმა" პრესკონფერენციაც ჩაატარა (რომელშიც „ცოცხალი" ქართველი ტელეჟურნალისტები მონაწილეობდნენ) და „თავის" კაბინეტში მრჩევლებსაც ეთათბირა. რა მაინტერესებს, იცით?.. ქართველ კინომწარმოებლებს მისცემდნენ ამის უფლებას?.. ან პირიქით — ამერიკის სინამდვილეზე რომ იღებენ ფილმებს და იქ იმათი პრეზიდენტის ეპიზოდებია გადასაღები, გადამღებ ჯგუფს ოვალურ კაბინეტს უთმობს პრეზიდენტის ადმინისტრაცია?.. თუ კონგრესის ეპიზოდებს იღებენ კონგრესის შენობაში?.. იქნებ, კონგრესმენები წყვეტენ მუშაობას და რიგში დგებიან კინოვარსკვლავის ავტოგრაფისთვის, როგორც აქ გამოეფინა შიდა ეზოში მთელი პარლამენტი, ვიცესპიკერიდან დაწყებული, დამლაგებლით დამთავრებული?.. ჰოდა, რა ნახეს? რა და — ფეხები, არა, ფეხებიც კი არა — ფეხსაცმელები! შავი, გალაქული, 44 ზომა (ესეც კი „დაადგინეს" ჩვენმა პროფესიონალმა ტელეკოლეგებმა)! გაატარა ვიღაც „შნირმა" ეს „აღჭურვილობა" და გვერდითაც არ გაუხედავს, თორემ დაინახავდა, რა ბედნიერები იყვნენ იქ დამსწრენი, რომ დიდი მსახიობის „შჩიბლეტებს" მოჰკრეს თვალი...

მოკლედ, ჩვენ ვართ გოიმები, საცოდავები და წყალწაღებულები!.. შეგიძლიათ, არ დამეთანხმოთ, მაგრამ ერთადერთი ვარიანტი, რა შემთხვევაშიც ჩემს სიტყვებს უკან წავიღებ, ის იქნება, თუ გავიგებ, რომ ზემოთ აღწერილ და ყველა თქვენგანის მიერ ნანახ „ბასტიბუბუში" იმ კინოკომპანიამ ფული გადაიხადა.

P.S. მომკალით და, მაინც მგონია, რომ, როგორც რუსები უხდიან კუსტურიცას (თუ უხდიდნენ: „პი-ესამდე" ვიყავი მისული, როცა „მაცნობეს", რომ მან საბოლოოდ, „რუბლებზე" უარი თქვა), ისე „ესენი" — ამერიკელებს... რა ვქნა, ამათ ხელში ეჭვიანი გავხდი... ჩემდა სამარცხვინოდ, როდესაც ენდი გარსიას გვერდით მდგარ გივი სიხარულიძეს ვხედავდი, ესტონეთის პრეზიდენტი კი არა, ბატონი გივის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული როლი მახსენდებოდა „უძინართა მზიდან": „თქვენ გინდათ ჩემი ფულები?! მე თქვენ დედებს!..." — და გული არ ამიჩუყდა...

პროვოკატორი

ავტორიტეტი და ფასეულობები

გასული კვირის განმავლობაში ქართველი საზოგადოების ყურადღება ორმა მნიშვნელოვანმა, მაგრამ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულმა ამბავმა მიიპყრო. მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლი აღაშფოთა „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრის, თეა თუთბერიძის მიერ ინტერნეტში განთავსებულმა ვიდეომასალამ, რომელიც საქართველოს პატრიარქის დისკრედიტაციისკენაა მიმართული. მოგვიანებით, ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერით თუთბერიძემ განაცხადა — „პატრიარქი ღმერთი არ არის და თუ პრეზიდენტზე, რომის პაპსა და სხვა საჯარო პირებზე შეიძლება უხამსი კლიპების გაკეთება, ვინ არის საქართველოს პატრიარქი, რომ მასზე იმავეს გაკეთება არ შეიძლებოდეს?!“...

ხათუნა ბახტურიძე

„უწმინდესის შეურაცხყოფას არავის ვაპატიებთ“

გიორგი თარგამაძე, *„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი:*

— ხელისუფლების პირველ პირებს კატეგორიულად ვთხოვ, დააფიქსირონ

საკუთარი პოზიცია ინტერნეტით გავრცელებულ, ეკლესიის შეურაცხმყოფელ მასალებთან დაკავშირებით. გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეგნებულად ვიკავებდი თავს ამ ფაქტების კომენტირებისგან. არ მინდოდა, ასეთი სიბილწისათვის რეკლამა გამეკეთებინა, მაგრამ მას შემდეგ, რაც თავად მოვისმინე ამ ვიდეორგოლების გამავრცელებლის შეფასებები, გადავწყვიტე, შესაბამისი კომენტარი მეც გამეკეთებინა. ეს მთელი ქართველი საზოგადოების შეურაცხყოფაა! სახეზეა ლიბერალურ და სამოქალაქო აზროვნებას ამოფარებული კლასიკური ბოლშევიკური სიმპტომები, რომელიც ავტორთა არასრულფასოვნების კომპლექსისა და პატრიარქის უპრეცედენტოდ მაღალი ავტორიტეტით გამოწვეული გაღიზიანებითაა ნაკარნახევი.

ირაკლი ალასანია, *ალიანსის — „ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერი:*

— საქართველოს პატრიარქის მიმართ ასეთი უპატივცემულობა მაოცებს. იმედი მაქვს, მისი ავტორიტეტის შელახვას ვერავინ მოახერხებს. უწმინდესი განსაკუთრებული ადამიანია. საბედნიეროდ, ის ჩვენს ქვეყანაში დიდი სიყვარულით სარგებლობს.

გია არსენიშვილი, *ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ნებისმიერი ადამიანის, განსაკუთრებით, ისეთი პიროვნების შეურაცხყოფა, როგორიც პატრიარქია, აბსოლუტურად მიუღებელია. ის არის უნიკალური ადამიანი და მთელი საქართველო მზადაა მის დასაცავად. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, თუ ვის და რატომ უნდა პატრიარქის დისკრედიტაცია.

დავით ზურაბიშვილი, *რესპუბლიკური პარტიის წევრი:*

— პატრიარქის მიმართ ასეთი უხამსი ხუმრობა მიუღებელია. კლიპი, რომელშიც უწმინდესი ვითომდა, იგინება, არავის მოეწონება და არც არავის გააცინებს.

ფრიდონ გეგეშიძე, *ფოტოგრაფი:*

— ძალიან მაინტერესებს, როგორ აღიქვამენ უწმინდესის შეურაცხყოფას ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი და ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც ტელეკამერების წინ სანთლებს ანთებენ და პირჯვარს გულმოდგინედ იწერენ.

ლაშა ფარულავა, *ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი:*

— სტუდენტები საქართველოს ეკლესიისა და უწმინდესის შეურაცხყოფას არავის ვაპატიებთ. თუ საჭირო გახდება, ჩვენს საყვარელ სულიერ მოძღვარს შიშველი ხელებით დავიცავთ. თუთბერიძემ ბოდიში საქვეყნოდ უნდა მოიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, 1-ელ ნოემბერს მსვლელობას მოვაწყობთ და სამებას ცოცხალ ჯაჭვს შემოვარტყამთ.

გიგა სორდია, *სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი:*

— უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების სახელით თეა თუთბერიძისგან ბოდიშის მოხდას მოვითხოვ. ის ცდილობს, თავის უხამსი ქმედება სიტყვის თავისუფლების მოტივაციით ახსნას, მაგრამ ალბათ, არ იცის, რომ დემოკრატია აღვირახსნილობას არ ნიშნავს.

ვახტანგ დავითაშვილი, *სოფელ ჭოპორტის მოძღვარი:*

— ეს არ არის ერთი ადამიანის პირადი შეურაცხყოფა, ამით მთელ ქრისტიანულ სარწმუნოებას ესროლეს ლაფი... ყველაზე კარგი გამოსავალი, კლიპის ავტორთაგან ბოდიშის მოხდა იქნება. ამ ფაქტმა მხოლოდ ჩვენი მრევლი კი არა, ყველა ქართველი ადამიანი აღაშფოთა.

ქვეყანა

„როგორც იქნა, ჩვენმა ხელისუფლებამ რაღაც ისწავლა“

არაერთგვაროვანია საზოგადოების დამოკიდებულება 2008 წლის აგვისტოს ომზე მხატვრული ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით.

ეკა ლაცაბიძე, *იურისტი:*

— ძალიან მიხარია, საქართველოზე ფილმს რომ იღებენ და ისიც მახარებს, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის როლს ჰოლივუდის ვარსკვლავი შეასრულებს. ეს ჩვენს ქვეყანას მეტ პოპულარობას მოუტანს.

ტასო როგაძიძე, *მხატვარი:*

— ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ ფილმს რუსეთ-საქართველოს ომზე. ისე, ცოტა არ იყოს, გული მწყდება, რადგან მთავარ გმირებს უცხოელი მსახიობები განასახიერებენ, ქართველები კი მხოლოდ მეორეხარისხოვან როლებში არიან დაკავებულნი.

ლალი არაზაშვილი, *დიასახლისი:*

— ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება ჩვენს ქვეყანაში?! ჯერ პატრიარქის შეურაცხყოფა არ მქონდა მონელებული, როცა შევიტყვე, ჩვენი ხელისუფლება ამერიკელებს მილიონებს უხდის, რათა მასზე ფილმი გადაიღონო. შვილები მეუბნებიან, — ასეთ საქმეში ფული უნდა ჩაიდოს, ეს საქართველოს რეკლამა იქნებაო, მაგრამ რა დროს რეკლამა და პიარია, როდესაც ქვეყანაში ხალხი შიმშილით იხოცება? ის ფული, რაც იმ სიმპათიურ ენდი გარსიას უნდა მისცენ, იცით, რამდენ დევნილს მოუგვარებდა ყოფით პრობლემას?..

მანანა გულიაშვილი, *ფილოლოგი:*

— როგორც იქნა, ჩვენმა ხელისუფლებამ რაღაც ისწავლა. გახარებული ვარ იმ ფაქტით, რომ აგვისტოს ომის ამბავს მსოფლიო საზოგადოება ამერიკელების მიერ გადაღებული ფილმით შეიტყობს. მართალია, ქვეყანას უჭირს, მაგრამ ასეთ საქმეში ფულის დახარჯვა არ უნდა დაგვენანოს. გახარებული ვარ იმ ამბითაც, რომ პატრიარქზე გაკეთებული უხამსი კლიპი პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დაგმო და უწმინდესს მხარდაჭერა გამოუცხადა. როგორც ჩანს, „თავისუფლების ინსტიტუტში“ ქვეყნის მტრებმა მოიყარეს თავი და ქართველების ერთმანეთთან დაპირისპირება გადაწყვიტეს. კარგია, რომ გეგმები ჩაეშალათ. ■

ედუარდ შევარდნაძე სიმართლის თქმას აპირებს

პარლამენტმა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზის შემსწავლელი კომისიის შექმნის გადაწყვეტილება 78 ხმით ერთის წინააღმდეგ უკვე მიიღო. დეპუტატები სპეციალურ დადგენილებას შეიმუშავებენ, რომლითაც კომისიის შემადგენლობა, მისი კომპეტენცია, უფლებამოსილების ფარგლები და სხვა, რიგი პროცედურული საკითხი განისაზღვრება. ამჯერად დაზუსტებით მხოლოდ ის იციან, რომ გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზის შემსწავლელ საპარლამენტო კომისიის ფარგლებში ყველა ის უმაღლესი რანგის პირი დაიკითხება, რომელსაც 1991-92 წლებში რაიმე თანამდებობა ეკავა. დაჰკითხავენ ასევე, ედუარდ შევარდნაძესაც. ექსპრეზიდენტმა უკვე განაცხადა, რომ მზადაა კომისიასთან ითანამშრომლოს და გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ყველა კითხვას პასუხი გასცეს. „ექიმებისთვის ცხედრის დათვალიერების საშუალება თავის დროზე რომ მიეცათ, ახლა ყველაფერი ნათელი იქნებოდა. იმედი მაქვს, სიმართლე ამჯერად მაინც გაირკვევა. დღევანდელი გადმოსახედიდან ვხვდები — ყველაზე დიდი უბედურება გამსახურდიას თბილისიდან გაძევება იყო“, — ამბობს შევარდნაძე. ■

უშვილო ქალი 12 ტყუპს ელოდება

ტუნისის ქალაქ გრაფში მცხოვრები ქალბატონი უშვილობას დიდხანს მკურნალობდა. ამან შედეგი გამოიღო — ის დაორსულდა და 12 ტყუპი ჩაესახა. სპეციალისტების დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, მომავალი მრავალშვილიანი დედა უარს ამბობს ნაყოფთა გარკვეული რაოდენობის მოცილებაზე და არც საკეისრო კვეთით მშობიარობაზე თანხმდება. მას სურს, თორმეტივე ბავშვი ფიზიოლოგიურად გააჩინოს, რაც სპეციალისტთა აზრით, ძალზე სარისკოა. ■

ამერიკელებმა ჯაშუში მეცნიერი დააკავეს

აშშ-ში ისრაელისთვის საიდუმლო მასალების გადაცემის ბრალდებით მეცნიერი — სტიუარდ დევიდ ნოზეტი დააკავეს. როგორც აღმოჩნდა, ის სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა ქვეყნის ენერგეტიკის სამინისტროში — კერძოდ, ლივერმოლის რადიაციის ლაბორატორიაში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული არსენალი იქმნება — და ნაციონალურ კოსმოსურ საბჭოში, რომელიც თეთრ სახლთან ფუნქციონირებს. 2000-2006 წლებში ნოზეტის მიერ შექმნილი ორგანიზაცია — „ალიანსი ტექნოლოგიების კონკურენტუნარიანობისათვის“ ასრულებდა სამთავრობო შეკვეთებს ტექნოლოგიური სიახლეების შემუშავებისთვის. ნოზეტს სამუდამო პატიმრობა ელის. ■

40 ათასმა ადამიანმა ერთად დაქორწინება გადაწყვიტა

სამხრეთ კორეაში ყველაზე მასშტაბური საქორწილო ცერემონია დაიწყო. 20 ათასზე მეტი წყვილის კურთხევის ცერემონია კამპუსში, „ღირსი სან მიუნ მუნის“ უნივერსიტეტში იგეგმება. გარდა ამისა, შვედეთიდან ბრაზილიამდე კიდევ 20 ათასი ადამიანი იქორწინებს. ■

ირანის სულიერი ლიდერი გარდაიცვალა



70 წლის აიათოლა ალი ჰამენეი საკმაოდ ხშირად ავადმყოფობდა, ბოლო დროს კი ნერვული აშლილობაც დაემართა. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სულიერი ლიდერი შოკში ჩააგდო იმ ფაქტის გააზრებამ, რომ ქვეყანაში არსებულ კრიზისთან გამკლავებას ვეღარ ახერხებდა. გარდა ამისა, მოქმედი პრეზიდენტის, მაჰმუდ აჰმადინეჯადის მხარდამჭერ ჰამენეის უნდობლობა გამოუცხადა ოპოზიციის იმ ნაწილმა, რომელიც არჩევნებს გაყალბებულად მიიჩნევდა. სულიერმა ლიდერმა ამდენ სტრესს ვეღარ გაუძლო და სიცოცხლე ფატალური შედეგით დაასრულა. ■

ბიბლუსი
ცნობილი ადამიანები სტუმრად „ბიბლუსში“
ყოველ შაბათს 14-დან 16 სთ-მდე
(რუსთაველის 40/1)
ცნობილი პიროვნებები,
მწერლები,
პოლიტიკოსები,
მეცნიერები,
სპორტსმენები,
მსახიობები და სხვები...

24 ოქტომბერს წიგნების შერჩევაში ჩვენი ამკოლოგიური
დაგეხმარებათ და უპასუხებს თქვენს შეკითხვებს.

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

დავიხსნათ „დაპატიმრებული“ ქართველი მეზღვაურები!

უკვე 7 თვეა, რაც 22 ქართველი ბანგლადეშში მონურ პირობებში ცხოვრობს. ჩვენს ხელისუფლებას კი დღემდე ისიც კი ვერ გაურკვევია — კონკრეტულად რომელმა უწყებამ უნდა მოაგვაროს მათი პრობლემა. ინფორმაცია მათ შესახებ ჟურნალი „გზის“ რედაქციაში ელფოსტით მოვიდა.

ხათუნა ბახტურიძე

„მე ლიბერიის დროშის ქვეშ მცურავი გემის — Sulu Wind — **კაპიტანი, თენგიზ მუხაშავრია** გახლავართ. ჩვენს ეკიპაჟს, რომლის შემადგენლობაში 22 ქართველი მეზღვაურიც შედის, აპრილიდან მოყოლებული, დღემდე ხელფასი არ მიუღია. ყველა ადგილობრივ კომპანიას ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ მათგან მხოლოდ თავაზიანი დაპირებები მივიღეთ. უკვე ძალიან გვიჭირს ოჯახის წევრების გამოკვება. უდიდესი პრობლემები შეგვექმნა ბანკებთან, რადგან კრედიტის პროცენტებს ვეღარ ვიხდით. გაუსაძლის პირობებში ვიმყოფებით. გთხოვთ, ჩვენი ხმა მიაწვდინეთ ყველას, ვისაც კი დახმარება შეუძლია. ერთადერთი, რასაც მოვითხოვთ, ჩვენს მშობლიურ ქალაქში, ბათუმში რეპატრიაციაა. ამ დროისთვის ჩვენი გემი იმყოფება ბანგლადეშში, ჩაიტაგონგის პორტში, ზღვაზე“ — ეს გახლავთ წერილი, რომელიც გემის კაპიტანმა, ჩვენი რედაქციის გარდა, ყველა სახელმწიფო ინსტანციას — საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიით დაწყებული, საგარეო საქმეთა სამინისტროთი დამთავრებული — გაუგზავნა, მაგრამ — ამაოდ.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის თანახმად, უცხოეთში მყოფი, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებზე ზრუნვა საგარეო საქმეთა სამინისტროს მოვალეობაში შედის, პრესცენტრის წარმომადგენელმა თავაზიანად განმიმარტა, — ეს საკითხი ჩვენი სტრუქტურის პრეროგატივა არ არისო. როდესაც ვკითხე, — გქონდათ თუ არა ინფორმაცია ამ ადამიანების შესახებ, კონკრეტულად რომელ უწყებას ეკისრება მათი სამშობლოში რეპატრიაცია, ვინ უნდა დაიცვას მათი უფლებები საზღვრებს მიღმა და მსგავს შემთხვევებში, საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციაში რა შედის-მეთქი? — მისგან კვლავ თავაზიანი შეთავაზება მივიღე — კითხვები საკონსულო დეპარტამენტის ხელმძღვანელისთვის, ბატონ გიორგი ტაბატაძისთვის გადამეგზავნა.

რჩევა გავითვალისწინე, კითხვებზე კი ასეთი პასუხები მივიღე: **„1 — 2009 წლის 15 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში შემოვიდა საქართველოს სახალხო დამცველის წერილი, თანდართული მასალით, რომელიც ეხება სავარაუდოდ ლიბერიის დროშის ქვეშ მცურავი ერთ-ერთი გემის ეკიპაჟის სახელით, კაპიტან თენგიზ მუხაშავრიასგან მიღებულ ინფორმაციას... წერილი ქვემდებარეობით გადაეგზავნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციას, ხოლო რუსეთის ფედერაციაში, ბანგლადეშის საელჩოდან ინფორმაციის მიღების მიზნით, შვეიცარიის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციას. 2 — გამომდინარე იქიდან, რომ ხელფასის მიღება წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის ნაწილს და არის კერძო სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობა, მათ უფლებებს იცავს მეზღვაურთა პროფესიული კავშირი. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არიან მეზღვაურთა კავშირის წევრები, მაშინ მათი ინტერესების დაცვა ხორციელდება შესაბამისი სპეციალობის მქონე ადვოკატის მიერ. 3 — ასეთ სიტუაციაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქცია, სამგზავრო დოკუმენტებით უზრუნველყოფა და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატის შერჩევაა“.**



ამ გემზე 22 ქართველი მეზღვაური სამშობლოდან ასობით კილომეტრის დაშორებით იმყოფება

როდესაც ამ პასუხებს გავეცანი, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის პრესცენტრს დავუკავშირდი. რაც უნდა ალეგორიულად მოგეჩვენოთ, პრესცენტრის წარმომადგენელმა (სხვათა შორის, ისიც ძალზე თავაზიანი იყო...) „ტრეფიკინგის ცხელ ხაზზე“ დარეკვა მირჩია, იქიდან კი სოდ-ის „ცხელ ხაზზე“ გადამამისამართეს. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ სოდ-ის „ცხელ ხაზზე“ „ქრონიკული“ დაკავება იყო და შემეშინდა კიდეც, ისევ რომელიმე სხვა უწყებასთან დაკავშირება არ ერჩიათ, კვლავ საგარეო საქმეთა სამინისტროში დავრეკე და მინისტრის მოადგილესთან ინტერვიუ ვითხოვე. გრიგოლ ვაშაძის ერთ-ერთი მოადგილე, ბატონი სერგი კაპანაძე ამაზე ნამდვილად უპრობლემოდ დამთანხმდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეზღვაურთა შესახებ ინფორმირებული არ იყო და საკითხში გასარკვევად, გარკვეული დრო ითხოვა. რამდენიმე საათში ბატონმა სერგიმ რედაქციაში თავად დარეკა და დაგვაიმედა, რომ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტრო უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას, როგორც გემის მფლობელთან, ისე იმ ქვეყანასთან, რომლის დროშის ქვეშაც ის დაცურავს.

ვიმედოვნებთ, პრობლემა ამჯერად მაინც მოგვარდება და სხვადასხვა უწყება ერთმანეთისთვის საქმის გადაბარებასა თუ გადაბრალებაში დროს უქმად აღარ დაგვაკარგვინებს. რაც მთავარია — იძულებითი ტყვეობიდან გამოიხსნის სამშობლოდან შორს მყოფ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც პრაქტიკულად, მშიერ-მწყურვალნი, სრულიად უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და თითოეული დღის გადასატანად, ღმერთმა უწყის, რა ძალისხმევა უწევთ!..

აჭარაში საპროტესტო აქციებმა ყველა ოპოზიციური პარტია გააერთიანა

„გადავარჩინოთ დამოუკიდებელი ტელეკომპანია!“ — ამ ლოზუნგით აჭარაში საპროტესტო აქცია მოეწყო. ეს ის აქციაა, რომელზეც ყველა პოლიტიკური პარტიის (გარდა მმართველისა) გაერთიანება მოხდა. მიზეზი კი — აჭარაში მოქმედი დამოუკიდებელი კომპანიის — „ტელეარხი 25“-ის წინაშე წამოჭრილი პრობლემები გახდა: ის შესაძლოა, აუქციონის წესით გაყიდონ! ანუ ტელევიზია ან დაიხურება, ან ისეთივე „დამოუკიდებელ“ ტელეარხად გადაიქცევა, როგორიც, მაგალითად, ტელეკომპანია „იმედია“.

ჯაგა ანანიძე

„ტელეარხი 25“ 1993 წელს შეიქმნა. 2000 წელს ის ასლან აბაშიძემ დამფუძნებლებს თვითნებურად ჩამოართვა და თავის უახლოეს გარემოცვას „გადააბარა“. „აჭარის ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არხი კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდა, მაგრამ ორგანიზაციაში საგადასახადო სამსახურმა რევიზია ჩაატარა. 2004 წლის 1-ელ სექტემბერს გამოცემული საგადასახადო აქტის მიხედვით, „ტელეარხ 25“-ს სახელმწიფოს მიმართ დავალიანების — 277.247 ლარის გადახდა დაეკისრა. ტელევიზიამ დაკისრებული სანქცია, რევიზიის პროცედურის დარღვევის მოტივით, სასამართლოში გაასაჩივრა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აქტი ბათილად ცნო და საგადასახადო სამსახურს ხელახალი რევიზიის ჩატარება დააკისრა. მაგრამ ამის ნაცვლად, საგადასახადო სამსახურმა, ძველი აქტით, ისევ პირველ სასამართლო ინსტანციას მიმართა.

2009 წლის 9 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ ძველი საგადასახადო აქტის შესაბამისად მოსთხოვა დავალიანების დაფარვა(!)...

ამჯერად, სასამართლოს დარბაზში პოლიტიკოსებიც გამოჩნდნენ, რადგან მათ ამ საქმეში პოლიტიკური სარჩული დაინახეს: არჩევნები ახლოვდება, ხელისუფლებას დამოუკიდებელი სატელევიზიო არხი არ სჭირდება და მის დახურვას ცდილობსო.

მეორე დღეს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა შეადგინეს მემორანდუმი, რომელშიც „ტელეარხი 25-ის“ მიერ განვლილი 16-წლიანი გზაა გადმოცემული; მოთხრობილია ისიც, თუ რას განიცდის ქართული მასმედია ბოლო წლების განმავლობაში. მემორანდუმს პოლიტიკურმა პარტიებმა, არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებმა, ასევე მოქალაქეებმა მოაწერეს ხელი. დოკუმენტი საერთაშორისო ორგანიზაციებსაც გაუგზავნეს.

გენო გელაძე, *არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტი“:*

— ვცდილობთ, გადავარჩინოთ დამოუკიდებელი ტელეკომპანია. ეს არხი, რომელსაც აქამდე არაერთი პრობლემა ხელოვნურად შეუქმნეს, არასდროს ყოფილა ასოცირებული რომელიმე პოლიტიკურ ან ბიზნესჯგუფთან. „ტელეარხი 25“ ნებისმიერი მხარისთვის აზრის თავისუფლად გამოხატვის საუკეთესო საშუალებაა. სავალალო ისაა, რომ ამ დამოუკიდებელ ტელევიზიას, ისევე, როგორც აბაშიძის მმართველობის დროს, დღესაც ახშობენ. სხვა რა შეიძლება დავარქვათ იმ ფაქტს, რასაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირება ჰქვია?! მემორანდუმზე ხელმოწერების შეგროვება ჩემს ორგანიზაციაში ხდებოდა. მოდიოდნენ რიგითი მოქალაქეები, ვისთვისაც ძვირფასია სიტყვის თავისუფლება, ყოველ საღამოს თავისუფალი სიტყვის მოსმენა და პრობლემების ღიად წარმოჩენა.

ნატა იმედაიშვილი, *რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი:*

— ჩემი აზრით, ეს არის მედიის თავისუფლების ჩახშობის დასასრული. თუკი საზოგადოება ამჯერადაც შეეგუება ამ ფაქტს, საბოლოოდ დაიკარგება სიტყვის თავისუფლება ქართულ სატელევიზიო სივრცეში. მედიის თავისუფლების დასაცავად, არაერთი ბერკეტი არსებობს; ერთ-ერთია — თავად ჟურნალისტების სოლიდარობა, ერთმანეთის გვერდით დგომა. თუ ახლაც მოხდა გამიჯვნა და ჟურნალისტებმაც დავხუჭეთ თვალი უსამართლობაზე, საზოგადოების ნდობას მედია სულ დაკარგავს.

მურმან დუმბაძე, *რესპუბლიკური პარტიის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:*

— ხელისუფლებას ძალიან აშინებს პრესის თავისუფლება. ახლოვდება არჩევნები და ბუნებრივია, მას არ სჭირდება დამოუკიდებელი სატელევიზიო სივრცე, დებატები. „ტელეარხი 25“ მუდმივად აშუქებდა და აშუქებს საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს, სვამს ყველაზე აქტუალურ და კრიტიკულ კითხვებს. ხელისუფლება ამჯერად სასამართლოს გზით შეეცადა, აჭარაში არსებულ ერთადერთ დამოუკიდებელ სატელევიზიო არხს აუკრას პირი, მაგრამ ეს არ გამოუვა.

მერაბ მერკვილაძე, *„ტელეარხი 25“-ის დამფუძნებელი, ხელმძღვანელი:*

— არაერთხელ შეგვქმნია არსებობის პრობლემა, მაგრამ გავუძელით და გადავრჩით. ამჯერადაც არსებობს რეალური საფრთხე, ტელევიზია აუქციონზე გაიყიდოს და თავისუფალი მედიასაშუალება გაქრეს, მაგრამ საზოგადოების მხარდაჭერის იმედი გვაქვს. სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან დღემდე არათუ პოლიტიკური და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები გვიცხადებენ სოლიდარობას, არამედ რიგითი მოქალაქეებიც, რომელთაც ყოველთვის წარმოედგინათ „ტელეარხი 25“ სიმართლის უპირობო დამცველად. ჩვენს ეთერში ყოველ საღამოს გადის სატელევიზიო ტოქშოუ „დიალოგი“, სადაც დღის ყველაზე აქტუალური პრობლემები განიხილება. გადაცემაში ვიწვევთ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, არაერთგზის შეთავაზების მიუხედავად, ხელისუფლების ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ დავითანხმეთ „დიალოგში“ სტუმრობაზე. მაღალჩინოსნები მხოლოდ კომენტარით შემოიფარგლებიან და ზოგიერთი მათგანი ღიად აცხადებს, — დამოუკიდებელი ტელევიზიის გადასარჩენად, კანონის ფარგლებში, ყველა გზა უნდა გამოიძებნოსო; ეს, მაგალითად, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი კირთაძემ თქვა ჩვენს სატელევიზიო სიუჟეტში. მინდა, ყველას დიდი მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის!

16 ოქტომბერს „ტელეარხი 25“-ის შენობასთან საპროტესტო აქცია გაიმართა. აქცია მოძრაობის — „სამართლიანი საქართველოსთვის“ (ლიდერი — ზურაბ ნოღაიდელი) — ინიციატივით დაიწყო და მას ყველა ოპოზიციური პარტია შეუერთდა. ოპოზიცია პროტესტის გამოხატვას მანამდე გეგმავს, ვიდრე ხელისუფლებისგან კონკრეტულ პასუხს არ მიიღებს. ■

„საინფორმაციო შიმშილი“ სახელმწიფო საიტებზე

მოგეხსენებათ, ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როცა სახელმწიფო უწყებებისგან ისეთი ინფორმაციის მოპოვებაც ჭირს, რომელიც კანონის თანახმად, საჯაროა. წესით, ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობისა და სიახლეების შესახებ მასმედიას ინფორმაცია შესაბამისი უწყების პრესცენტრმა უნდა მიაწოდოს, მაგრამ პრესსამსახურის თანამშრომლები ჟურნალისტებს კი არ გვეხმარებიან, არამედ პირიქით — ჩვენგან ყოველგვარი ინფორმაციის დაფარვას ცდილობენ.

ემა ტუხიაშვილი

თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, ინფორმაციის მოპოვება-გავრცელების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება — ინტერნეტია. ჩვენს დროში, ვებგვერდის შექმნა ნებისმიერი სოლიდური ორგანიზაციისა და მით უმეტეს, სახელმწიფო უწყებისთვის, პრესტიჟის საკითხად იქცა. ოფიციალურ საიტებზე ყველა ის ინფორმაცია უნდა იყოს განთავსებული, რომელიც არა მხოლოდ ჟურნალისტებს გაუადვილებს პროფესიულ საქმიანობას, არამედ ნებისმიერ მომხმარებელს მიაწვდის ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

რამდენიმე თვის წინ „ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტმა“ სამინისტროების ვებგვერდების მონიტორინგი მოაწყო. აღმოჩნდა, რომ საიტებისადმი წაყენებული მოთხოვნების 50%-იანი ზღვარი 18 სამინისტროდან ერთმაც ვერ გადალახა.

ლევან ავალიშვილი, *„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის თავმჯდომარე“:*

— ინსტიტუტი წლეულს, მარტში დავაფუძნეთ. ამას წინ უძღოდა საერთაშორისო კონფერენცია თელავში, რომლის ორგანიზატორი ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია — „ეროვნული უსაფრთხოების არქივი“ გახლდათ. ეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ორგანიზაციაა, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე მუშაობს. აშშ-ში ძალაშია „ინფორმაციის თავისუფლების აქტი“, რომლის თანახმად, ყველა დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს, უნდა გამოქვეყნდეს. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს „ეროვნული უსაფრთხოების არქივი“: გზავნის მოთხოვნებს შესაბამის უწყებებში, იღებს დოკუმენტებს და შემდეგ, მათ აქვეყნებს. მაგალითად, ისინი პერიოდულად აქვეყნებენ დოკუმენტებს, რომლებიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და პენტაგონის საქმიანობას ასახავს; ცოტა ხნის წინ კი მათ საიტზე გაჩნდა ინფორმაცია, რომელიც ბუშის პრეზიდენტობის დროს, „ალ-ქაიდას“ წევრების წამების ფაქტებს ადასტურებს. გადაწყდა, კავკასიაშიც შექმნილიყო ორგანიზაციების ქსელი, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე იმუშავებს. ერთ-ერთი მიმართულება — სახელმწიფო საიტების ინტერნეტმონიტორინგია. აღსანიშნავია, რომ რუსეთში ასეთი ორგანიზაცია 2003 წლიდან არსებობს და მათი მუშაობის შედეგიც სახეზეა. მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტის საიტს თუ ესტუმრებით, ის თქვენზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს, ჩვენი პრეზიდენტის საიტზე კი კარგს ვერაფერს ვიტყვი. სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალური ვებგვერდის მიმართ ბევრი მოთხოვნა არსებობს: ცალკე უნდა იყოს ასახული კანონმდებლობა, პრეზიდენტის ვიზიტების

ჩამონათვალი, ადვილად მოსაძებნი უნდა იყოს გამოსვლების ტექსტი, პოლიტიკური გეგმები და ა.შ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საიტზე, ფაქტობრივად, ვერაფერს ნახავთ. უცნაურია, რომ აფხაზეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოს ერთი საიტი აქვს და კიდევ უფრო უცნაურია, რომ სამინისტროების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. ქვეყანაში, სადაც მხოლოდ აფხაზეთის რეგიონიდან 300 ათასი ლტოლვილია, ინტერნეტი შესაძლოა, ყველაზე იოლი საშუალება იყოს საიმისოდ, რომ ადამიანებმა მიიღონ ინფორმაცია, მაგალითად, პენსიებთან, შეღავათებთან დაკავშირებით. სახელმწიფო უწყების საიტი არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ პროპაგანდაზე, არამედ უნდა შეიცავდეს სასარგებლო ინფორმაციას იმ ადამიანებისთვის, ვინც მას მოიხმარს. ასეთი საიტებით შესაძლოა, ინტერესდებოდეს და სარგებლობდეს საერთაშორისო საზოგადოება, რომელსაც სურს, გაიგოს, თუ რა ხდება ამ მიმართულებით საქართველოში... ცუდი საიტი აქვს აჭარას, სადაც განთავსებულია მონაცემები მხოლოდ ლევან ვარშალომიძეზე, არადა, ჩამოყალიბებული უნდა იყოს მთელი სამთავრობო სტრუქტურა: ვინ არიან მისი მოადგილეები, რას აკეთებენ და სხვა. მოსახლეობა, ფაქტობრივად, საკუთარი ჯიბიდან უხდის ჯამაგირს სახელმწიფო მოხელეს, ამიტომ ის ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რაში იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორია ქვეყნის კანონმდებლობა, რა ბრძანებებსა და ნორმატიულ აქტებს გამოსცემენ ხელისუფალნი და ა.შ. ინტერნეტი კი ამ ტიპის ინფორმაციის მიწოდების ყველაზე მარტივი საშუალებაა.

საინფორმაციო გამჭვირვალობისა და დემოკრატიზაციის პროცესისთვის ინტერნეტგამჭვირვალობა ძალზე მნიშვნელოვანია

— რამდენად ფართოდ იყენებს ინტერნეტს, როგორც მომსახურების სფეროს, ჩვენი მოქალაქე? იქნებ, ჩვენში ჯერჯერობით, ეს გართობის საშუალება უფროა?

— ვთქვათ, საჯარო რეესტრის საიტზე შეგიძლიათ მოიძიოთ ინფორმაცია თქვენი, როგორც ფიზიკური თუ იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ და შემდეგ ეს დოკუმენტი წარადგინოთ, მაგალითად, ბანკში. ამის გაკეთება ინტერნეტით დაახლოებით, 2 წუთშია შესაძლებელი, საჯარო რეესტრში მისასვლელად კი გაცილებით მეტი დრო და ენერგია უნდა დახარჯოთ. ჩვენი მოკვლევით, საქართველოში დაახლოებით, 900 ათასი ინტერნეტმომხმარებელია. მართალია, ელექტრონული მმართველობის კულტურა საქართველოში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ განვითარებული, მაგრამ ეტაპობრივად, ყველაფერს მივაღწევთ.

— როგორც ვიცი, პირველ ეტაპზე სამინისტროების საიტები მოიკვლიეთ. საინტერესოა, რა მდგომარეობაა ჩვენში ელექტრონული გამჭვირვალობის თვალსაზრისით?

— ყველაზე კარგი შედეგი ფინანსთა სამინისტროს საიტმა გვიჩვენა. ინფორმაციის მიღებასთან ერთად, მომხმარებელს შეუძლია, რაღაც მომსახურებებით ისარგებლოს კიდეც. მაგალითად, შეგიძლია, ონლაინრეჟიმში ნახო იმ ქონების აუქციონები, რომლებსაც სახელმწიფო ყიდის. ზოგადად, სრულყოფილებამდე ამ საიტსაც ბევრი უკლია, მაგრამ სხვებზე უკეთესია. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფო საიტებზე არ ქვეყნდება საკანონმდებლო ნორმატიული აქტები, მინისტრის ბრძანებები, ცვლილებები. რაც მთავარია, ეს ინფორმაცია დროულად უნდა გამოქვეყნდეს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ინფორმაცია, რომელიც არ ექვემდებარება გასაიდუმლოებას, საჯაროა. ამიტომ საიტებზე უნდა ქვეყნდებოდეს საჯარო მოხელეთა სახელფასო მონაცემები, საბიუჯეტო ხარჯები და ა.შ. თუ იცის ვინმემ, რა თანხა იხარჯება გზების მშენებლობისთვის ან რა დაჯდა პრეზიდენტის სასახლის აშენება?.. თუ საჯარო სამსახურში რაიმე ვაკანსია გაჩნდა, ეს ინფორმაციაც საჯარო უნდა იყოს, მაგრამ სამინისტროების საიტებზე ის ან დაგვიანებით იდება, ან ამის შესახებ არაფერი აქვთ მითითებული. გაგიკვირდებათ და, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საიტი აგვისტოს შემდეგ არ მუშაობს.

— სახელმწიფო საიტებზე არსებული ინფორმაცია მით უფრო არ პასუხობს პრესის მოთხოვნებს და პრესცენტრებთან ურთიერთობა ხშირად, უშედეგოა...

— თუ ჟურნალისტს აინტერესებს, რა ღონისძიება მოაწყო მინისტრმა, რისი პრეზენტაცია გაიმართა სამინისტროში ან რა კონკრეტული პროექტი წამოიწყეს, ასეთი ინფორმაცია პიარის ნაწილია და პირიქით, გავრცელების თვალსაზრისით დიდ ყურადღებას უნდა აქცევდნენ, მაგრამ ეს ინფორმაცია საკმარისი არ არის სტატიის დასაწერად ან სიუჟეტის გასაკეთებლად. მაგალითად, ეკონომიკის სამინისტროს საიტზე, „იაფი კრედიტის“ პროექტთან დაკავშირებით, ინფორმაცია სულ 7 სტრიქონს იტევს. ეს ხომ, ფაქტობრივად, ეროვნული პროგრამაა, რომლის ინიციატორი პრეზიდენტია და რომელშიც, სახელმწიფო უწყებების გარდა, კომერციული ბანკებიც მონაწილეობდნენ. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვერც ჟურნალისტი დაწერს წერილს და ვერც „იაფი კრედიტით“ დაინტერესებული მომხმარებელი გაიგებს, როგორ გახდეს ამ პროექტის მონაწილე... უცნაურია, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს საიტზე ერთი თვის განმავლობაში არ იყო ინფორმაცია მინისტრის შესახებ. ინფორმაციულობის თვალსაზრისით, ცუდი საიტი აქვს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. მაგალითად, მონიტორინგის დროს, საიტზე არ იყო ინფორმაცია ღორის გრიპთან დაკავშირებით; ანდა გახმაურებული, „100 საავადმყოფოს“ პროექტი ავიღოთ: საიტზე არ დევს ინფორმაცია, თუ რა თანხა დაიხარჯა ამ პროექტზე, ვინ ჩადო ფული, რა აშენდა და რა — არა.

— სამინისტროს რომელი სამსახურია ვალდებული, იმუშაოს და სრულყოს საიტი?

— პრობლემა სწორედ ისაა, რომ კანონი საჯარო სამსახურს საიტის შექმნას არ ავალდებულებს, ეს მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ფინანსთა სამინისტროს და პარლამენტის საიტები სხვებთან შედარებით უკეთესი იმიტომაა, რომ მათ განვითარებაზე დონორმა ორგანიზაციამ იზრუნა. საქართველოში არ არსებობს საინფორმაციო პოლიტიკის სტრატეგია, მისი განვითარების გეგმა. საინფორმაციო გამჭვირვალობისა და დემოკრატიზაციის პროცესისთვის ინტერნეტგამჭვირვალობა ძალზე მნიშვნელოვანია. რაც მეტი საჯარო ინფორმაციაა ასახული საიტზე, მით უფრო გამჭვირვალეა სახელმწიფოს მუშაობა და მით უფრო მეტია ნდობა მოქალაქესა და სამინისტროს შორის. მაგალითად, მე არ მომწონს „იაფი კრედიტის“ პროგრამა და როდესაც ის საიტზე განსახილველად გამოვა, როგორც მოქალაქეს, უნდა მქონდეს შესაძლებლობა, შენიშვნები მაინც გავგზავნო კონკრეტულ პუნქტებთან დაკავშირებით. ■

„მოვუწოდებ გოგონებს — ბიჭებს წიგნის კითხვისკენ უბიძგონ!“

წიგნის მაღაზია „ბიბლუსში“ 17 ოქტომბერს მკითხველი დათო ტურაშვილს შეხვდა. ამით დაიწყო „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელის ახალი პროექტი — „მე — წიგნი“, რომლის ფარგლებშიც მკითხველს შესაძლებლობა მიეცემა, „ახლო ხედით“ დაინახოს და ესაუბროს ცნობილ, საინტერესო ადამიანებს: მწერლებს, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარჩინებულ წარმომადგენლებს, მეცნიერებს...

მერი კობიაშვილი

დავით ტურაშვილმა ქართველი საზოგადოების წიგნისადმი დამოკიდებულებაზე ისაუბრა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ჩვენში ყველაზე კარგად საბავშვო ლიტერატურა იყიდება, რაც სავსებით გასაგებია: ყველა მშობელმა იცის, რომ ბავშვი წიგნს უნდა აზიაროს. ამასთანავე, ზოგიერთმა ეჭვი გამოთქვა, რომ ბავშვებისთვის ნაყიდი წიგნები ხშირ შემთხვევაში გადაუშლელი რჩება, მოზარდები ხომ ხშირად, კომპიუტერთან ჯდომას ამჯობინებენ... მწერალმა გაგვიმხილა, რომ რამდენიმე დღის წინ მარკესის წიგნის — „მარტინ ლიტინის საიდუმლო მოგზაურობა ჩილეში“ — თარგმნის უფლება მიიღო. ამ უფლების მოპოვებაში მას რეჟისორი დავით პაპავა დაეხმარა, რომელიც კოლუმბიაში, გამოჩენილი მწერლის სახლში ცხოვრობს...

ამ „ინტერვიუს“ სახით, მწერალსა და „ბიბლუსში“ თავშეყრილ მკითხველებს შორის გამართული დიალოგის ყველაზე საინტერესო ნაწყვეტებს გთავაზობთ.

— დათო, შენი პერსონაჟებიდან ყველაზე მეტად, რომელი გიყვარს?

— ყველა ერთნაირად მიყვარს... რამდენიმე წლის წინ რეზო გაბრიაძემ ჩემი ძველი პიესა წაიკითხა და მითხრა, მთავარი გმირის მიმართ საშინელ დამოკიდებულებას ამჟღავნებ და ასე არ შეიძლებაო. მაშინ ვერც მივხვდი, ცუდად რატომ მოვექეცი ამ გმირს, მაგრამ წლების შემდეგ, ცხოვრებაში ზუსტად ის დამემართა, რაც ჩემს გმირს პიესაში სჭირდა.

— არსებობენ პერსონაჟები, რომლებიც დიდხანს რჩებიან ადამიანის გონებაში. შენთვის ასეთი გმირი რომელია?

— ადამიანი ისეთი ინდივიდია, რომელიც არავის გავლენის ქვეშ არ უნდა მოექცეს. ბავშვობაში შეიძლება, უფრო გქონდეს მცდელობა, ვინმეს დაემსგავსო... მსახიობის პროფესიას როგორ ირჩევენ, ვერ ვხვდები: როგორ შეიძლება, ღმერთმა გამაჩინოს და მთელი ცხოვრება სხვისი ცხოვრებით ვცხოვრობდე?!. სკოლაშიც ვაწყდებოდით მსგავს მცდელობას — სულ გვაზეპირებინებდნენ რაღაცებს... ჩემს შვილებს ვეუბნები, არაფერი დაიზეპიროთ-მეთქი. შიში მაქვს, რომ რამის დაზუთხვა კარგი არ უნდა იყოს: ამ დროს, საკუთარი ტექსტისთვის გონებაში ადგილი აღარ გრჩება.

— რომელი წიგნის წაკითხვას გვირჩევთ?

— მე ამოჩემებული წიგნებიც მაქვს, რომლებსაც სულ ვკითხულობ. მაგალითად, „დონ კიხოტი“ და „ვეფხისტყაოსანი“ აღარც კი მახსოვს, რამდენჯერ წავიკითხე. გაკვირვებული ვარ, რომ ხელახლა წაკითხვისას ახალ რამეს აღმოვაჩენ ხოლმე და ვერც კი ვხვდები, ამას ადრე რატომ ვერ ვხედავდი... შოთა რუსთაველი ჩემთვის, ამოუცნობი ფენომენია. უბრალოდ, ჩვენ ვერ ვხვდებით ამას. მაგრამ დაუფასებლობა მთელი მსოფლიოს სენია: შექსპირიც ასეა ინგლისში — უყვართ და გიუდებიან შექსპირზე, მაგრამ არ კითხულობენ. სერვანტესიც „იმავე სიტუაციაშია“. რა თქმა უნდა, აფასებენ, ესპანეთის ქალაქებში ყველგან სერვანტესის ძეგლები დგას, მაგრამ მის მკითხველს იშვიათად შეხვდებით... „ვეფხისტყაოსანი“ ყველამ კარგად რომ არ ვიცით, ეს სკოლის ბრალია. ჩემი აზრით, შოთა რუსთაველი მერვე კლასში არ უნდა ისწავლებოდეს.

— თუ ეთანხმებით იმას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი გაათანამედროვეს?

— რა თქმა უნდა! მომწონს. ჩვენ საბჭოთა წყობილების პერიოდში გაზრდილი ადამიანები ვართ; გვასწავლიდნენ, რომ ეს კლასიკაა და სხვაგვარად სწავლა არ შეიძლება... მომღერლებს სულ ვეუბნები, — ქართული ხალხური სიმღერები ჯინსში ჩაცმულებმა იმღერეთ-მეთქი: როცა ჩოხებში მღერიან, მსმენელს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ მათი ხმა მუზეუმიდან მოდის... „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან თანამედროვე ნაწარმოებია და თუ თანამედროვედ გადმოგვცემს ვინმე, ეს

იოგა

ყველასათვის

"თენგიზ გელდიაშვილის იოგას სკოლა" აცხადებს მსენელთა მიღებას იოგას საფუძვლების შემწავლელ კურსებზე:

1. იოგას რვა საფეხური
2. ასანები
3. პრანაიამა

კურსდამთავრებულები მიიღებენ იოგას ინსტრუქტორის დიპლომს

ასევე სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა დაავადების სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი ჯგუფები

მის: უნივერსიტეტის ქ.№6
(სპორტკომპლექსი ქარიშხალა)
ტელ: 391707 8(99)948925

ძალიან კარგია. ყველა ასაკის ადამიანისთვის უნდა არსებობდეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. ამან უნდა მიიყვანოს მკითხველი ორიგინალთან. ისე არ მიდიხარ ამ წიგნთან და რაიმე ხომ უნდა გააკეთონ ამის გამოსასწორებლად?! მაგალითად, „დონ კიხოტი“ ყველა ასაკის მკითხველისთვის დაიწერა და ეს ძალიან კარგია. მე პირადად ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— თქვენ რა წიგნის ყიდვას გვირჩევდით?

— პირადად მე, ცოტა ხნის წინ ნიკოლოზ ჩხოტუას წიგნი წავიკითხე და აღვფრთოვანდი. ეს ადამიანი 1921 წელს ემიგრაციაში წავიდა; მაშინ ძალიან პატარა იყო. საქართველოში ველარ დაბრუნდა. ამერიკაში ცხოვრობდა. ბოლო წლები შვეიცარიაში გაატარა. მაგრამ სამშობლო არ დაივიწყა და თავის წიგნში აღწერა. ასეთი ადამიანები აუცილებლად უნდა დავაფასოთ. მე გირჩევთ, მის აღწერილ საქართველოს გაეცნოთ. შეიძლება, იმ პერიოდში მართლაც, სწორედ ასეთი იყო ჩვენი ქვეყანა და ამის შესახებ არაფერი ვიცით.

— მთელ მსოფლიოში ავტობიოგრაფიული ჟანრის ბუმია. ჩვენშიც გამოვიდა ლალი მოროშკინას სკანდალური წიგნი. რა აზრის ხართ ამ ტენდენციაზე?

— ძალიან კარგია, რომ ამ მხრივ წინსვლა გვაქვს. ავტობიოგრაფიულში კი არა, ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებებშიც გვიჭირს... ჩვენ გვგონია, რომ ლიტერატურა მხოლოდ ისაა, რაც შემდეგ კლასიკური ლიტერატურა გახდება. ეს, ჩემი აზრით, არასწორი დამოკიდებულებაა. გოჩა მანველიძე რასაც წერს, ისიც ლიტერატურაა. მისი წიგნები ყველაზე კარგად იყიდებოდა და მეტი რაღაა საჭირო იმისთვის, რომ კარგ მწერლად ვაღიაროთ?! დასავლეთში მწერლად ის მიიჩნევა, ვისაც ხელში კალამი უჭირავს... რატომღაც გვგონია, მწერალი რომ გერქვას, მაინცდამაინც დოსტოევსკის დონის უნდა იყო. რუსეთში მხოლოდ 5 მწერალი ჰყავთ ძალიან მაგარი. სხვებს კი მწერლებად არც მიიჩნევენ. ბორხესს აქვს ასეთი განმარტება: „კარგი ლიტერატურა ის არის, რომელსაც ინტერესით კითხულობენ“. მას აბსოლუტურად ვეთანხმები. თუ გვინდა, რომ კარგი მწერლები გვყავდეს, ქვეყანას უნდა აინტერესებდეს წიგნის პრობლემა. მაგალითად, ესპანეთში ქუჩები წიგნებით არის სავსე. დღეები აღარ ჰყოფნით და წიგნის ფესტივალზე ღამითაც ყიდიან ქუჩაში. ამაში დიდი წვლილი სახელმწიფოს მიუძღვის. ხელისუფლების წარმომადგენლებმა იციან, რომ სადაც წიგნი არ არსებობს, იმ ქვეყანაში არც ეკონომიკა ვითარდება და არც ხელოვნება. საზღვარგარეთ მწერლები კარგად ცხოვრობენ. საქართველოში კი ალბათ 5 მწერალია, ვინც წიგნების წერით ცხოვრობს.

— თქვენ წიგნების წერით ცხოვრობთ?

— რა თქმა უნდა! მე სხვა არაფერი ვიცი. იყო დრო, როცა ლექციებსაც ვკითხულობდი, მაგრამ 12 ლარს მიხდიდნენ. ვამბობდი, — მხეცი ხომ არა ვარ, ასე ცხოვრებას ვერ გავაგრძელებმეთქი!.. სტუდენტები რას იტყოდნენ — 12-ლარიანი ლექციები მოვისმინეთო?

— საბჭოთა წყობილების დროინდელი ნათქვამი გამოგივიდათ: ფული ხომ არ არის მთავარი?! შეიძლება, უფასო ლექცია მოისმინო და მთელი ცხოვრება არ დაგავიწყდეს, მაგრამ შეიძლება, ძვირად ღირებული ლექტორის ლექციას დაესწრო და ერთი სიტყვაც ვერ დაიმახსოვრო...

— ყოველდღე ასეთ ლექციას როგორ ჩავატარებ?! 12-ლარიანი ლექციის წაკითხვით ვერ მივაყენებ შეურაცხყოფას სტუდენტებს. ჩემს სტუდენტებს ვეუბნებოდი კიდეც, — იმიტომ მოვდივარ აქ, რომ რამე თქვენგან ვისწავლო-მეთქი. ეცინებოდათ; ეგონათ, ვხუმრობდი. ამ ყველაფრით იმის თქმა მინდა, რომ ერთეული ადამიანები წიგნიერების პრობლემას ვერ მოერევიან.

— თქვენი აზრით, ამ საინტერესო შეხვედრაზე ხალხმრავლობა რატომ არ არის?

— ასეთი შეხვედრები კიდევ უნდა გაიმართოს. დამსწრეთა რაოდენობის გაზრდა კი გოგონებზეა დამოკიდებული. საქართველოში და მე მგონი, მთელ მსოფლიოში ქალები წარმართავენ ყველანაირ პროცესს. „ვეფხისტყაოსანი“ ხომ გახსოვთ?! ავთანდილს თინათინმა უთხრა, — წადი ხატაეთში და საგმირო საქმეები ჩაიდინეო. ასე რომ არ ეთქვა, ავთანდილი ჩვეულებრივი ქართველი ღიპიანი კაცი იქნებოდა. აბა, სიკვდილზე რატომ უნდა წასულიყო?.. ყველაფერი განაღდებული ჰქონდა!.. ამიტომ არ მესმის იმ მშობლების, რომლებიც შვილებს 17 წლის ასაკში 100-ათასიან ჯიპებს სჩუქნიან: რაღა უნდა გააკეთოს იმ ბიჭმა?!. ახლა 17 წლის რომ ვიყო და მამამ ჯიპი მიყიდოს, რაღა უნდა გავაკეთო?! ავდგები და გავიჩხერ და გავიჩხერ წამალს!.. დარწმუნებული ვარ, რომ ავთანდილი თინათინმა გადაარჩინა. ასე უნდა იქცეოდეს ყველა გოგო. სამწუხაროდ, ჩემი სკოლის და სტუდენტობის დროს გოგონებს მკვლელი და მანიაკი ბიჭები მოსწონდათ. მეტსაც გეტყვით — დაბადების დღეზე რომ მივდიოდით, ბიჭები, რომლებიც ნარკომანები არ იყვნენ, ცხვირს იფხანდნენ, გოგონებისთვის თავი რომ მოეწონებინათ!.. ამიტომ მოვუწოდებ გოგონებს — ბიჭებს წიგნის კითხვისკენ უბიძგონ! მერე, წყლისა პირს მჯდომი მოწყენილი მამაკაციც (ტარიელიც) დასაქმდება და ყველაფერი მოგვარდება (*იცინის*)...

■

დიდი ბრიტანეთი მთელ ევროპაში საცხოვრებლად ყველაზე უარესი ადგილია

ახალი კვლევის — uSwitch.com European Quality of Life Index-ის ავტორთა თქმით, ისინი ამ დასკვნამდე 10 ევროპული ქვეყნის, მათ შორის — საფრანგეთის, ესპანეთის, გერმანიის, იტალიის, შვედეთისა და პოლონეთის ოფიციალური მონაცემების გაანალიზების შემდეგ მივიდნენ. არადა, ამავე კვლევის მიხედვით, დიდ ბრიტანეთში ხელფასის ყველაზე მაღალი მაჩვენებელიც დაფიქსირდა.

გადასახადების გადახდის შემდეგ, ბრიტანული ოჯახის საშუალო შემოსავალი წელიწადში 35.730 გირვანქა სტერლინგს შეადგენს და საშუალო ევროპული ოჯახის შემოსავალს მთელი 10.000-ით აღემატება. მაგრამ „ბრიტანული ყოფის ამ ნათელ სურათს“ საგრძნობლად აუფერულებს სხვა მაჩვენებლები, კერძოდ: წელიწადში ბევრად მეტი სამუშაო დღე, ვიდრე სხვაგან, კვების პროდუქტებსა და სათბობზე ფასების ზრდა, სოცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება და აგრეთვე, მზის სხივების საგრძნობი ნაკლებობა. ერთი სიტყვით, ცხოვრების ხარისხის 17 აუცილებელი კრიტერიუმის გათვალისწინებით, მკვლევრებმა „ნისლოვანი ალბიონი“ ბოლო ადგილზე დააყენეს... „ჩვენ ევროპელ მეზობლებზე ბევრად მეტს ვიღებთ, მაგრამ ეს შემოსავალი მხოლოდ იმაში თუ გვყოფნის, რომ თავზე ჭერი, სუფრაზე საჭმელი და სახლში სითბო გვქონდეს“, — აღნიშნავს სამომხმარებლო პოლიტიკის დარგში uSwitch.com-ის დირექტორი ენ რობინსონი.

Daily Mail

მიშელ ობამას თეთრი წინაპარი ჰყოლია

როგორც ირკვევა, ამერიკის შეერთებული შტატების პირველ ლედის, მიშელ ობამას თეთრი წინაპარი ჰყოლია. გენეალოგმა მეგან სმოლენიაკმა მიშელ ობამას საგვარეულო ნუსხაში შავკანიანი მონის, მელვინიას მონაცემები აღმოაჩინა. გოგონა 1852 წელს, სამხრეთ კაროლინაში, მისი გარდაცვლილი პატრონის ქალიშვილისა და სიძის — კრისტიანა და ჰენრი შილდზების ფერმაში ჩაუყვანიათ, სადაც 15 წლის ასაკში უცნობი თეთრი მამაკაცისგან დაფეხმძიმებულა. 1859 წელს მელვინიამ ბიჭუნა გააჩინა, რომლისთვისაც დოლფუსი დაურქმევიათ და დედის პატრონების გვარი — შილდზიც მიუციათ. სწორედ ეს ადამიანი გახლდათ მიშელ ობამას თეთრი წინაპარი. დოლფუსმა დურგლობა ისწავლა და 1888 წელს, თავის შავკანიან ცოლთან, ელის ესლისთან ერთად, საცხოვრებლად ბირმინგემში გადავიდა. შემორჩენილია მოგონებები, სადაც აღნიშნულია: „დოლფუსი თეთრკანიანი ადამიანივით გამოიყურებოდა, ეკლესიაში დადიოდა და წერა-კითხვაც იცოდა“. მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, 1900 წლისთვის დოლფუსს უკვე საკუთარი სახლი ჰქონდა, 1911 წლისთვის კი საკუთარი სადურგლო საქმე წამოიწყო და ხელსაწყოების სალესი სახელოსნოც გახსნა. დოლფუს შილდზი 1950 წელს, 91 წლის ასაკში გარდაიცვალა.

„მიშელ ობამა იმის ტიპური მაგალითია, თუ ვინ ვართ და საიდან მოვდივართ, — ამბობს ისტორიკოსი ედვარდ ბოლი, რომელმაც მემუარების წიგნის — „მონები ოჯახში“ წერისას აღმოაჩინა, რომ შავკანიანი ნათესავები ჰყოლია. — ჩვენ ამერიკაში შავი და თეთრი ლათინურამერიკელების ცალკეულ ტომებს როდი წარმოვადგენთ. ყველანი ერთმანეთში ავირ-დავირიეთ და ეს მოვლენა თაობიდან თაობაში ხდებოდა“.

The New York Times

რუსეთი პრიორიტეტებს ცვლის

პრემიერ-მინისტრ პუტინის ჩინეთში ამასწინანდელი ვიზიტის დროს, მხარეებმა საერთო თანხის — 3,5 მილიარდი დოლარის კონტრაქტებს მოაწერეს ხელი. ეს კონტრაქტები ჩინეთს მარტო რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ბაზარზე კი არა, მთელი ევროპის გაზით მომმარაგებელი დასავლეთ ციმბირის საბადოებში შეღწევის საშუალებასაც კი აძლევს.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ უახლოეს წლებში, ამ საბადოების გამოლევის კვალდაკვალ, რუსეთში გაზის მოპოვებაც აღმოსავლეთით სულ უფრო შორს გადაიწევს. ამის შედეგად, ევროპაში 8000 კილომეტრის მანძილზე ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებაც ყველანაირ აზრს დაკარგავს. სწორედ ამიტომაც იცვლის დღევანდელი რუსეთი პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრიორიტეტებს.

ჩინეთთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობისკენ მის სწრაფვას ყველა რუსი ექსპერტი როდი მიესალმება. ზოგიერთი მათგანი შიშობს, რომ ახალი შეთანხმებებით, რუსეთზე მეტად, ჩინეთი იხეირებს. ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა ევგენი იასინმა ისიც კი განაცხადა, — „შორეული აღმოსავლეთის თვით შენარჩუნების საკითხიც კი დადგება: რუსეთი ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახერხებს, თუ ამ რეგიონში საკუთარი გადამამუშავებელი მრეწველობის შექმნაზე იზრუნებს“.

Tagesspiegel

სკანდალი ნატოს წიაღში

იტალიის საიდუმლო სამსახურები მოძრაობა „თალიბანს“ ფარულად ათიათასობით დოლარს უხდიდნენ, ავღანეთის იმ რაიონებში მშვიდი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რომელთა უსაფრთხოებაზეც იტალიელი სამხედროები აგებდნენ პასუხს. სწორედ ასეთი უგუნური ნაბიჯი გახდა 2008 წლის აგვისტოში, ქაბულის აღმოსავლეთით, საბორის რაიონში, ფრანგი სამხედროების დაღუპვის მიზეზი. ეს სულ რაღაც ერთი თვის თავზე მოხდა მას შემდეგ, რაც ამ მონაკვეთზე

იტალიელებს ფრანგები შეენაცვლნენ. იტალიელთა პრაქტიკიდან გამომდინარე, ფრანგმა სარდლობამ საბორის რაიონში არსებული სიტუაცია შედარებით მშვიდად მიიჩნია და ამ მთიანი ადგილის პატრულირებისთვის მსუბუქად შეიარაღებული რაზმი გაგზავნა. რაზმი ალყაში მოხვდა, რის შედეგადაც 10 სამხედრო დაიღუპა, 21 კი დაიჭრა. „ისინი სრულიად მოულოდნელად წამოგვადგნენ თავს“, — დაიჩივლა ერთ-ერთმა ფრანგმა მეთაურმა თავდასხმის შემდეგ.

„შესაძლოა, მართლაც ჰქონდა აზრი ადგილობრივი დაჯგუფებების მოსყიდვასა და არაძალადობრივი მეთოდებით ძალადობის შეჩერებას, — განაცხადა ნატოს მაღალჩინოსანმა იტალიელთა საქციელის თაობაზე, — მაგრამ საკუთარი მოკავშირეების გაფრთხილების გარეშე ამის გაკეთება სრულიად წარმოუდგენელი უგუნურებაა“.

The Times ■

ახალგაზრდა მეცნიერის უცნაური მკვლელობა

შეერთებულ შტატებში დიდი რეზონანსი გამოიწვია მედიცინის დოქტორის, 24 წლის ენი ლის მკვლელობამ, რომელიც იელის უნივერსიტეტის დოქტურანტურაში ფარმაკოლოგიის სპეციალობით სამეცნიერო ხარისხის დაცვისთვის ემზადებოდა. ლი 8 სექტემბერს გაუჩინარდა, რამდენიმე დღეში მისი გვამი უნივერსიტეტის სამედიცინო გამოკვლევების ცენტრის შენობაში აღმოაჩინეს.

მოკლული ენი ლი

თაგვების გალიებს შორის

გვამის აღმოჩენიდან მეორე დღეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ლაბორატორიის თანამშრომელი დააკავეს, რომელსაც სხეულზე სავარაუდოდ, მსხვერპლის მიერ მიყენებული ნაკაწრები აღენიშნებოდა; შემდეგ სიცრუის დეტექტორზე ტესტი ჩაუტარეს და ვერ ჩააბარა... გამომძიებლების ვარაუდით, დანაშაულის მოტივი — სამსახურებრივი კონფლიქტია. თავდაპირველად პოლიცია ამ ინფორმაციას ოფიციალურად არ ადასტურებდა და აცხადებდა, რომ არავინ ჰყავდა დაპატიმრებული, მაგრამ მოგვიანებით საეჭვო ლაბორანტის შესახებ ხმები დადასტურდა.

გვამი ნიუ-ჰეივენის გამოკვლევების ცენტრის სარდაფში, ლაბორატორიის ტექნიკურ საცავში იპოვეს. მის სიახლოვეს, ჭერის პანელის მიღმა, გასისხლიანებული ტანსაცმელი აღმოაჩინეს. ლაბორატორიაში, გალიებში ცდების ჩასატარებლად, სხვადასხვა ცხოველი ბინადრობდა. მათი მოვლა, ენი ლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი, რეიმონდ კლარკის მოვალეობას წარმოადგენდა.

ენი ლი კალიფორნიაში, ვიეტნამელთა ოჯახში დაიბადა. დაამთავრა ნიუ-იორკის როჩესტერის უნივერსიტეტი მიკრობიოლოგიის განხრით, 2007 წელს კი იელის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. იმ დღეს, როცა მისი გვამი აღმოაჩინეს, ქორწინება ჰქონდა დაგეგმილი. გოგონას გაუჩინარების შემდეგ, ძალოვნებმა მასშტაბური ძებნა გამოაცხადეს. ეჭვმიტანილებს შორის, მცირე ხნით, ენის საქმრო ჯონათან ვიდავსკიც აღმოჩნდა, მაგრამ ძალიან მალე მის მიმართ ყველანაირი ეჭვი გაიფანტა.

8 სექტემბრის დილას, დაახლოებით 10 საათისთვის ენი ლი უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში მივიდა. სათვალთვალო ვიდეოკამერით გადაღებულ ფირზე დაფიქსირებულია, თუ როგორ შევიდა გოგონა შენობაში. მოგვიანებით, მის კაბინეტში შესულებს ლის პირადი ნივთები, დოკუმენტები და ფული დახვდათ, მაგრამ თვითონ ენი უკვალოდ გამქრალიყო. ახალგაზრდა მეცნიერის გამოკვლევის საგანს წარმოადგენდა ფერმენტები, რომლებიც კიბოს, დიაბეტისა და კუნთების დისტროფიის თერაპიისთვისაა განკუთვნილი; ცდებს ის ლაბორატორიის ვირთხებზე ატარებდა, ვინაიდან სამედიცინო ცენტრში შესვლა მხოლოდ სპეციალური საშვებითაა შესაძლებელი, ეჭვმიტანილთა რიგში უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები მოხვდნენ. კლარკის მოვალეობაში, საცდელი ცხოველების მოვლასთან ერთად, ლაბორატორიაში წესრიგისა და სისუფთავის დაცვა შედიოდა და, როგორც მისი თანამშრომლები ირწმუნებიან, ვერ იტანდა, როდესაც ვინმე რაიმე სახით, ამ წესრიგს არღვევდა; ამის გამო კონფლიქტებიც მოსვლია... შემდგომ ცნობილი გახდა, რომ მკვლელობის დღეს კლარკმა ლის გაუგზავნა შეტყობინება, სადაც სთხოვა, ლაბორატორიაში მისულიყო. სიკვდილის გამომწვევ მიზეზად, პათოლოგანატომმა ტრავმატული ასფიქცია დაასახელა, რაც ნიშნავს, რომ ენი ან ხელებით, ან რაიმე საგნის დახმარებით მოახრჩვეს...

ეჭვმიტანილი რეიმონდ კლარკი

ხელბორკილდადებული რეიმონდ კლარკი საკუთარი ბინიდან გამოიყვანეს, სადაც ის საცოლესთან, ჯენიფერ ხრომადკასთან ერთად ცხოვრობდა. იმ დროისთვის კლარკი ჯერ კიდევ „გამოძიებისთვის საინტერესო პირად მიიჩნეოდა“. დაკითხვის შემდეგ, ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, ის გაათავისუფლეს, თუმცა ლაბორანტი, რომელიც დროებით სასტუმროში დააბინავეს, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მის დასაპატიმრებლად და ბრალდების წასაყენებლად გამომძიებლებს ნივთმტკიცება ესაჭიროებოდათ, რაც მალე დნმ-ის ანალიზის შედეგად მიიღეს კიდეც. ნიუ-ჰეივენის პოლიციის უფროსმა ჯეიმს ლიუისმა მომხდართან დაკავშირებით, ასეთი კომენტარი გააკეთა: „საქმე ეხება არა მარტო ქალაქის, უნივერსიტეტის ან ყოფით დანაშაულს, არამედ სამსახურებრივ ადგილას მომხდარ ძალადობის ფაქტს, რომლის მსგავსიც მთელი ქვეყნის მასშტაბით გახშირდა და სულ უფრო დიდ შეშფოთებას იწვევს“.

მკვლელის პორტრეტი

იელის პრეზიდენტის, რიჩარდ ლევინის თქმით, რეიმონდ კლარკი უნივერსიტეტის ტექნიკურ პერსონალში 2004 წლიდან მუშაობდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში არასდროს გამოუჩენია რაიმე ისეთი თვისება, რომელიც მისთვის წაყენებულ ბრალდებასთან შესაბამისობაში შეიძლება იყოს; მასზე არც რაიმე კრიმინალური დოსიე არსებობს. კანონთან ერთადერთი კონფლიქტი რეიმონდს ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას ჰქონდა: 2003 წელს, როცა ის მიატოვა მეგობარმა გოგონამ, რომელთან ერთადაც სწავლობდა, კლარკმა მწვავე რეაქცია გამოავლინა; ამის გამო, შეყვარებულმა, დედასთან ერთად, პოლიციას მიმართა და რეიმონდის მუქარისგან დაცვა სთხოვა, თუმცა საქმე ოფიციალურ ბრალდებამდე არ მისულა... ბევრ მის თანამშრომელს დღემდე სწამს, რომ ის პოლიციელებმა შეცდომით დააკავეს. მისი მეგობრების განცხადებით, წარმოუდგენელია, რეიმონდის ხასიათის მქონე ადამიანს მკვლელობა ჩადენა. მაგრამ ყველა სამხილი ჯერჯერობით, სწორედ პედანტი ლაბორანტის საწინააღმდეგოა. პირველ რიგში, ეს არის დნმ-ის ანალიზის შედეგი: ლაბორატორიაში, ორ ადგილას, კლარკისა და მსხვერპლის დნმ-ის ნაწილაკები ერთად არის აღმოჩენილი; მკვლელობის დღის ვიდეოჩანაწერი და რეიმონდის გადაადგილების შესახებ მონაცემები ასევე მიუთითებს იმაზე, რომ კლარკი უკანასკნელი ადამიანი იყო, ვინც ენი ლი ცოცხალი ნახა; ამას ემატება ნაკაწრები და ჩალურჯებები კლარკის სხეულზე, რომლებიც ძალიან ჰგავს ადამიანთან ბრძოლის შედეგად მიღებულ დაზიანებას, თუმცა რეიმონდი ამას კატის ბრჭყალებსა და სოფთბოლის თამაშს მიაწერს... ლაბორანტი აგრეთვე ძალზე საეჭვოდ იქცეოდა ლის გვამის აღმოჩენის შემდეგ: როდესაც უნივერსიტეტის კვლევების ცენტრის შენობა პოლიციელებით გაივსო, ის ცდილობდა, დაემალა დასასუფთავებელი ინვენტარი, რომელზეც შემდგომ სისხლის წვეთები აღმოაჩინეს... რაც შეეხება მკვლელობის მოტივს — აბსტრაქტული „სამსახურებრივი კონფლიქტის“ გარდა, ძალოვნებმა ჯერჯერობით ვერაფერი წამოაყენეს, თუმცა დასძენენ, რომ ეს პირველხარისხოვანი პრობლემა არ არის, რადგან მთავარია, დანაშაულის დამადასტურებელი, უტყუარი სამხილები. ■

ქართული მხარის შეცდომები და რუსეთის გავლენის გაძლიერება

„დიახ, რუსეთი დიდია, მას ბუნებრივი აირი აქვს, მაგრამ არა აქვს დემოკრატიული ხედვა, არ იცავს ადამიანის უფლებებს და ამიტომაც, არ შეიძლება, დანარჩენი მსოფლიო ქედს უხრიდეს“, — ამბობს ბრიტანელი ექსპერტი, „ნაციონალური რადიოს“ წამყვანი, ლოურენს შიდსი, რომელიც რამდენიმე წელია, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს აკვირდება. უცხოელ სპეციალისტს საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულ ურთიერთობასა და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის როლის ბოლოდროინდელ გაძლიერებაზე ვესაუბრე.

ლალი პაპასქირი

— ბატონო ლოურენს, ჩვენს ქვეყანაში აქტუალობას არ კარგავს ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნა; როგორ შეაფასებთ ამ დოკუმენტს?

— ტალიავინის კომისიის დასკვნის თანახმად, რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებაში მეტი ბრალი ქართულ მხარეს მიუძღვის. მნიშვნელოვანია, თუ რა გახდა კომისიის ასეთი დასკვნის საფუძველი: ის რომ, საქართველო პატარა, მაგრამ სამხრეთ კავკასიაში ყველაზე გავლენიანი ქვეყანაა, რომლის დამორჩილებაც რუსეთისთვის უამრავი პრობლემის ერთდროულად მოგვარებას ნიშნავს, თუ ამ დასკვნით ევროპამ „დასაჯა“ ჯიუტი სააკაშვილი, რომელსაც მიაჩნია, რომ ყველაზე რთულ ვითარებაში მსოფლიომ მხარი უნდა დაუჭიროს, რადგანაც მართალია. შესაძლოა, იგი რუსეთთან მიმართებაში მართალია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი; დასავლურ დიპლომატიაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა გზით ცდილობ შენი სიმართლის დამტკიცებას. დიახ, გავიგეთ, რომ რუსეთი აგრესორია, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ თავად გაუხსნა ხელფეხი დამპყრობელ მეზობელს, საკუთარი ქვეყნის დანაწევრებისას — ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მან სწორი და ეფექტიანი გზა ვერ იპოვა. ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა სეპარატისტებთან „ეკონომიკის ენით“ საუბარი არ მოისურვეს (არადა, სწორედ ამის ეშინოდა რუსეთს, რადგან იცოდა, რომ ეს შედეგიანი იქნებოდა!)... ასე რომ, არ შეიძლება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას დავაბრალოთ. ამ სახელმწიფოს მიმართ ხისტ განცხადებებს ისეთი დიდი ქვეყნებიც კი ერიდებიან, როგორებიცაა — ამერიკა, საფრანგეთი, იტალია — და ეს ქართულმა მხარემ უნდა გაითვალისწინოს... თუმცა ზოგისთვის, თქვენი ხელისუფლების შეუპოვარი ქმედებები მისაღებია. საერთაშორისო პოლიტიკური მიმომხილველის, კოლუმბიელი პროფესორის, ლინკოლნ მიტჩელის აზრით, „საქართველოსგან საპასუხოდ გასროლილმა ტყვიამ მსოფლიოს სიმართლე ამცნო“. მიტჩელი მიიჩნევს, რომ პატარა ქვეყანამ ყველაზე გაბედული ნაბიჯი გადადგა და ამით მსოფლიოს დაანახვა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისთვის ნატოში გაწევრება. ის იმედგაცრუებული იყო ევროსაბჭოს იმ დეპუტატების უსუსურობის გამო, რომლებმაც საქართველოს მხოლოდ ცარიელი განცხადებებით დაუჭირეს მხარი... ჩემი აზრით, მიხეილ სააკაშვილი საერთაშორისო საზოგადოების „გამოცოცხლებას“ „თავისებურად“ ცდილობს. მას რუსეთის ჩაძირვა აქვს განზრახული. ასეთი მიმართულება ეფექტის მომტანი იყო ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს, მაგრამ ახლა ამერიკამ რუსეთთან ურთიერთობის „გადატვირთვის“ პოლიტიკა ამჯობინა. საქართველოს ხელისუფლება კი ისევ ძველ — ბუშისეულ, რადიკალურ პოლიტიკურ ხაზს მიჰყვება. ფაქტია, რომ რუსეთი მსოფლიოს სჭირდება — მას კონფლიქტების მოსაგვარებლად ან თუნდაც გასაღვივებლად სერიოზული მექანიზმები აქვს, მსოფლიო პოლიტიკაში ის ძლიერი და ანგარიშგასაწევი მოთამაშეა და ამას გვერდს ვერ ავუვლით. გარდა ამისა, ცენტრალური ევროპა მისი ბუნებრივი აირის მომხმარებელია.

— ამას ემატება ახალი პროექტი — „ჩრდილოეთის ნაკადი“ (Nord Stream), რომელიც აღმოსავლეთ ევროპაზე უფრო მეტი ზეწოლის საფრთხეს შეიცავს...

— დიახ, როგორც დანარჩენ მოვლენებს, ახალი გაზსადენის ამოქმედებასაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები ექნება. ეს პროექტი თანდათან გაუმჯობესებს „ახალი ევროპის“ ეკონომიკურ მდგომარეობას, მაგრამ ასევე თანდათან „დააახლოებს“ ამ ქვეყნებს რუსეთთან. ეს „დაახლოება“ კი მათ კარგად იციან, რასაც ნიშნავს. ამიტომაც, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით კი ბალტიისპირელი ლიდერები, შიშობენ, რომ რუსეთის გავლენა გაძლიერდება. თუმცა იმედოვნებენ, რომ მოსკოვის „გააქტიურების“ შემთხვევაში, მისი ამბიციების წინააღმდეგ, „ორივე“ ევროპა ერთდროულად გაილაშქრებს.

— ეს რეალურია? როგორ ფიქრობთ — ეს რუსეთს გათვალისწინებული არა აქვს?

— რუსეთს იმაზე შორსმჭვრეტელური პოლიტიკა აქვს, ვიდრე მისი ლიდერების გამოსვლებიდან ჩანს. ჩემი აზრით, რუსეთში „ორშრიანი“ სისტემა ჩამოყალიბდა: მოლაპარაკე ფიგურები და მათ უკან მდგომი მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ (მათი უმრავლესობა ებრაელია და რუსეთის საყრდენ ძალას წარმოადგენს). ოფიციალურად, ამ პროექტის მთავარი აზრი, ევროპაში რუსეთის ინტეგრაციაა. გერმანიის ყოფილი კანცლერი, რომელიც ამ პროექტში აქტიურადაა ჩაბმული, ამბობს, რომ მასზე მუშაობისას, სწორედ ამ მოსაზრებას ეყრდნობოდა. იგივე მითხრა ჰოლანდიელმა ექსპერტმა, ჯონათან ნელსმაც: მისი თქმით, რუსეთის მხრიდან კომპანიაში სადავეების ხელში ჩაგდების არაერთი მცდელობა იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არ დაუშვებენ... ამ პროექტთან დაკავშირებით, საერთაშორისო საზოგადოებაში უამრავი კითხვა ჩნდება, განსაკუთრებით, ბალტიის ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებსაც კარგად ახსოვთ ისტორიის მწარე გაკვეთილები... „ჩრდილოეთის ნაკადის“ პროექტთან დაკავშირებით, უამრავი ჭორ-მართალი ვრცელდება, მაგალითად — რომ ეს არის ბიზნესგარიგება, რომლის „წილშიც“ ძალზე ავტორიტეტული პოლიტიკოსები და ექსპერტები „სხედან“, მათ შორის — გერჰარდ შრიოდერი... აქვე დავამატებ: რუსეთის ევროინტეგრაციას რუსი ექსპერტებიც ეთანხმებიან, მაგრამ როგორც წესი, ისინი არასდროს ლაპარაკობენ იმას, რასაც ფიქრობენ...

— თუ რუსეთმა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაზე გავლენა გააძლიერა, როგორ აისახება ეს მის მეზობელ ქვეყნებზე, რომლის მიმართაც არცთუ ისე კეთილგანწყობილია?

— რასაკვირველია, საქართველოს გულისხმობთ... პირველ რიგში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებმა არ უნდა დაუშვან, რომ პროექტის ფინანსების მთავარი განმკარგავი რუსები იყვნენ. ამ შემთხვევაში, მიღებული შემოსავალი რამდენიმე ადამიანის

ჯიბეში მოხვდება და სულ მალე პროექტში მხოლოდ მათთან დაახლოებული უცხოელი პარტნიორები დარჩებიან (ასეთია რუსული ბიზნესპროექტის „ფორმულა“). ეს კი იმის მომასწავებელი იქნება, რომ ამბიციური ევროპა მასზე კიდევ უფრო დამოკიდებული გახდება... რუსეთისთვის „ჩრდილოეთის ნაკადს“ სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, ის ამ პროექტით ერთდროულად რამდენიმე საქმეს აგვარებს: საშუალებას მისცემს, მასზე დამოკიდებული ევროპა ამერიკას დაუპირისპიროს, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის განხეთქილება შეიტანოს... რაც შეეხება საქართველოსა და უკრაინას, — ევროპის სხვა ქვეყნების დასუსტების შემთხვევაში, ერთადერთი სტრატეგიული პარტნიორის — აშშ-ის იმედადღა დარჩებიან... მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ევროპელმა ლიდერებმა არ უნდა დაუშვან, რომ რუსეთს რაღაც ახალი პრივილეგიები გაუჩნდეს, — ეს ყველაზე მეტად, ისევ მათთვის იქნება საზიანო, განსაკუთრებით — გერმანიისთვის.

— **ასეა თუ ისე,** Nord Stream **რუსეთს გააძლიერებს...**

— თუ მას ამ პროექტის მართვის სადავეები მთლიანად მის ხელთ აღმოჩნდა, ცხადია, მსოფლიოში მისი გავლენა გაძლიერდება. მაგრამ ეს არ აისახება რუსეთის საშინაო მდგომარეობაზე, არ გაუმჯობესებს ამ ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონს. ამას ერთი მარტივი ახსნა აქვს: რუსეთის ხელისუფლებას არ სურს, ძლიერი საზოგადოება ჰყავდეს, მძიმე მატერიალურ პირობებში მყოფი მოსახლეობა გაცილებით იოლი სამართავია. ხალხის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის ტყვეობაშია... ცხინვალის ომის შემდეგ საკუთარი თვალით ვნახე, რომ ოსი მეომრის აღჭურვილობა არაფრით განსხვავდებოდა რუსი ჯარისკაცის აღჭურვილობისგან, მაგრამ მას დაველაპარაკე, მივხვდი, მაინც „დერჟავის“ ერთგული რჩება... მე კარგად ვიცნობ რუს ერს და ვიცი, რომ ერთი ჯარისკაცის პოზიცია საზოგადოების უმრავლესობის აზრს გამოხატავს.

— **რუსეთის სარდლობა ირწმუნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანაში დაბალი დონის შეიარაღებული ძალებით შემოვიდა...**

— ცხინვალში სერიოზული სამხედრო ძალა შევიდა; რუსეთმა ავიაცია და საერთაშორისო სამართლის კონვენციით აკრძალული, ე.წ. მხტუნავი ბომბებიც კი გამოიყენა, რაზეც მსოფლიო საზოგადოებამ თვალი დახუჭა!.. დიახ — ყველა აღიარებს, რომ რუსეთი აგრესიულია და საერთაშორისო სამართლის ნორმებს არღვევს, მაგრამ ეს მის მოსათოკავად საკმარისი არ არის.

— **თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს?**

— 2010 წლის იანვარში ბრიუსელში ევროსაბჭოს ქვეყნების კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართება, სადაც სავარაუდოდ, რუსეთ-საქართველოს პრობლემაზე იმსჯელებენ. ევროსაბჭოს ხელმძღვანელობა, მეზობელი ქვეყნებისადმი ბოლო დროს გატარებული პოლიტიკის გამო, რუსეთის მიმართ მკაცრი გადაწყვეტილებების მიღებას აპირებს. ეუთოს თავმჯდომარე ქვეყნის, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შემუშავებული აქვს წინადადება, რომლითაც აპირებს, რუსეთს მიმართოს (თუ მანამდე ეს წინადადება არ „გაცხრილეს“...). არსებობს შანსი, რომ რუსეთს უკან დახევა მოუწევს. დორა ბაკოიანისს ხელთ ჰქონდა Human Riths Watch-ის მიერ მოპოვებული ფოტო და ვიდეომასალა, სადაც გადმოცემული იყო, თუ როგორ „გადაასწორეს“ რუსმა სამხედროებმა ქართველების სახლები ბულდოზერებით, მაგრამ ამავე მასალებში ასახულია, თუ როგორ ებრძვიან ოსი ადგილობრივები რუს სამხედროებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი ერთგულია პრინციპისა — „დაყავი და იბატონე“, რადგან არც ოსებს უნდათ მათთან თანაცხოვრება. ამიტომ არის რუსეთის ხელმძღვანელობა, კონფლიქტურ ზონებში უცხოური სამშვიდობო მისიის შეშვების წინააღმდეგი.

— **და მაინც — კონკრეტულად, რა მექანიზმებით უნდა მოახდინონ ევროსაბჭოს დეპუტატებმა რუსეთზე გავლენა?**

— ეკონომიკური სანქციებით, საზღვრებზე შეზღუდვების დაწესებით, რაც რუსეთის მანკიერი ეკონომიკისთვის დამანგრეველი იქნება... ევროსაბჭოს რამდენიმე დეპუტატის მოთხოვნა თუ მკაცრი განცხადება კლიმატს ვერ შეცვლის. როცა ორგანიზაციის რომელიმე წევრის უფლებები ილახება, ამის აღსაკვეთად, დანარჩენებმაც აქტიურად უნდა იღვაწონ. ნატო და ევროსაბჭო რუსეთს ომს ვერ დაუწყებენ, მაგრამ უნდა აიძულონ, კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო ორგანიზაციები შეუშვას და იქ ვითარების შესწავლის საშუალება მისცეს. გარდა იმისა, რომ იქ რამდენიმე ათასი რუსი სამხედროა შეყვანილი, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, სრული განუკითხაობაა. ეს რეგიონები „სიკვდილის ზონაა“!.. მე ვნახე გადამწვარი ქართული და ოსური სოფლები, მაგრამ თვალში მომხვდა უვნებლად გადარჩენილი სასურსათო მაღაზიები, აფთიაქები და სხვა შენობები. უამრავი ნაომარი ტერიტორია მინახავს და შეუძლებელია, საცხოვრებელი სახლი აფეთქდეს და სხვა შენობა გადარჩეს. ეს სოფლები მიზანმიმართულად დაცალეს და ახლა იქ რუსული სამხედრო ნაწილები განალაგეს. ასეთი ფაქტები კი იმის ფიქრის საფუძველს იძლევა, რომ რუსეთმა ეს ყველაფერი წინასწარ გათვალა, ოღონდ — ამას დამტკიცება სჭირდება. ქართულმა მხარემ დოკუმენტური მასალები უნდა წაიღოს ბრიუსელში, უენევაში — ყველგან, სადაც ხელი მიუწვდება და ამით უნდა აიძულოს რუსეთი, უკან დაიხიოს და ამ ზონაში საერთაშორისო ორგანიზაცია შეუშვას. თავდაუზოგავი დიპლომატიური მუშაობაა საჭირო.

— **ბატონო ლიუერენს, როცა ევროსაბჭოს დეპუტატების მოთხოვნებით თავმობეზრებულმა რუსულმა დელეგაციამ ამ ორგანიზაციის დატოვების მზადყოფნა გამოთქვა, ყველა შეშფოთდა...**

— დიახ, დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერთა უმეტესობას რუსეთთან ახალი „ცივი ომის“ ეშინია. მაგრამ ევროპამ უნდა გაიგოს, რომ რუსეთს რაც მეტს დაუთმობ, უფრო ძლიერი და საშიში გახდება.

— **...რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხეც არსებობს?..**

— არა, ამ ეტაპზე რუსეთს არანაირი რესურსი არა აქვს ახალი ომის დასაწყებად. ასევე ღიმილის მომგვრელია ბირთვული იარაღით მუქარაც. რუსული პოლიტიკა ერთი თავისებურებით გამოირჩევა: როცა მას საშინაო პრობლემები გამწვავებული აქვს, მეზობლების მიმართ აგრესიული ხდება. ამით ცდილობს, ყურადღება სხვა ობიექტზე გადაიტანოს. რუსეთში ახლა ძალზე მძიმე სურათია შექმნილი: თითქმის ყველა ავტონომია, ბაშკირეთიც კი, დამოუკიდებლობაზე პრეტენზიას აცხადებს. ამ ფონზე კი მისი ეკონომიკური ძლიერება მხოლოდ მოსკოვითა და სანქტ-პეტერბურგით შემოიფარგლება. თუმცა მაინც, მცირე მასშტაბის პროვოკაციებისთვის ყოველთვის მოიცლის. ამის პასუხად საქართველომ სტაბილურობა უნდა შეინარჩუნოს. ■

სახე

კინოდებიუტით გახარებული ნინი ქარსელაძე და მისი სადა იმიჯი

„მირჩევნია, რომ ჩემს პოპულარობას მაინცდამაინც ხაზი არ გაუსვან“...

პატარაობიდანვე პოპულარული ბავშვი იყო, რასაც თავად ყურადღებას არც აქცევდა, რადგანაც მიაჩნდა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო... ადრეული ასაკიდან, ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, სცენაზე იდგა და წლების მანძილზე მსმენელს რამდენიმე საყვარელი ჰიტიც აჩუქა... დღეს კი სცენაზე გამოჩენა იშვიათად უწევს, რადგანაც გაიზარდა, სხვა გეგმები აქვს და თან შოუბიზნესშიც ხომ საინტერესო არაფერი ხდება... მომღერალი ნინი ქარსელაძე ცოტა ხნის წინ ფილმში გადაიღეს.

ლალი ფაცია

— სულ მალე, მაყურებლის სამსჯავროზე, გიო მგელაძის სცენარის მიხედვით, ახალი ფილმი გამოვა, რომელიც 12-მა რეჟისორმა გადაიღო. მე ერთ-ერთთან, თორნიკე ბზიავასთან ვიმუშავე. ყველაფერი სპონტანურად მოხდა, არც კი მიფიქრია იმაზე, რომ ფილმში გადაღება მომიწევდა. მაშინ, როდესაც თორნიკე ფილმისთვის მსახიობს ეძებდა, მას ჩემი კანდიდატურა თიკა ჯამბურიას მეუღლემ — ბექამ (ის ჩემი ბავშვობის მეგობარია და ასევე თორნიკეს მეგობარიც არის) შესთავაზა. როლზე კასტინგის გარეშე ამიყვანეს. როგორც გაირკვა, ჩემნაირ ადამიანს ეძებდნენ... მოკლედ, გადასაღებ მოედანზე მოულოდნელად აღმოვჩნდი. სიუჟეტი ერთ თბილისურ ამბავზეა აგებული... მიუხედავად იმისა, რომ კამერასთან მუშაობას ბავშვობიდან შეჩვეული ვარ, მაინც ძალიან ვინერვიულე. კინოში გადაღებას თურმე ბევრი ისეთი რამ სჭირდება, რაც მე ნამდვილად არ ვიცოდი...

— მოკლედ, გამოწვევა სიამოვნებით მიიღე, ხომ?

— ისე დაემთხვა, რომ გადაღებისას ძალიან დაკავებული ვიყავი, მაგრამ ჩემი მჭიდრო გრაფიკის მიუხედავად, რაღაცნაირად, ყველაფერი უნდა შემეწყო გადაღების პროცესისთვის. ძალიან კი გამიჭირდა, მაგრამ ყველაფერს ღირსეულად გავუძელი.

— მოგეწონა კინოში მუშაობა?

— კი, მაგრამ იმაზე დამღლელი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა... თუმცა დიდი პატივი იყო, რომ კინოში ისეთ დიდ მსახიობებთან ერთად მოვხვდი, როგორებიც არიან: კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი, ზურა ყიფშიძე... ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება სწორედ ეს არის!.. სხვათა შორის, თორნიკეს ოჯახისგან დიდი შექება დავიმსახურე. მოგეხსენებათ, რომ თორნიკე ქალბატონი ქეთი დოლიძის ვაჟია.

— რაკი შენი დებიუტი კინოში წარმატებული აღმოჩნდა, ისევ სამსახიობო კარიერის გაგრძელებაზე ხომ არ ფიქრობ? მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ თეატრალური უნივერსიტეტიდან საბუთები ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გადაიტანე...

— თავიდან მართლაც, თეატრალურ უნივერსიტეტში, თეატრის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე ჩავირიცხე, მაგრამ მერე საბუთები, ყველას გასაკვირად, „გეპეის“ იურიდიულ ფაკულტეტზე გადავიტანე, ისე, რომ სახლში არავისთვის არაფერი მიკითხავს. თან, განსხვავებული საგანიც ჩავაბარე; მაღალი ქულა რომ მივიღე, ჩემებს ამის შესახებ მერე ვუთხარი.

— რატომ მიიღე ასეთი გადაწყვეტილება?

— იმიტომ, რომ იურიდიული განხრა უფრო სერიოზულ სფეროდ მიმაჩნია. ჩემი აზრით, დღესდღეობით, ეს დარგი ბევრად უფრო პერსპექტიულია, ვიდრე მსახიობობა, რადგანაც მგონია, რომ საქართველოში ხელოვნები სათანადოდ დაფასებულები არ არიან...

— მერე როგორ მიდის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა?

— კარგი ჯგუფი და შესანიშნავი ლექტორები მყავს. ასე რომ, გამიმართლა და ბედნიერი ვარ.

— როგორც პოპულარულ გოგონას, უნივერსიტეტში როგორ გხვდებიან?

— ჯერჯერობით ჩემს პოპულარულობაზე ყურადღება არავის გაუმახვილებია. ალბათ იციან კიდეც, ვინც ვარ, მაგრამ ამას იქ არავინ აღნიშნავს, რაც მართლა ძალიან მახარებს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ როდესაც ჩემზე ლაპარაკობენ, მაშინვე ვზარმაცდები, რაც არ მომწონს. ასეთ დროს შეიძლება, რომელიღაც ლექტორმა ნიშანიც დაუმ-

კმაყოფილი ვარ ჩემი განვლილი გზით

სახურებლად დამიწეროს... ამიტომ მირჩევნია, ჩემს პოპულარობას მაინცდამაინც ხაზი არ გაუსვან.

— საზოგადოებამ ბავშვობიდან გაგიცნო. მართლა პოპულარული ბავშვი იყავი. კმაყოფილი ხარ შენი აქამდე განვლილი გზით თუ იქნებ სჯობდა, რომ შენთვის, სადმე ჩრდილში ყოფილიყავი?..

— საერთოდ, კმაყოფილი ვარ ჩემი განვლილი გზით. დედა მუდამ ძალას მატანდა იმის გამო, რომ დროზე გამეკეთებინა ყველაფერი, რაც ჩემი საქმისთვის აუცილებელი და საჭირო იყო. ისე, ცოტა ზარმაცი ვარ... მაგრამ ახლა მივხვდი, რომ უკვე დადგა ის დრო, როცა ცოტა უნდა შევიცვალო, საკუთარ საქმეს დამოუკიდებლად მივხედო, თავს ძალა მეტად დავატანო...

— ნინი, რა ასაკიდან გახსოვს მკაფიოდ შენი თავი?

— ჯგუფ „სახესთან“ ჩემი და ზუკა ხუციშვილის დუეტი რომ ჩავწერეთ (ეს იყო სიმღერა — „წვიმად გადავიქეცი“); მაშინ 7 წლის ვიყავი. უფრო ადრეულ წლებზე კი ცოტა ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს... იმ პერიოდს მხოლოდ ვიდეოჩანაწერებით თუ აღვიდგენ ხოლმე...

— რას ფიქრობ — როგორი გოგონა იყავი მაშინ, როდიდანაც გახსოვს შენი თავი?

— მაშინ ბავშვი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, თუ რამხელა რამეს ვიყავი შეჭიდებული...

— ვისი დამსახურებაა ეს?

— რა თქმა უნდა, დედის...

— პირველად სცენაზე რომ გამოხვედი, თუ გახსოვს, რა გრძნობა დაგეუფლა?

— ისეთი არაფერი... ვფიქრობდი, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო... არადა, დიდი ბედნიერება იყო, რომ ისეთმა ცნობილმა ჯგუფმა, როგორიც „სახე“ იყო, ჩემთან და ზუკასთან დუეტის ჩაწერა მოინდომა.

აქ საუბარში ნინის დედას — ხათუნა ჟორდანიას ვთხოვე, ჩართულიყო:

— რაკი ნინის არ ახსოვს, თქვენი ნებართვით, მე ვიტყვი პირველად როდის დადგა სცენაზე: 4 წლის ასაკში ჩაწერა სტინგის ფრანგული სიმღერა. ამის შემდეგ ყოველ შაბათს ჯაზკლუბში დამყავდა, რომ იქ ცოცხლად ემღერა, სცენას შეჩვეოდა. სხვათა შორის, კარგად მღეროდა... მოკლედ, საღამო შაბათობით, ჯაზკლუბში ნინის სიმღერით იხსნებოდა. მაგრამ როგორც წესი, სიმღერას ბოლომდე არასდროს ასრულებდა — ბოლოში ან ტიროდა, ან უბრალოდ, სიმღერას წყვეტდა და სცენიდან ჩამოდიოდა. მერე იყო ზუკა ხუციშვილთან ჩაწერილი იტალიური სიმღერა. მე და მაიას (ზუკას დედას) ბავშვები ხან „ბერიკონში“, ხანაც „ელიტ-კლუბში“ გამოგვყავდა. ერთხელაც, ისინი ჯგუფმა „სახემ“ შენიშნა და მათთან დუეტი ჩაწერა, რაზეც ნინიმ უკვე ილაპარაკა.

ნინი:

— „სახის“ შემდეგ ჩემთვის საეტაპო ნამუშევარი ჯგუფ „ქუჩის ბიჭებთან“ ჩაწერილი დუეტი — „ნინი და ქუჩის ბიჭები“ აღმოჩნდა. ამ სიმღერამ საკმაო პოპულარობა მომიტანა. ჯგუფს ალბათ ნაკლებად, რადგანაც ისინი უკვე პოპულარულები იყვნენ.

— შემდეგ რა იყო?..

— შემდეგ ჩემი ნამღერი „ჩემი ქალაქი“ გაჰიტდა... ცოტა მოგვიანებით კი ისევ „ქუჩის ბიჭებთან“ ჩაწერილი დუეტი — „მიყვარხარ“...

— ნინი, მოდი, შენს იმივსაც შევეხოთ: იქნებ გაიხსენო, პირველად სარკეში გასაპრანჭად როდის ჩაიხედე?

— საერთოდ, მიყვარს მუდმივად ფორმაში ყოფნა... ქუსლიან ფეხსაცმელებზე დგომასაც შევეჩვიე. მაგრამ სანამ შევეჩვეოდი, პატარაობაში დედაჩემის ქუსლიანი ფეხსაცმელებით დავბაკუნებდი და მეზობლებთან ისე დავდიოდი. დედას სამკაულებს ვიკეთებდი და სახეს საღებავებით ვითხაპნიდი. მერე უკვე სცენისთვის მაკიაჟი და ქუსლიანი ფეხსაცმელიც დამჭირდა და ნელ-ნელა ყველაფერს შევეგუე...

— ისე, მაინცდამაინც პრანჭია გოგონას იმივჯი არ გაქვს, უფრო სადად გამოიყურები...

— ზედმეტი არაფერი მიყვარს. თმისთვის ხელი არასდროს მიხლია. ბუნებრივად ისეთი ფერის თმა მაქვს, რომ მას შეღებვა არ სჭირდება... ბავშვობაში რამდენჯერმე სურვილი კი მქონდა, თმა ან შემელება, ან შემეჭრა, მაგრამ დედა კატეგორიული წინააღმდეგი იყო და მან თავისი მაინც გაიტანა... ამიტომ, თმას რომ დავიბან და გავიშლი, დიდად გაპრანჭული არასდროს ვჩანვარ. ასე რომ, ჩემს თმას ბევრი არაფერი სჭირდება. მოკლედ, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ის სტილი, რომელიც მაქვს, მართლაც ჩემია!..

— ყურები გახვრეტილი გაქვს?

— კი. ძალიან პატარა ვიყავი, როცა გამიხვრიტეს, მაგრამ თურმე დამიჩირქდა და შემიხორცდა. მერე კიდევ გამიხვრიტეს, ისევ დამიჩირქდა... მესამედ რომ გამიხვრიტეს, იმას გართულება აღარ მოჰყოლია (*იღიმება*)...

— პარფიუმერიული ნაწარმიდან რომელს უფრო ხმარობ?

— ტუში, ფანქარი, „რუმიანა“, ტონი და „ბლესკი“ სულ უნდა მქონდეს...

— დღის განმავლობაში რამდენჯერმე იახლებ მაკიაჟს?

— დილით რომ გავდივარ სახლიდან, მსუბუქ მაკიაჟს ვიკეთებ. მერე, საღამოს სადმე თუ წავედი, მაკიაჟს თავიდან ვიკეთებ.

— რაც შეეხება სამოსს: როგორი სტილის ჩაცმულობას ანიჭებ უპირატესობას?

— მიყვარს ქვედაბოლო... ისე, ბოლო დროს მაინც უკვე ყველანაირი სამოსის ჩაცმა დავიწყე...

— სურათებს რომ ათვალიერებ, განსაკუთრებით როდის მოგწონს შენი თავი?

— 9 წლის ასაკში... აი, იმ სურათზე, თმა რომ მაქვს ჩამოყრილი... ისე, მიმაჩნია, რომ 13-დან 16 წლამდე, ჩემს გარეგნობასთან დაკავშირებით კატასტროფა ხდებოდა. გარეთ გასვლა არ მინდოდა... მოკლედ, გარდატეხის ასაკი საშინლად მახსოვს...

— რატომ?

— წარმოიდგინეთ, ცხვირი თითქოს სხვაგან იყო, თვალი — სხვაგან...

— ვერაფერს ვამჩნევდი. ალბათ შენ გეჩვენებოდა ასე.

— საერთოდ, არც შინაგანად ვიყავი კარგად. მძიმე ხასიათი მქონდა. ყველაფერზე ვჩხუბობდი, მუდმივად რაღაც არ მომწონდა. ახლა მგონი, როგორც იქნა, დავწყნარდი, მაგრამ მაინც რაღაცებზე ვჯუჯღუნებ ხოლმე...

ჩემთვის საეტაპო ნამუშევარი ჯგუფ „ქუჩის ბიჭებთან“ ჩაწერილი დუეტი — „ნინი და ქუჩის ბიჭები“ აღმოჩნდა

— რითი ხარ ძირითადად, უკმაყოფილო?

— ხან რა არ მომწონს, ხან — რა, ყველგან და ყველაფერში შეიძლება, საკამათო თემა მოვძებნო.

— საკუთარ თავს განსაკუთრებულად რას სთხოვ?

— რომ ყოველდღიურად ვიყო მოწესრიგებული, თმა ყოველდღე მქონდეს დაბანილი...

— სველი თმით გარეთ ისევ გადიხარ?

— კი, ამ შენიშვნას ყველა მაძლევს და მიბრაზდება. თან, ერთხელ საშინლად გავცივდი და თავის ტკივილით საავადმყოფოშიც მოვხვდი, მაგრამ ჩემსას მაინც არ ვიშლი... მაქვს სახის მშრალი კანი და მუდმივად დამატენიანებელ და მკვებავ კრემს ვისვამ... ძალიან მიყვარს სუნამო — „ნარცისო როდრიგესი“. ეს ყველაფერი ყოველდღიურად მჭირდება.

— რაც შეეხება სამკაულებს?

— მიკეთია ვერცხლის სამაჯური — „ღმერთმა დაგლოცოთ“ — და კისერზე ჯვარი, რომელთაც არასდროს ვიხსნი. საყურეს იშვიათად ვიკეთებ და მხოლოდ პატარა ზომისას.

— შენს სასიმღერო კარიერაში მორიგი ეტაპის დაწყებას არ აპირებ?

— ბაკურ ბაკურაძეს ჩემთვის რაღაც ახალი პროექტი აქვს. ამიტომ ერთ კვირაში სერიოზულ მუშაობას ვიწყებ. წესით, რაღაც მნიშვნელოვანი და მაგარი უნდა გამოვიდეს... ვნახოთ.

— ცოტა ხნის წინ თიკა ჯამბურიას ქორწილში დედოფლის მეჯვარე იყავი. რას გვეტყვი ამაზე?

— მეჯვარე უკვე მეორედ ვიყავი. პირველადაც დაქალის ქორწილი იყო, მაგრამ მაშინ ასე არ დავღლილვარ და არც ისე მოვმზადებულვარ, როგორც თიკას ქორწილისთვის... ეს რაღაც განსაკუთრებული დღე იყო; ყველა — თიკასა და ბექას მეჯვარეები უდიდესი პასუხისმგებლობით ვიყავით აღსავსე. მოკლედ, ისე ვემზადებოდი, როგორც საკუთარი ქორწილისთვის. ვამბობდი კიდეც: ასე ალბათ ჩემი ქორწილისთვის არ მოვემზადები-მეთქი.

— თვითონ როდის აპირებ გათხოვებას?

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით არ მინდა, თან, შეყვარებულიც არ მყავს... ისე, ახლა თუ ვინმე მომიტაცებს, არ ვიცი (*იცინის*)... ■

დიდი ალიაქოთი ანუ 12 რეჟისორის არაჩვეულებრივი „თბილისური LOVE STORY“

ქართული კინოინდუსტრიის სიმწირის გამო ნებისმიერი სიახლე გულს ახარებს, ამიტომაც თითოეულ ქართულ ფილმს ფართო გამოხმაურება მოჰყვება ხოლმე. ასე მოხდა სურათის — „თბილისური love story“ **— შემთხვევაშიც: მისი შექმნის შესახებ გავრცელებულ ცნობას საყოველთაო ინტერესი მოჰყვა.**

ფილმი ახალგაზრდა რეჟისორმა ირაკლი ჩხიკვაძემ გადაიღო. ეს მისი პირველი დიდი პროექტია. აქამდე მხოლოდ მოკლემეტრაჟიან და დოკუმენტურ ფილმებზე მუშაობდა. გარდა ამისა, იგი ერთ-ერთი სარეკლამო კომპანიის დამფუძნებელი, ხელმძღვანელი და არცთუ ისე ცოტა სარეკლამო რგოლის ავტორიც გახლავთ. საკუთარ თავსა და ახალ ფილმზე უფრო დაწვრილებით თავად ირაკლი გვესაუბრა.

ნათია ჟივიძე

— ქართველი მაყურებელი არ გიცნობს და ვიდრე შენს ახალ ფილმზე ვისაუბრებდეთ, იქნებ, საკუთარ კარიერაზე გვიამბო ორიოდე სიტყვით...

— თეატრალურ ინსტიტუტში კინოჟურნალისტიკის განხრით ვსწავლობდი. დასრულების შემდეგ, იტალიაში გავემგზავრე, სადაც რეჟისურა შევისწავლე. მოგვიანებით კი ცოდნა გერმანიაში გავიღრმავე. ახლა დაგიბრუნდით და ფილმიც გადავიღე...

— ფილმის გადაღების გამოცდილება აქამდე თუ გქონდა?

— რა თქმა უნდა! უამრავი მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმი მაქვს გადაღებული, თუმცა სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმზე აქამდე არ მიმუშავია, რადგან ამისთვის დიდი ფინანსებია საჭირო. გარდა ამისა, 400-მდე სარეკლამო რგოლის რეჟისორიც ვარ. ასე რომ, საქმეს ვაკეთებ, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უცნობი ვარ, რადგან რეჟისორები კადრს მიღმა ვდგავართ და მსახიობებივით პოპულარულები არ ვართ. სულაც არ მინდა, პოპულარული ვიყო. ძალიან მეზარება ავტოგრაფების დარიგება.

— რაც შეეხება შენს ახალ ფილმს — „თბილისური ლოვე სტორი“, — როდის და როგორ გაჩნდა მისი გადაღების იდეა?

— 3 წელია, ამ პროექტზე ვფიქრობ. მისი გადაღების იდეა ჩემი „სნეული“ თავიდან გაჩნდა, თუმცა როდის და როგორ, აღარც მახსოვს. სცენარი გიო მგელაძეს ეკუთვნის, მე კი გადავიღე.

— მხატვრული ფილმის გადაღებას დიდი ფინანსები სჭირდებაო, მითხარი, სად იშოვე ფინანსები?

— არსად. არავის დავუფინანსებივარ. ყველაფერი საკუთარი ძალებით გავაკეთე. მსახიობებმა და გადამღებმა ჯგუფმაც შიშველ ენთუზიაზმზე იმუშავეს.

— რატომ გადაწყვიტე, როლებზე სულ ცნობილი და პოპულარული სახეები მოგეწვია?

— ამას ფილმის ნახვის შემდეგ მიხვდებით. მანამდე ამ საკითხზე საუბარი საკმაოდ რთულია. მათი იმიჯის გამო მოვიწვიე როლებზე.

— და ალბათ იმიტომ, რომ პოპულარულები არიან და მათი გამოჩენა მაყურებელს კინოთეატრში მიიზიდავს.

— ეს მეორე საკითხია. ვაღიარებ, რომ ეს ფაქტორიც იყო, მაგრამ თავიდან, რეჟისორებს სცენარები დავურიგე და ვკითხე, ამ როლებზე ვის ათამაშებდით-მეთქი? ყველას თავისებური ხედვა ჰქონდა და ყველამ სხვადასხვა მსახიობი დაასახე-

ლა. მეც მოვიწვიე ისინი და როლებზე დავამტკიცე.

— ალბათ იოლი არ იყო ასეთი ცნობილი და დაკავებული ადამიანების ენთუზიაზმით მუშაობაზე დათანხმება?

— ჩემი პროექტი საინტერესო იყო და ალბათ ამიტომ დათანხმდნენ. ლალი მოროშკინას გარდა, უარი არავის უთქვამს. მიუხედავად იმისა, რომ ლალი მსახიობი არ არის, საკმაოდ საინტერესო ტიპაჟია და მინდოდა, ჩემს ფილმში მიეღო მონაწილეობა. თიკას როლზე მინდოდა, მაგრამ უარი გვითხრა: წიგნზე ვმუშაობ და არ მცალიაო.



კადრები ფილმიდან...

— შენ გარდა, ფილმზე კიდევ 12-მა რეჟისორმა იმუშავა. რატომ გახდა ეს საჭირო? ერთი რეჟისორი საკმარისი არ იქნებოდა?

— ყველა მათგანმა თითო-თითო სიუჟეტი გადაიღო და ამ სცენებით მთლიანი ფილმი შეიკრა. ეს რეჟისორები პროფესიით პოლიტოლოგები, ისტორიკოსები და სხვა ცნობილი ადამიანები არიან. რთული ასახსნელია, თუ რატომ გადავწყვიტე, ფილმს ამდენი რეჟისორი ჰყოლოდა. ამისთვის საჭიროა, სურათი ნახოთ და თავადვე მიხვდებით ყველაფერს. 3 წელი ვიფიქრე ამაზე და გადაღების პროცესშიც კი ვერავინ ხვდებოდა, რას ვაკეთებდი. ოპერატორი — სანდრო დარახველიძე იყო, მე კი რეჟისორობასთან ერთად, მემონტაჟეობაც შევითავსე.

— ორიოდე სიტყვით ფილმის შინაარსიც გაგვაცანი.

— ლიკა ნიკასგან ორსულად არის. ამის გამო, ნიკა მას თავიდან მოიშორებს. ლიკას ეს ეწყინება და დახმარებისთვის თავის დაქალს, თიკას მიმართავს, რომელიც ურჩევს, ნიკას ჯადო გაუკეთონ. ამასობაში ნიკას ძმაკაცი დაურეკავს, წამალი გავიკეთოთო. ისინი წამალს რომ იკეთებენ, გოგონები მათ ჯადოს უკეთებენ და ამ დროს ბიჭები დაიხოცებიან. ასეთი მარტივი ფაბულაა. სცენარი სულ ერთგვერდიანია, მაგრამ ფილმი საათი და 20 წუთი გრძელდება, რადგან ამ სცენარის მიღმა მილიონი რაღაც ხდება...

— როგორ ფიქრობ — შენი ფილმი საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება და მოლოდინს გაამართლებს?

— გაამართლა და ეგ არის!.. მგონია, რომ ეს ფილმი დღევანდელი საქართველოსთვის აუცილებელია. მიმაჩნია, რომ პროექტი შედგა. ეს კი გამართლებას ნიშნავს.

— რომელიმე ფესტივალზე ამ ფილმის წარდგენას თუ აპირებთ?

— რა თქმა უნდა. ამჟამად, კინოცენტრთან ერთად, მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. უნდა შევიმუშაოთ სტრატეგია, თუ რა სახის ფესტივალზე წარვადგენთ ამ სურათს. კანში გავუშვებთ თუ ვენეციაში, ვერ გეტყვით. ჯერ ერთი დიდი ფესტივალი უნდა შევარჩიოთ და მერე რამდენიმე პატარა ფესტივალზეც გვექნება ჩვენება: ორ დიდ ფესტივალზე ფილმის წარდგენა არ შეიძლება. ვნახოთ, მოვილაპარაკებთ. ისე კი ფესტივალი განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს. ზოგიერთი ისეთი ფილმი გადის, მოწყენილობისგან მოკვდები. ქართველებს ფილმები რომ გვაქვს, ასეთი კანსა და ბერლინს არც დაესიზმრება. ამიტომ, ამას განსაკუთრებული ყურადღება არც უნდა მივანიჭოთ. ჩვენს ფილმს ნახავენ, ან მოეწონებათ, ან — არა. გამარჯვებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. უბრალოდ, ფესტივალი იმისთვის არის კარგი, რომ შენი ფილმის ნახვის საშუალება მსოფლიოს მისცე; უცხოელმა მაყურებელმა უნდა ნახოს, როგორ მუშაობენ ქართველი რეჟისორები და ა.შ. ისე კი, მსოფლიო კინოში გლობალური კრიზისია. ვეღარ იღებენ ისეთ ფილმებს, როგორებსაც ადრე იღებდნენ. ამ ბოლო დროს კი ჩვენში ამ მხრივ საქმე უკეთესადაა. დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველო ფილმების გადაღებაში მსოფლიოს თუ ვერ გაუსწრებს, გაუტოლდება მაინც.

— თავად ამდენი ხნის განმავლობაში რატომ არ გადაიღე მხატვრული ფილმი?

— ფული არ იყო და იმიტომ.

— როგორც აღნიშნე, ფული არც ახლა გქონდა...

— სამაგიეროდ, ტექნიკა მაქვს. აქამდე ტექნიკაც არ მქონდა, ახლა კი მაქვს. კამერა, რომლითაც ფილმი გადავიღეთ, 50.000 დოლარი ღირს. ჩემი ამ პროექტით სწორედ იმის დამტკიცება მინდა, რომ ფილმის გადაღებას მილიონები კი არა, პრაქტიკა სჭირდება. პირველი ფილმი მაგარი ვერასოდეს გამოგივა. რამდენიმე უნდა გადაიღო, რომ მიხვდე, კარგი რეჟისორი ხარ თუ — არა. ეს იგივეა, როგორც მანქანის მართვა: ერთ დღეს რომ დაჯდე და გაატარო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარგი მძღოლი ხარ, ამას პრაქტიკა სჭირდება, პრაქტიკისთვის კი დიდი ფული საჭირო არ არის.

— შენ გარკვეული პრაქტიკა უკვე გაიარე. რას იტყვი, კარგი რეჟისორი ხარ?

— რა ვიცი, აბა. მე „საჭეს ვმართავ“ და „პავაროტებში“ შევდივარ. გვერდით ვინც მიზის, იმან განსაზღვროს, მაგარი ვარ თუ — არა.

— მომავალში თუ გეგმავ კიდევ ახალი ფილმის გადაღებას?

— რასაკვირველია. უამრავი გეგმა მაქვს და ჯერჯერობით არ გადამიწყვეტია, რომელ მათგანს განვახორციელებ.

— ისევ ფილმს მინდა, დავუბრუნდე. როგორც შევიტყვე, ერთი და იმავე ადამიანის როლს რამდენიმე მსახიობი თამაშობს...

— მართალია. მაგალითად, ნიკას როლს კახი კავსაძე, გიორგი ყიფშიძე, ვანო თარხნიშვილი, გოგა ბარბაქაძე ასრულებენ. ფილმი ვითარდება, მსახიობები იცვლებიან, მერე ისევ ბრუნდებიან, ყველა ერთად კვდება და ა.შ. სიტყვებით ამ ყველაფრის გადმოცემა საკმაოდ რთულია. დიდი ალიაქოთია, მაგრამ ყველაფერი მარტივად მიდის. მისი შინაარსის გაგებას დიდი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება.

— ანუ ერთი ჩვეულებრივი თბილისური LOVE STORY-ა...

— ერთი არაჩვეულებრივი თბილისური love story-ა... ■

„პრინცესების“ კლასიკური ნაწარმოები და თინეიჯერული კლიპი „კულტურული რევოლუციისთვის“ ემზადება

ქართველი „პრინცესები“ „ევროვიზია ჯუნიორის“ კონკურსისთვის ემზადებიან — 6 მშვენიერი გოგონა „კულტურული რევოლუციის“ მოხდენას გეგმავს. ახლახან მათ სიმღერაზე — „ლურჯი ფრინველი“ კლიპიც გადაიღეს: ევროპას „პრინცესები“ ერთგვარ „მესიჯს“ უგზავნიან, რომ ქართველები განათლებული, კეთილი და კულტურული ერის წარმომადგენლები ვართ.

ეთო ყორღანაშვილი

ლიზა ყენია, ელენე მაყაშვილი, მარი გურგენიძე, მარი ბოკერია, ლიზი რამიშვილი (ჩელისტი), ანი ტყეშელაშვილი (ბალერინა) — ამ 6 პრინცესას (ისევე, როგორც მათი ასაკის თითქმის ყველა გოგონას) განსაკუთრებულად უხარია, როცა მშობლებისგან მეგობრებთან ერთად ღამის გათევის ნებართვას და ე.წ. „პიჟამ-ფართის“ მოწყობის ნებართვას იღებს. კლიპის სიუჟეტიც „პიჟამების წვეულებაზე“ ვითარდება. ერთი გოგონა მუსიკის შექმნას იწყებს, მეორე ლექსს წერს, მესამე — ჩელოზე უკრავს და ა.შ. ბოლოს, ჯადოსნური ლურჯი ფრინველი „პრინცესებს“ საოცნებო ქვეყანაში მოახვედრებს...

ერთი გოგონა მუსიკის შექმნას იწყებს, მეორე ლექსს წერს, მესამე — ჩელოზე უკრავს

ლიზა ყენია:

— კლიპში, პიჟამებში გამოწყობილები ბალიშებით ჩხუბს ვიწყებთ და უცებ, საოცარ სამყაროში აღმოვჩნდებით, თან — პრინცესების კაბები გვაცვია... ძალიან ლამაზი კლიპი გამოგვივიდა!.. მართალია, კასტინგზე აგვირჩიეს, მაგრამ არ ვიცოდით, თუ ერთ ჯგუფში შეგვკრებდნენ. „პრინცესების“ თითქმის ყველა მომღერალი მუსიკალურ პროექტ „ანა-ბანაში“ ვმონაწილეობდით და ერთმანეთს ვიცნობდით. ჩელისტი და ბალერინა კი მერე მოიწვიეს. ჩვენი ასაკის თითქმის ყველა გოგონა ხომ პრინცესობაზე ოცნებობს? ამიტომაც „პრინცესები“ დაგვარქვეს.

როგორც საბავშვო „ევროვიზიის“ შიდა შესარჩევი კონკურსის ორგანიზატორი (საქართველოში) — ქალბატონი თამარ სხვიტარიძე აღნიშნავს, ჩვენს ქვეყანაში „პრინცესებს“ საკმაოდ სერიოზული კონკურენტები ჰყავდათ: „ბზიკების“ შარშანდელი დიდი წარმატების შემდეგ, წელს „ევროვიზია ჯუნიორში“ მონაწილეობის სურვილი ბევრ ნიჭიერ ბავშვს გაუჩნდა. 1000-მდე მსურველიდან, ორგანიზატორებმა 60 ბავშვი შეარჩიეს და 10 მუსიკალურ ჯგუფად დაყვეს, მათ შორის გამარჯვება კი „პრინცესებს“ ხვდათ წილად. გაირკვა, რომ „პრინცესები“ „ბზიკების“ ფავორიტი ჯგუფიც ყოფილა. 6 მშვენიერი გოგონა განსაკუთრებით, მამრობითი სქესის „ბზიკს“ — გიორგი შიოლაშვილს მოსწონს...

თამარ სხვიტარიძე:

— „ბზიკებმა“ მხოლოდ კონკურსის დასრულების შემდეგ გაგვიმხილეს, რომ „პრინცესებს“ გულშემატკივრობდნენ. გოგონების წარმატება ძალიან უხარიათ. იმედია, „პრინცესები“ „ევროვიზია ჯუნიორზე“ გვასახელებენ, თუმცა მათ საკმაოდ რთული მისია აკისრიათ: შარშან „ბზიკებმა“ პირველი ადგილი დაიკავეს, პირველზე უკეთესი ადგილი კი აღარ არსებობს...

წელს „ევროვიზია ჯუნიორმა“ დაუშვა, რომ ბავშვებთან ერთად, საკონკურსო ნაწარმოების შექმნაში მონაწილეობა უფროსებსაც მიეღოთ. შესაბამისად, „პრინცესებთან“ ერთად, „ლურჯი ფრინველის“ ტექსტის ავტორი ირინა სანიკიძეც გახლავთ, მუსიკის — ზაზა წურწუმია, კლიპის რეჟისორი კახა ოთარაშვილია, გოგონების კოსტიუმებზე კი ხათუნა წულაიამ იზრუნა.

21 ნოემბერს ქართველი „პრინცესები“ კიევში — „ევროვიზია ჯუნიორის“ კონკურსზე გაემგზავრებიან, მანამდე კი თავდაუზოგავად მეცადინეობენ მუსიკაში, ქორეოგრაფიასა და ინგლისურ ენაში, ასევე — ფსიქოლოგიურადაც ემზადებიან. იმედია, ქართველი კონკურსანტები წელსაც წარმატებას მოიპოვებენ, ამჯერად — კლასიკური ნაწარმოებითა და თინეიჯერული კლიპით. ■

განუყრელი პარტნიორების ახალი ინტრიგები

მეორე კვირაა, რაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში ახალი, ქართული სერიალი „ჟამი ყვავილობისა“ დაიწყო. მასში უამრავი ცნობილი მსახიობი მონაწილეობს. ჩვენ კი ამჟამად მათგან მხოლოდ ორი გამოვარჩიეთ. სერიალში ორივეს უარყოფითი როლი აქვს და ორივე ინტრიგებს ხლართავს... გაუჭირდათ თუ არა უარყოფითი როლის მორგება და რამდენად ჰგვანან ისინი თავიანთ გმირებს, ამ და სხვა საინტერესო თემებზე მსახიობები — ეკა ნიუარაძე და ზაზა იაძაშვილი გვესაუბრებიან.

„სკანდალებს ორივე საჩვენოდ ვაწყობთ“...

ნათია ჟვიკი

— ვისგან მიიღეთ შეთავაზება, რომ სერიალში „ჟამი ყვავილობისა“ გეთამაშათ?

ეკა:

— „თიბისი სტუდიიდან“ დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ჩემთვის სინჯების გადაღება სურდათ. მანამდე სხვა სერიალზე ვიყავი დამტკიცებული, სადაც მე და ზაზას ცოლქმრის როლი უნდა გვეთამაშა. „თიბისიდან“ რომ დამიკავშირდნენ, ცოტა დავიბენი, რადგან ვერ მივხვდი, რომელ სერიალზე იყო ლაპარაკი. იქ მისულს სინჯი გადამიღეს და როგორც ხედავთ, როლზეც დამამტკიცეს. საინტერესო ის არის, რომ იმ პერიოდში აბსოლუტურად სხვა ქალის როლი შემომთავაზეს. სხვა გმირის შესახებ მიამბეს... ზაფხულში, ზღვაზე დასასვენებლად წავედი. იქ დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ სასწრაფოდ უნდა დავბრუნებულიყავი, რადგანაც გადაღება იწყებოდა. არ გავამხელ, მანამდე ვის როლს მთავაზობდნენ, მაგრამ იმას კი აღვნიშნავ, რომ ჩემთვის ლანას როლი უფრო საინტერესოა...

ზაზა:

— მეც „თიბისის“ სტუდიიდან ეკა კოპალეიშვილმა დამირეკა და სინჯებზე დამიბარა. მისვლისთანავე სერიალის ჟანრით დავინტერესდი. მითხრეს, ცხოვრებისეულიაო. როცა შინაარსიც მიამბეს, დავთანხმდი, რადგან მიმაჩნია, რომ მართლა კარგი სცენარია და ძალზე საინტერესო სერიალი გამოვა...

— ეკა, კარიერის მანძილზე მგონი, უარყოფითი როლი არც გქონია... გაგიჭირდა უარყოფითი გმირის განსახიერება?

— მართალია, უარყოფითი როლი აქამდე არ მითამაშია. ყოველთვის „ბულკივით“ გოგოებს ვასახიერებდი. არადა, ძალიან მინდოდა, რომ საპირისპირო ხასიათის პერსონაჟი მეთამაშა და ამ სერიალში ეს სურვილიც ავიხდინე. როლის მორგება ნამდვილად არ გამჭირვებია. პირიქით, ჩემთვის მასზე მუშაობა საინტერესოც კი აღმოჩნდა. ვიცი, რომ მაყურებელს ვუყვარვარ და ჩემი უარყოფითი პერსონაჟი მათ ჩემს სიყვარულში ხელს არ შეუშლის. ეს ხომ კინოა!..

ზაზა:

— ეკასი არ იყოს, ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი როლი არც მე შემისრულებია. ყოველთვის გაორებულ, მექალთანე პერსონაჟებს ვასახიერებდი, მაგრამ ასეთი საინტერესო და ინტრიგებით სავსე გმირის სახე არასოდეს შემიქმნია. თუკი, სერიალში რაიმე ცუდი ხდება, ყველაფერი ჩემი გმირის — თემურის მოწყობილია. გადამღები ჯგუფის ხელმძღვანელებმა თავიდანვე გამაფრთხილეს, ვერც მოგკლავთ და ვერც ავად გაგხდით, აბსოლუტურად ყველა სერიაში უნდა გამოჩნდე, ამიტომ მაქსიმალური პასუხისმგებლობით მოეკიდე ამ საქმესო. ამის თქმა არც მჭირდებოდა, ჩემს საქმიანობას ყოველთვის სერიოზულად ვეკიდები... მარჯანიშვილის თეატრშიც მე და ეკა ერთდროულად მივედით. მაშინ ცხონებული ჯემალ მონიავას პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლში შეყვარებულები უნდა გვეთამაშა. სამწუხაროდ, ეს პროექტი ჩაიშალა, მაგრამ მას მერე, თეატრსა თუ კინოში ერთად ბევრჯერ გვითამაშია. ერთმანეთს სცენაზეც კარგად ვიცნობთ და სცენის მიღმაც, ამიტომ ძალიან კარგი დამოკიდებულება გვაქვს. ამ სერიალშიც თითქოს თანამოაზრეები ვართ, თუმცა ინტრიგებს ორივე საჩვენოდ ვაწყობთ.

ეკა:

— ჰო, ჩემი გმირი ძალიან ცუდი გოგოა...

ზაზა:

— არც ჩემია უკეთესი. გოგონას რაღაცის გამო ტუქსავს და იმ წუთში უარესის გაკეთებას სთავაზობს. გარდა ამისა, ცუდი ქმარიც არის, რადგან სჭირდებოდა ის გოგონა და ცოლად იმიტომ მოიყვანა. როგორც ქალი, მისით საერთოდ არ არის დაინტერესებული. მოკლედ, ძალიან გამიხარდა, ეს როლი რომ შემომთავაზეს, რადგან საკმაოდ ღრმა და მრავალპლანიანი როლია. ისე კი, ამას წინათ, შინ რომ დავბრუნდი, მეზობელმა ბიჭებმა მითხრეს, კარგად რომ არ გიცნობდეთ, დღევანდელი სერიის შემდეგ გამარჯობასაც არ გეტყოდითო.

— მიუხედავად იმისა, რომ თქვენი გმირები უარყოფითი ადამიანები არიან. რაიმე საერთო თუ გაქვთ მათ ხასიათთან?

— მიმაჩნია, რომ ნებისმიერ ადამიანს კარგი თვისებებიც აქვს და — ცუდიც. უბრალოდ, ზოგს მეტი აქვს და ზოგს — ნაკლები. როგორ უარყოფით როლსაც უნდა თამაშობდე, შენს გმირს უნდა გაუგო. მის ადვოკატად უნდა გადაიქცე. თანაუგრძნო... იმედს გამოვთქვამ, რომ არც მე და არც ეკას ჩვენს გმირებთან საერთო არაფერი გვაქვს.

ეკა:

— ეკა და ლანა ერთმანეთს აბსოლუტურად არ ჰგვანან.

— მგონი, არც იმიჯით... სერიალში ძალზე განსხვავებული ქალი ხარ. ვინ ზრუნავს შენს იმიჯზე?

— მხატვრები, თუმცა რაღაც შესწორებები მეც შემაქვს. თუ კოსტიუმში თავს არაკომფორტულად ვგრძნობ, იმას ვცვლით. ახლა უკვე ახალი გარდერობი მჭირდება და უნდა შევიძინოთ, რადგან ჩემი პერსონაჟი „საკუთარი თავის ქალია“ და მას აუცილებლად კარგად უნდა ეცვას... მართალი ხარ, ჩვენ ერთმანეთს არ ვგავართ. ცხოვრებაში მე ძირითადად სპორტულად მაცვია, არც ვარცხნილობას ვაქცევ განსაკუთრებულ ყურადღებას და არც — ჩაცმას. ღანა კი თავს განსაკუთრებულად უვლის; ყოველთვის ფორმაშია.

— მეორე სერიალს, რომელშიც ცოლ-ქმრის როლი უნდა შეგასრულებინათ, რა ბედი ეწია?

ზაზა:

— სიმართლე რომ გითხრა, იმ სერიალზე უარი ვთქვი, რადგან დროის უქონლობის გამო, ვერ მოვახერხებ, იქაც ვითამაშო. ძალიან გადატვირთული გრაფიკი მაქვს. ზოგჯერ დილამდეც მიწევს მუშაობა და შინ წასვლას საერთოდ ვერ ვახერხებ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით უკმაყოფილო ვარ. პირიქით, ეს ყველაფერი ხომ ჩემს ინტერესებშია და მადლობელი ვარ ყველა რეჟისორის, ვინც როლს მთავაზობს.

ეკა:

— როგორც ვიცი, იმ სერიალის გადაღება მალე უნდა დაიწყოს და მასაც „რუსთავი 2“-ის ეთერით იხილავს მაყურებელი. ახლა ჩემთვის ახალ ქმარს ეძებენ, რომელიც ზაზას შეცვლის...

— ზაზა უკვე კარგა ხანია, უცხოურ ტელესერიალებს ახმოვანებს. ეკა, შენც თუ ხარ სერიალებით დაინტერესებული?

— როგორ არა. მიმაჩნია, რომ ბრაზილიური სერიალები საკმაოდ კარგია. პირველ რიგში, იქაური ჰავა მომწონს, მათთან სულ ცხელა. ამიტომაც არის, რომ ბრაზილიელი მსახიობები სულ გარუჯულები არიან და კარგადაც გამოიყურებიან. გარდა ამისა, არაჩვეულებრივი მსახიობებიც ჰყავთ, რაც მხოლოდ ჩემი აზრი არ გახლავთ. როგორც ვიცი, ცხონებული მიხეილ თუმანიშვილი თავის სტუდენტებს და დასის წევრებს ყოველთვის ეუბნებოდა, შეხედეთ ბრაზილიელ მსახიობებს, როგორ მუშაობენო. როგორც ჩანს, მათ დიდი სამსახიობო სკოლა აქვთ. ეს კი სერიალის ხარისხსაც ეტყობა. ვერ გეტყვით, რომ ამ ტელესერიალებზე თავგამოდებული ვარ და არც ერთ სერიას არ ვაცდენ, მაგრამ ხშირად სიამოვნებით ვუყურებ.

ზაზა:

— სერიალში მონაწილე მსახიობების ნიჭით მეც აღფრთოვანებული ვარ. წარმოიდგინეთ, რომ იმ სულელურ სცენარებს ბოლომდე იჯერებენ, თავის თავში ატარებენ და ცრემლითა და ემოციით თამაშობენ. მაგრამ მათი სცენარები ხშირ შემთხვევაში, ძალზე სულელურია. ერთსა და იმავეს უმრავჯერ ჰყვებიან, საკუთარ თავს ხმამაღლა ესაუბრებიან, სისულელეზე ტირიან. ის მსახიობები ამას მთელი გულით აკეთებენ, ე.ი. მაგრები არიან!..

— არადა, ცნობილი ქართველი მსახიობებისგან ვიცი, რომ ქართულ ტელესერიალებში მონაწილეობა დიდ სირცხვილად მიაჩნიათ...

ეკა:

— ძალიან მაინტერესებს, უკეთეს ადგილას სად მონაწილეობენ. თეატრშიც ვთამაშობთ, მაგრამ არც სერიალებზე ვამბობთ უარს. ეს ხომ ჩვენი სამუშაოა. თუ მსახიობები სერიალებში არ ვითამაშებთ, აბა, სხვა რა უნდა გავაკეთოთ?!. მსახიობმა ყველანაირი შანსი უნდა გამოიყენოს. ზოგიერთ ჩვენგანს სერიალებში თამაში დაბალ დონედ მიაჩნია... საქართველოში კინო არ არსებობს და რა ვქნათ, შინ დავსხდეთ? კინოსა და დრამის ფაკულტეტი დავამთავრეთ, მაგრამ კინო რა არის, არ ვიცით. ჩვენი თაობა ამ მხრივ ძალიან დაიჩაგრა. პირადად მე, სულ ვსწავლობ და სულ სწავლის პროცესში ვარ.

ზაზა:

— გარდა ამისა, სერიალსაც გააჩნია. 10 წელია, „რუსთავი 2“-ზე სერიალებს ვახმოვანებ და მინდა თუ არა, ყველა მათგანს ვუყურებ. ვენესუელელების გადაღებულსაც სერიალი ჰქვია და ამერიკელების გადაღებულსაც... ამერიკული „სასწრაფო“ (და კიდევ ბევრი) მართლა ძალიან საინტერესო სერიალი იყო. გარდა ამისა, მასში მთავარ როლს ჯორჯ კლუნი ასრულებდა, რომელიც ხალხმა სწორედ ამ სერიალით გაიცნო. ასე რომ, სერიალში თამაში სამარცხვინოდ სულაც არ მიმაჩნია. „უამი ყვავილობისა“ — საპნის ოპერა ნამდვილად არ არის, თუმცა ამ პროექტის ავტორები მას სწორედ ასე მოიხსენიებენ. ჩემი აზრით, ეს უფრო ფილმს ჰგავს იმ განსხვავებით, რომ სულ 120 სერიაა...

— ამდენ საქმეს როგორ უთავსებთ ერთმანეთს? თეატრის რეჟისორები თქვენი გადაღებების გამო არ ბრაზობენ?

— არა. მადლობას ვუხდი კინოგადაღების მთელ ჯგუფს და მადლობა მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელობას, რომ ყველაფერში ხელს გვიწყობს. საერთოდ, თეატრში მსახიობი ივსება, კინოში კი იცლება... შესაძლოა, ყველა სპექტაკლში მთავარ როლს თამაშობდე, მაგრამ მაყურებელი მაინც არ გიცნობდეს. გარდა იმისა, რომ ტაში მსახიობისთვის ბევრს ნიშნავს, ისიც ძალზე სასიამოვნოა, როცა ვიღაც გეტყვის, შენი სპექტაკლი მომეწონა, ცუდ ხასიათზე ვიყავი და კარგ ხასიათზე დავდექიო და ა.შ. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ შესაძლოა, თეატრში სულ ჰამლეტს თამაშობდე, მაგრამ 500 კაცზე მეტი არ გიცნობდეს, სერიალით კი უამრავი ადამიანი გაგიცნობს, რითაც თეატრს მაყურებელი ემატება. ჩვენი თეატრის ხელმძღვანელობას ეს კარგად ესმის და ამიტომაც გვიწყობს ხელს,



რომ თეატრის გარდა სხვაგანაც დავკავდეთ.

— როგორ ფიქრობთ, ეს სერიალი გაამართლებს და ისეთივე პოპულარული გახდება, როგორებიც ლათინურამერიკული ტელესერიალებია?

ეკა:

— როგორც ვხვდები, „ჟამი ყვავილობისა“ უკვე პოპულარულია. ვიდრე პირველი სერია გავიდოდა ეთერში, ყველა მოუთმენლად ელოდა. უამრავი ადამიანი მეკითხებოდა, ზუსტად რა დღეებში და რა დროს გავა ეთერშიო. მეორე კვირაა, ეს სერიალი ეკრანზე გადის და უკვე ვიცი, რომ ხალხი 7 საათის მოსვლას მოუთმენლად ელის. ამ სერიალს შეძლებისდაგვარად, მეც ყოველთვის ვუყურებ. ვცდილობ, გადაღებული მასალა იქვე ვნახო და შევასწორო. ხშირად მითქვამს, ეს არ მომწონს და მოდი, თავიდან გადავიღოთ-მეთქი. მერეც ყველა სერიას ვუყურებ, რადგან მინდა, საკუთარი შეცდომები დავინახო. ხომ გითხარით, მუდმივად სწავლის პროცესში ვარ.

— ერთმანეთს როგორ დაახასიათებთ, როგორც პარტნიორებს?

— უკვე ამდენი წელია, ამ თეატრში ვართ, თითქმის ყველა სპექტაკლში ერთად გვიწევს თამაში და ამ დროის განმავლობაში არანაირი პრობლემა არ გვქონია. ყველაზე სასაცილო ის არის, რომ ზაზას თავისი თავი არ მოსწონს, მე კი — ჩემი. მერე ამის გამო ვკამათობთ. ის მე მაწყენარებს, ყველაფერი კარგად გამოგივიდაო, და მე — მას.

ზაზა:

— ეკასთან თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ. კინო კიდევ უფრო სხვანაირად გაახლოებს ადამიანთან და გაცნობს მას. შემიძლია ვთქვა, რომ ამ სერიალის შემდეგ კიდევ უფრო ახალი და საინტერესო წახნაგები გამოიკვეთა ჩვენს შემოქმედებით თუ პირად ცხოვრებაში. ეს კი ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის დამსახურებაა. ამ სერიალის გადაღებას ძალზე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან. გარდა ამისა, ყველა მათგანი ძალიან კარგი ადამიანია და ერთად ბევრ დროს ვატარებთ. უკვე ყველანი შემიყვარდნენ.

— თეატრში რა ხდება, ახალ სპექტაკლზე ხომ არ მუშაობთ?

ეკა:

— ლევან წულაძემ მუშაობა ახალ სპექტაკლზე დაიწყო. სპექტაკლის სახელწოდებაა „ინციდენტი“ და მისი პრემიერა სულ მალე შედგება მარჯანიშვილის თეატრში. მე და ზაზა ამ სპექტაკლშიც ერთად ვთამაშობთ. ■

ფესტივალი

მიგელ-ანხელ ხიმენესის ქართული ფილმი

და წარმატება სან-სებასტიანის კინოფესტივალზე

ლუისი, პაბლო, მიგელ-ანხელი, კაკუნა, იმანოლი, გორკა — ენთუზიაზმით სავსე ეს ესპანელი ახალგაზრდა კინემატოგრაფისტები გასულ წელს თავიანთი მინიავტობუსით (რომლითაც სხვადასხვა ქვეყანას სტუმრობენ) საქართველოს ეწვივნენ. სურდათ, ომის შემდგომი საქართველოს ცხოვრებაზე დოკუმენტური ფილმი გადაეღოთ. მიგელ-ანხელ ხიმენესი ქართველ კინემატოგრაფისტებს დაუკავშირდა და მათი თანამშრომლობაც შედგა. საბოლოოდ, მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის გადაღება გადაწყდა. შემოქმედებით ჯგუფს ხელთ მწირი თანხა ჰქონდა, თუმცა ახლახან, მიგელ-ანხელ ხიმენესის რეჟისორობითა და ქართველი მსახიობების მონაწილეობით გადაღებულმა ქართულმა ფილმმა — „ორი“ — სადებიუტო კინოსურათებს შორის სან-სებასტიანის ცნობილ ფესტივალზე მეორე ადგილი დაიკავა. ამასთან დაკავშირებით, „ორის“ ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელს — პროფესიით მსახიობსა და რეჟისორს, ბექა ქავთარაძეს ვესაუბრე.

ეთო ყორღანაშვილი

— სან-სებასტიანის კინოფესტივალზე ფილმის პრემიერის დღეს გავემგზავრეთ და „ზღაპარში“ აღმოვჩნდით: უამრავი ხალხი ოვაციებით შეგვხვდა — ცოტა არ იყოს, დავიბენი... ფესტივალის გახსნაზე ბრედ პიტი და „ვიღაც-ვიღაცები“ იყვნენ (*იცინის*). პრემიერამდე პრესკონფერენცია გავმართეთ.

— ქართული ფილმის ნახვის შემდეგ, უცხოელებს რა კითხვები გაუჩნდათ?

— იცი, ყველაზე სასიამოვნო რა იყო? ალბათ, ფილმი ისე გადავიღეთ, რომ უცხოელებმა საქართველოს „დანახვა“ შეძლეს, მართალია — ცოტა მუქ ფერებში (ესპანელებს გამძაფრებული ხედვა აქვთ!), მაგრამ ეს ფაქტი კი არ გვაკნინებს; პირიქით მაყურებელი თანაგვიგრძნობს. მიხარია, რომ მან ყველაფერი ისე გაიგო, როგორც რეჟისორს სურდა. სადებიუტო ფილმებს შორის, ჩვენმა ნამუშევარმა მეორე ადგილი დაიკავა — ეს დიდი მიღწევაა!

— ესპანელ რეჟისორს საქარ-

პრემიერაზე ჩასულებს ყოველღღე მადლობას გვიხდიდნენ

თველოს რეალობის ზუსტად აღქმა არ გაუჭირდა?

— არა, ქართველებსა და ესპანელებს ბევრი საერთო გვაქვს: იუმორის გრძნობა, გულღიაობა, სტუმრის, ოჯახის პატივისცემა, სამზარეულო... ჩემი ქვეყანა ძალიან მიყვარს და ეს ყველამ იცის, მაგრამ აღვნიშნავ, რომ ესპანელები უფრო ყურადღებიანი ხალხია, ვიდრე — ქართველები, სამწუხაროდ. პრემიერაზე ჩასულებს ყოველდღე მადლობას გვიხდიდნენ — უკვე უხერხულობასაც კი ვგრძნობდით.

— როგორც ვიცი, მსახიობების გარდა, მთელი შემოქმედებითი ჯგუფი ესპანელებით იყო დაკომპლექტებული. საინტერესოა, ფილმის გადაღების დროს რა ენაზე ლაპარაკობდით?

— მართალია, ენის ბარიერი არსებობდა, მაგრამ ეტყობა, შემოქმედებითი პროცესისთვის ენა ნაკლებადაა საჭირო მაშინ, როცა ემოცია ჭარბობს და ადამიანები ერთმანეთს სულიერად ვუგებთ. მუშაობის პროცესში ძალიან დავახლოვდით, დავძმაკაცდით. ჩვენ ესპანურს ვსწავლობდით, ისინი ქართულ ფრაზებს იმახსოვრებდნენ. ერთ-ერთ სცენაში მსახიობს უნდა ეთქვა, — ბომბის მექანიზმის ტიკტიკი მესმისო, მან კი „ტიკტიკის“ ნაცვლად, სხვა სიტყვა თქვა. ესპანელმა სცენარისტმა მაშინვე შეაჩერა: სტოპ, სტოპ! შენ უნდა გეთქვა — „ტიკიტიკი“ მესმისო (*იცინის*)! მას შემდეგ „ტიკიტიკი მესმის“ ჩვენი საყვარელი ფრაზაა. პრემიერაზე რომ ვიყავით, ჩვენმა ესპანელმა მეგობრებმა კიდევ ბევრი ნიუანსი გაიხსენეს, ქართულ სიტყვებს იმეორებდნენ.

იქ 4 საოცარი დღე გავატარე

— თქვენს პერსონაჟზე რა შეგიძლიათ, გვითხრათ?

— ჩემი გმირის ძმისშვილს გორში სახლს დაუბომბავენ. უსახლკაროდ დარჩენილი სტეფანწმინდაში — ბიძასთან გაემგზავრება. ფილმში მათი ამბავია მოთხრობილი. პარალელურად, მოქმედება თბილისშიც ვითარდება — „ტაქსისტისა“ და ახალგაზრდა გოგონას ცხოვრებაა აღწერილი. „ორი“ გვიამბობს იმაზე, თუ როგორ იმოქმედა საქართველოზე ომმა და კრიზისმა. თავდაპირველად, ეპიზოდური როლი უნდა შემესრულებინა, ისიც — სავარაუდოდ. საბოლოოდ კი ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი განვასახიერე. გადაღებები მონასტერში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მონასტერმა უარი თქვა. ამიტომ სცენარი შეცვალეს და მეც სტეფანწმინდაში გამგზავრება მოულოდნელად მომიხდა — ძველ სცენარში ჩემი გმირი საერთოდ არ არსებობდა.

— სცენარს გადაღებების პარალელურად წერდნენ?

— ძალიან საინტერესოდ — ექსტრემალურ სიტუაციაში მუშაობდნენ. მეორე დღისთვის გადასაღებ სიუჟეტს წინადღეს თხზავდნენ. თავდაპირველად, ზედმიწევნით მიხსნიდნენ, რა და როგორ უნდა გამეკეთებინა, მერე კი მათი ნდობა მოვიპოვე და მეტ თავისუფლებას მანიჭებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საშინლად ციოდა და „ყაზარმულ რეჟიმში“ ვიყავით, მათთან თანამშრომლობა ძალიან „გემრიელად“ მახსენდება.

— მოდი, სან-სებასტიანის კინოფესტივალზე საუბარს დავუბრუნდეთ. ალბათ, იქ ბევრ ცნობილ ადამიანს შეხვდით...

— პირადად არ შევხვედრივარ, მაგრამ „ერთ სიბრტყეზე“ ვიყავით მე და ჯეიმს ჯარმუში. რაც მთავარია, პრემიერაზე იმ მანქანით მიმიყვანეს, რომლითაც ბრედ პიტს ემსახურებიან ხოლმე — ჩემთვის ესეც დიდი პატივია (*იცინის*)!

— საინტერესოა, სან-სებასტიანის კინოფესტივალზე ბრედ პიტს რა მარკის ავტომობილით ემსახურებიან?

— ტექნიკასა და მანქანის მარკებში ცუდად ვერკვევი. „მოსკვიჩი“ არ იყო, ყოველ შემთხვევაში — საკმაოდ „ფეშენ“ მანქანა იყო (*იცინის*)!

— სან-სებასტიანში რამდენ ხანს დარჩით?

— იქ 4 საოცარი დღე გავატარე. თუ პრესკონფერენცია ან „ფართი“ არ იყო, ქალაქში ვსეირნობდით. ვიდრე სასტუმროს ნომერში არ დავბრუნდებოდი, დაღლას ვერ ვგრძნობდი. სან-სებასტიანში საოცარი გარემოა. შეიძლება, რეჟისორი რომ ვარ, ამიტომ დავაფიქსირე, რომ იქ ძალიან ბევრი ველოსიპედისტი, სერფინგისტი და მორბენალია, ასევე ძალიან ბევრი — ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული. წარმოიდგინეთ, დაძაბუნებულის იერი ხეიბრებსაც კი არ ჰქონდათ!.. ფესტივალის დახურვაზეც უამრავი ხალხი მოვიდა — ავტოგრაფებს გვთხოვდა, ფოტოებს გვიღებდა... იქაურობა კმაყოფილმა დავტოვე. ესპანელებს სურვილი აქვთ, რომ კიდევ ვითანამშრომლოთ.



მათთან თანამშრომლობა ძალიან „გემრიელად“ მახსენდება

— „ორს“ ქართველი მაყურებელი როდის იხილავს?

— დეკემბერში, შეიძლება, იანვარშიც. საქართველოში ჩვენი ესპანელი მეგობრები ისევ ჩამოვლენ. აბა, მათ გარეშე პრემიერას რა აზრი ექნება!

— ბექა, ესპანელ რეჟისორთან თანამშრომლობამ რა მოგცათ — როგორც მსახიობსა და როგორც რეჟისორს?

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ბევრ ცნობილ ქართველ რეჟისორთან მიმუშავია (მერაბ კოკოჩაშვილთან, რეზო ესაძესთან), მაგრამ ამ ესპანელმა ახალგაზრდებმა თავიანთი ენთუზიაზმით, პროფესიონალიზმით, მსახიობებთან ურთიერთობით, ადამიანობით კიდევ ერთხელ მასწავლეს ის, რაც მეგონა, რომ მანამდეც კარგად ვიცოდი — მსახიობის ოსტატობა! „სასწავლო კურსი“ რეჟისურაშიც გავიარე. მოკლედ, მათთან მუშაობა ძალზე სასიამოვნო იყო!

■

ესპანელებს სურვილი აქვთ, რომ კიდევ ვითანამშრომლოთ

„მინდა მთელი ცხოვრება ამ ადამიანთან ერთად გავატარო...“

დაჩი ცაგურიამ პირადი ცხოვრება აიწყო...

გვინდოდა, უფრო მალე დავქორწინებულიყავით, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხეთ

მათ ერთმანეთი 2 წლის წინ გაიცნეს. ერთ კვირაში უკვე შეყვარებულები ერქვათ... ხშირად ჩხუბობდნენ, იბუტებოდნენ, მაგრამ ისევ რიგდებოდნენ. მათი სიყვარული კი ქორწინებით დაგვირგვინდა. 11 ოქტომბერს ოპოზიციის ერთ-ერთმა ახალგაზრდა აქტიურმა წარმომადგენელმა — დაჩი ცაგურიამ და მისმა რჩეულმა — ნათია ხაინდრავამ ჯვარი მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში დაიწერეს.

თამუნა კვინიკაძე

დაჩი:

— 2 წლის წინ ერთ-ერთ საცურაო აუზზე, შემთხვევით ჩემს მეგობარ — სოფო კერესელიძეს შევხვდი, ნათიაც მასთან ერთად იმყოფებოდა. ერთმანეთი მაშინ გავიცანით. ნათია დანახვისთანავე მომეწონა.

ნათია:

— მე ცურვა არ ვიცოდი, დაჩიმ შემომთავაზა, გასწავლიო და მასწავლა კიდეც (*იცინის*). ახლა კარგად ვცურავ...

დაჩი:

— იმ საღამოსვე კინოში ერთად წავედით. ერთმანეთს მეორე დღესაც შევხვდით.

— **ნათია, დაჩიმ შენზე როგორი შთაბეჭდილება დატოვა?**

— ძალიან კარგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ურთიერთობა ქორწინებით არ დასრულდებოდა.

— **სიყვარული როგორ აგიხსნა?**

— გაცნობიდან მეორე დღეს მითხრა, ძალიან მომწონხარ და ვცადოთ, იქნებ ჩვენს ურთიერთობას მომავალიც ჰქონდესო. 3-4 დღის შემდეგ კი შევნიშნე, უცნაურად მიყურებდა, ვკითხე, — რა არის-მეთქი? — მიყვარხარო.

დაჩი:

— გვინდოდა, უფრო მალე დავქორწინებულიყავით, მაგრამ აქამდე ვერ მოვახერხეთ; თავიდან ომმა შეგვიშალა ხელი, შემდეგ ჩემმა დაჭერამ, მერე ნათია სექტემბრამდე კონტრაქტით გორში იმყოფებოდა.

— **ნათია, სად მუშაობ?**

— იურისტი ვარ, ბავშვების უფლებათა ექსპერტი. სახალხო დამცველის ოფისში ვმუშაობდი. ომის შემდეგ დევნილთა საკითხებზე და მათ პრობლემებზე სამუშაოდ გორში გადავედი. სექტემბერში კონტრაქტი დამიმთავრდა.

— **დაჩი, ნათიას მშობლებს ქალიშვილის ხელი სთხოვე?**

— სანამ დავქორწინდებოდით, ერთმანეთის ოჯახების ხშირი სტუმრები ვიყავით. ასე რომ, სტუმრებიც აღარ გვერქვა. მე რომ დამაკავეს, ნათია და დედაჩემი სულ ერთად იყვნენ.

— **ნათია, მახსოვს, მაშინ პროტესტის ნიშნად შიმშილობა დაიწყე, კარავში, რომელიც ჩეხეთის საელჩოს წინ გაშალე, რამდენი დღე გაატარე იქ?**

— იქ კარავი სიმბოლურად იყო გაშლილი, მე დაჩის ერთ-ერთი მეგობრის მანქანაში ვიყავი, 3 დღე ვიშიმშილე, მერე პოლიცია მოვიდა და დაგვარბია, ჩემი მეგობრები მირჩევდნენ — შიმშილობა შემეწყვიტა, რადგან მე თუ დავსუსტდებოდი, მიზანს ვერ მივაღწევდი.

დაჩი:

— ეს ამბავი ციხეში ადვოკატებისგან შევიტყვე, ძალიან ვინერვიულე, ციხიდან წერილებს ვწერდი და ვთხოვდი, რომ დაფიქრებულიყო.

— **ნათია, დაჩის პიროვნულ თვისებებზე რას იტყვი, რით მოგხიბლა?**

— არა მარტო ჩემთან, არამედ სხვა ადამიანების მიმართაც დაჩი ძალიან თბილი და კეთილია. ვაჟკაცურია. ვაფასებ იმითაც, რომ საკუთარი პრინციპების ერთგულია.

— **როგორი შეყვარებულია?**

— რომანტიკული. სადაც კი ვიყავი, ყველგან მაკითხავდა. ამ 2 წლის მანძილზე (თუ არ ჩავთვლით მისი დაპატიმრების 30-დღიან მონაკვეთს), სულ ერთად ვიყავით...

— **არ ჩხუბობდით?**

— როგორ არა, კვირა არ გავიდოდა, არ გვეჩხუბა. თუ გავებუტებოდი, ვარდით ხელში მხვდებოდა და ვრიგდებოდით. ერთხელ ძალიან ვიჩხუბეთ, დილით სახლიდან რომ გამოვედი, ეზოში საღებავით დაწერილი „მაპატიე“ დამხვდა.

დაჩი:

— ღამე მის სახლთან მივიპარე და დავწერე. საღებავებით წარწერებს მხოლოდ „ცუდი კაცებისთვის“ კი არ ვაკეთებ?!.

ნათია:

— დაჩის დროის შეგრძნება საერთოდ არა აქვს. მე პუნქტუალური ვარ და მისი ეს თვისება ძალიან მაღიზიანებს.

— **პაემანზეც იგვიანებდა?**

— აბა, რას შვრებოდა...

დაჩი:

— სამაგიეროდ, ჩხუბის მერე, შერიგებისთვის პირველ ნაბიჯს ვდგამ. ნათია რაც უნდა გაბრაზებული იყოს, ვეტყვი, მიყვარხარ-მეთქი, ვაკოცებ და მაშინვე „იკერება“. ნათიას გვერდით ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა, რომ მთელი ცხოვრება მასთან ერთად გავატარო და ბევრი შვილი გვყავდეს.

— **ბედნიერებას გისურვებთ.**

— გმადლობ. ■

არქიტექტურა, სტილი და გემოვნება

„არქიტექტურული ჰრემია“ 2009 წლის ნომინანტებისა და სიახლეების მოლოდინში

გახსოვთ, რატომ „დასცინა ბედმა“ ელდარ რიაზანოვის გმირს ჟენია ლუკაშინს და მოსკოვში, საკუთარი ბინის ნაცვლად ახალი წლის ღამე ლენინგრადში, სხვის ბინაში რატომ გაატარა? — იმიტომ, რომ ორივე ქალაქში, ერთსა და იმავე მისამართზე არსებობდა ერთნაირსადარბაზოიანი სახლი, რომლის ბინებსაც გასაღებიც ერთნაირი ჰქონდა, ინტერიერიც და ავეჯიც კი. კომუნისტურ სახელმწიფოში არქიტექტორის პროფესია ერთ-ერთი პრესტიჟული და პრივილეგირებული იყო, არქიტექტორი კი — საბჭოთა ელიტის თვალსაჩინო წარმომადგენელი, თუმცა საბჭოთა ქალაქებში, მათ შორის — საქართველოს დიდ ქალაქებში მასობრივი მშენებლობების დროს (50-იანი წლებიდან მოყოლებული) არქიტექტორს, კაპიტალისტური მოტივი რომ არ „შემოეპარებინა,“ ერთი დეტალის ჩამატების უფლებაც კი არ ჰქონდა საკუთარ პროექტში, რომელიც დამტკიცებამდე სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ყველა დისტანციას გადიოდა. ამიტომ, ეს ბინები ტყუპისცალივით ჰგავდა ერთმანეთს, სილამაზით მართლაც ვერ დაიტრაბახებდა, სამაგიეროდ, გამძლეობით გამოირჩეოდა.

ირმა ხარშილაძე

თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში არქიტექტურამაც, არქიტექტორებმაც და ადამიანებმაც შვებით ამოისუნთქეს — რა გინდა, სულო და გულო, სადაც გინდა, რამდენიც გინდა და როგორიც გინდა, მთავარია, შესაძლებლობა გქონდეს და შენთვის მოსაწონს ყოველთვის შეარჩევ. ქართული არქიტექტურული სკოლა შემოქმედებითად ვითარდება და მისი წარმატებები მეტად თვალსაჩინო რომ გახდეს, არქიტექტორებმა კოლეგებისთვის კონკურსიც კი მოიფიქრეს.

2009 წლის 25 ოქტომბერს, თბილისობის დღესასწაულზე სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ საპრეზენტაციო დარბაზში კომპანია „სტილი“ აწყობს მის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონკურსის — „არქიტექტურული პრემია — 2009“ ნამუშევრების გამოფენასა და კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიას. ვესაუბრებით ჟურნალ „სტილის“ რედაქტორს და არქიტექტორთა კლუბის დირექტორს, ქალბატონ ***ნინო ლაღიძეს****.*

დაღუპულ მეომართა მემორიალი

— 10 წელიწადია, სარეკლამო კომპანია „სტილი“ ამავე სახელწოდების ჟურნალს გამოსცემს. მასზე არქიტექტორები ვმუშაობთ. ერთი წელიწადია, ოფიციალურად არქიტექტორთა კლუბიც ჩამოვაყალიბეთ. ჟურნალი ქართულ-ინგლისურ ენაზე სამ თვეში ერთხელ გამოდის და, შეძლებისდაგვარად, ვაშუქებთ ჩვენს ქვეყანასა თუ საზღვარგარეთ მიმდინარე ყველა სიახლეს არქიტექტურის, ინტერიერისა და დიზაინის სფეროში. ხშირად ველაპარაკებით უცხოელ კოლეგებს და პარტნიორებს, ბევრ ინფორმაციასაც ვიღებთ, მაგრამ მიეხვდით, რომ ერთი ჟურნალი ვერ დაიტევდა ყველა სიახლეს, არქიტექტორების უმეტესობაც ერთმანეთის საქმიანობას ხეირიანად ვერ ეცნობოდა, ამიტომ 4 წლის წინ დავაარსეთ საერთაშორისო კონკურსი „არქიტექტურული პრემია“. ეს გახლავთ ინტერნეტკონკურსი. ნამუშევრები ნომინაციების მიხედვით ეწყობა ინტერნეტში და მას ინტერნეტითვე აფასებს ჟიური. ჟიურის შემადგენლობა გასაიდუმლოებულია თითოეული წევრისთვისაც კი. თითოეულს ვაწვდით დაშიფრულ კოდებს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შედიან ინტერნეტში და აფასებენ სახელისა და გვარის გარეშე წარმოდგენილ ნამუშევრებს. ეს ნამუშევრები თავის დროზე კონკრეტული დამკვეთის მიერ უკვე არჩეული და განხორციელებული პროექტები გახლავთ.

— ქალბატონო ნინო, წლევანდელ კონკურსსა და წარმოდგენილ ნამუშევრებზე გვიამბეთ.

— წლევანდელ

კონკურსში ქართველებთან ერთად მონაწილეობენ აზერბაიჯანელი, ფრანგი, ბელგიელი, ლიტველი და წლების განმავლობაში რუსეთში მოღვაწე ქართველი არქიტექტორები.

— რუსები არ მონაწილეობენ?

— ძალიან საინტერესო პროექტი გამოგვიგზავნა ერთადერთმა რუსმა — ანა რევიაკინამ, რომელიც ლიტვაში მოღვაწეობს. სხვათა შორის, ქალბატონმა ანამ შარშანდელი კონკურსის ერთ-ერთ ნომინაციაში გაიმარჯვა კიდეც. რვა ნომინაცია გვაქვს კონკურსანტებისთვის: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი; საზოგადოებრივი შენობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი; რეკონსტრუქცია-რესტავრაცია, ინტერიერები და დაემატა ნომინაციები — განუხორციელებელი პროექტები და, სტუდენტების მონდომების გათვალისწინებით, სტუდენტური ნამუშევრები. ძალიან საინტერესო პრიზები გვაქვს. წელს სპონსორები და სხვადასხვა კომპანიაც განსაკუთრებით დაინტერესდნენ კონკურსით და თითოეულ ნომინაციაში თითო ლაურეატისთვის, გარდა ტრადიციული დიპლომისა და სკულპტურისა, საჩუქრებთან ერთად დააწესეს საგზურები და გამარჯვებულებს საშუალება ექნებათ, გაემგზავრონ იტალიაში, „ლორშოპში“ მონაწილეობის მისაღებად, იტალიის მხრიდან ნაწილობრივი დაფინანსებით. ასევე, სამხატვრო აკადემიის მედიაფაკულტეტმა დააწესა პრიზი საუკეთესო სტუდენტური ნამუშევრისთვის. სულ 130 ნამუშევარი შემოვიდა, თუმცა მონაწილე გაცილებით მეტია — თითოეულ ნამუშევარს რამდენიმე ავტორიც ჰყავს ხოლმე. მნიშვნელოვანია, რომ მეორე წელიწადია, ამ კონკურსის თანაორგანიზატორი და მხარდამჭერი არის თბილისის მერია. წელიწადში ერთხელ, კონკურსის დასრულების შემდეგ ჟურნალ „სტილის“ ნომერს მთლიანად კონკურსს ვუძღვნით. თქვენი ლოგო იქნება ყველგან, სადაც ვისაუბრებთ კონკურსზე, ასევე, საინფორმაციო მხარდამჭერები არიან „24 საათი“, „პრაიმ

თაიმი“ და ჟურნალი „პირველი“.

— ქალბატონო ნინო, თქვენ არ გიხსენებიათ, რომ კონკურსს პროფესიულთან ერთად საზოგადოებრივი ჟიურიც შეაფასებს.

— საზოგადოებრივი ჟიური დაკომპლექტებულია საზოგადო მოღვაწეებისგან, ცნობილი სახეების ან იმ ადამიანებისგან, რომელთა აზრიც თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი არაპროფესიონალები არიან და საკუთარი გემოვნებითა და შეხედულებებით აფასებენ ნამუშევრებს, თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ოთხი წლის დაკვირვებით მათი შეფასება თითქმის ემთხვევა პროფესიული ჟიურის შეფასებას. სხვათა შორის, კონკურსის მონაწილეთა შეფასება თქვენც და ნებისმიერ ადამიანსაც შეუძლია — მთავარია, შეხვიდეთ ჩვენს ვებგვერდზე „www.style-magazine.com.ge“, დაათვალიეროთ ნამუშევრები და შეაფასოთ. ერთი კომპიუტერიდან მხოლოდ ერთხელ შეიძლება საკუთარი აზრის დაფიქსირება.

— მოახლოვდა კონკურსის კულმინაცია, როდესაც სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული რვა ლაურეატი დასახელდება. თქვენ კარგად იცნობთ კონკურსის მონაწილე თითოეულ ნამუშევარს. რა ტენდენციები, სტილი, თავისებურება გამოიკვეთა მათში, რით გამოარჩევდით წინა წლების ნამუშევრებისგან?

— წელს დიდი რაოდენობითაა შემოსული ნამუშევრები ნომინაციით „პროექტები“. შემდეგ მოდის „საზოგადოებრივი ინტერიერი“ ანუ კაფეები, რესტორნები და ბარები. ყველაზე ცოტა შემოვიდა ნამუშევრები ნომინაციით „მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი“. აქ წარმოდგენილი უნდა იყოს რეალიზებული მრავალსართულიანი სახლის მოცულობა. მიუხედავად იმისა, რომ ყველგან მშენებლობა მიმდინარეობს, რატომღაც მსხვილი სამშენებლო კომპანიები თავს არიდებენ, პროფესიული ჟიურის განსახილველად წარუდგინონ თავიანთი ნამუშევრები. წლევანდელ კონკურსს იმით გამოვარჩევდი, რომ მონაწილე არქიტექტორთა რიცხვი გაიზარდა, ახალი სახელებიც გამოჩნდა, რაც კონკურსით კიდევ მეტად დაინტერესების მიმანიშნებელია. წელს კონკურსგარეშე ნომინაციაც გვაქვს, რაც საშუალებას მოგვცემს, უკეთ გავარკვიოთ სხვა არქიტექტორების ინტერესები და სამომავლოდ კონკურსებშიც გავითვალისწინოთ. „ინტერიერებში“ გამოიკვეთა ნამუშევრები, სადაც ყურადღება დეკორზე ანუ კონკრეტულად, დიზაინზეა გამახვილებული. წლევანდლის გათვალისწინებით, შემდეგისთვის გვინდა, დავამატოთ ნომინაცია, სადაც წარმოდგენილი იქნება არა ინტერიერი, მოცულობა, არამედ ის, რაც ამ ყველაფერს ქმნის ანუ დიზაინი.



სასტუმრო ბორჯომში

— წარმოდგენილ ნამუშევრებში უფრო მეტად სხვისი გავლენა იგრძნობა თუ ორიგინალური ჭარბობს?

— ადრე „სადღაც ნანახის“ გავლენა აშკარად იგრძნობოდა, ძალიან სასიამოვნოა, რომ წელს რადიკალურად განსხვავებული ვითარება გვაქვს. წარმოდგენილი ინტერიერებიდან — ყველაზე კარგად ეს საცხოვრებელი სახლის ინტერიერში ჩანს — ჩვენი საზოგადოების დონე სერიოზულად ამაღლდა. კარგად გამოჩნდა, რომ გემოვნება იხვეწება, სტერეოტიპები დაინგრა და პროფესიონალს მიეცა საშუალება, უკეთ გამოიყენოს შესაძლებლობები; თამამად შეუძლია, დამკვეთს საკუთარი ფანტაზიის განხორციელება შესთავაზოს. ასე რომ, წლევანდელი შედეგებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ჩვენი კონკურსი „არქიტექტურული პრემია“ სამომავლოდ მეტ დაინტერესებას გამოიწვევს, „არქიტექტორთა კლუბიც“ გაიზრდება, მეტ წევრსა თუ მეგობარს შეიძენს და ერთად — ჩვენი ქვეყნისთვისაც და უფრო მასშტაბურადაც — ბევრი საინტერესო და სასარგებლო პროექტის განხორციელებას შევძლებთ. ■

ყველასათვის საყვარელ კორადო კატანის, რეალურ ცხოვრებაში კი მსახიობ მიქელე პლაჩიდოს ვენეციის კინოფესტივალზე შესანიშნავი განწყობილება ჰქონდა. მან სიამოვნებით მოუთხრო კორესპონდენტს მის მიერ გადაღებული ფილმისა და მომავალი გეგმების შესახებ.

პლაჩიდოს „დიდი ოცნება“

— სურათი „დიდი ოცნება“ 1968 წლის აბსოლუტურად რეალურ მოვლენებზეა დაფუძნებული. სწორედ იმ პერიოდში რომში ჩავედი და მუშაობა პოლიციაში დავიწყე. ასე რომ, ფილმში ახალგაზრდა პოლიციელი ჩემი პროტოტიპია. მთავარ გმირში უდიდესი რომანტიზმი ჩავდე. შესაძლოა, ვინმე შემეკამათოს და თქვას, რომ ეს ამბავი სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ სწავლისა და მუშაობის დროს მსგავსი ემოციები თავად განვიცადე.

„დღეს კინო ძალზე პოპულარული ხელოვნებაა“

— პოლიტიკაზე ლაპარაკი ნამდვილად არ მსურდა. უბრალოდ, მაყურებლისთვის ჩემი ამბის მოყოლას ვცდილობდი. შესაძლოა, ზედმეტად სენტიმენტალური გამომივიდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს წარსულის შესახებ თხრობისა და ახალგაზრდობამდე აზრის მიტანის საუკეთესო საშუალებაა, ვინაიდან დღეს კინო ძალზე პოპულარული ხელოვნებაა.

დაკაცებული გმირი

— კომისარი კატანი ევროპაში ყველას უყვარდა, იტალიაში კი წარმოუდგენელი პოპულარობით სარგებლობდა. სხვათა შორის, ფილმში „რვაფეხა“ აღწერილი მოვლენები 1968 წლის შემდეგ მოხდა, ასე რომ, კორადო კატანი სურათის „დიდი ოცნება“ უკვე დაკაცებული გმირია.

„საკუთარი თავისთვის გვერდიდან ყურება არ მიყვარს“

— წარმოშობით „თეატრიდან“ ვარ, აქედან გამომდინარე, პოპულარობა არ მიყვარს — ეს ჩემს ხასიათში არ ზის. ცნობისმოყვარე არ ვარ — ასე რომ, საკუთარი თავის გვერდიდან ყურება არ მიყვარს. ამიტომ „რვაფეხას“ წარმატებას ჩემთვის არანაირი სარგებლობა არ მოუტანია. ფილმის უამრავი სერიიდან მხოლოდ რამდენიმე მაქვს ნანახი...

„მრავალშვილიან ოჯახში გავიზარდე“...

— ყოველთვის ვცდილობ, ჩემს

„მუდამ ვიყავი და ახლაც პოლიციელად ვრჩები“

მიქელე პლაჩიდო – 63 წლის მსახიობი და კინორეჟისორი

ფილმებს არა ავტორის, არამედ მაყურებლის თვალით ვუყურო. მე უბრალო, მრავალშვილიან ოჯახში გავიზარდე, ამიტომ იძულებული ვიყავი, ფილმებში მეთამაშა. ფული მეშოვა და მშობლებს დავხმარებოდი. დღეს, როდესაც რეჟისორი ვარ და ფილმებს თავად ვიღებ, ყოველთვის ვცდილობ, ჩემს სურათს იმ ადამიანთა თვალით შევხედო, რომლებიც წარმოშობით ჩემი ოჯახის მსგავსი ოჯახებიდან არიან.

ისტორიული ფილმის სპეციფიკა

— ისტორიულად დამაჯერებელი ფილმის გადაღება ძალზე ძნელია. მაგალითად, ბერნარდო ბერტოლუჩის სურათი „მეოცნებენი“ ავიღოთ: ესთეტიკური თვალსაზრისით, ფილმი არაჩვეულებრივია. პირადად მე, რეჟისორის პოზიციას სრულიად ვიზიარებ, მაგრამ ჩემში, როგორც პოლიციელში, ფილმს არანაირი ემოცია არ გამოუწვევია. ეს ემოცია არც ჩემს დას გასჩენია, რომელიც მასწავლებლად მუშაობს. სურათში მოთხრობილი ამბის გაშიფვრა გვიჭირს. ნაწარმოებში აქცენტი ახალგაზრდებს შორის დამოკიდებულებაზე კეთდება და არა ისტორიულ ატმოსფეროზე.

ისტორიული გადაღებების მზადების დროს რეჟისორმა და მთელმა გადამღებმა ჯგუფმა ეპოქა დაწვრილებით უნდა შეისწავლონ და იმ პერიოდის შესახებ შექმნილ დოკუმენტურ ფილმებს, წიგნებსა და საგაზეთო სტატიებს გაეცნონ. ჩვენც ასე მოვიქეცით: უამრავ ლიტერატურას გავეცანით და მრავალი ფილმი ვნახეთ, მათ შორის ფრანგული, მექსიკის ოლიმპიური თამაშებისა და სტუდენტური საპროტესტო მარშების შესახებ გადაღებული დოკუმენტური სურათები.

„ერთი პროექტი მაინტერესებს“...

— ძალიან მინდა, რუს კინორეჟისორებთან მუშაობა, რადგან მიმაჩნია, რომ რუსული კინო დღეს ერთგვარ რევოლუციას განიცდის, მაგრამ უფრო მეტად სხვა პროექტი მაინტერესებს — იტალიელი ალპური მსროლელების რუსეთში შესვლის შესახებ ფილმის გადაღებაზე ვოცნებობ! ისინი იყინებოდნენ, შიმშილობდნენ, უბრალო რუსი გლეხები კი მათ იფარებდნენ, საკვებს აძლევდნენ და ათბობდნენ... ჩემს მომდევნო ფილმში მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთ-იტალიის მეგობრობის საკითხს მინდა შევეხო.

„ეს რეჟისორი ჩემს მშობლებსაც ძალიან უყვარდათ“...

— ჩემს მასწავლებლებს შორის, რომელთა შემოქმედებასაც მთელი ცხოვრება ყურადღებით ვაკვირდებოდი, შემიძლია, დავასახელო ვიტორიო დე სიკა. სხვათა შორის, ეს რეჟისორი ჩემს მშობლებსაც ძალიან უყვარდათ. ერთხელ ვიტორიომ მისი გენიალური ფილმისთვის გიარდინო დეი ინზი ჩონტინი სინჯების გავლა შემომთავაზა. საბოლოოდ ფილმში არ ამიყვანეს, მაგრამ დღემდე დე სიკას მადლიერი ვარ, რადგან მან ჩემი სინჯები ნახა. მე როსელინის ფილმებსა და ფრანგულ კინემატოგრაფზე გავიზარდე. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით აღმოსავლეთევროპელ რეჟისორებს და რუსულ ლიტერატურას!

სპექტაკლები, რომლებიც მაფიას ეძღვნება...

— უახლოეს ხანებში სტუდენტებთან სპექტაკლის დასადგმელად აბრუცოში მივემგზავრები. გასულ წელს სპექტაკლი კალაბრიაში დავდგით. ეს სპექტაკლები მაფიას ეძღვნება. უნდა ითქვას, რომ მთელი ცხოვრება პოლიციელად დავრჩი — ჯერ რეალურ ცხოვრებაში, შემდეგ კი — კინოში.

გეგმები...

— ამჟამად სპექტაკლის გარდა სიუჟეტზე ვმუშაობ, რომელიც 70-იანი წლების ცნობილ განგსტერს ეძღვნება. თუ ყველაფერი მოწესრიგდა, გადაღებებს ნოემბერში დავიწყებთ.

■

ანა კურნიკოვა და ენრიკე იგლესიასი ქორწილისთვის ემზადებიან

რუსმა ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ და ესპანელმა მომღერალმა ენრიკე იგლესიასმა ქორწილისთვის მზადება დაიწყეს. ამ დღეებში წყვილი პარიზში ელისეს მინდვრებზე მდებარე Cartier-ს მაღაზიაში შენიშნეს. 34 წლის ენრიკემ და 28 წლის ანამ საიუველირო მაღაზიაში 40 წუთი დაყვეს და იქიდან ამაღლებული განწყობილებით აღვსილნი გამოვიდნენ.

წყვილს, რომლის ურთიერთობა 8 წლის წინ დაიწყო, მომავალი ქორწილის შესახებ ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია, მაგრამ ამას წინათ გავრცელებული ცნობის შემდეგ, რომელიც ანას ორსულობას შეეხება, ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ეს ღირსშესანიშნავი დღე მალე დადგება! 2004 წელს ჭორი გავრცელდა, რომ წყვილმა მექსიკაში საიდუმლოდ იქორწინა. პაპარაცებმა ანა კურნიკოვას ფოტოსურათიც კი გადაუღეს, რომელზეც ჩოგბურთელს თითზე ნიშნობის ბეჭედი ეკეთა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. გასული წლის აპრილში მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში ანამ ჟურნალისტებს განუცხადა — „მე არასდროს გავთხოვდები“. რამდენიმე დღის შემდეგ, იმავე შეკითხვაზე ენრიკემ უპასუხა, რომ ანაზე დაქორწინების წინააღმდეგი არ იქნებოდა და რომ მან ამის შესახებ სიმღერაც კი დაწერა! მაგრამ 2009 წლის დასაწყისში განაცხადა, რომ ის ქორწილისთვის ჯერ მზად არ არის. „ახლა ჩემს ცხოვრებაში ისეთი პერიოდი დადგა, რომ დაქორწინების არანაირი სურვილი არ მაქვს. არ მგონია, რომ ჩემს ასაკში დაოჯახებაზე უნდა ვიფიქრო; მაგრამ თუ შვილები გაგვიჩნდებიან, ეს სულ სხვა საქმე იქნება“, — განაცხადა სანიმუშო კათოლიკემ და ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ სწორედ ასეც მოხდა! ■

ტეილორ სვიფტი ბოიფრენდს ეძებს

ნორჩი მომღერალი ტეილორ სვიფტი მარტოობით იტანჯება. კაცმა რომ თქვას, იგი მამაკაცის გარეშეც მშვენივრად გრძნობს თავს, რადგან მთელ თავისუფალ დროს მუსიკას უთმობს, მაგრამ ამომავალი ვარსკვლავი ფიქრობს, რომ თავბრუდამხვევი სიყვარული მას ახალ განცდებს მოუტანდა, მის შემოქმედებას კი შთაგონების ახალ წყაროს შემატებდა. „მუდამ მარტოობა მსურდა, რადგან სერიოზული ურთიერთობის დამყარებაში მუსიკა ხელს მიშლიდა. ჩემს ცხოვრებაში ვინმე რომ გამოჩენილიყო, შესაძლოა, სხვაგვარად მეფიქრა. ახლა კი მინდა, ვინმე შემიყვარდეს, სიყვარულისგან თავი დავკარგო და ამის შესახებ სიმღერა დავწერო!“ -— გულწრფელად აღიარებს ტეილორ სვიფტი.

როგორც ცნობილია, რამდენიმე ხნის წინ 19 წლის მომღერალი ჯგუფის ჯონას როტჰერეს ვარსკვლავ ჯონ ჯონასს ხვდებოდა, მაგრამ ახალგაზრდები რატომღაც ერთმანეთს დაშორდნენ. ასე რომ, MTV Video music Awards-ის ჯილდოს მფლობელი წარმატებული მომღერალი ახლა ბოიფრენდს ეძებს. ■

კეიტ ბეკინსეილი – მსოფლიოს ყველაზე სექსუალური ქალი

ჟურნალმა Esquire კეიტ ბეკინსეილი მსოფლიოში ყველაზე სექსუალურ ქალად აღიარა. 36 წლის ვარსკვლავმა ყველა კონკურენტი დაამარცხა და ტიტული Sexiest Woman Alive დაიმსახურა. გასულ წელს შოუბიზნესის ყველაზე სექსუალურ წარმომადგენლად ჰოლი ბერი იყო აღიარებული, რომელმაც წელს გამარჯვებულის გვირგვინი ბეკინსეილს გადასცა. თავად კეიტი ფიქრობს, რომ ამას თავისი ოთხი ძმის წყალობით ვერც იგრძნობს. ამასთან, მიაჩნია, რომ ჯერჯერობით ახალ ტიტულს ვერაფრით ამართლებს... ■

პამელა ანდერსონი – უხვი ფორმები, არავითარი გემოვნება

პამელა ანდერსონი უკვე მერამდენედ, „ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულ ცნობილ ადამიანთა“ სიის სათავეში მოექცა. ამჯერად მსახიობი არცთუ სასახელო ტიტულით ჰოლივუდის მთავარი „სტილური“ პრემიის — Hollywood Style Awards გადაცემის ცერემონიაზე დააჯილდოეს. ჟიურის სასტიკად არ მოეწონა ვივიენ ვესტვუდის შეკერილი წითელი კაბა, რომლის უკანა კალთას პამელა წითელ ხალიჩაზე მიათრევდა, სამაგიეროდ, წინიდან იმდენად მოკლე იყო, რომ მსახიობის საცვლებს ძლივს ფარავდა. ამოჭრილ გულსა და ზორბა მკერდს კი — როგორც ყოველთვის, ტუალეტი ავსებდა... პამელა ანდერსონის გარდა, ცერემონიას მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი კიმ კარდაშიანიც ესწრებოდა. იქვე მეგობარ მამაკაცთან ერთად კელი ოსბორნიც იყო. სხვათა შორის, კელიმ „ყველაზე გემოვნებით ჩაცმული ვარსკვლავის“ წოდება დაიმსახურა, რისთვისაც მან მსაჯებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ეს ტიტული მისთვის „დიდი პატივია“. ■

ცხოვრება

სატელეფონო რეკლამების ბუმი ანუ ჭუუუ... ჭუუუ.... ჭუუუ...

არ ვიცი, თქვენც შენიშნეთ თუ არა, მაგრამ აშკარაა, რომ ამ ბოლო დროს სატელეფონო რეკლამა გახშირდა. დაგირეკავენ სახლში და ხან რას გთავაზობენ, ხან — რას. როგორც ჩანს, კრიზისის პირობებში ყველაზე იაფი სწორედ ასეთი რეკლამა ჯდება და ყოველდღე ხან ტურისტული ფირმა ბურღავს ტვინს, — აქეთ მობრძანდი, ბატონო, კანარის კუნძულებზე დაისვენე და ისიამოვნეო (ფული თქვი, თორემ მე კი ვიცი, სად უნდა დავისვენო და — როგორ), ხან — სამშენებლო ფირმა, — ვატარებთ რემონტს იაფად და ხარისხიანადო, ხან — ბაზრობის დირექცია სავაჭრო ფართს გთავაზობს და ხანაც რესტორანი — კარგ საქეიფო პირობებს...

მარი ჯაფარიძე

ის იყო, შვებულებიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი, როდესაც ერთ საღამოს, საკმაოდ გვიან (უკვე 12 საათი სრულდებოდა), სახლის ტელეფონმა დარეკა. მამაკაცის ხავერდოვანი და ბუბუნა ხმა თავაზიანად მომესალმა. ვიფიქრე, არიქა, მგონი, თაყვანისმცემელი გამომიჩნდა-მეთქი! — და მეც, ხმადანაზებულმა პასუხი დავუბრუნე თუ არა, დასცხო და დასცხო... მეო, გენაცვალეო, გთავაზობთ ერთ კარგ წინადადებასო („მენდელსონის მარში“, ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი და ყვავილების თაიგული წარმომიდგა თვალწინ)... — გისმენთ, ბატონო-მეთქი, — უფრო კეკლუცი გავხდი. — ქალაქში ახალი ავეჯის სალონი გაიხსნა, ასეთი და ასეთი დივან-„კრესლოები“ გვაქვს, მაგარი კარადები, კომპიუტერის მაგიდები, „უგალოკები“ (ძალიან ბევრი რამ ჩამოთვალა) და ეს ყველაფერი ძალიან იაფადო. მერე ამას მისამართი, სამუშაო დღეები და საათები მოაყოლა და გაჩუმდა. — კი, მაგრამ ჩემგან რა გინდათ-მეთქი? — როგორც წესი, სარეკლამო აგენტები ამ ტექსტის შემდეგ თავაზიანად გემშვიდობებიან, ეს კი ჩემგან პასუხს ელოდა. — თხოვნა მაქვს, აუცილებლად მობრძანდით და დაგვათვალიერეთო. შევპირდი, რომ მივიდოდი და, რაღა თქმა უნდა, იქვე მიმავიწყდა რეკლამაც და ავეჯის სალონიც. მაგრამ ნუუურას უკაცრავად, ვინ მოგცა დავიწყების საშუალება?! მეორე საღამოს ისევ დარეკა „ნაცნობმა“ მამაკაცმა და ისევ იგივე ტექსტი ჩამოარაკრაკა. ბოლოს კვლავ თხოვნა მოაყოლა. მეც ისევ შევპირდი. ასე გაგრძელდა მთელი კვირის განმავლობაში. საბოლოოდ, იმდენჯერ დარეკა, რომ შემრცხვა, მრავალჯერ მიცემულ პირობას რომ არ ვასრულებდი და მითითებულ მისამართზე მდებარე ავეჯის სალონს მივადექი. დავათვალიერე და წამოვედი. რაც ყველაზე მეტად დამამახსოვრდა, ეს დიდი გარდერობი გახლდათ, რომელიც ისეთი ზომის იყო, თბილისის მერისთვის რომ დამერეკა და მეთხოვა, ძველი მეგობრობის ხათრით, სადმე, ქალაქის ცენტრში გარდერობი ჩამადგმევინე-მეთქი, — ალბათ, სამოთახიანი ბინა გამომივიდოდა და ვიცხოვრებდი ტკბილად და ბედნიერად... ვინაიდან დანაპირები პირნათლად შევასრულე, იმ საღამოს სინდისდამშვიდებული ვიჯექი კომპიუტერთან და ვმუშაობდი, როცა „ნაცნობმა რეკლამამ“ ისევ დარეკა. დაიწყო თუ არა ჩემთვის კარგად ნაცნობი ტექსტი, შევაწყვეტინე და მოვახსენე: უკვე ვიყავი, ბატონო, დაგათვალიერეთ და ვნახე, რაც სანახავი იყო, ჩემი ტელეფონის ნომრის გასწვრივ პლუსი მიუწერეთ და აღარ დამირეკოთ-მეთქი. შემდეგ საღამოს ისევ დარეკა... უკვე ისე გავბრაზდი, ეს „რეკლამა“ იქვე, ახლოს რომ ყოფილიყო, სიამოვნებით დავახრჩობდი. ის კი მშვიდი ხმით, გაზეპირებულ ტექსტს უკვე ამთავრებდა და „ერთი თხოვნა მქვს“-მდე იყო მისული.

— ერთი ეს მითხარით, იმ თქვენს ავეჯის სალონში დიდი გარდერობი რომ დგას, გასაყიდია, ხომ? — ვკითხე სერიოზული ხმით.

— დიახ, გასაყიდია, — გამოცოცხლდა „რეკლამა“.

— თუ შეგიძლიათ, მითხრათ, რამდენი კაცი ეტევა შიგ?

„რეკლამა“ საეჭვოდ გაჩუმდა (მგონი, ბედი დავკარგე...) და ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო:

— ეგ გარდერობი საკმაოდ დიდია. შესაძლოა, 5 კაცი, გაჭირვებით — ექვსიც ჩაეტიოს.

— მე გეკითხებით, რამდენი კაცი ჩაეტევა თქვენს კარადაში, თუ მათ ტომრებით შევინახავ?

ყურმილი დაკიდა და ამის შემდეგ აღარ შეუხსენებია თავი.

სამაგიეროდ, ერთ-ერთი საკრედიტო დაწესებულება გააქტიურდა. პირველად, მთელი სერიოზულობით დავინტერესდი, რა პირობებს მთავაზობდა.

აღმოჩნდა, რომ კერძო ფირმა მოწადინებული (თან — ძალიან) იყო იმით, რომ ჩემი მატერიალური პრობლემების მოგვარებაში შეეტანა წვლილი. ფულს გასესხებთ, თქვენ კი ბიზნესში ჩადებთ და მოგებას ნახავთ; მერე იმ მოგებიდან ჩვენთანაც მოიტანთ წილს და ჩვენც კარგად ვიქნებით და თქვენცო... — ეს „წილი“ რამდენია-მეთქი? — რამდენი და ამდენიო, — და ისეთი ციფრი დაასახელა, ლამის გული გამიჩერდა და ყველა იმედი, ჩემი ბიზნესის აყვავებისა და გაფურჩქვნისა, წყალში ჩამეყარა. — უკაცრავად, მაგრამ თქვენ საგადასახადოდან ხომ არ რეკავთ-მეთქი? — რას კადრულობთ, ქალბატონო?! ჩვენ ხომ თქვენთვის შეურაცხყოფა არ მოგვიყენებია(?!), ჩვენ წესიერი დაწესებულება ვართ და არა — საგადასახადოო. ბოდიში მოვუხადე ჩემი „ცუდი“ საქციელისთვის და დავემშვიდობე, მაგრამ როგორც ჩანს, იგრძნეს, რომ რაღაც ინტერესი მათ მიმართ გამიჩნდა და ამის შემდეგ, დღეში სამჯერ მაინც მირეკავდნენ. ბოლოს, მომბეზრდა ამდენი ჩიჩინი და ვუთხარი:

— იცით, მე მართლა მაინტერესებს თქვენი პირობები, ვინაიდან სულ ახლახან ჩემი ფირმა გაკოტრდა, ჩემი ბიზნესი ჩაიძირა და ახლა ნამდვილად მჭირდება მატერიალური მხარდაჭერა...

— ტუუუ... ტუუუ.... ტუუუ...

ამის შემდეგ აღარ დაურეკავთ...

მახსოვს, გაზაფხულზე ერთ-ერთი ფირმა აქტიურობდა. წარამარა მირეკავდნენ მობილურზე და მეხვეწებოდნენ, ჩვენი მტვერსასრუტით მოვალთ, ხალიჩებს გაგიწმენდთ, მტვერს გავაქრობთ, გიჩვენებთ, რა შესაძლებლობები აქვს ჩვენს დანადგარს და თუ მოგეწონებათ, შემდეგ იყიდეთო... ფასი რომ ვიკითხე, კარგად მახსოვს, ელდა მეცა და ენა ჩამივარდა... როგორც ჩანს, „რეკლამა“ მიხვდა, რომ მეძვირა მათი „ჯადოსნური“ მტვერსასრუტი და უცებ დაამატა, — ნისიადაც შეიძლება ყიდვაო... მაგრამ თანხა იმხელა იყო, ნისიად ყიდვის შემთხვევაში, ერთ თვეში გადასახდელით 3 „არაჯადოსნურ“ მტვერსასრუტს ვიყიდდი. ზრდილობიანი უარი ვუთხარი და დავემშვიდობე. მაგრამ დღე ერთი იყო და რამდენიმე ადამიანი მირეკავდა, — გინდა თუ არა, ჩვენი „პილესოსით“, „აქედან ყველა შენთან მოვდივართო“...

დავიღალე ამდენი უარის თქმით... ბოლოს, კიდევ ერთმა რომ დარეკა, ვკითხე: თქვენი მტვერსასრუტი ხალიჩებსაც წმენდს-მეთქი? — დიახო. — სისხლის ლაქებს თუ ამოიღებს-მეთქი? — არ ვიცი, ვიკითხავო, — დაიბნა მამაკაცი... ვერც უარი მითხრა, რადგან მანამდე ქებით ძირი გააგდებინა მტვერსასრუტს: სასწაულებს სჩადის, ყველაფერს წმენდს და აპრიალებსო და ახლა როგორია იმის თქმა, რომ თურმე სისხლის ლაქებს არ იღებს?!. ვიღაცას ჰკითხა, მერე „დაბრუნდა“ და მითხრა: კი, როგორ არა, ყველაფერს წმენდსო... ადამიანის სისხლსაც-მეთქი?.. — სისხლი — სისხლიაო... — მტვერსასრუტის რეკლამას რომ აკეთებს, იმ ადამიანის სისხლსაც-მეთქი?..

— ტუუუ... ტუუუ... ტუუუ...

როგორც იქნა, დამანებეს თავი მტვერსასრუტის გამყიდველებმა. მაგრამ ახალი „ჭირი“ გადამეკიდა.

— ალო, გამარჯობა, გენაცვალე! — კარგი ნაცნობივით მომესალმა ვიღაც, როცა ტელეფონის ზარს ვუპასუხე.

— გაგიმარჯოს!

— ქალაქში ახალი კომპიუტერების მაღაზია გაიხსნა...

— სასიამოვნოა, გილოცავთ! — უკვე ისე მივეჩვიე სატელეფონო „რეკლამშიკებს“, რომ ლამის ოჯახის წევრებად მივიჩნევ და გულით გამიხარდა, რომ მაღაზია გაუხსნიათ.

— გმადლობთ, გენაცვალე!

და ამის შემდეგ, კომპიუტერის ნაწილებისა და ფასების ჩამოთვლა

დაიწყო... მეც მშვიდად ვუსმენდი, ხანდახან თუ ჩავიბურტყუნებდი, — უჰუ... ვაააა... კარგია... კიდევ? — მაინტერესებდა, როდემდე ეყოფოდა ნებისყოფა. გაუძლო... ბოლომდე გაუძლო, დალოცვილმა, და მხოლოდ მაშინ დამემშვიდობა, როდესაც მთელი ტექსტი დაასრულა. ამით რა თქმა უნდა, არ დამთავრებულა ჩემი და კომპიუტერების მაღაზიის „რეკლამის“ ურთიერთობა: მომდევნო დღეს ისევ დამირეკეს და მანამდე მელაპარაკნენ, ვიდრე ფასები ზეპირად არ დავისწავლე.

— ხომ მოხვალთ ჩვენთან? — ჩამეკითხა ბოლოს.

— მე-ე? — ისე გავიკვირვე, თითქოს აქამდე სხვას ელაპარაკებოდა.

— დიახ, თქვენ, გენაცვალე...

— კი, მოვალ, მაგრამ — ერთი პირობით.

— გისმენთ... კლიენტის პირობები ჩვენთვის კანონია.

— ჰოდა, აგაშენათ ღმერთმა! რადგან კანონია, მაშინ უარსაც ვერ მეტყვით.

— თქვით, რა გინდათ...

— ცოლად არ შემირთავთ? შევქმნათ მტკიცე, ძლიერი, ტრადიციული („მობილი-ზაციაში“ გამოქვეყნებული განცხადებებიდან „ვისესხე“) ოჯახი და ბევრი შვილიც ვაჩუქოთ ქვეყანას...

დუმილი...

— იცით, მე ცოლი უკვე მყავს... — როგორც იქნა, ხმა ამოიღო; აშკარა იყო, უარს მეუბნებოდა...

— ჰოდა, შე დალოცვილო, მეც მაქვს უკვე ერთი კომპიუტერი სახლში, ერთი — სამსახურში, ერთიც — ჩემს კერძო ოფისში და რა გამიწყალეთ გული ამ თქვენი რეკლამით?!

— დარწმუნებული ვარ, რომ გექნებათ, ქალბატონო, მაგრამ მწყობრიდან რომ გამოვიდეს, ხომ უნდა იცოდეთ, სად უნდა მიხვიდეთ ახალი კომპიუტერისთვის!

— კარგი, დავიმახსოვრებ, მაგრამ იქნებ ცოლთან ურთიერთობაც „გამოვიდეს მწყობრიდან“ და ყოველი შემთხვევისთვის, ჩემი ნომერი დაიმახსოვრეთ...

— ტუუუ... ტუუუ... ტუუუ...

კიდევ ერთი „ტუუუ... ტუუუ“ მოვისმინე და გულიანად ვიცინე.

მაგრამ ჩემი მშვიდი ცხოვრება დიდხანს არც ამჯერად გაგრძელებულა.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მომესალმა მამაკაცის ხავერდოვანი ხმა.

— ააალლლოოო, — ზუსტად ასე გააგრძელა ეს სამასოიანი სიტყვა.

— ბატონო? — ჩემი „ექვსასოიანი“ გაცილებით მოკლედ ჟღერდა.

— ინტერნეტი გااააქვთ?

— დიახ.

— შედიხართ ხოლმე? — მაგარი კითხვაა, ვერაფერს იტყვი.

— კი, აბა, რა...

— როგორ შედიხართ ხოლმე?

— როგორ და — ფლოსტებით („შენი დედა ვატირე!" — ეს 3 სიტყვა მხოლოდ გულში გავიფიქრე)... მართალია, ხანდახან „ვიკარგები", მაგრამ მაინც არ ვიშლი ჩემსას და შევდივარ, — გამახსენდა, სვანი რომ ვარ და ანეკდოტი მოვიშველიე (სვანი ინტერნეტში რომ დაიკარგა), რადგან აშკარად ხუმრობის გუნებაზე დამაყენა ამ „რეკლამამ".

— ხუმრობა კარგია, მაგრამ მე მინდა, ერთი პროგრამის დაყენება შემოგთავაზოთ, რომლის საშუალებითაც უპრობლემოდ შეხვალთ ინტერნეტში ნებისმიერ საიტზე.

— იცით, ახლა ძალიან დაკავებული ვარ, — იმედი მაინც არ გავუცრუე „რეკლამას", — ტელეფონის ნომერი დამიტოვეთ და დაგირეკავთ.

— ნომერს ვერ დაგიტოვებთ, ამის უფლება არ მაქვს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ათასი ადამიანი დარეკავს სამუშაო საათებში, გულს შემიწუხებს და მომაცდენს.

— რას მეუბნებით?! მაშასადამე, ახლა ხვდებით, მე რას ვგრძნობ, როცა თქვენ მირეკავთ, არა?..

— ტუუუ... ტუუუ... ტუუუ...

დავასრულე „სიტუაციაზე" მუშაობა და ახლა, წესით, რეზიუმე უნდა გავაკეთო... ვფიქრობ, რა ვთქვა... მაგრამ ამ სარეკლამო „მოძალადეების" მისამართით მხოლოდ ისეთი სიტყვები მომდის თავში, რომლებიც ცენზურას არ ექვემდებარება... ამიტომ, რეკლამასთან დაკავშირებულ ერთ ნამდვილ ამბავს გავიხსენებ:

რამდენიმე წლის წინ თელ-ავივში, 3 თვის განმავლობაში, ავტოავარიების შედეგად, 500 ადამიანზე მეტი დაიღუპა. ქალაქის მუნიციპალიტეტმა სარეკლამო ბილბორდებზე შემდეგი შინაარსის „მესიჯი" განათავსა: „გამოკვლევების თანახმად, საგზაო საავარიო შემთხვევების უმეტესობა იმ მამაკაცებზე მოდის, რომლებსაც პატარა პენისები აქვთ". ამბობენ, ამის შემდეგ ავარიების რიცხვი 8-ჯერ შემცირდაო. ჰოდა, რატომ არ გამოვიყენო ეს ხერხი სარეკლამო აგენტების წინააღმდეგ (მით უმეტეს, რომ სულ მამაკაცები რეკავენ) იმისათვის, რომ მათი რიცხვიც შემცირდეს?.. მაშ ასე: „გამოკვლევების თანახმად დადგინდა, რომ სარეკლამო აგენტების უმეტესობას ის მამაკაცები წარმოადგენენ, ვისაც..."

■

„ეს გრძნობა მაცოცხლებს და სიკეთით მავსებს"

თავიდან, როცა „კვირის პალიტრაში" რუბრიკა — „თქვენთვის, ქალბატონებო!" — გაჩნდა, ძირითადად, მანდილოსნები მეხმიანებოდნენ. მინდოდა, რუბრიკაში, რომელიც ცხოვრებისეულ ამბებს ეთმობა, მამაკაცებიც ჩაბმულიყვნენ, ამიტომ მოვძებნე ნაცნობი, რომელსაც დიდი სიყვარული განეცადა და მასთან ინტერვიუ ჩავწერე... ჩემი მოლოდინი მალე გამართლდა: მამაკაცის გულახდილმა ინტერვიუმ სასაუბროდ სხვებიც განაწყო და შემდგომში ძლიერი სქესის წარმომადგენელთა რიცხვმა ქალებსაც კი გადააჭარბა.

ბატონი დავითიც ერთ-ერთი მკითხველთაგანია, რომელსაც კარგად ახსოვდა ჩემი პირველი რესპონდენტი მამაკაცი. ჯერ წერილი მომწერა და მითხრა, — იმ კაცმა გადამაწყვეტინა თქვენთან დაკავშირება. წერილობით მიამბო თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდზე, თან დამპირდა: თუ დაგაინტერესებთ, სპეციალურად ჩამოვალ თბილისში, შეგხვდებით და კიდევ ბევრ რამეს მოგიყვებითო („იცით, რა მაგიური ძალა ჰქონდა ამ სიტყვებს?!" — „კვირის პალიტრა", 2007 წ. 10 სექტემბერი).

მარინა გაგუნაშვილი

ამბავი პირველი „უიმედოებისგან თვითმკვლელობაც კი ვცადე"

ბატონი დავითი მართლაც, ჩამოვიდა თბილისში და რედაქციაში მეწვია. მისი ცხოვრების დეტალებიც მოგვიანებით გავიგე, თუმცა ამ ქვეთავში ჯერ იმ წერილის შინაარსს გაგაცნობთ, რომელიც მან მომწერა...

ამონარიდი წერილიდან: „ადრე დავოჯახდი. ჯარიდან დავბრუნდი თუ არა, გოგოს, რომელიც დანახვისთანავე მომეწონა, ხელი ვტაცე და ცოლად შევირთე. გამიმართლა. ნელი კარგი ადამიანი აღმოჩნდა. მერე შვილიც შეგვეძინა. ტკბილი ოჯახი მქონდა. მე ვშრომობდი, ნელი ოჯახს უვლიდა... მერე კიდევ ორი შვილი გვეყოლა; დრო გადიოდა და ვხვდებოდი — ნელისადმი გრძნობა არ ჰგავდა იმ სიყვარულს, რომელიც წარმომედგინა, რომელზედაც ვოცნებობდი და ღამაზ და რომანტიკულ ფილმში მინახავს... სულის სიღრმეში დანანებით ვფიქრობდი, — ნუთუ ისე უნდა წავიდე ამქვეყნიდან, რომ ვერ გამოვცადო, რა არის დიდი სიყვარული-მეთქი?.. 40-ს რომ მივუკაკუნე, ხელი ჩავიქნიე: რაღა დროს ამაზე ოცნებაა? სადაცაა, უფროსი ქალიშვილი გამითხოვდება და ბაბუაც გავხდები-მეთქი!.. მერე ერთი მსხვილი საქმე ჩამივარდა, ბიზნესი უკან-უკან წავიდა, უზარმაზარი ვალი დამედო, კინაღამ გავგიჟდი. ცოლ-შვილი მშიერ-მწყურვალი მყავდა. არაფრის იმედი აღარ მქონდა. მერე, სრულიად უაზროდ დავიწყე უცნობ ნომრებზე მესიჯების გაგზავნა. ეს ალბათ სიგიჟე იყო. უმრავლესობა არ მპასუხობდა, ზოგიც უხეშად და ცივად მიცილებდა თავიდან ან მლანძღავდა. ერთხელაც, როცა ახალ ნომერზე სასოწარკვეთილი მესიჯი გავაგზავნე, დამამშვიდებელი პასუხი მივიღე. ვიღაც ღვთისნიერი მაწყნარებდა: „გულს ნუ გაიტეხთ, ეცადეთ, გაუძლოთ. მერწმუნეთ, ყველაფერი კარგად იქნება".

დათო არ ელოდა ასეთ თბილ და იმედიან სიტყვებს — მას ხომ ახლობლები და ნათესავები არ ამოუდგნენ მხარში, მორალურადაც კი არ გაამხნევეს. ეს უცნობი ადამიანი კი კეთილ სიტყვებს არ იშურებდა. ორი დღის შემდეგ დათომ მესიჯი მიიღო, — როგორ ხართ, ცოტა ხომ დამშვიდდითო? დათოს სურვილი გაუჩნდა, ამ „უცნობი ახლობლისთვის" (ასე დაარქვა) თავის ცხოვრებაზე მოეთხრო... კვლავ თბილი და ადამიანური რჩევა მიიღო. „უცნობი ახლობელი" დათოზე 2 წლით უფროსი ქალბატონი აღმოჩნდა, მაიკო, რომელსაც 17 წლის ვაჟი ჰყავდა, ქმართან კი გაცილებული იყო.

იმ დღიდან მათ შორის ურთიერთობა გაიბა და დღე არ გავიდოდა, ერთმანეთს არ შეხმიანებოდნენ. დათოსთვის მაიკო ერთგვარ სტიმულად იქცა. ამ ქალმა ისეთი ენერგიით აავსო, შეუძლებელი შეაძლებინა: დათო დიდ საქმეს ხელახლა შეეჭიდა და გამოუვიდა კიდეც. გარკვეული ხნის შემდეგ ვალიც გაისტუმრა და როგორც იქნა, ამოისუნთქა. ნანატრი სიმშვიდე რომ მოიპოვა, მერეღა გააცნობიერა — მაიკო სიგიჟემდე უყვარდა...

ამონარიდი წერილიდან: „... ეს ის გრძნობა იყო, რომელიც მანამდე არასოდეს განმიცდია. უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი. გამიგონია, კაცები გულგრილები ხდებიან ცოლ-შვილის

(განსაკუთრებით, მეუღლის) მიმართ, როცა სხვა ქალი შეუყვარდებათო. მე კი მაიკოსადმი გრძნობამ იმხელა ძალა შემმატა, ოჯახი ფეხზეც წამოვაყენე და სურვილი გამიჩნდა, უფრო მეტი სითბო და ყურადღება გამომეჩინა ნელის მიმართ. ჩემი ცოლი გახარებული იყო და უკვირდა ჩემი ასეთი ცვლილება... პატარა ბიჭივით ველოდი მაიას შექებას. როცა ვეტყოდი, — დღეს ეს გავაკეთე, ხვალ კი იმას ვაპირებ-მეთქი, — მაშინვე მომაგებებდა, — ყოჩაღ, დათო! ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ შენ ამას შეძლებდიო. იცით, რა მაგიური ძალა ჰქონდა ამ სიტყვებს!“

მათ ურთიერთობას ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა: 7-თვიანი სატელეფონო საუბრები თბილისში შეხვედრით დაგვირგვინდა.

ამგავი მეორე დაუსრულებელი რომანი

როდესაც დათო რედაქციაში მესტურა, მისი და მაიკოს რომანი უკვე ზენიტში იყო...

დათო:

— მაიკოს გვერდით ბედნიერი ვარ. მან არა მარტო სიყვარული მაჩუქა, არამედ სიცოცხლის სურვილი და ხალისი დამიბრუნა, არადა, გარკვეული დროის განმავლობაში, დეპრესიაში ვიყავი. ჩვენი ურთიერთობის პირველ პერიოდში ვერაფერს, გარდა ბედნიერებისა, ვერ ვგრძნობდი. როცა ჩემი ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, მერეღა გავიაზრე, რომ ასე თუ ისე, ნელის ვღალატობდი.

— თქვენი და მაიკოს შეხვედრა სად შედგა?

— მე ხომ ბათუმელი ვარ; მაიკო თბილისში ცხოვრობს. ვთხოვე: ძალიან მინდა შენი ნახვა და ნება მომეცი, ჩამოვიდე-მეთქი. შეხვედრის დღეზე შევთანხმდით. ავტობუსი თბილისში რომ შემოვიდა, გული ლამის საგულედან ამომივარდა. ამხელა კაცი ვარ და მსგავსი განცდა ბიჭობაშიც არ მქონია... მაიკო ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, როგორიც წარმომედგინა... ვისხედით კაფეში და ერთმანეთს თვალებში მივჩერებოდით. გვინდოდა, მთავარი სათქმელი თვალებით გვეთქვა...

— მაგრამ ვერაფერი უთხარით ერთმანეთს?..

— ვერა. პირველი შეხვედრა ურთიერთშეჩვევა უფრო იყო, ვიდრე გულის დაცლისა და გრძნობის გამჟღავნების პაემანი... საღამომდე ასე ვისხედით. ვსაუბრობდით ლიტერატურაზე, მხატვრობაზე, ბოლო ხანს ნანახ ფილმებზე... წამოსვლის წინ ვერ მოვითმინე და გულში ჩავიკარი. მაიკო ძალიან დაძაბული იყო. დავპირდი, მალე ჩამოვალ და დიდხანს დავრჩები-მეთქი. გზაში სულ მასზე ვფიქრობდი... მახინჯაურთან ავტობუსი გაფუჭდა. მძღოლმა თქვა, ერთ საათში გაკეთდება და წავალთო. აღარ დავუცადე. მარტო ყოფნა მინდოდა და ფეხით წასვლა გადავწყვიტე. ემოციებით ისეთი დატვირთული ვიყავი, დაღლას ვერც ვგრძნობდი... უკუნეთი სიბნელე იყო. მერე წვიმა წამოვიდა; სანამ სახლამდე მივაღწიე, ერთიანად დავსველდი. ცოლ-შვილი სოფელში მყავდა გაშვებული. საწოლზე დავემხე და ამ სველი ტანსაცმლით ისე დამათენდა, ვერც ვიგრძენი.

— თქვენი ურთიერთობა დღემდე გრძელდება?

— ჩვენი ურთიერობა გრძელდება და არც არასოდეს დამთავრდება. მაიკო ჩემთვის ყველაფერია. ერთხანს, ცოლთან მართალი რომ ვყოფილიყავი, გადავწყვიტე, მისთვის სიმართლე მეთქვა და ოჯახიდან წამოვსულიყავი, მაგრამ მაიკომ კატეგორიულად მითხრა: თუ ოჯახს დაანგრევ, მეც დამკარგავო. კარგა ხანს თავგზაარეული დავდიოდი. მერე, ერთ ჩემს მეგობარს (ეკლესიური ადამიანია და ჩემთვის მისი აზრი მნიშვნელოვანია) მოვუყევი ყველაფერი. განცვიფრებული მისმენდა; აშკარად, არ ელოდა ჩემგან ასეთ რამეს, — მე ხომ „ოჯახის მუჭუჭს“ მეძახდა ყველა!.. საბოლოო განაჩენივით ველოდი მის პასუხს. მან კი ეს მითხრა: ვიცი, არა ხარ მექალთანე; რახან სიყვარული გეწვია, ძნელია, ჩიჩინი დაგიწყო, სამარცხვინოდ იქცევი-მეთქი; გიყვარდეს, თუკი ეს გრძნობა ზიანს არ მიაყენებს ამდენი წლის ოჯახსო... თავისუფლად ამოვისუნთქე... ვინ იცის, ახლა ჩემზე თქვენც ფიქრობთ, — ამხელა კაცი სიყვარულმა ისე გამოაშტერა, რომ ჟურნალისტთან თავის გრძნობებზე ლაპარაკობსო!..

— არა, შეყვარებულ კაცს გამოშტერებულს ნამდვილად, ვერ ვუწოდებ; თუმცა თქვენს ცხოვრებას მაინც ორპირი ჰქვია და არც ისე ადვილი უნდა იყოს...

— მერე ვინ ამბობს, რომ ცხოვრება მეიოლება?! გული მკარნახობს, რომ მაიკოსთან უნდა ვიყო, გონება კი უკან მქაჩავს: მერე, ნელის რა ეშველება-მეთქი?!

— და მართლაც, როგორ ფიქრობთ — თუ ოჯახიდან წამოხვალთ, ნელის ან შვილებს რა ეშველებათ?

— თავიდან ალბათ შოკს მიიღებენ, მერე კი... ადამიანი ახლობლის სიკვდილს ეჩვევა და ჩემს წამოსვლასაც შეეგუებიან... მაგრამ მე წამოსვლა არ შემიძლია!

— რატომ? იმიტომ, რომ მაიკო არ მიგიღებთ?

— პირველად ამიტომაც შევიკავე თავი: მაიკომ კატეგორიულად მითხრა, — ოჯახს არ დაგანგრევინებო. მერე თვითონაც მივხვდი — ვერ შევძლებდი მაიკოსთან ბედნიერად ცხოვრებას, როცა მეცოდინებოდა ნელისა და შვილების დარდის ამბავი. ასე რომ, ორპირი ცხოვრების ტკივილი ვარჩიე.

— ხშირად, როცა რესპონდენტის თხოვნით, მის ნამდვილ სახელს ვცვლი (და ზოჯერ ფაქტებსაც), რათა ახლობლებმა არ ამოიცნონ, მოგვიანებით მეუბნებიან: ბევრი მიხვდა, რომ ის ინკოგნიტო რესპონდენტი მე ვიყავიო. როგორ ფიქრობთ — ამ წერილის მიხედვით, ნელი, შვილები ან ნათესავ-მეგობრები ვერ მიხვდებიან, რომ თქვენ ხართ?

— არა, ამის შიში ნამდვილად, არა მაქვს, რადგან ჩემნაირი ბათუმშიც და საქართველოს ნებისმიერ კუთხეშიც ბევრია... და თუ მიხვდებიან, დაე, იცოდნენ — მიყვარს ერთი ქალი, რომელიც სიცოცხლით მავსებს და რომლის არსებობაც არანაირ საშიშროებას არ უქმნის ჩემს ოჯახს...

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

სად უნდა ეძებო იდეალური მამაკაცი

და როგორ მამაკაცებს უნდა ერიდო

გრაფი თარხანი

„გრაფო, გამარჯობა. მე და ჩემი მეგობრები ხშირად ვკამათობთ საკითხზე, არსებობს თუ არა იდეალური მამაკაცი. ჩემი აზრით, არ არსებობს. ჩემი დაქალი კი ირწმუნება, რომ მისი ქმარი იდეალურია და მეორე მსგავსი სხვაგან არ არსებობს. უკვე 27 წლის ვარ და ასე თუ ისე, ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღე და მიმაჩნია, რომ ყველაზე სანდო მაინც იუმორის მქონე, ყურადღებიანი მამაკაცია. თუ შეგიძლიათ, ცოტა რამ გვითხრათ ჩემი მოსაზრების შესახებ. სწორად ვმსჯელობ თუ არა? ნანა“.

— მთავარია, როგორი კრიტერიუმით ხელმძღვანელობ, როდესაც მამაკაცს ირჩევ? გაქვს შემუშავებული რაიმე წესი თუ ინტუიციით ხელმძღვანელობ? იცი თუ არა, როგორ უნდა გამოარჩიო მამაკაცი მასიდან? ვიმედოვნებ, ჩემი რეკომენდაციები გამოგადგება.

1. ლამაზი მამაკაცი

წარმოიდგინე, რომ ქუჩაში, შენ შესახვედრად, იდეალური გარეგნობის მამაკაცი მოდის — დი კაპრიოს, ტომ კრუზისა და ჯონი დეპის „კონცენტრატი“. მზად ხარ, მისი თითოეული გამოხედვა მილიონად შეაფასო, ოღონდ — იმის შემდეგ, რაც მისი „ჰოლივუდური“ ღიმილისგან „დაბრმავებულ“ თვალებში სინათლე დაგიბრუნდება... ცოტაც და დადნები, არა?.. ნუ იჩქარებ! ასეთი სილამაზის მამაკაცთან ფხიზლად უნდა იყო. ის, როგორც წესი, ქალთან ურთიერთობის დროს, „შენს ადგილს“ იკავებს: სულ მალე იძულებული გახდები, პაემანი შენ დანიშნო, ყურადღება მიაქციო და საჩუქრებიც მიუძღვნა. სავარაუდოა, რომ მან შენთან შეხვედრას ფიტნესზე წასვლა ან მასაჟისტთან ვიზიტი არჩიოს. ის თავის სილამაზეს ისე უფრთხილდება, ნებისმიერ ქალს შეშურდება. ლამაზი მამაკაცი მთელ თავისუფალ დროს საკუთარი სურვილების ასრულებაზე ზრუნვას უთმობს. ძვირად ღირებულ სალონში, რესტორანსა და წვეულებებზე დადის და ამ ყველაფრისთვის ფული შენ უნდა იხადო... სამუშაოდ დრო არ რჩება, რადგან ასეთ მამაკაცებზე დიდი მოთხოვნაა. აქედან გამომდინარე, მისგან ერთგულებასაც არ უნდა ელოდე. უყვარს, როცა მის გარშემო ერთდროულად რამდენიმე ქალბატონი ტრიალებს. ბუნებით ეგოისტია და რთულ სიტუაციაში მისგან მხარდაჭერას არ უნდა ელოდე, ხოლო თუ ბნელ ჩიხში ერთად მიმავალთ ვინმე თავს დაგესხმებათ, სირბილში ყველა რეკორდს მოხსნის...

2. ხუმარა

შესაძლოა, ერთ-ერთ წვეულებაზე ახალგაზრდა, მხიარული მამაკაცი გაგაცნონ და მთელი საღამო მასთან ერთად, მხიარულად გაატარო. ის ბევრს ლაპარაკობს და უამრავი ანეკდოტი იცის. მის გვერდით ვერც კი ამჩნევ, თუ რა სწრაფად გარბის დრო. ასეთი მამაკაცი ყოველთვის სამეგობრო წრის სული და გულია და ყველას უყვარს. მაგრამ ცხოვრება არც ისე მხიარულადაა მოწყობილი და ხშირად სდევს პრობლემები. ხუმარა მამაკაცი ამას არად დაგიდევთ. პრობლემის გადაჭრის დროს მისგან სასარგებლო რჩევას არ უნდა ელოდე. შესაძლოა, გითხრას: „ცხოვრებას ხუმრობით უნდა შეხედო“ ან „გაუღიმე ცხოვრებას და ისიც გაგიღიმებს“. ამას რომ გეტყვის, ბუნებრივია, გაგიჩნდება კითხვა: „როცა გძინავს, მაშინ მაინც თუ ხარ სერიოზული?“ საქმე ის გახლავთ, რომ მუდამ კარგ განწყობილებაზე ყოფნა გარკვეული კომპლექსის დაფარვის მცდელობაა. შესაძლოა, ეს, წარსულში გადატანილი სულიერი ტრავმა იყოს ან უბრალოდ — არასრულფასოვნების კომპლექსი. ასეთ მამაკაცთან ბრძოლა უშედეგოა, რადგან ის მაინც ხუმრობით გიპასუხებს. როდესაც მარტო რჩება, აგრესიული და ბოროტი ხდება. ამას კი ერთგვარი ახსნა აქვს: მუდმივად კარგი განწყობილების შენარჩუნებას დიდი ენერგია სჭირდება, რაც გამოფიტვას იწვევს, ამის შედეგი კი გაღიზიანება და სტრესი გახლავთ. ასე რომ, ფხიზლად იყავი, ხუმარა მამაკაცი მხოლოდ პერიოდულადაა „სასარგებლო“.

3. „ოქროს სკივრი“

პირველ პაემანზე ის ძალიან ლამაზი და ძვირად ღირებული თაიგულით ხელში მოვა. მეორეზე — ფუმფულა სათამაშოს გაჩუქებს, მესამეზე კი ოქროს სამკაულს მოგიძღვნის. ამ ყველაფერს რესტორნითა და ლიმუზინით გასეირნებით „გაამაგრებს“... ნამდვილი „ოცნების მამაკაცია“, ოღონდ მანამდე, ვიდრე შენზე მბრძანებლობას დაიწყებს. როგორც კი თავის საკუთრებად დაგიგულებს, ეს ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდება. საწადელს მიაღწევს თუ არა, ვეღარაფრით დააინტერესებ. ასეთი მამაკაცი ქალების „კოლექციას“ სწორედ იმ ხერხით „აგროვებს“, როგორითაც შენი გული მოინადირა. მისი უბის წიგნაკი იმ ქალების სატელეფონო ნომრებითაა სავსე, რომლებიც მზად არიან, მის დაძახილზე თუნდაც ანტარქტიდიდან ჩამოვიდნენ. ასეთი ქცევა განსაკუთრებით, უცხოელ მამაკაცებს ახასიათებს, მაგრამ არც ჩვენები არიან გამონაკლისი. მას ერთგვარი ჰარამხანა აქვს შექმნილი და რაც მეტი ქალია იქ „დასახლებული“, მით უფრო კმაყოფილი, თავდაჯერებული და ვაჟკაცურია.

4. ყურადღებიანი

ტირი იმის გამო, რომ შეფი უხამსად დაგელაპარაკა?.. იქნებ, საყვარელ მამაკაცთან დაშორებაა შენი ცრემლების მიზეზი?.. ამ დროს, საიდანღაც „ის“ გამოჩნდება, მოგისმენს, ცრემლს შეგიშრობს, თვალებს მოგწ-

მენდს, დილით კი შინ შემოგივლის და შენს ამბავს მოიკითხავს. ის ყველა მეგობარს სჯობია. მაგრამ გაითვალისწინე — რაც უფრო დიდია შენი მკერდის ზომა, მით მეტია მისი გზნება. ასეთი მამაკაცისგან ნუ ელი თანაგრძნობას მას შემდეგ, რაც თქვენი ურთიერთობა ინტიმურ „ჩარჩოში“ მოექცევა. თუმცა შეიძლება, ელოდე კიდეც, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ეს „ინტიმი“ მას ძალიან მოეწონება. ხშირად კამათობენ საკითხზე — შესაძლებელია თუ არა მეგობრობა ქალსა და მამაკაცს შორის. დაიმახსოვრე, რომ ასეთი კატეგორიის მამაკაცი არასოდეს გახდება მეგობარი. მეგობრის ნიღბის მიღმა ნამდვილი მხეცი იმალება. არაა გამორიცხული, ერთ მშვენიერ დღეს დაურეკო და მან პასუხად გითხრას: „აღარ დამირეკო“.

5. მელანქოლიკი

წინა ტიპის მამაკაცის სრული ანტიპოდია. ის არასოდეს დაიწყებს შენს დამშვიდებას და ნუგეშის ცემას. მასთან ურთიერთობისას, უნდა იყო მზად იმისთვის, რომ მისი დამშვიდება მოგიწევს ხოლმე, რადგან პრობლემები არა და არ ელევა. ვერც სამსახურში მოუგვარებია საქმე, მშობლებთანაც ცუდი ურთიერთობა აქვს. შენ კი, როგორც სიკეთით სავსე ადამიანმა, უნდა უშველო, ანუგეშო, თორემ შესაძლოა, თავი მოიკლას. ის დაგარწმუნებს, რომ შენ ყველაზე მაგარი ხარ — ყველაზე ლამაზი, ყველაზე კეთილი, ყველაზე მგრძნობიარე, ყველაზე ნაზი. ამასთანავე, შემოგჩივლებს, რომ სასტიკი და დესპოტი დედა ჰყავდა (ეს ფსიქოლოგიური მეთოდია, რომლის შედეგადაც, სურვილი გაგიჩნდება, ამ ქალის ადგილი დაიკავო და საუკეთესო „დედა“ იყო). ამ დროს ობობას ქსელში გახვეულ ბუზს ემსგავსები — ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ, მაგრამ შენი ვამპირი შენი ენერგიით საზრდოობს. როგორც კი თავის დახსნას დააპირებ, მკერდზე მოგეკრობა და იწუწუნებს იმაზე, თუ როგორი საცოდავია. დარწმუნებული იყავი, რომ მისთვის ეს, ხანმოკლე დეპრესია კი არა — ცხოვრების წესია. მანამ გამოგიყენებს, სანამ არ მოსწყინდები და მრავალფეროვნება არ მოენატრება. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, მისი ქმედებით შოკში ჩაგაგდოს და უეცრად დაინახო ზრდასრული, ჯანღონით სავსე მამაკაცი, რომელიც თურმე მომავალს სავსებით ფხიზელი თვალი უყურებს. მაგრამ ამ დროს თქვენი გზები უკვე გაყრილია. ის მადლობას გადაგიხდის და კარს გაიხურავს...

აი, ასეთი განსხვავებულები არიან მამაკაცები და თუ შორიდანვე მათ ამოცნობას შეძლებ, ბევრ შეცდომას აარიდებ თავს.

ყველა ქალი იდეალურ მამაკაცს ეძებს, თუნდაც გათხოვილი იყოს ან მეგობარი მამაკაცი ჰყავდეს. როგორია იდეალური მამაკაცი? საერთოდ, არსებობს კი? უმეტესობას მიაჩნია, რომ არ არსებობს. მაგრამ ეს მაინც ვერ შეგაჩერებს: დილაუთენია დგები, რომ თავს მიხედო, პომადა წაისვა — იქნებ, სწორედ დღეს შეხვდები „თეთრ ცხენზე ამხედრებულ ოცნების პრინცს“? შენს წარმოსახვაში იდეალური მამაკაცი ყოველთვის იდეალურად ჩაცმული უნდა იყოს, საუკეთესო სუნამოს სურნელს აფრქვევდეს, დახვეწილი სიტყვა-პასუხითა და მანერებით უნდა გამოირჩეოდეს. ახლა ისიც ვთქვათ — ასეთი კაცის გვერდით როგორი ქალი წარმოგვიდგენია, როგორი უნდა იყოს ის — იდეალური მამაკაცის იდეალური ქალი?.. აუჰ, ამაზე ფიქრიც კი საშინელებაა. საიდან უნდა გქონდეს იმდენი თავისუფალი დრო, რომ ასეთ დონეზე მიხედო თავს?! თუ თავს არ მიხედავ, შენი იდეალური მამაკაციც ხელიდან გაგისხლტება...

დაბოლოს, მთავარი კითხვა: როგორ უნდა მოიქცე, თუ იდეალური მამაკაცი მაინც არ შეგხვდა? მთელი ცხოვრება ძებნაში ხომ არ უნდა გაატარო?!. არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი: შეგიძლია, იდეალური მამაკაცი თავად შექმნა — ასწავლო, როგორ უნდა სვას (სასურველია, ნაკლები), ჭამოს, ჩაიცვას, მოგართვას ყვავილები, გამოიჩინოს ჯენტლმენობა... მაგრამ ახლა ისიც ვიკითხოთ — როგორ ვაქციოთ ის საყვარელ მამაკაცად? გადაკეთებით კი გადაკეთებ, გამოძერწავ, მაგრამ რაში გჭირდება ასეთი მამაკაცი? თითოეული მისი ნაბიჯი ხომ წინასწარ გეცოდინება!.. და ისევ დაიწყება ძიება იდეალური მამაკაცისა, მერე კი ისევ იმ აზრამდე მიხვალ, რომ იდეალური მამაკაცი არ არსებობს...

ეჭვიანი შეყვარებული

— გამარჯობა, გრაფო. მე ადრეც მომიწერია და თქვენი რჩევა გამომადგა. ანა ვარ, 19 წლის. უკვე ერთ წელზე მეტია, რაც შეყვარებული მყავს. მალე დაქორწინებასაც ვაპირებთ. ბედნიერი ვარ და ძალიან მიყვარს. დარწმუნებული ვარ, რომ მასაც ვუყვარვარ. ის ძალიან ყურადღებიანია, მზრუნველი და ხელისგულზე მატარებს, მაგრამ ძალიან ეჭვიანია (მეც ასევე). ვერ ვიტყვი, რომ გაბრაზების დროს აგრესიული ხდება, მაგრამ ხანდახან შესაძლოა, მიყვიროს კიდეც. ეჭვიანობის საბაბს არ ვაძლევ, საპირისპირო სქესთან თითქმის არ ვკონტაქტობ, მხოლოდ თანაკურსელებთან და ისიც — „ლაითად“. მის ერთ ნაცნობს შევუყვარდი. ჩემი შეყვარებული იმ ბიჭთან აღარ კონტაქტობს, მაგრამ თუ მაინც მოგვიწია ერთად ყოფნამ და გავუღიმე, ბომბივით ფეთქდება. ყოველთვის იმას მთხოვს — ვიდრე რაიმეს გავაკეთებ, მის ადგილას წარმოვიდგინო თავი. მეც გავბრაზდებოდი ასეთ სიტუაციაში, მაგრამ რა ვქნა, სულ ხომ ვერ ავიკვეთ გარეთ გამოსვლას?!. გუშინ ჩემმა ძველმა მეგობარმა დამიმესიჯა და ახლა არ ვიცი, ვუპასუხო თუ არა, რადგან კახამ რომ გაიგოს, არ მოეწონება (არც მე მომეწონებოდა), ტყუილის თქმა კი არ მინდა — ადრე თუ გვიან, მაინც გაიგებს. მეუბნება, რომ ჩემ გამო წარსულთან კავშირი გაწყვიტა და ჩემს მეტი არავინ უნდა... იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე?

— ანა, როგორც მივხვდი, შენი შეყვარებული საკუთარი თავის მიმართაც ისეთივე მომთხოვნია, როგორც შენ მიმართ, უფრო მეტიც — გაცილებით მომთხოვნი... თუ ის გიყვარს და მასთან ურთიერთობა შენთვის მნიშვნელოვანია, მაშინ იქნებ ღირდეს კიდეც, სხვებთან ურთიერთობა შეზღუდო. სხვა საქმეა, როცა ნამდვილ მეგობრებს ეხება, რომლებთანაც ხანგრძლივი ურთიერთობა გქონდა, მაგრამ ამ შემთხვევაში,

როგორც ვხედავ, ფლირტია... როცა ნამდვილი სიყვარული გეწვევა, მას უნდა გაუფრთხილდე. ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი რომ გქონდეს, მას ბიჟუტერიაში ხომ არ გაცვლი?.. წარმატებებს გისურვებ!

„ქმარი მიყვარს, მაგრამ“...

— გრაფო, სიმართლე გითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ადამიანებთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, ფსიქოლოგის დახმარება დამჭირდებოდა... 23 წლის ვარ. ვცხოვრობ ქმართან ერთად, ჩვეულებრივად, როგორც ყველა. მთავარია, რომ ერთმანეთი გვიყვარს. მყავს მეგობარი მამაკაცი (ამ სიტყვის ჩვეულებრივი, „ძველი“ გაგებით), რომელსაც უკვე 4 წელია, ვიცნობ. მთელი ამ ხნის განმავლობაში უცნაური ურთიერთობა გვქონდა. ვიცი, რომ თავიდან მოვწონდი, თუმცა არ ვიცი, ჩემ მიმართ სერიოზული გრძნობა ჰქონდა თუ — არა; ისე მოხდა, რომ მაშინ ეს არ მაინტერესებდა, უბრალოდ, მასთან ურთიერთობა მომწონდა, რადგან ნებისმიერ თემაზე შემეძლო ლაპარაკი და ნებისმიერ დროს — შეხვედრა. ხშირად თვითონაც მეკითხებოდა რჩევებს, გოგონებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით. ერთხელ კი მითხრა, რომ შეყვარებული ჰყავდა. ვერ აღვწერ, რაოდენ ცუდად იმოქმედა ჩემზე ამ ამბავმა. მაშინ ეს ეგოიზმს დავაბრალე... ახლა გათხოვილი ვარ და ქმარი მიყვარს, ჩემმა ძველმა მეგობარმა კი შეყვარებული გამოიცვალა და ისევ ცუდად ვგრძნობ თავს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს საყვარელ მამაკაცს ვკარგავ. მითხარით, როგორ ავიყვანო თავი ხელში და როგორ შევინარჩუნო მეგობარი?

— ჩემი აზრით, შენში მესაკუთრის ინსტინქტმა გაიღვიძა. მიეჩვიე იმ გარემოებას, რომ მეგობრისთვის ერთადერთი ახლობელი ქალი იყავი, თუნდაც პლატონური ურთიერთობის საფუძველზე. ახლა გიჭირს იმის აღქმა, რომ მის ცხოვრებაში საყვარელი ქალი გამოჩნდა. უმჯობესი იქნება, თუ ცოტა ხნით მასთან ურთიერთობას გაწყვეტ და ქმარს მეტ ყურადღებას დაუთმობ. მეგობართან ურთიერთობისას კი ასეთი ტაქტიკა აირჩიე: თუ რჩევა სჭირდება, თვითონ გთხოვოს ამის შესახებ; პასუხის გაცემისას, დიდი სიფრთხილე გამოიჩინე — ნებით თუ ენებლიეთ, შეიძლება ისეთი რამ ურჩიო, რაც საყვარელ ქალთან მის ურთიერთობას გააფუჭებს...

■

არჩევანი შვილსა და მამაკაცს შორის

დედაშვილობის შესახებ უამრავი რამ თქმულა და დაწერილა, მაგრამ ამ თემას, სიყვარულის დარად, ვერავინ ამოსწურავს. ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, თბილისში მოხდა და დღესაც გრძელდება. ჩემი მიზანი არ არის, ვინმე განვსაჯო ან მკითხველის წინაშე გასაკიცხავად გამოვიყვანო; უბრალოდ, მოგითხრობთ სევდიან ამბავს, სამაგალითოდ და ჭკუის სასწავლებლად, რათა კიდევ ერთხელ გავიაზროთ — რა შეიძლება მოჰყვეს დაუფიქრებელ ნაბიჯს.

მარი ჯაფარიძე

ნანა, *35 წლის:*

— რაიონში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ოჯახიდან გამოვიქეცი და პირველსავე შემხვედრზე გავთხოვდი. დედასთან ვიჩხუბე, შინიდან წამოვედი, თბილისში ჩამოვედი და ქუჩაში ახალგაზრდა ბიჭს გადავეყარე. ვილაპარაკეთ. რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდა, დავერწმუნებინე, რომ შინ წავსულიყავი, მაგრამ არაფერი შევისმინე. ვერც ქუჩაში დამტოვა, არც მე წავედი და იძულებული გახდა, შინ წავეყვანე. მეგონა, ღამის გასათევად მივყავდი. დედამისს კი უთხრა, ცოლი მოვიყვანეო. ხმა ვერ ამოვიღე, გაოგნებულმა... ასე გავთხოვდი და მალე შვილიც შემეძინა. ქმარიც შემიყვარდა. კარგი ადამიანი იყო, მაგრამ ეგ იყო, მას არ ვუყვარდი... ამის გამო ძალიან ვიტანჯებოდი. ერთმანეთს თითქმის არ ველაპარაკებოდით. მის ოჯახში თავს ზედმეტად ვგრძნობდი... როცა დედა გარდაეცვალა, იმის შემდეგ მეგონა, საერთოდ, ვერც კი მხედავდა... დღისით ვმუშაობდი, მერე ბავშვს ბაღში გამოვუვლიდი და შინ ერთად მოვდიოდით. ერთ დღეს წვიმდა და იძულებული გავხდი, ტაქსით წამოვსულიყავით. მძღოლმა საუბარი გამიბა. მერე ტელეფონის ნომრები გავცვალეთ. ასე გავიცანი ლადო. ცოტა ხნის შემდეგ შევხვდი კიდეც. მისგან იმდენი სითბო და სიყვარული ვიგრძენი, ამ გრძნობას დანატრებულმა, თავით გადავეშვი სიყვარულის მორევში. ამ ადამიანთან ურთიერთობა მსიამოვნებდა და მზად ვიყავი, ქმარს გავშორებოდი. თან ვფიქრობდი, რომ ეს მასაც შვებას მოჰგვრიდა.

— კი, მაგრამ რატომ მანამდე არ გაშორდით ქმარს, ვიდრე ლადოს გაიცნობდით?

— იმიტომ, რომ წასასვლელი არსად მქონდა. სახლი მე არ მქონდა და სად ვიცხოვრებდი?! რამდენჯერმე დაველაპარაკე ამ საკითხზე მეუღლეს, მაგრამ ის მეუბნებოდა, ბავშვს ვერსად წაიყვან, აქ დატოვე, შენ კი, თუ წასვლა გინდა, წადი, ჩემს შვილს ქუჩაში საწანწალოდ ვერ გავიმეტებო.

— მერე რა მოხდა?

— ერთ დღეს ლადოსთან შესახვედრად მივდიოდი და ბავშვიც თან მიმყავდა. გზაზე გადასვლისას ბავშვი ხელიდან გამისხლტა და გზაზე გადარბინა. ამ დროს დიდი სიჩქარით მოძრავი მანქანა გამოვარდა და რაც მახსოვს, ბოლო — მუხრუჭების საშინელი ხმა იყო... გონს რომ მოვედი, ბავშვი უკვე დასაფლავებული ყოფილა. წავქცეულვარ, ასფალტზე თავი დამირტყამს და გონი დამიკარგავს.

ჩემი ქმარი მაკითხავდა საავადმყოფოში და მეუბნებოდა, რომ ბავშვი დაშავებული იყო. მისი გარდაცვალების ამბავი მას შემდეგ გამიმხილეს, რაც სრულიად გამოვჯანმრთელდი და შინ დავბრუნდი. ძალიან განვიცადე შვილის სიკვდილი. ერთი წლის განმავლობაში ყოველდღე დავდიოდი სასაფლაოზე... ზამთარში პალტოც კი არ ჩამიცვამს: ჩემი შვილი ცივ მიწაში წევს და მე თბილად როგორ ვიყოლი-მეთქი?!. შემდეგ ქმარმა პირდაპირ გამომიცხადა, რომ მისი სახლიდან უნდა წავსულიყავი. ავიკრიბე ჩემი გუდა-ნაბადი და წამოვედი.

— ლადოსთან აღარ კონტაქტობდით?

— მისი გული ვის ჰქონდა?! რამდენჯერმე დამირეკა და მხოლოდ ტელეფონზე ვისაუბრეთ. საყვედურიც არ უთქვამს იმის გამო, რომ არ ვხვდებოდი... როცა ქმრის სახლიდან წამოვედი, საცხოვრებელიც არ მქონდა. დედა გარდაცვლილი იყო, სოფელში, ჩემს სახლში ძმა და რძალი ცხოვრობდნენ. რძალთან ცუდი ურთიერთობა მქონდა და იქ ვერ ჩავიდოდი. ჩემი ბარგი მეგობარს მივაბარე და რამდენიმე დღე ვაგზალზე გავათენე. იქ ისეთი საშინელი სიტუაცია იყო, იმდენი ლოთი და მეძავი დადიოდა ღამით, რომ ძალიან შემეშინდა და გადავწყვიტე, ლადოსთვის დამერეკა.

— რატომ მაშინვე არ დაურეკეთ, როცა შინიდან წამოხვედით?

— მინდოდა, სახლი მეშოვა, სამსახურიც და ჩემთვის მეცხოვრა. არ მინდოდა არავისთან ურთიერთობა, მაგრამ რადგან სხვა გზა არ დამრჩა, იძულებული გავხდი, მისთვის შემეჩივლა ჩემი გასაჭირი. ლადომ მანქანით მომაკითხა და თავის სახლში წამიყვანა. ის უცოლშვილო გახლდათ, მარტო ცხოვრობდა და აღარ გამომიშვა. ასე დავრჩი მასთან.

— მოკლედ რომ ვთქვათ, გათხოვდით.

— ასე გამოვიდა. დრომ მალე გაირბინა. ერთი წლის შემდეგ დავფეხმძიმდი. ლადო ეჭვიანი ქმარი აღმოჩნდა და სულ აყალმაყალი გვქონდა მისი ეჭვიანობის გამო. როცა დავფეხმძიმდი, მითხრა, ბავშვი უნდა მოიშორო, რადგან დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩემიაო... ბავშვის მოშორება არაფრის დიდებით არ მსურდა. ერთი შვილი განგებამ წამართვა და მეორეს ჩემი ნებით არ მოვკლავდი. ლადოს შინიდანაც რომ გამოვეგდე, ბავშვს მაინც დავიტოვებდი... როგორღაც შეეგუა ამ ამბავს... მაგრამ როცა სამშობიარო ტკივილები დამეწყო, მითხრა, რომ ბავშვიანად შინ აღარ შემიშვებდა.

— რატომ იყო ასე დარწმუნებული, რომ ბავშვი მისი არ იყო?

— არ ვიცი, ამის საბაბი მართლა არ მიმიცია და რატომ აიკვიატა, ვერ გეტყვით. სამშობიაროდან აღარ გამომიყვანა. ჩვილით ხელში გარეთ დავრჩი. იძულებული ვიყავი, დედათა და ბავშვთა თავშესაფარში წავსულიყავი, სადაც მე და ჩემმა შვილმა სახელმწიფოს კმაყოფაზე 3 თვე ვიცხოვრეთ. კანონით, 3 თვის შემდეგ სოციალური მუშაკებისგან დასკვნა უნდა მიიღო, რომ სახლ-კარი არ გაქვს და ისევ მოგცემენ თავშესაფარში დარჩენის უფლებას. მე კი, ვინაიდან ქმარი მყავდა, მას კი ბინა ჰქონდა, მითხრეს, რომ იქაურობა უნდა დამეტოვებინა.

— ამ 3 თვის განმავლობაში ლადო არ გკითხულობდათ?

— კი, მოდიოდა ხოლმე. ბავშვს ვტოვებდი და მე ვხვდებოდი. ვეხვეწებოდი, შინ წავეყვანეთ, ვუმტკიცებდი, შენი შვილია-მეთქი, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. როდესაც გაიგო, რომ თავშესაფრიდან მიშვებდნენ, მითხრა, — შენ წამოდი, სხვისი ნაბიჭვარი კი არ მჭირდება და უნდა დატოვოო.

— გამოდის — თუ დარწმუნებული იყო, რომ მისი ერთგული არ იყავით, ღალატზე თვალს ხუჭავდა, მაგრამ ბავშვი არ უნდოდა...

— ჰო, ასე იყო ნამდვილად, მისი საქციელიდან გამომდინარე, სხვას ვერაფერს იტყვი.

— მერე, როგორ მოიქეცით?

— ძალიან ბევრი ვიფიქრე, მაგრამ რადგან სხვა გამოსავალი არ მქონდა, ბოლოს მივიღე გადაწყვეტილება, შვილი ბავშვთა სახლში დამეტოვებინა. ახლა იქაა, მე კი სანახავად მივდივარ ხოლმე.

— ასე ცალ-ცალკე როდემდე უნდა იცხოვროთ?

— ახლა გადავწყვიტე, რომ გენეტიკური ანალიზი ჩავუტარო და ლადო დავარწმუნო, რომ მართლა მისი შვილია. მე ხომ ვიცი, მისთვის არ მიღალატია და მინდა, თვითონაც დარწმუნდეს ამაში. თუ ამის შემდეგ კიდევ არ მიმაყვანინებს შინ, მაშინ გამოდის, რომ უბრალოდ, შვილი არ ნდომებია და მასთან ვეღარ ვიცხოვრებ. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: ერთი შვილის სიკვდილის შემდეგ მეორე გავაჩინე და ბავშვთა სახლში დავტოვე! იოლი იქნება ჩემი ყოფა?!. გიჟს ვგავარ, ისე მენატრება ხოლმე ჩემი პატარა. ერთადერთი, რაც მამშვიდებს, ისაა, რომ ვიცი — ბავშვი კარგ პირობებშია, სითბო, მზრუნველობა არ აკლია და მეც ხშირად ვნახულობ. ამას წინათ ერთმა ქალმა მითხრა, რომ ცუდი დედა ვარ, რადგან არჩევანი კაცის სასარგებლოდ გავაკეთე და იმისთვის, რომ მასთან მეცხოვრა, შვილი მივატოვე. ეს სიმართლე არაა. ასე ისევ ჩემი შვილისთვის ვიქცევი, რომ ქუჩაში არ გაიზარდოს, საკუთარი ჭერი, განათლების მიღების საშუალება და მშობლიური სითბო ჰქონდეს... არავინ იცის, ამ გულში რა ბოღმა და სევდა ტრიალებს და ნურავინ განმსჯის ამის გამო... ■

ბათუმიდან წამოსული ლომის ერთი მარცვლის თავგადასავალი ანუ ოცნებებში დანახული საქართველო

ირმა ხარშილაძე

სტამბოლში ცხოვრობს. ლექსებს, მოთხრობებსა და ნოველებს წერს, ორენოვანი ჟურნალის — „ფიროსმანის“ დამაარსებელი და რედაქტორია. ერთმანეთს თბილისში შევხვდით და თურქეთში მცხოვრებ ქართველად გამეცნო. მუჰაჯირობის დროს საქართველოდან თურქეთში გადასახლებული ქართველების შთამომავალია. წლების განმავლობაში თურმე შორიდან ესიყვარულებოდა, ეფერებოდა საქართველოს. დღეს ხშირად სტუმრობს წინაპრების სამშობლოს და უკვე ბევრ ქართველსაც დაუმეგობრდა. თავისუფლად ლაპარაკობს ქართულად და რომ არა თურქული ინტონაცია, შეიძლება, ვერც გაარჩიო აქაური ქართველისგან. ასეთია მწერალი ფაჰრედინ (ფარნა) ჩილოღლუ (ჩილაშვილი), რომელსაც ახლა გაგაცნობთ.

— ოჯახში ხშირად ვსაუბრობთ ქართულად, წერა-კითხვა კი ჩემით ვისწავლე.

— ლექსებსა და მოთხრობებს ქართულადაც წერთ?

— რამდენიმე ლექსი დავწერე. სხვათა შორის, შარშან „კვირის პალიტრის“ კალენდარშიც დაიბეჭდა. მაგრამ ეს დონე არ მაკმაყოფილებს. სამწუხაროდ, ისე არ გამომდის, როგორც თურქულად. ძირითადი პრობლემა კი ის არის, რომ ქართულად წერა-კითხვას გვიან — უნივერსიტეტში სწავლისას დავეუფლე. მანამდე, საბჭოთა კავშირის დროს არც ვიცოდი, ქართული ანბანი და მწერლობა თუ არსებობდა.

— რამდენ წლის ბრძანდებით?

— ოოო, თურქეთში მამაკაცს ასაკს არ ეკითხებიან (*იცინის*).

— რომ მცოდნოდა, არ გკითხავდით, მაპატიეთ... თურქეთში რას საქმიანობთ?

— ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე. დიდხანს ვიმუშავე სხვადასხვა თემატიკის ენციკლოპედიების განახლებაზე, ცვლილებებზე, მაგრამ ჟურნალისტად, ფაქტობრივად, არ მიმუშავია.

— თქვენი ჟურნალი — „ფიროსმანი“ რა თემატიკისაა, სად იბეჭდება და სად ვრცელდება, რა პერიოდულობით გამოდის?

— თურქეთის ქართველობის ქართული კულტურით დაინტერესებასა და აქედან გამომდინარე, ჟურნალის გამოშვებას თავისი ისტორია აქვს: 1970-იან წლებში გამოდიოდა ჟურნალი „ჩვენებური“, რომელიც სტოკჰოლმში იბეჭდებოდა და მას თურქეთიდან წასული ქართველი — შანვერ აქიმი გამოსცემდა. შემდეგ კარგა ხნით შეწყდა მისი გამოშვება. 1993 წელს უკვე თურქეთში ძველ შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, ხელახლა გამოვეცით ეს ჟურნალი. მეორე ნომრიდან მთავარი რედაქტორი ვიყავი, მასში საკუთარ თარგმანებსა და სტატიებსაც ვაქვეყნებდი. 1997 წელს მე და ჩემმა მეგობარმა კიდევ ერთი ჟურნალი დავაარსეთ — „მამული“, მაგრამ რამდენიმე ნომრის შემდეგ ისიც დაიხურა. ორენოვანი (ქართულ და თურქულ ენებზე) ჟურნალის გამოცემაზე ვოცნებობდი და 2 წელია, რაც ავისრულე კიდეც — „ფიროსმანის“ უკვე მეცხრე ნომერი დაიბეჭდა. ჟურნალი 64-გვერდიანია, ფერადი და 3 თვეში ერთხელ გამოდის. ვბეჭდავთ სტატიებს, რომლებიც ძირითადად, ქართულ კულტურას ეხება, მაგრამ აგვისტოს ომის დროს პოლიტიკური სტატიებიც დაიბეჭდა.

კახეთში სტუმრობისას

— შემოქმედებითი ჯგუფის წევრები მხოლოდ თურქეთში მცხოვრები ქართველები ხართ?

— არა, აქაური მწერლებიც წერენ. მოკლედ, „ფიროსმანი“ საქართველოში და თურქეთში მცხოვრები ქართველების ერთობლივი გამოცემაა, სტამბოლში ვბეჭდავთ და ორივე ქვეყანაში ვრცელდება. მე რედაქტორი ვარ. საინტერესო ჟურნალია, თემების შერჩევისას ორივე ქვეყნის მკითხველების ინტერესს ვითვალისწინებთ და ორივე ქვეყნის კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ვწერთ. თურქეთში მცხოვრები ქართველების დიდმა ნაწილმა ქართული წერა-კითხვა არ იცის და ჩვენი ჟურნალით ეცნობა თავისი წინაპრების სამშობლოს.

— თქვენს შემოქმედებაზეც გვიამბეთ.

— მე მწერალიცა ვარ და მთარგმნელიც — ქართულიდან თურქულად ნათარგმნი მაქვს: ნოველები და ლექსები, გალაკტიონის, ოთარ და თამაზ ჭილაძეების, მუხრან მაჭავარიანის, ანა კალანდაძის შემოქმედება, რა თქმა უნდა, არა — ყველაფერი. ბატონ ოთართან და ბატონ თამაზთან ოჯახშიც ბევრჯერ ვყოფილვარ. ოთარ ჭილაძის გარდაცვალებამ ძალიან დამწყვიტა გული... ჩემი ლექსების, მოთხრობებისა და ნოველების თემა კი — ჩემს ოცნებებში წარმოდგენილი საქართველოა, უფრო — ჩემი ხალხის წარსულს, საქართველოდან გადასახლებას, საზღვარს აქეთ-იქით დარჩენილ ადამიანებს, მათ განცდებს ასახავს. შემიძლია ვთქვა, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველ მწერალთა შორის (ასეთი ბევრი არ არის) ამ თემაზე პირველმა მე დავწერე. მაგალითად, თურქულად გამოცემულ ჩემი ნოველების კრებულს ერთ-ერთი ნოველის სახელწოდება — „უჩინმაჩინი“ დავარქვი.

— უცებ, დიდი ხნის წინანდელი სატელევიზიო სპექტაკლი — „უჩინმაჩინის ქუდი“ გამახსენდა, რომელიც თქვენ ნამდვილად არ გეცოდინებათ, მაგრამ ალბათ ამ გმირს ქართული ზღაპრებიდან იცნობთ ან ეგებ, სულაც სხვა ვინმეა ეს თქვენი უჩინმაჩინი?

— თურქეთშიც მეკითხებიან, ვინ არისო, მაგრამ არავის ვუხსნი. ვინც ამ ნოველას კითხულობს, სხვადასხვაგვარად ხედავს ჩემს გმირს, ამიტომ, მოდი, ყველას თავისი უჩინმაჩინი ჰყავდეს — ჩემი ნაწარმოების მიზანიც ეს არის.

— ფარნა — მოდი, ასე მოგმართავთ, რაკი ჩვენში ასე გიცნობენ, — საქართველოში პირველად როდის ჩამოხვედით?

— მაშინ საბჭოთა კავშირი არსებობდა. საქართველოდან რაღაც ფორუმზე მოგვიწვიეს და 10 კაცი სომხეთიდან გადმოვედით.

— მითხარით, ჩემი შემოქმედება ოცნებებში წარმოდგენილი საქართველოაო. ის საქართველო ძალიან განსხვავდება რეალური საქართველოსგან?

— რა თქმა უნდა, განსხვავდება. მაგრამ ძალიანაც — არა.

— თქვენს წინაპრებზე რა იცით, ვინ იყვნენ?



კახეთში, რთველშიც კი ვიყავი – აქაურმა ახლობლებმა დამპატიჟეს

— ჩემი წინაპრები ზემო აჭარიდან, მაჭახელადან არიან გადასახლებულები თურქეთში. შავი ზღვის სანაპიროზე, უნიეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში დასახლებულან. ქალაქ სამსუნამდეა ჩვენი სოფელი — იქ გადაღებულ ფოტოებს რომ ვუგზავნი აქაურ მეგობრებს, მეკითხებიან: ხომ არ



გვატყუებ? დასავლეთ საქართველოში, გურიაში გადაღებულებს ხომ არ გვაპარებო (*იცინის*)?.. — წესივით ჰქონდათ: საქართველოდან გადასახლებულები საცხოვრებლად თურქეთში, თავიანთი მშობლიური კუთხის მსგავს ადგილებს ირჩევდნენ და იქ სახლდებოდნენ. ჩანს კიდეც, რომ საიდანაც წავიდნენ, იქაური ცხოვრება „წაიღეს“ — მცენარეებიც კი იქაური გაახარეს — ვაზი, თეთრი კარტოფილი, თეთრი სიმინდი და ღომის მარცვალიც კი დათესეს. თურმე, ჩილაშვილები ვყოფილვართ — და არა ჭილაშვილები, როგორც ბევრს ჰგონია. ჩილაშვილები XVIII საუკუნის ქართულ ქრონიკაშიც მოიხსენიებიან. ჩემი თურქული გვარი არის „ჩილოღლუ“ და როდესაც ამ გვარის კაცს ქართულ წყაროებში ახსენებენ, ყველგან ფრჩხილებში „ჩილაშვილს“ უწერენ. ჩემი წინაპრები გადასახლებამდეც გამაჰმადიანებული ქართველები იყვნენ, რადგან ოსმალეთის საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

— სხვათა შორის, წელს მოვხვდი მაჭახელას იქით, თურქეთში, ყარაგიოლის ტბაზე, ულამაზეს ადგილას, რომელსაც ერთი მხრიდან მაჭახელას მთები ესაზღვრებოდა. ახლა ვხვდები, რომ სწორედ იქიდან გადმოსულან თქვენი წინაპრები. ფარნა, ისტორიული კლარჯეთის ქართული ძეგლები გინახავთ?

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით არსად ვყოფილვარ. 2 წელია, ვაპირებ, მაგრამ ვერ მოვახერხე.

— რატომ? სარწმუნოება გიკრძალავთ?

— არა, ასეთი ღრმად მორწმუნე არა ვარ, უბრალოდ, დრო ვერ გამოვნახე. სხვათა შორის, რამდენიმე მოთხრობაში იმ ადგილებსაც აღვწერ... წარმოსახვით. ერთ-ერთ მოთხრობას „შაშორთი ქალი“ დავარქვი. „შაშორთი“ ყვავილს ჰქვია, მისი ქართული შესატყვისი არ ვიცი, შაშორთ ქალს კი — იალაღზე მიმავალ ქალს უწოდებენ; მას მივუძღვენი ეს მოთხრობა.

— მხოლოდ წარმოსახვას რომ სჯერდებით, არ გირჩევნიათ, საკუთარი თვალითაც ნახოთ? უფრო მძაფრი განცდა გექნებათ...

— არსებობენ მწერლები, რომლებიც ნანახით განცდილს აღწერენ; ისეთებიც არსებობენ, თვითონ რომ ქმნიან რაღაც სამყაროს, ადგილს. მე ამ უკანასკნელთა რიგს მივეკუთვნები. ჩემს შემოქმედებას რომ გაეცნობით, მიხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

— საქართველოში შვებულებით ჩამოხვედით?

— მე სულ შვებულებაში ვარ, სასეირნოდ, დასასვენებლად, დასათვალიერებლად ჩამოვედი (*იცინის*). კახეთში, რთველშიც კი ვიყავი — აქაურმა ახლობლებმა დამპატიჟეს.

— ბევრი ღვინო დაგალევინეს?

— საკმაოდ (*იცინის*). ცუდი მსმელი არა ვარ... მერე სამეგრელოშიც წავედით, აქეთ, ქართლშიც ბევრი რამ დავათვალიერე, ცოტა ხნის წინ კავთისხევსაც ვსტუმრობდი... საოცარი ბუნებაა... შარშან, ამ დროს შვეიცარიაში ვიყავი. არაფრით ჩამორჩება საქართველოს ბუნება იქაურს. ულამაზესია საქართველო.

— ფარნა, რამდენი ხნით რჩებით?

— თვის ბოლომდე, რადგან კიდევ ბევრი ადგილის მონახულება მინდა. ასე რომ, დროებით! ■

სამყარო

II მსოფლიო ომგავლილი იარაღი

და კაცი, რომელიც პურის საყიდლად ტანკით დადის

ამ ადამიანის სახლში II მსოფლიო ომისდროინდელი ბევრი ნივთი ინახება: რუსული და ამერიკული ჩაფხუტები, მათარები, „შტიკნოჟები“, ცეცხლსასროლი იარაღები, შემცირებული მოდელის მძიმე ტექნიკა, რომელიც ნამდვილთან იმდენად მიახლოებულია, რომ ისვრის კიდეც. მერაბ გუჯაბიძეს II მსოფლიო ომგამოვლილი, მაგრამ განახლებული და ხელახლა აწყობილი ამერიკული „ვილისიც“ ჰყავს, რომლის ქანჩი და ჭანჭიკიც კი 1940-იან წლებშია შექმნილი. როგორც ჩემმა რესპონდენტმა მითხრა, მას მხოლოდ საქართველოში 30-ზე მეტი თანამოაზრე ჰყავს. ერთობლივი ძალებით, მათ კლუბიც კი დააარსეს და აქტიური ურთიერთობა აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ კოლექციონერებთან, რომელთაც თურმე, ქართველებზე ბევრად მდიდარი სამხედრო არსენალი აქვთ.



ბევრი რამ ნაგავსაყრელზე ვიპოვე, ზოგი ნივთი კი ვიყიდე ან რაღაცაზე გადავცვალე

ლალი პაპასკირი

— იარაღი ბავშვობიდან მიყვარდა. მეორე კლასში ვიყავი, როცა აკადემიკოსმა ერეკლე გამყრელიძემ გერმანიიდან ნამდვილთან მიახლოებული, მაღალ დონეზე შესრულებული, შავი ფერის „კოლტის“ მოდელის სათამაშო პისტოლეტი ჩამომიტანა. ერთხელ თანატოლებთან ერთად, ქუჩაში „ომობანას“ ვთამაშობდი. ამ დროს ჩვენი უბნის მილიციის უფროსმა გამოიარა და ჩემი იარაღის დანახვისას გაოგნდა — ნამდვილი ეგონა და ფრთხილად ჩამომართვა, არ გაგივარდესო; სახლში ატირებული მივედი, სათამაშო წამართვეს-მეთქი; მთელი ქუჩა ფეხზე დადგა და დიდი ჩარევების შემდეგ, პისტოლეტი დამიბრუნეს.

— სამხედრო ავტომობილებით, II მსოფლიო ომისდროინდელი იარაღით როდის დაინტერესდით?

— ბავშვობაში წყნეთში ვისვენებდი ხოლმე. ჩვენს მეზობლად გეოლოგი ჰენრი რევიშვილი ცხოვრობდა, რომელსაც ამერიკული, უკარებო „ვილისი“ ჰყავდა, ჩაგვსვამდა ბავშვებს და გვასეირნებდა. მოკლედ, ეს ავტომობილი ყოველთვის მომწონდა. სხვათა შორის, ბევრს „ვილისი“ საბჭოური ავტომობილი ჰგონია, სინამდვილეში, ამერიკულია... II მსოფლიო ომგამოვლილი ადამიანების გარემოცვაში ვიზრდებოდი. მამაჩემი ომის ვეტერანია და ალბათ, სწორედ ამან განაპირობა იმ ეპოქის იარაღისადმი ჩემი ინტერესი. სხვათა შორის, მსოფლიო ომზე გადაღებული ამერიკული, გერმანული თუ საბჭოური უნიკალური დოკუმენტური და მხატვრული კინომასალაც მაქვს. ომისდროინდელ ნივთებს სოფელ-სოფელ, ოჯახებსა თუ ნაგავსაყრელში დავეძებდი და კოლექციაც დამიგროვდა. ნებისმიერი ნივთი — ქამარი, მაშინდელი შაშხანის რაიმე ნაწილი, უნიფორმა, მედალი თუ მათარა, ჩემთვის უძვირფასესია. ერთხელ შევიტყვე, რომ ვინმე ნიკა ჩიგოგიძეს, რომელთანაც დღესდღეობით მეგობრობა მაკავშირებს, ამერიკული ტიპის „ვილისი“ ჰყავდა და ძალიან მომინდა, ასეთივე ავტომობილი მყოლოდა. მსგავსი მანქანის ასაწყობად 22 წელი ვიწვალე და ახლა შემიძლია დავიტრაბახო, რომ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალურად აწყობილი, II მსოფლიო ომისდროინდელი მანქანა მყავს.

— ანუ თქვენი „ვილისი“ II მსოფლიოს ომისდროინდელი მანქანების ნაწილებისგანაა აწყობილი?

— დიახ. საბჭოთა პერიოდში, როცა დოლარის შენახვაც კი დანაშაულად მიიჩნეოდა, მე სხვადასხვა რესპუბლიკაში დავდიოდი და მანქანის ნაწილებს დავეძებდი: ბევრი რამ ნაგავსაყრელზე ვიპოვე, ზოგი ნივთი კი ვიყიდე ან რაღაცაზე გადავცვალე. რაც შეეხება მანქანის ძარას, ის სოფელ ლენტეხში აღმოვაჩინე...

— სამხედრო ავტომობილით ქალაქში დადიხართ?

— სამოძრაოდ „ჟიგული“ მყავს, სამხედრო ავტომობილი კი ჩემი სულიერი სამყაროს ნაწილია, ჩემი ძმაკაცია. შაბათ-კვირას, როცა მეგობრები პიკნიკს ვაწყობთ, ბუნებაში ამ მანქანით გავდივართ ხოლმე. მას ძალიან ვუფრთხილდები.

— მხოლოდ ამერიკული სამხედრო ავტომობილებით ხართ გატაცებული?

— უპირატესობას ამერიკულს ვანიჭებ, მაგრამ კლუბში გვყავს რუსული

წარმოების, 1943 წელს გამოშვებული ავტომობილებიც. მათ რუსები „ხბვ“-ს ეძახიან და ასე იშიფრება — „ხაჩუ ბიტ ვილისომ“. ამერიკულ და რუსულ ავტომობილებს შორის მსგავსება ნამდვილად არის, მაგრამ ამავდროულად, ისინი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. შემცირებული მოდელების კოლექციაში მაქვს გერმანული „ტუბელ ვაგენ“ (*კოლექციონერი პატარა მოდელის „ვილისს“ ადებს ხელს. — ავტ.*), იგივე ავტომობილი-ვარცლი. ეს იყო ვერმახტის სამეთაურო დანიშნულების მანქანა.

ზოგს ეს ყველაფერი თამაში ჰგონია

ვინახავ II მსოფლიო ომისდროინდელ ამერიკული წარმოების „კოლტის“ პისტოლეტს, რომელსაც ტყვის ბუდეც კი აქვს...

— **მე კი მეგონა, სამეთაურო დანიშნულების მანქანა ჯიპი იყო.**

— ჯიპი სინამდვილეში „ვილისია“. ჯიპი ერთ-ერთი მულტიპლიკაციური ფილმის პერსონაჟის, ერთ-ერთი ცხოველის სახელია, რომლისთვისაც ხმელეთზე, წყალსა და ჰაერში წინააღმდეგობა არ არსებობს. სამხედროებმა იგი „ვილისს“ მიამსგავსეს და მანქანასაც ეს სახელი შერჩა. II მსოფლიო ომის დროს ამ ავტომობილზე დიდი მოთხოვნა იყო... ჩემს მანქანას გვერდზე ბარი და ნაჯახი აქვს მიკრული — ამ იარაღებს სამხედროები უგზოობის დროს, გზის გასაჭრელად იყენებდნენ. ჩემს კოლექციაში არის ისეთი ავტომობილებიც, რომლებიც 40-იანი წლების შემდეგ აღარ გამოუშვიათ... ავტოკოლონა, რომელსაც ამერიკიდან საბჭოთა კავშირში სამხედრო ტექნიკა და ავტომობილები შემოჰქონდა, 2 გზით შემოდიოდა: პირველი — ატლანტის ოკეანის გადმოცურვით მურმანსკში ხვდებოდა და იქიდან არხანგელსკში გადაჰქონდათ. იმ წლებში, გერმანული წყალქვეშა ნავების იერიშის შედეგად, უამრავი გემი ჩაიძირა და ათასობით შეფუთული მანქანა დღემდე ოკეანის ფსკერზე აგდია...

— **ისე დანანებით ამბობთ, ალბათ, დიდი სიამოვნებით ამოიღებდით...**

— მიუხედავად იმისა, რომ ის მანქანები უკვე აღარ ივარგებს, სიამოვნებით ამოვიღებდი... მეორე გზა იყო სპარსეთის ყურე, ერაყისა და ირანის პორტები, აზერბაიჯანი, იქიდან კი ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედიოდა და შემდეგ ყველაფერს ფრონტზე ანაწილებდნენ. სამხედრო ნაწილები ყველგან იყო და მისი „ნარჩენებიც“ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის — საქართველოშიც დარჩა. ყველაზე მეტი „ვილისი“ კახეთში ჰყავდათ. იქაური თბილი კლიმატი ხელს უწყობს მის შენახვას — ამ კუთხეში ნესტი არაა და ცხადია, მანქანა არ იჟანგება. ადგილობრივი მოსახლეობა მას მეურნეობაშიც იყენებდა: ყურძნით დატვირთულ გოდრებს მანქანაზე აწყობდნენ და ზვრებში დაატარებდნენ... სხვათა შორის, ერთ-ერთი ჩემი მანქანის საჭეზე, რომელიც ნიკა ჩიგოგიძემ დამითმო, მისი ყოფილი პატრონის (ივან სმირნოვი. 1943 წელი. სტალინგრადი) ინიციალებია ამოტვიფრული... ახლახან ჩამომივიდა ფაშისტური გერმანული თბომავალი, თავისი აქსესუარებით, ნახშირის დასატვირთით...

— **ალბათ, შემცირებული მოდელი...**

— რა თქმა უნდა! ზოგს ეს ყველაფერი თამაში ჰგონია და ჰობიზე ქილიკობს, მაგრამ ნებისმიერი ნივთი სერიოზული სამხედრო მინიატიურაა, თითოეული მათგანი უამრავ ისტორიულ ინფორმაციას გვაწვდის. მაგალითისთვის, ერთ დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას: მანქანის კაპოტზე გამოსახულ წრეში ვარსკვლავია მოქცეული, რომელიც ცენტრიდან ცოტა მოშორებითაა დახატული. როცა მძღოლი საქარე მინას გადასწევდა, ვარსკვლავი კვლავ მოჩანდა და ამით მოკავშირეებს ანიშნებდა, რომ მტერი არ იყო. ამასთან, კაპოტზე გამოსახული წრე სპეციალური ლაქით იყო დაფარული. თუ გერმანელები მომწამლავ გაზს გაუშვებდნენ, ვარსკვლავი ფერს იცვლიდა და მძღოლი მაშინვე აირწინაღს იკეთებდა.

— **როგორც ვიცი, ომისდროინდელი მოტოციკლეტი გყავთ...**

— ახლახან გავიგე, რომ სოფელ ხრეითში, მეგობრის ბაბუას ომიდან ძველი ამერიკული მოტოციკლი ჩამოუყვანია. ყველას გადაგდებული ეგონა, მაგრამ თურმე, საბძელში, კარადის ქვეშ ეგდო და მთელი 45 წელი იქ „გამოიზამთრა“. ის ახლახან იპოვეს და მეგობარმა სასწრაფოდ დამირეკა, — საბძელში ბაბუაჩემის ნაქონი მოტოციკლეტი აღმოვაჩინეთ და ხომ არ გინდაო?!. რა მომათმენინებდა? სასწრაფოდ ხრეითში ჩავედი და „ჰარლეი დევიდსონის“ სამხედრო მოტოციკლი დამხვდა. ის იმ დღესვე, შინ წამოვიღე. ამჟამად რესტავრაციას ვუკეთებ. ჩემდა საბედნიეროდ, ეს მოდელი მშობლიური ნაწილებით არის აღჭურვილი. ახლა ველოდები „ტომსონის“ ცეცხლსასროლ იარაღს, რომელსაც ავტომატური რეჟიმი შეცვლილი აქვს და მხოლოდ ერთ ტყვიას ისვრის. ეს იარაღი რეგისტრირებული მაქვს და მისი შენახვის კანონიერი უფლებით ვსარგებლობ. ასევე კანონიერად ვინახავ II მსოფლიო ომისდროინდელ ამერიკული წარმოების „კოლტის“ პისტოლეტს, რომელსაც ტყვის ბუდეც კი აქვს... ამას წინათ, მეგობარმა ქალმა ვოლგოგრადიდან ჩამომიტანა ფაშისტების ნაქონი ჩაჩქანი, რომლითაც ბები-

სამხედრო ავტომობილი ჩემი სულიერი სამყაროს ნაწილია, ჩემი ძმაკაცია

ამისი ქათმებს საჭმელს უყრიდა და უფრო მოხერხებული რომ ყოფილიყო, მისთვის ტარი მიუმაგრებია. როცა ჩემს მეგობარს ეს მუზარადი საზღვარზე გადმოჰქონდა, მესაზღვრეებს ის გაუქლიბავთ, შიგნით ოქრო ხომ არ არისო? მაგრამ ვერაფერი საეჭვო რომ ვერ უპოვიათ, ქალისთვის დაუცინიათ: ასეთ, ფოტომოდელივით მანდილოსანს ეს ჯართი რად გინდაო?!.

— ბატონო მერაბ, თქვენს კლუბზეც გვიამბეთ რაიმე...

— ჩვენს კლუბს სამხედრო ავტომობილების დაცვის ასოციაცია ჰქვია და მასში 32 ადამიანი ვართ გაწევრებული. თითოეულ ჩვენგანს ჰყავს II მსოფლიო ომისდროინდელი ამერიკული სამხედრო მანქანა, რომელიც სამუზეუმო ექსპონატად მიიჩნევა, რადგან სრულიად ორიგინალურია... ამერიკაში არსებობს ასეთივე ასოციაცია და მისი ფილიალები სხვადასხვა ქვეყანაშია მიმობნეული. იაპონიაშიც კი გვყავს მეგობრები და თანამოაზრეები, რომლებიც საჭირო ნაწილების შოვნაში გვეხმარებიან. ერთ იაპონელს ვიცნობ, რომელსაც II მსოფლიო ომისდროინდელი რამდენიმე ტანკი და „ამფიბია“ ჯიპების ოცეული ჰყავს. მათ გაკვირვებას ვერაფრით ვახერხებთ და ამიტომაც, ქართულ აქსესუარებს — ნაბდებს, ყანწებს, ხანჯლებს და ა.შ. ვუგზავნით...

— როგორც ვიცი, ყოველი წლის 9 მაისს თქვენი კლუბი ფაშისტებზე გამარჯვების დღეს აღნიშნავს...

— დია, ამ დღეს მსოფლიო ომის დროინდელი, 1941-45 წლებში შექმნილი ამერიკული ავტომობილებით, სამხედრო აღჭურვილობითა და იარაღით ხელში „საპარადო გასვლას“ ვაწყობთ.

— ალბათ, მსგავსი ღონისძიებები საზღვარგარეთაც იმართება...

— დიახ. ამას წინათ ვიყავით ინგლისში, კენტის საგრაფოში, სადაც ომისა და მშვიდობის დიდი შოუ ყოველწლიურად იმართება. ცხადია, ამ დღეს იქ კოლექციონერები იყრიან თავს. ეს გამოფენა ორი კვირის განმავლობაში გრძელდება და ამ დროის მანძილზე ხალხი კარვებში ცხოვრობს. ზოგს ტანკი ჰყავს, ზოგს — დაჯავშნული ავტომობილი, მოტოციკლი, სხვები კი ცხენებით მოდიან. იქ იყიდება უნიფორმები, ნამდვილთან მიახლოებული ცეცხლსასროლი მძიმე ტექნიკა, რომელსაც ლულაც კი გახვრეტილი აქვს, მაგრამ მასში ვაზნის ჩადება აზრადაც არავის მოუვა. ერთ ინგლისელს ვიცნობ, რომელიც ლონდონის სუპერმარკეტში პურის საყიდლად ტანკით დადის. ქალაქის ხელმძღვანელობამ სთხოვა, მუხლუხებზე შალითები შემოახვიე, ასფალტი რომ არ გაფუჭდესო. ის კაცი მთელი ლონდონის კოლორიტად მიიჩნევა. ■

როგორი თვითშეფასების უნარი გაქვთ...

წარუმატებლობის, უიღბლობის მიზეზი ხშირად ჩვენსავე ფსიქოლოგიურ განწყობილებაში უნდა ვეძებოთ. ფსიქოლოგიაში ამას არასრულფასოვნების კომპლექსი ჰქვია ეს კომპლექსი ადრეულ ბავშვობაში ყალიბდება და მას ხელს უწყობს როგორც გარემო პირობები, ასევე უფროსების (ოჯახის წევრების) დამოკიდებულება. მეცნიერების აზრით, არასრულფასოვნების კომპლექსი ხელს გვიშლის ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებაში. ამიტომაც აუცილებელია, ვისწავლოთ საკუთარი საქციელის ობიექტურად შეფასება, რადგან როცა შეცდომები აშკარაა, მათი გამოსწორებაც იოლია.

ქალების დიდი ნაწილი ხშირად უკმაყოფილოა საკუთარი გარეგნობით. ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული და მომთხოვნი. გახსოვდეთ: თითოეული ადამიანი უნიკალური და განუმეორებელია. სწორედ ამიტომ, თუ თქვენს პარტნიორს თქვენი სხეულის რომელიმე ნაწილი არ მოსწონს, არავითარ შემთხვევაში არ დაკომპლექსდეთ. უმჯობესია, მასთან ურთიერთობა დროულად შეწყვიტოთ, რადგან თქვენი ერთად ყოფნა, მით უმეტეს — ქორწინება, ნამდვილად უპერსპექტივოა.

არიან ისეთებიც, რომლებიც „გამორჩეულობის“ კომპლექსით ავადდებიან; ჰგონიათ, რომ განსაკუთრებული შესაძლებლობისა და ნიჭის გამო, სხვებზე მეტად იმსახურებენ წარმატებას. სწორედ ამიტომ, მუდმივად განერვიულებულები, გაბრაზებულები არიან მთელ ქვეყნიერებაზე — რადგან მიაჩნიათ, რომ მათ შესაძლებლობებს გარშემო მყოფები რეალურად ვერ აფასებენ. ამ კატეგორიის ადამიანებს ორი არჩევანი აქვთ: პირველი — ბოლომდე ამტკიცონ უნიკალურობა, რის გამოც საკუთარ ამბიციებთან მარტო რჩებიან; მეორე — შეცვალონ სიტუაცია მანამ, სანამ ღრმად არ შეუტოპავთ.

თუ თქვენც გაწუხებთ მსგავსი რამ, სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავარდებით. ეცადეთ, თქვენი პრობლემები სხვებს (ახლო მეგობრებს) გაუზიაროთ; ხოლო უფრო რთულ სიტუაციაში, დახმარებისთვის ფსიქოლოგს მიმართეთ. ■

ფხვიერი ნამცხვარი

მასალად საჭიროა:

250 გ მარგარინი;
1,5 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი;
2 ცალი კვერცხი;
4 ჩ/ჭ ფქვილი;
1/8 ჩ/კ მარილი;
1/4 ჩ/კ სოდა (ძმრით);
1 ს/კ არაჟანი.

მომზადების წესი:

მარგარინი დაჭერით, მოათავსეთ ქვაბში და გაადნეთ. გადმოდგით ცეცხლიდან, დაუმატეთ შაქართან ერთად ათქვეფილი კვერცხი, არაჟანი და კარგად აურიეთ. შემდეგ დაუმატეთ მარილი, სოდა, ფქვილი და მოზილეთ ცომი. ცომი გაყავით 5-6 ნაწილად და ფქვილმოყრილ დაფაზე 2-3 სმ სისქემდე გააბრტყელეთ. შემდეგ დაჭერით სასურველ ფორმებად (გულის, ნახევარმთვარის და ა.შ) და ჰაერღუმელში გამოაცხვეთ. ■

გახსოვდეთ, რომ მისთვის ნამდვილი საჩუქარი ხართ...

სასურველი მამაკაცის პოვნაზე ძნელი მისი შენარჩუნებაა. საამისოდ, გარკვეულ დათმობებზე წასვლა უეჭველად მოგიწევთ. მაშ ასე:

გრძნობებს დაუფარავად ნუ გამოავლენთ

ხშირად ქალბატონებს ეჩვენებათ, რომ ამგვარად მამაკაცის დამორჩილებასა და ურთიერთობის დიდხანს შენარჩუნებას შეძლებენ. შეყვარებული ქალი გრძნობას მთელი არსებით ეძლევა და მამაკაცისგანაც იმავეს ელის. ეს შეცდომაა. ეცადეთ, გრძნობები მოთოკოთ, თორემ მას აუცილებლად დაკარგავთ — წავა იქ, სადაც სიყვარულის მოპოვება დასჭირდება. მამაკაცი ხომ ბუნებით მონადირეა, იოლი ნადავლი არ იზიდავს და შესაბამისად, მალე კარგავს ინტერესს ქალისადმი, რომელიც თავისით უვარდება მკლავებში. ამიტომ შეეცადეთ, არ აგრძნობინოთ, რა ძლიერია თქვენი გრძნობა. დაე, ეგონოს, რომ თქვენი სიყვარულის შესანარჩუნებლად, მუდმივი ბრძოლა დასჭირდება.

არ მისცეთ ყურადღების მოდუნების საშუალება

თუკი მამაკაცის დაკარგვა არ გსურთ, ნუ დაარწმუნებთ, რომ მთლიანად მას ეკუთვნით. ის გამუდმებით დაძაბული უნდა იყოს, სხვაგვარად, თქვენდამი ინტერესი მალე გაუქრება. არ არის საჭირო მუდამ მის გვერდით ყოფნა. იპოვეთ რაიმე საინტერესო საქმე ან მეგობრების კომპანიაში გაერთეთ. მამაკაცს თვითონ უნდა ეშინოდეს თქვენი დაკარგვის და არა — პირიქით. მსუბუქად აეჭვიანეთ ხოლმე.

სულში ნუ ჩაუძვრებით

ყველა მამაკაცს სურს, თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოს, იმიჯის დაკარგვის ნებისმიერი მცდელობა კი პანიკაში აგდებს. აქედან გამომდინარე, უარყოფითად რეაგირებს და თქვენგან შორს გაქცევის სურვილი უჩნდება მაშინ, როცა მის სულში ხელების ფათურს ცდილობთ. ნუ აჩქარდებით, ნუ გადაბიჯებთ მის მიერ დადგენილ ზღვარს. მამაკაცებს უჭირთ სწრაფად, მოკლე პერიოდში გახსნა. თუ მოისურვებს, გაგენდოთ, დროთა განმავლობაში ამას თვითონ, თქვენი ინიციატივის გარეშეც გააკეთებს.

მუშაობაში ხელს ნუ შეუშლით

საქმე და კარიერა მამაკაცისთვის პირველ ადგილზე დგას. საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა ახალისებს და ახალი მიზნებისკენ უბიძგებს. ქალს საშინლად არ სიამოვნებს, როცა მამაკაცის ცხოვრებაში პირველ ადგილს მისი სამსახური „ეცილება"; როცა მისი რჩეული პაემანზე იგვიანებს იმიტომ, რომ საქმე აქვს ან სამუშაოს გამო, შაბათ-კვირას მასთან ერთად ვერ ატარებს. დამშვიდდით, მამაკაცი ასეა „მოწყობილი", მუდამ ესაჭიროება რაღაცის მიღწევა, მოპოვება, ვიღაცისთვის რაღაცის დამტკიცება... ეცადეთ, თქვენი ცხოვრება მამაკაცის გარეშეც საინტერესო გახადოთ. მაშინ ერთად გატარებული დრო ორივესთვის დღესასწაული იქნება და არა პრეტენზიების წაყენების ან ურთიერთობის გარკვევის მორიგი „სეანსი".

თქვენი ღირსებები დაანახვეთ

ყველა მამაკაცი ქალში მუდამ სიახლეს, მოულოდნელობებს, მძაფრ შეგრძნებებს ეძებს. მასთან ბუნებრივი, მხიარული, გულღია, სამართლიანად მომთხოვნი იყავით. თავს სხვა ქალებს ნუ შეადარებთ. დაარწმუნეთ საკუთარი თავი, რომ კარგი ხართ და მისთვის საჩუქარს წარმოადგენთ.

დაე, დარჩეს ისეთი, როგორიც არის

ყველა ადამიანს აქვს ღირსება, ნაკლი; ახასიათებს უცნაურობები და ახირებები. ნუ შეეცდებით მის მართვასა და გამოსწორებას — სულერთია, არაფერი გამოგივათ. მიიღეთ და გიყვარდეთ ისეთი, როგორიც არის. ■

კანის მკვეთბავი სპეციალური საშუალებები

ნუშის ნატურალური რძე

25 გ გარჩეული, ტკბილი ნუში დანაყეთ ან დაფქვით. დაასხით 1/2 ჩ/ჭ თბილი, ანადუღარი წყალი. კარგად შეანჯღრიეთ. დაუმატეთ ცოტა მარილი, გაწურეთ დოლბანდში. შეინახეთ ცივ ადგილას. გამოყენებამდე — დილას და საღამოს კვლავ შეანჯღრიეთ. დაისხით ხელისგულზე 1-2 ჩ/კ სითხე და კარგად შეიზილეთ სახესა და ყელზე. თუ გაფართოებული კაპილარები გაქვთ, გირჩევთ, მარილის ნაცვლად დაუმატოთ ტანინი, რომელიც წინასწარ იქნება გახსნილი 1 ჩ/კ თბილ წყალში.

მცენარეული ნაყენის ყომპრესები

* თუ მშრალი კანი გაქვთ ან — რაიმე გამონაყარი, სასურველია დღეგამოშვებით თბილი კომპრესების დადება ან სახის გაწმენდა შემდეგი შემადგენლობის ნაყენით: 1 ს/კ ცაცხვის ყვავილები მოხარშეთ 1/2 ჩ/ჭ რძეში და მიღებული ნაყენი 20-25 წუთი მოათავსეთ ცხელ წყლით სავსე თასში.

* თუ კანი მგრძნობიარე, ნაზი და ფორებიანია, მაშინ ცაცხვის ყვავილის მაგივრად აიღეთ ვარდის ან სალბის მშრალი ფურცლები. 1 ს/კ მცენარე მოხარშეთ 1/2 ჩ/ჭ წყალში და დაუმატეთ იმავე რაოდენობის რძე.

სახე უნდა გაიწმინდოთ ნაყენში დასველებული ბამბის ტამპონით.

მარილიანი აბაზანები

მარილიანი წყლით დაბანა კარგად მოქმედებს სახის კუნთებზე. დილით, კრემის წასმიდან 20-25 წთ-ის შემდეგ, სახე დაიბანეთ გრილი, მარილიანი წყალხსნარით (1 ჩ/ჭ წყალზე 1 ჩ/კ მარილი). პროცედურა შეასრულეთ 15-20 დღის განმავლობაში, ყოველდღე. 2-3 კვირის შემდეგ, კურსი გაიმეორეთ. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

რესტაილირებული Mercedes-Benz R-Class

სრული ზომის მინივენ-კროსოვერ Mercedes-Benz R-Class-ს რესტაილინგი ჩაუტარდება. სიახლეს ახალი წინა და უკანა ფარები და მოდერნიზებული ბამპერი ექნება. სავარაუდოდ, განახლების შემდეგ R-Class-ი „მერსედეს-ბენცის“ თანამედროვე მოდელებს მეტად დაემსგავსება. გარდა ამისა, ავტომობილის მყიდველებს სალონის ახლებურად გაფორმებას, მოდერნიზებულ აგრეგატს და კომპლექტაციის ახალ ვარიანტებს შესთავაზებენ. სავარაუდოდ, განახლებული Mercedes-Benz R-Class-ის დებიუტი მომავალი წლის დასაწყისში, დეტროიტის ავტოსალონზე შედგება. როგორც ცნობილია, R-Class-ს 2005 წლიდან აწარმოებენ — ეს ავტომობილი არასაგზაო Mercedes-Benz ML-ის პლატფორმაზეა აწყობილი. იგი მხოლოდ 6 ან 8-ცილინდრიანი მოტორებით აღიჭურვება (როგორც ბენზინის, ასევე — დიზელის). 2007 წლიდან R-Class-ი არა მხოლოდ სრულამძრავიანი, არამედ უკანაამძრავიანი ტრანსმისიითაც გამოდის. ■

პირველი ჩინური ავტომობილი ნიურბურგრინგზე

ახალმა ჩინურმა სედანმა — Riich G5 — ნიურბურგრინგის ცნობილ სარბოლო ტრასაზე ტესტ-სესია გაიარა და მას კომპანია Lotus-ის ტესტ-პილოტი მართავდა. ადრე გავრცელებული ცნობის თანახმად, Riich-ი კომპანია Chery-ის ახალი ლუქს-ბრენდია, ხოლო სედანი 5 პირველი მოდელია, რომელიც ამ მარკით ბაზარზე გამოჩნდება. სიახლე 170 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე 2-ლიტრიანი ტურბოძრავათი და ექვსსაფეხურიანი მექანიკური ტრანსმისიითაა აღჭურვილი. მომავალში ბრენდის — Riich — სამოდელო რიგში, რომელსაც ჩინელები Audi-ს კონკურენტად მიიჩნევენ, ექვსი მოდელი იქნება. მათ შორის: სედანი, ჰეჩბეკი, კროსოვერი და სრულამძრავიანი არასაგზაო. სავარაუდოდ, ასეთი მანქანების მყიდველები ჩინელი ჩინოვნიკები იქნებიან. ყოველწლიურად, Chery-ის გეგმით, დაახლოებით, 50-60 ათასი ეგზემპლარი გაიყიდება. Riich-ის მოდელებზე ფასები 100 ათასი იუანიდან (დაახლოებით, 14,7 ათასი აშშ დოლარი) დაიწყება და 200 ათას იუანამდე მიაღწევს. ■

BMW-ს სამთვალა მანქანა

კომპანია BMW-მ სამთავალა კონცეპტუალური ავტომობილის — Simple (აბრევიატურა სიტყვებისა: Sustainable and Innovative Mobility Product for Low Energy Consumption — ბალანსირებული და ინოვაციური გადაადგილების საშუალება მცირე ენერგიის მოხმარებით) — შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც 2005 წელს შეიმუშავეს, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის დღემდე არ წარუდგენიათ. ამჟამად, პროტოტიპი BMW-ს მიუნხენის მუზეუმშია. ორადგილიან კონცეპტ-ავტოში — BMW Simple — რომლის სიგანე 1100 მმ, ხოლო მასა მხოლოდ 450 კგ გახლავთ, მგზავრის ადგილი მძღოლის სავარძლის უკანაა. ამასთან, სალონში თავისუფალი ადგილის თადარიგის მიხედვით პროტოტიპი 3-Series-ს ჰგავს. ავტომობილის სიმაღლე ისეთივეა, როგორიც „ხუთიანისა“, ხოლო სიგრძე კომპაქტურ ჰეჩბეკზე — MINI Cooper — ოდნავ მცირე. BMW-ს მონაცემებით, Simple-ს აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი მხოლოდ 0,18-ს შეადგენს. კონცეპტ-ავტო მოძრაობაში ჰიბრიდული დანადგარის საშუალებით მოდის, რომელიც 48 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავასა და ელექტრომოტორისგან შედგება, რაც მანქანას 100 კმ/სთ სიჩქარის 9 წამში განვითარების შესაძლებლობას აძლევს. ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე — 200 კმ/სთ, საწვავის ხარჯი 100 კმ-ზე მხოლოდ 2 ლიტრია, ხოლო ატმოსფეროში CO_2-ის გამონაბოლქვი 1 კმ-ზე 50 გრამს არ აღემატება. ■

მოამზადა ***ალექსი რეხვიაშვილმა***

დედამიწა საფრთხეშია

გლობალური დათბობა დედამიწაზე 1850 წლიდან დაიწყო, რის მიზეზადაც სამრეწველო ქარხნების აშენებას ასახელებენ. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ტემპერატურის დათბობა გაცილებით თვალში საცემი გახდა: არქტიკის ყინულები 13 პროცენტით შემცირდა; ყინულოვანი საფარი 2 კვირით ადრე იწყებს ლღობას, ვიდრე 20 წლის წინ; ალასკაზე ტემპერატურამ 1 გრადუსით მოიმატა; ევრაზიაში მცენარეები გაცილებით ადრე (დაახლოებით, 10 დღის სხვაობით) იფურჩქნება; მიმომფრენი ფრინველები ჩრდილოეთში უფრო დიდხანს რჩებიან.



აღსასრული

მაიას ტომის კალენდრის მიხედვით, დედამიწის აღსასრული 2012 წლის 21 დეკემბერს დადგება. ამ დღეს უდიდესი ციკლი სრულდება, რომელსაც „მეხუთე მზე“ შეარქვეს. თავად ციკლი 5126 წლისგან შედგებოდა და ჩვენს ერამდე 3113 წლის 13 აგვისტოს დაიწყო. სინამდვილეში, 2012 წლის 22 დეკემბრიდან ახალი „მეექვსე მზე“ იწყება. მაიას ტომის კალენდრის მიხედვით, ციკლის ათვლა ადამიანის დაბადებიდან დაიწყო. არსებული 5 ციკლი სხვადასხვა კატაკლიზმის გამო დასრულდა: პირველი მიწისძვრამ იმსხვერპლა, მეორე — ქარიშხალმა, მესამე — ვულკანის ამოფრქვევამ, ხოლო მეოთხე — წყალდიდობამ. რით დასრულდება „მეხუთე მზის“ ციკლი, უცნობია, რადგან კათოლიკურმა ეკლესიამ მაიას ტომის თითქმის ყველა ჩანაწერი გაანადგურა.

ვარსკვლავთა აღლუმი

დედამიწის აღსასრულის რა მოგახსენოთ, მაგრამ ცნობილია, რომ 2012 წლის 21 დეკემბერს პლანეტათა მცირე აღლუმი უნდა მოხდეს. ამ დღეს ჩამწკრივდება 4 პლანეტა: დედამიწა, მარსი, სატურნი და იუპიტერი. პლანეტების ასეთი მცირე აღლუმი დაახლოებით 20 წელიწადში ერთხელ ხდება. დიდი აღლუმი ეწოდება მოვლენას, როცა თავს იყრის ხუთი და მეტი პლანეტა. ■

რელიგიური სექტები

უკვე 80 წელია, ახალ გვინეაში პაპუასი იესო ქრისტეს კულტი არსებობს. კულტის მსახურებს სწამთ, რომ სახარებიდან ამოხეულია ის ფურცლები, სადაც წერია, რომ იესო პაპუასი იყო; მომავალში იგი დაბრუნდება, რათა პაპუასები — ბატონებად, თეთრკანიანები კი მათ მსახურებად აქციოს.

70-იან წლებში აშშ-ში შეიქმნა სექტა — „ციური კარიბჭე“. მისი წინამძღოლი ხალხს ასწავლიდა, რომ ღმერთი და ლუციფერი დედამიწაზე ძალაუფლების შესანარჩუნებლად იბრძვიან და გაიმარჯვებს ის, ვინც სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს. საინტერესოა, რომ ამ სექტის თაყვანისმცემლების დიდი ნაწილი პროგრამისტი იყო.

კანადელი ინდიელები სისხლისმსმელ ღმერთს, ბაკსბაკუალანკს ეთაყვანებიან. მართალია, ისინი სისხლიან რიტუალებს აღარ ატარებენ, მაგრამ ექსტაზში ჩავარდნილები ერთმანეთს ჰკბენენ.

კანადაში 10 წლის წინ ჩამოყალიბდა სექტა — „რაელიანთა რელიგია“. ყოფილი ჟურნალისტი კლოდ რაელი სექტანტებს (სექტას 50 ათასი მიმდევარი ჰყავს) უყვება, რომ მამამისი უცხოპლანეტელი იყო და ისინი დედამიწის გადასარჩენად „მფრინავი თეფშებით“ ჩამოფრინდნენ.

ჯაინების სექტაში 5 მლნ ინდოელია გაწევრებული. მათი პრინციპია, ზიანი არ მიაყენონ ბუნებას. განსაკუთრებით „რელიგიურები“ შიშვლები დადიან (მათ „შუქით შემოსილები“ ჰქვიათ); მხოლოდ პირბადე აქვთ აფარებული, რათა შემთხვევით, ქინქლა არ გადაყლაპონ. მათთვის უმაღლესი ნეტარება შიმშილისგან სიკვდილია. ■

მსხვერპლად ქცეული ტურისტები

ზიმბაბვე

აფრიკაში, წელიწადში დაახლოებით 100-150 ადამიანი აგრესიული ბეჰემოთების მსხვერპლი ხდება. ეს ცხოველები განსაკუთრებით, ღამით არიან საშიშები — ამ დროს ტურისტების ნავებთან ახლოს მისვლას და მათ გადაყირავებასაც ახერხებენ.

ამერიკა

კალიფორნიისა და მექსიკის სანაპირო სერფინგისა და დაივინგის მოყვარულებითაა სავსე, ოკეანეში კი თეთრი ზვიგენი დაცურავს და გემრიელ ლუკმას ეძებს. ექსტრიმის მოყვარული ტურისტები წყალქვეშ რკინის გალიით ჩადიან, საკუთარი ხელით რომ გამოკვებონ ოკეანის ყველაზე საშიში ბინადარი და ხშირად, კიდურების გარეშეც რჩებიან.

ავსტრალია

ნიანგების ნახვა შეიძლება ყველგან, სადაც წყალია. მათი მსხვერპლი ძირითადად, მეთევზეები და დაუფიქრებელი ტურისტები არიან.

ტანზანია

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე 600 ადამიანი გახდა ლომების მსხვერპლი. ტურისტები სიამოვნებით აკვირდებიან ტყის ამ ბინადართ და ხშირად, ეს გასართობი სიცოცხლის ფასად უჯდებათ.

კანადა

ქალაქ ჩერჩილს ყოველ შემოდგომას ათასობით ტურისტი სტუმრობს, რათა თეთრი დათვების მიგრაციას დაესწროს. ქალაქის მერია უსაფრთხოების ყველა ნორმას იცავს, მაგრამ არიან ისეთი ტუტუცი ტურისტებიც, რომლებიც 600-კილოგრამიან ცხოველს თავს აჭმევინებენ.

ინდოეთი

ბრაკონიერების წყალობით, ინდოეთში ვეფხვების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ მათი ნახვა რანტხამბხორის ნაციონალურ პარკში შეგიძლიათ, სადაც ბინადრობდა კაციჭამია-ვეფხვი, რომელმაც 430 ადამიანი შეჭამა.

ჯოგოდო

ვარანებით დასახლებულ კუნძულზე ტურისტებს ღამის გათევას არ ურჩევენ. ეს ცხოველები საკმაოდ სწრაფად დარბიან და ბასრი კბილებით ადამიანის დასახიჩრებაც შეუძლიათ.

ტაილანდი

კაო-სოკის ნაციონალურ პარკში სამეფო კობრები ბინადრობს. თითოეული მათგანი 6 მეტრამდე იზრდება და მის შხამს სპილოს მოკვლა შეუძლია. ტურისტი, რომელიც გამოცდილი გიდის გარეშე პარკის სიღრმეში გასეირნებას გადაწყვეტს, სამეფო კობრის მსხვერპლი ხდება.



სმერჩი და ტორნადო

სწრაფად მოძრავ ატმოსფერულ გრიგალს, რომელიც ხმელეთსა და ზღვაზე ძაბრისებურად ეშვება, ჩრდილოეთ ამერიკაში ტორნადოს, ევროპაში — თრომბს, მეზღვაურები — სპაუნტს ეძახიან.

ტორნადო ხშირია ჩრდილოეთ ამერიკაში. წელიწადში (ძირითადად, გაზაფხულზე) 200-მდე ტორნადო სახლებსა და სხვადასხვა შენობას ანგრევს. მისი სიჩქარეა 100 კმ/სთ. 1965 წლის აპრილში აშშ-ში ერთდროულად, 38 ტორნადო მძვინვარებდა. მათი სიმაღლე 10 კმ, დიამეტრი — 2 კმ, სიჩქარე — 300 კმ/სთ იყო. სტიქიამ 6 შტატი დააზიანა, 250 ადამიანი დაიღუპა და 2500 — დაიჭრა.

საინტერესო ფაქტი მოხდა ჰოკეის მატჩის დროს. შვედეთის სამხრეთით, სტადიონზე სმერჩი აბობოქრდა და ერთ-ერთი გუნდის მეკარე კარიანად, რამდენიმე მეტრით ჰაერში ააგდო.

ამერიკაში ტორნადოს ძალას F სისტემით განსაზღვრავენ:

ყველაზე მსუბუქია F0, ხოლო ყველაზე ძლიერი — F5. დამანგრეველი სმერჩის სიჩქარე საათში 500 კმ-ს აჭარბებს. მას შეუძლია გახლიჩოს სახლი, ჰაერში აიტაცოს რამდენიმეტონიანი მატარებელი. ერთ-ერთი ასეთი სმერჩი ამერიკაში დააფიქსირეს. მისი სიჩქარე 720 კმ/სთ იყო. ■

რუბრიკა მოამზადა რუსუდან გელაშვილმა

როგორია ღმერთთან, ყოვლადწმინდა სამებასთან დაკავშირებით ჭეშმარიტი სწავლება

ღმერთის, ყოვლადწმინდა სამების შესახებ ჭეშმარიტ სწავლებაზე საუბარი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან არსებობს უამრავი მწვალებლური მიმდინარეობა — ერესის სხვადასხვა სახეობა და ადამიანები, მართლმადიდებლები კარგად უნდა გაერკვნენ ყოველივე ამაში, რათა მყარი ორიენტირები ჰქონდეთ და საღმრთო დოგმატების არასწორი განმარტებების გავლენის ქვეშ არ მოექცნენ...

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე):

— ღმერთი არსებობს ერთი და გამოხატული სამ ჰიპოსტასში — მამაში, ძესა და სულიწმიდაში: მართლმორწმუნე ქრისტიანები ვაღიარებთ ყოვლადწმინდა სამებას ანუ გვწამს, რომ ღმერთი ერთია, მაგრამ — სამგვამოვანი. ერთი არსია და განუყოფელი სამება. ვიცით, რომ ნათლისღების დღესასწაულს ღვთის განცხადების დღესასწაულსაც უწოდებენ, რადგან სწორედ ნათლისღების დღესასწაულის დღეს განეცხადა ადამიანებს ღმერთი, ყოვლადწმინდა სამების სახით ანუ — მაცხოვრის ნათლისღების ჟამს განცხადდა ყოვლადწმინდა სამების აღნიშნული საიდუმლო. მამა უწინარეს საუკუნეთა შობს ძეს თავისი არსიდან და გამოავლენს სულიწმიდას. მამა უშობელია, დაუსაბამოა. მისი არსი არაფრითაა განპირობებული. იგი არც იშვების და არც გამოვალს არავისგან. ძე ღმერთი შობილია — იგი იშვების მამისაგან უწინარეს საუკუნეთა. სულიწმიდა კი მამისგანაა გამომავალი. მაგრამ სამივე ჰიპოსტასი ბუნებით ერთია — რაც მამაა ბუნებით, იგივეა ძეც და სულიწმიდაც. მამა ბუნებით არის ღმერთი ჭეშმარიტი და საუკუნო, შემოქმედი ყოველთა ხილულთა და არახილულთა. მაშასადამე, ასეთივეა ძეც და სულიწმიდაც, ამიტომ ისინი ერთარსნი არიან. წმინდა სამების სამივე ჰიპოსტასს აქვს ერთნაირი ღირსება და ერთნაირი პატივი. ეს არის უდიდესი საღვთისმეტყველო სწავლება ეკლესიისა, რომელიც ადამიანმა რწმენით უნდა მიიღოს. და ამის შემდეგ, ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში შეუძლია ისწავლოს წმინდა მამათა სწავლებები ყოვლადწმინდა სამების შესახებ. თუ ადამიანმა თავიდანვე მოინდომა, რომ ჩასწვდეს, როგორ არის ღმერთი ერთი და ამავე დროს — სამჰიპოსტასოვანი, სამპიროვანი, მთელი ცხოვრება ვერ მოახერხებს ამის ჩაწვდომას: რაიმეს რომ ჩავწვდეთ, მასზე მაღალი უნდა ვიყოთ, ღმერთს კი ადამიანი თავისი გონებით, მინიმალურადაც ვერ მიუახლოვდება, ამიტომ ვერასოდეს შევიმეცნებთ ღმერთს სრულად; მაგრამ თავად ღმერთმა გამოგვიცხადა, რომ ასეთია და გამოგვიცხადა ისე, როგორც და რა დონეზეც თავად ადამიანს შეეძლო ყოვლადწმინდა სამების საიდუმლოში ჩაწვდომა.

ნათლისღება

წმინდა მამები, რომლებიც ღვთისგან იყვნენ გაბრძნობილნი, მაინც ცდილობდნენ, წმინდა სამების აღქმა მაქსიმალურად გაეადვილებინათ ადამიანებისთვის და იგი მზეს შეადარეს. მზე ერთი მთლიანობაა, მაგრამ სამყაროში სამი სახით განეფინება: ცეცხლის ბირთვის — დისკოს, სინათლისა და სითბოს სახით. ისინი ცალ-ცალკე, სხვადასხვა რამაა, მაგრამ სამივეს ერთი არსი აქვს: დისკიც, სხივიც და ნათელიც ერთ მთლიანობას — მზეს წარმოადგენს. არც მატერიალურ, არც არამატერიალურ სამყაროში, არც ზესკნელში, დედამიწასა თუ ქვესკნელში არ არის ადგილი, სადაც მამა, ძე და სულიწმიდა იმყოფებიან. სწორედ ეს არის ერთი ღმერთი, მაგრამ სამგვაროვნად, სამპიროვნულად გამოხატული.

— ეკლესიის სწავლებით, ღმერთის თვისებათაგან ზოგი არსისმიერია, ზოგი — პიროვნული. რომელია ღმერთის პიროვნული თვისებები?

— ღმერთის პიროვნული ანუ ჰიპოსტასური თვისებებია: არშობილობა, შობილობა და გამომავლობა, ასევე — უხილავობა, ყოვლისმიზეზობა, სიტყვა და ქმნადობა.

არშობილობა არის მამის ჰიპოსტასური თვისება, რამეთუ მამა არავისგან იშვების. მამის ჰიპოსტასური თვისებაა ყოვლისმიზეზობა და უხილავობაც. თვით უფალიც გვეუბნება: მამა არავის უხილავს, გარნა, რომელი გამოვიდა მამისაგანო.

ძის ჰიპოსტასური თვისებაა შობილობა, რამეთუ ძე იშვების მამისაგან, ბუნებით უწინარეს საუკუნეთა. ძის ჰიპოსტასური თვისებაა სიტყვაც.

სულიწმიდის ჰიპოსტასური თვისებაა გამომავლობა, რამეთუ მარადიულად გამოვალს მამისგან. განირჩევა მამისგან პიროვნული თვისებით, იმიტომ, რომ მისგან გამოვალს; განირჩევა იგი ძისგანაც პიროვნული თვისებებით, იმიტომ, რომ არსებობა მამისგან შობით კი არა აქვს, როგორც ძეს, არამედ — გამომავლობით. სულიწმიდის ჰიპოსტასური თვისებაა ქმნადობაც. სამყაროს ქმნიდა ყოვლადწმინდა სამება — ერთი ღმერთი, მაგრამ მამამ თქვა და იქმნა. მამამ თქვა ძე, სიტყვა და იქმნა — სულიწმიდა, ე.ი. ქმნადობა არის სულიწმიდის ჰიპოსტასური თვისება, სიტყვა — ძისა, ყოვლისმიზეზობა და უხილავობა კი — მამისა. გარდა ამისა, ძის ჰიპოსტასური თვისებაა მთელი საქმე ხორციელ-ქმნისა; არც მამას მიუღია ხორცი და არც სულიწმიდას. ძე ღვთისა, მართალია, განკაცნა, მაგრამ მას სამყარო არ დაუტოვებია, იმავდროულად კი სრულყოფილად იმყოფებოდა მარიამის წიაღში. ძე ღვთისა სრულყოფილად აღავსებდა სამყაროსაც და მარიამის სხეულსაც, რომელშიც იმყ-

ოფებოდა. ეს ის საიდუმლოებებია, რომლებიც ადამიანმა უნდა ირწმუნოს, რწმენით უნდა მიიღოს.

— რომელია ღმერთის არსისმიერი თვისებები?

— რომლებიც თანაბრად შეეფერება მამას, ძესა და სულიწმიდას: იყოს ღმერთი — საუკუნო, დაუსაბამო, დაუსრულებელი, სახიერი, ყოვლადძლიერი, ყოვლისაღმავსებელი, უსაზღვრო, ყოველივე დაფარულისა და ცხადის წარმმართველი.

— რა სწავლება აქვს წმინდა ეკლესიას ყოვლადწმინდა სამების პირველ ჰიპოსტასთან, მამა ღმერთთან დაკავშირებით?

— მამა ღმერთი არის მიზეზი ყოველივესი, თვით ძის მიზეზიც, რადგან მისგან იშვების. ძე მამისაგან კი არ იშვა, არამედ მარადიულად იშვება. შობადობა არ ყოფილა დროში განსაზღვრული ფაქტი, დაუსრულებლად იშვება მამისგან ძე და დაუსრულებლად გამოდის მამისგან სულიწმიდა. სულიწმიდის მიზეზიც არის მამა, რადგან ის მამისგანაა გამომავალი. მამა ღმერთის პირველი თვისება არის ყოვლისმიზეზობა, ასევე — უშობელობა და უხილავობა.

— რა სწავლება აქვს ეკლესიას ძე ღმერთის შესახებ?

— როგორც ვთქვით, ძის ჰიპოსტასური თვისება — შობილობა, პირმშოობაა. ჭეშმარიტი პირმშო, ჭეშმარიტი ხატი მამისა არის ძე ღვთისა, რადგან მარადიულად, დაუსრულებლად იშვება მამისგან. მართალია, მას საწყისი მამაში აქვს, მაგრამ იმის გაფიქრებაც კი არ შეიძლება, რომ ოდესმე ძე ღვთისა არ არსებობდა. მარადიულობა უცვლელია, იგი დროით შემოსაზღვრული არ არის. ერთი ღმერთი — ყოვლადწმინდა სამება — მარადიული და უცვლელია, ამიტომ მამა ღმერთი არასოდეს ყოფილა ძისა და სულიწმიდის გარეშე. მისგან დაუსრულებლად იშვება ძე და დაუსრულებლად გამოვალს სულიწმიდა.

— როგორ უნდა გვესმოდეს სწავლება ძე ღვთისას განკაცებასა და ხორცშესხმაზე?

— განკაცება ანუ ადამიანური ბუნების მიღება მისი ნებით მოხდა, ხორცის შესხმა კი მოხდა სულიწმიდისა და ქალწულ მარიამისაგან. წმინდა სამებაში იმიტომ განკაცნა სწორედ ძე ღვთისა, რომ მას თვითონ ჰქონდა ძეობის, პირმშოობის თვისება — შეიძინა ადამიანური ძეობის თვისებაც. ამის შემდეგ უფალი იესო ქრისტე არის სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცი. თუ ყოვლადწმინდა სამებაში გვაქვს ერთი ღმერთი სამპიროვანი, განკაცებული და ხორცშესხმულ უფალ იესო ქრისტეს აქვს ერთი პირი, ერთი ჰიპოსტასი, მაგრამ ორბუნებოვანი, ე.ი. ყოვლადწმინდა სამება ერთბუნებოვანი სამჰიპოსტასური ღმერთია, იესო ქრისტე — ერთჰიპოსტასური ორბუნებოვანი.

როგორც ვთქვით, უფალ იესო ქრისტეში არის სრულყოფილი ღვთაებრივი და სრულყოფილი ადამიანური ბუნება, თვინიერ ცოდვისა. ცოდვა კი მასში იმის გამო არ არის, რომ ის დაცემული ადამიანური ბუნებიდან არ შობილა, ის იშვა სულიწმიდისგან, ამიტომ ცოდვა, რომელიც ყველა ადამიანს მემკვიდრეობით გადაეცემა, მასზე არ გადმოსულა. თვითონაც არ შეუცოდავს. ხოლო რაც შეეხება სხვა ადამიანურ თვისებებს — ჰქონდა ყოველივე, რაც დამახასიათებელია ადამიანური ბუნებისთვის: შიმშილის, წყურვილის გრძნობა თუ სხვა უძლურებანი; მაგრამ მაცხოვარში ადამიანური ბუნება მთლიანად ემორჩილებოდა ღვთაებრივ ბუნებას ანუ ადამიანური ბუნება მასში ღვთაებრივი ბუნების არავითარ საწინააღმდეგოს არ იქმოდა. წმინდა მამებს ასეთი მაგალითი მოჰყავთ: რკინას არა აქვს ცეცხლის თვისება, მაგრამ თუ მას ცეცხლში ჩავაგდებთ და დიდხანს გავაჩერებთ, რკინაზე ცეცხლის თვისება გადავა. ეს არ არის რკინის თვისება, მაგრამ მისი ყოველი ნაწილაკი ცეცხლის თვისებით განიმსჭვალება. ასევე — ძე ღვთისა რომ განკაცნა და ადამიანური თვისება მიიღო, ღვთაებრივმა ბუნებამ მთლიანად განმსჭვალა ადამიანური ბუნება; ადამიანურ ბუნებაში არ დარჩენილა არც ერთი ადგილი, ღვთაებრივ ბუნებას რომ არ განემსჭვალოს.

ეკლესიას აქვს დოგმატები; მისთვის დოგმატი იგივეა, რაც მათემატიკაში — აქსიომა. ერთ-ერთი დოგმატი ისაა, რომ იესო ქრისტე არის განკაცებული ძე ღვთისა, რომელმაც ხორცი შეისხა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა. მასში არის სრულყოფილი ღვთაებრივი ბუნება და სრულყოფილი კაცური ბუნება, აბსოლუტურად შეურევნელი. მაგრამ მასში ადამიანური ბუნება სრულად ემორჩილება ღვთაებრივს.

— ყოვლადწმინდა სამების მესამე ჰიპოსტასს — სულიწმიდა ღმერთს უკვე შევეხეთ. საინტერესოა, რატომ ეწოდება სულიწმიდას ცხოველმყოფელი?

— „ცხოველი“ ძველქართულად, ცოცხალს ნიშნავს. სულიწმიდა კი იწოდება ცხოველმყოფლად იმიტომ, რომ ქმნადობა მისი ჰიპოსტასური თვისებაა; ის განაცხოველებს, სიცოცხლეს ანიჭებს ყოველივეს დედამიწაზე. ყოველივე კეთილს, რასაც ადამიანი იქმს, სულიწმიდის მადლით იქმს. წმინდა მამები ბრძანებენ: როგორც კრუხი ჩეკს წიწილებს, ასევე გამოიღო სულიწმიდის მადლმა ყოველივე ქაოსიდანო.

ღვთაებრივი მადლი სამყაროს, სულიწმიდის მიერ მოეფინება. ქმნადობა სულიწმიდისგან მოდის, იგი არის განმაცხოველებელი, სიცოცხლის მიმნიჭებელი.

— რას ნიშნავს სიტყვა „უფალი“, რომელსაც ხშირად ვიყენებთ ღმერთთან მიმართებაში?

— სიტყვა „უფალი“ ბატონს, პატრონს ნიშნავს. იგი ძველად, მიმართვის ფორმად გამოიყენებოდა — ასე მეფეებს, დიდებულებსა და სხვა პატივსადებ ადამიანებს მიმართავდნენ. სახარების თანახმად, სავლეს,

შობა

შემდგომში პავლე მოციქულს, უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა და უთხრა: საულ, საულ, რასა მდევნი მეო? პავლემ ჰკითხა: ვინა ხარ შენ, უფალლო? რომ სცოდნოდა, ღმერთი რომ იყო, ხომ არ ჰკითხავდა?! „უფალი“ მან მიმართვის ფორმად გამოიყენა, როგორც პატივსადები სიტყვა. დღეს კი „უფალს“ მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს ვუწოდებთ — გვსურს, ამით მის აღმატებულებას გავუსვათ ხაზი.

P.S. **„გზის“ მომდევნო ნომრიდან განვაგრძობთ საუბარს ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებით.**

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

მალთაშუა დისკის დაზიანება



ადამიანის ორგანიზმში დეგენერაციულ-დისტროფიული ცვლილებები ადრეულ ასაკშივე იწყებს განვითარებას, რის გამოც, ხერხემლის მალებს შორის არსებულ დისკში ნივთიერებათა ცვლა ირღვევა, ამას მოჰყვება გაუწყლოება, შედეგად კი დისკი ხდება მყიფე და შესაძლოა, მცირედი დატვირთვის შემთხვევაშიც დაზიანდეს. ეს პროცესი ანუ ოსტეოქონდროზი ნებისმიერი ადამიანის ორგანიზმში (მეტნაკლები ინტენსივობით) მიმდინარეობს და მისი დაჩქარება ან შენელება შეიძლება, გარკვეულმა რისკ-ფაქტორმა განაპირობოს. მაგალითად: გენეტიკური წინასწარგანწყობილება, ალკოჰოლიზი, ნიკოტინის მოხმარება, ორსულობა, მშობიარობა, გადამეტებული ფიზიკური დატვირთვა, არასწორი ცხოვრების წესი და სხვა.

რა ხდება ოსტეოქონდროზის დროს

ხერხემლის მალის სხეულის წინა კედელზე ჩამოდის იოგი, რომელიც დისკის დაზიანების შემდეგ, რაც ხერხემლის არასტაბილურობას იწვევს, განიცდის კალციფიცირებას ანუ ძვალდება, რის შემდეგაც ხერხემლის სტაბილურობა კვლავ აღდგება. ნათელია, რომ ეს პროცესი ორგანიზმის თავდაცვითი რეაქციაა — ხალხში „მარილების დაგროვების“ სახელწოდებით ცნობილი წანაზარდი, რომელიც სინამდვილეში გაძვალებული იოგია, არ აზიანებს არც ნერვს, არც ზურგის ტვინს და არც ტკივილს იწვევს. ხშირად, ეს წანაზარდები ხერხემლის რენტგენოგრამაზე მცდარი დიაგნოზის დასმის საბაბი ხდება, არადა, იგი ხერხემლის სტაბილიზაციასაც კი განაპირობებს. თუმცა წანაზარდის არსებობა მიუთითებს, რომ მალთაშუა დისკში რაღაც არ არის წესრიგში.

უფრო ხშირად ზიანდება წელის მალები, რადგან ყველაზე დიდი დატვირთვა წელზე მოდის; მეორე ადგილზეა კისრის მალების ოსტეოქონდროზი; ეს პროცესი იშვიათად ვითარდება გულმკერდის მალებში, რადგან იგი ფიქსირებულია ნეკნებითა და მკერდის ძვლით.

წელის მალთაშუა დისკის დაზიანება

ზოგჯერ, მალთაშუა დისკის დაზიანებას ხერხემლის კუნთის სისუსტე ემატება, რის გამოც, ხერხემლის სტაბილიზაცია ვერ ხერხდება. ასეთ პირობებში, სულ მცირე ფიზიკურმა დატვირთვამაც კი (დაცემინება, გაჭინთვა ან უხერხული მოძრაობა) შეიძლება, მალას მალაზე დარტყმა და მათ შორის არსებული დისკის მთლიანობის დარღვევა გამოიწვიოს. დისკის ირგვლივ არის ფიბროზული რგოლი, რომლის ცენტრში მოთავსებულია პულპოზა ანუ ბირთვი, იგივე — არაჟნისებური ნივთიერება. ფიბროზული რგოლის დაზიანების შემდეგ ეს ნივთიერება დისკის საპროექციო არიდან (დისკის თიაქარი ხალხში დისკოზის სახელითაცაა ცნობილი) გადმოედინება.

ხშირად, დისკის საპროექციო არიდან გამოსული ფრაგმენტი აწვება ზურგის ტვინს და იწვევს ტკივილს წელში. ზურგის ტვინიდან ტოტებივით გამოდის ნერვები, რომელთა დაბოლოება ქვედა კიდურებშია. თუ ეს ფრაგმენტი მიაწვა ამ ნერვს, ფეხში ტკივილი აღმოცენდება. ტკივილის მიზეზი არის მექანიკური კონფლიქტი დისკსა და ნერვულ დაბოლოებას შორის. თუ უფრო მეტად მიაწვა დისკის ფრაგმენტი ნერვს, მაშინ ვითარდება დაბუჟება ანუ მგრძნობელობის დაქვეითება ან გაუკუღმართება. დაბუჟება ავადმყოფს არ აშინებს, მაგრამ ამ დროს პროცესი უფრო შორს წასულია და სამკურნალოდაც რთულია.

კისრის მალთაშუა დისკის დაზიანება

კისრის მიდამოს ოსტეოქონდროზული ცვლილებები მეტად გავრცელებული მდგომარეობაა. მას ხშირად ერთვის ტკივილის სინდრომიც. კისრის სეგმენტი ყველაზე მოძრავი ნაწილია ხერხემლის სვეტში, რაც დამატებითი რისკ-ფაქტორია დისტროფიულ-დეგენერაციული დაავადებისთვის. ამ შემთხვევაში ავადმყოფი უჩივის: ტკივილს კისრის მიდამოებსა და ზედა კიდურებში, მგრძნობელობის შეცვლას, რეფლექსების ასიმეტრიას, მოძრაობის შეზღუდვას და ა.შ.

შორს წასულ შემთხვევებში თავს იჩენს: პრობლემები ქვედა კიდურებსა და მცირე მენჯის ორგანოებში (საშვილოსნო, საკვერცხეები, შარდის ბუშტი), რის დროსაც ოპერაციული ჩარევაა საჭირო.

გულმკერდის მალთაშუა დისკის დაზიანება

გულმკერდის სეგმენტი ყველაზე სტაბილურია ხერხემლის სვეტში, რადგან იგი დაფიქსირებულია ნეკნებითა და მკერდის ძვლით, რის გამოც, ამ სეგმენტში ტკივილი ყოველთვის ნაკლებადაა.

დისკის დაზიანების განვითარების უამრავი მიზეზი არსებობს. მაგალითად:

* მემკვიდრული წინასწარგანწყობილება;
* გადატანილი ინფექციები;
* გადაჭარბებული ფიზიკური დატვირთვა;

* ნიკოტინი, ალკოჰოლი;
* ფეხმძიმობა, მშობიარობა;
* ნივთიერებათა ცვლის დარღვევა;
* სქოლიოზი და სხვა;

იმ ერთი მიზეზის დასახელება, რამაც დისკის დაზიანება გამოიწვია, შეუძლებელია. ამ დროს ხდება დისბალანსი ორგანიზმის კუნთების შესაძლებლობასა და დატვირთვას შორის. როცა კუნთოვანი სისტემა სუსტია, დატვირთვა მთლიანად ხერხემალზე გადადის და ისიც ადვილად ზიანდება. ამიტომაცაა, რომ დაავადების მკურნალობა ძირითადად, კუნთების გაძლიერებისკენაა მიმართული. ამ დროს წამალი ვერაფერს გიშველით, მხოლოდ ტკივილს გააყუჩებს. მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში ამ დაავადებას მკურნალობენ ვარჯიშებითა და ცურვით.

ოსტეოქონდროზის გართულება

* ტკივილის ინტენსივობის მომატება;
* დაბუჟების მომატება;
* სტეპაჟი ანუ ტერფის ჩამოვარდნა;
* მცირე მენჯის ორგანოების ფუნქციის დარღვევა.

შესაძლებელია, ნერვს დისკის იმდენად დიდი ფრაგმენტი დააწვეს, რომ მისი ბლოკირება მოახდინოს და ადამიანმა მოძრაობა ვეღარ შეძლოს.

ოსტეოქონდროზის დროს აუცილებელია ავადმყოფს ჩაუტარდეს რენტგენოლოგიური და კლინიკური (ხელით გასინჯვა, ტესტები) გამოკვლევა. ზუსტ და ამომწურავ ინფორმაციას კი მაგნიტო-რეზონანსული კვლევა იძლევა.

მკურნალობა

დაჭიმვა — დისკის დაზიანების შემთხვევაში მალებს შორის მანძილი შემცირებულია, ამიტომ მის დაჭიმვას წყალქვეშ ახდენენ. ამ დროს იქმნება უარყოფითი წნევა და ამოვარდნილი დისკი მართალია, ზუსტად თავის კუთვნილ ადგილს ვერ უბრუნდება, მაგრამ საკმარისია, სულ მცირე მანძილითაც მოშორდეს ნერვულ დაბოლოებებს, რომ ავადმყოფი უდიდეს შვებას გრძნობს. ეს მეთოდი ეფექტიანია ტკივილის მოსახსნელად, მაგრამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ავადმყოფმა გამუდმებით უნდა ივარჯიშოს და კუნთების გაძლიერებასზე იზრუნოს.

ვარჯიში — პაციენტს ვარჯიშს ექიმი შეურჩევს და მისი შესრულების ტექნიკასაც ასწავლის. არასწორად შესრულებულმა ვარჯიშმა შეიძლება, ზიანი მოუტანოს ადამიანს. ოსტეოქონდროზის და დისკის დაზიანების დროს შესასრულებელ ვარჯიშებს არანაირი ტრენაჟორი თუ სპეციალურ სპორტულ დარბაზებში სიარული არ სჭირდება. იგი ავადმყოფმა სახლში უნდა გააკეთოს. ეს არის ძალიან იაფი მკურნალობა, მაგრამ მოითხოვს დიდ ნებისყოფას. თანაც, ვარჯიში არ უნდა გადაიქცეს ტანჯვად.

მასაჟი — მიმართავენ მანუალურ თერაპიას (წერტილოვანი მასაჟი), რისი მიზანიც, წყალში დაჭიმვის მსგავსად, დისკის ფრაგმენტის ნერვიდან მოშორებაა — მასაჟი უფრო ძალისმიერი და მტკივნეული მეთოდია. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ან შესანარჩუნებლად ამ შემთხვევაშიც აუცილებელია ცურვა და ვარჯიში. ზოგი მანუალისტი ამტკიცებს, რომ დისკს ხელით გრძნობს და მისი ხერხემლის სვეტში ჩაბრუნება შეუძლია. ეს აბსურდია. დისკს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ ხელით მისი შეგრძნება შეუძლებელია, მანუალისტი შეიგრძნობს მხოლოდ მალის წვეტიან მორჩს, რაც დისკი არ არის.

წამალი — ინიშნება მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალებები. ისიც, მხოლოდ იმიტომ, რომ პაციენტს ვარჯიშის საშუალება მიეცეს.

სწორი ჩვევები

მთავარია ძლიერი კუნთოვანი კორსეტისა და სწორი ჩვევების ჩამოყალიბება. კერძოდ, უნდა ვიცოდეთ სწორად ჯდომა, სიმძიმეების აწევ-დაწევა და სხვა.

* წინ წაკუზული ანუ „დაგვის პოზაში“ სიმძიმის აწევა არ შეიძლება. სიმძიმის ასაწევად უნდა დავიკუზოთ და ტვირთიანად ავდგეთ. ამავე პოზაში დიდხანს მუშაობა, მაგალითად, იატაკის დაგვაც არ არის რეკომენდებული;
* მაქანაში სავარძელი საჭესთან ახლოს უნდა იყოს მიწეული. სასურველია, პატარა ბალიშზე ჯდომა;
* სიმაღლიდან სიმძიმის ჩამოღებისას კი არ უნდა გავიწელოთ, არამედ სკამზე შევდგეთ და ტვირთი ისე ჩამოვიღოთ;
* არ შეიძლება სიმძიმის აღება, მხოლოდ წელის შემობრუნება და გვერდზე ისე გადადება, აუცილებლად მთელი ტანით უნდა შემოვბრუნდეთ;
* სკამზე ფეხი-ფეხზე გადადებული ან ჩავარდნილ სავარძელში ჯდომა არაა სასურველი. აუცილებელია მივეყრდნოთ სკამის საზურგეს;
* ხანგრძლივი ჯდომითი სამუშაოების შესრულების დროს სასურველია, ტერფები ოდნავ მაღალზე დავდოთ, ისე, რომ მუხლები მენჯბარძაყის ზემოთ იყოს.

ოპერაციის აუცილებლობა

ადამიანს თუ არა აქვს სტეპაჟი, თუ არ არის დარღვეული მცირე მენჯის ღრუს ორგანოთა ფუნქციები, ტკივილის ინტენსივობის მიუხედავად, 6 თვე ტარდება კონსერვატიული მკურნალობა. თუ ამან არ უშველა, მაშინ ოპერაციის საკითხი დგება.

ოპერაციის დროს ხდება ნერვული დაბოლოებიდან იმ დისკის ფრაგმენტის მოცილება, რომელიც ხერხემლის სვეტიდან ამოვარდნილია და მას აწვება.

დაიმახსოვრეთ: ოსტეოქონდროზისა და დისკის დაზიანების პროფილაქტიკის მიზნით რეკომენდებულია ვარჯიში და ცურვა.

P.S. ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97. ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.

■

იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ადამიანი

„ოთარის გვერდით გატარებული არც ერთი დღე ერთმანეთს არ ჰგავს“...

ქალბატონი, რომელმაც გიტარის ჯადოქარს საკუთარი ცხოვრება მიუძღვნა

სადღაც მაქვს ამოკითხული: „50-იან წლებში თბილისში ხმა გავარდა, ერთი ვაკელი ბიჭი გიტარას „ხელებით კვნეტსო“... მერე ეს ბიჭი ყველამ გაიცნო და მისი გასაოცარი ხელოვნებითაც მოიხიბლა... თბილისის კოლორიტი, ჰანგების მესაიდუმლე და გიტარის ჯადოქარი — არაერთი ეპითეტით შეუმკიათ ოთარ რამიშვილი, რომელსაც 24 ოქტომბერს 75 წელი უსრულდება... საიუბილეო თარიღი დიდ საკონცერტო დარბაზში აღინიშნება...

ლალი ფაცია

ამ თვითმყოფად შემოქმედში ლექსიცა და მუსიკაც ერთდროულად გაჩნდა. რაც თავი ახსოვს, ორივეს წერს. თავადვე უკრავს, მღერის და ეს ყველაფერი ძალიან სიამოვნებს... რაც მთავარია, მისი ნამუშევრები მსმენელს მუდამ სიამოვნებას ანიჭებს.

რამიშვილებს შინ მაშინ ვესტუმრე, როდესაც ბატონი ოთარი და მისი პროდიუსერი კონცერტისწინა სამზადისში იყვნენ. ჩემს მისვლას ისიც დაემთხვა, რომ მაესტროს სახლში მოწაფეც ესტუმრა. მან გაკვეთილი დაიწყო... ქალბატონმა გულნაზმა, ბატონი ოთარის არაჩვეულებრივმა მეუღლემ გვერდით ოთახში მიმიპატიჟა. სანამ ოსტატსა და შეგირდს გიტარის გაკვეთილი ჰქონდათ, ჩვენ დრო არ დაგვიკარგავს და ბატონი ოთარის პერსონის ირგვლივ საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ...

ვანო ყულჯანიშვილი, *პროდიუსერი:*

— მე ბატონი ოთარის ნამოწაფარი ვარ. როდესაც მასთან პირველად მივედი, 11 წლის ვიყავი... ამ კაცის სიმღერებზე ვიზრდებოდი. მას ჩემს ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის... თუკი რამ კარგი მაქვს, ეს „მიხაილოვიჩის“ დამსახურებად მიმაჩნია. გვერდიდან არ მიცილებდა. ქალაქის კოლორიტებთან — ქართლოს კასრაძესთან, ავთო შარვაძესთან ერთად დავყავდი... ამიტომაც გადავწყვიტე, მისი 75 წლის საიუბილეო კონცერტისათვის ორგანიზება გამეწია და ამით მის მიმართ მადლიერება გამომეხატა. კონცერტზე ქართველი მომღერლები გამოვლენ და მაესტროს სიმღერებს შეასრულებენ. ბატონი ოთარი მაყურებლის წინაშე მხოლოდ რამდენიმე სიმღერით, რომა რცხილაძის ბენდთან ერთად წარდგება... სხვათა შორის, 5 წლის წინ, მის 70 წლის იუბილესაც მე გავუკეთე ორგანიზება. მაშინ ძალიან ცუდად იყო, საავადმყოფოში იწვა... პალატაში აფიშით ხელში დავადექი თავზე. მითხრა: არ ინერვიულო, შევძლებ, ფეხზე წამოვდგე, არ გიღალატებ და სცენაზე მაინც გამოვალო... ახლანდელი კონცერტის რეჟისორი ლევან წულაძეა, მხატვარი — გიგა ლაპიაშვილი. გვინდა, კავსაძის ქუჩა №7-ის ინსცენირება გავაკეთოთ — იმ ადგილის, სადაც ბატონმა ოთარმა მთელი ცხოვრება გაატარა და სიმღერები შექმნა...

ქალბატონი გულნაზი:

— ცოტა ხნის წინ ოთარი ტოქშოუ „პროფილში“ იყო სტუმრად და იქ ასე იხუმრა: ექიმმა მითხრა, — ბატონო ოთარ, სასმელი არ დალიო, მალე მოკვდებიო, — მაგრამ ერთი კვირის შემდეგ თვითონ არ მოკვდაო?!. გადაცემაში სტუმრობის შემდეგ ექიმთან წავიყვანე (მისი ექიმი სერგო ორჯონიკიძე გახლავთ, ზურიკელას როლის შემსრულებელი ფილმში — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“). სერგომ ოთარი რომ დაინახა, უთხრა: აბა, ბატონო ოთარ, მიპასუხეთ — რომელი ექიმი მოკვდა? მე ხომ არ მგულისხმობდითო? — არა, ტო, შენზე არ მითქვამს... ეგ ექიმი შენამდე მყავდაო...

— 75 წელი სოლიდური ასაკია... საერთოდ, როგორ აღინიშნებოდა ხოლმე ბატონი ოთარის დაბადების დღე თქვენს ოჯახში?

— ოთარს ძალიან უყვარს თავისი დაბადების დღე, იმდენად, რომ ოჯახის წევრების დღეობებსაც ყოველთვის მისად აქცევდა ხოლმე... ოთარის სუფრის თანამეინახეები ყველა სფეროსა და წოდების წარმომადგენლები იყვნენ და არიან: პროფესორები, ექიმები, მსახიობები, მწერლები, სპორტსმენები, მეთევზეები, მუსიკოსები, პოლიციელები და, როგორც იტყვიან, „კარგი ბიჭები“...

ვანო:

— ქალბატონი გულნაზი მისი მემატიანეა: თუკი ბატონი ოთარის რაიმე სიმღერა არსებობს, თავის დროზე ფურცელ-ფურცელ აქვს შეგროვებული... ბატონი ოთარი საკუთარ ნამუშევრებს არ უფრთხილდებოდა; რომ დაწერდა, შეიძლებოდა, არც შეენახა. ასე რომ, ქალბატონი გულნაზი რომ არა, ბევრი კარგი სიმღერა შესაძლოა, დაკარგულიყო...

— ქალბატონო გულნაზ, როდე-

საც პირველად ნახეთ ბატონი ოთარი, მაშინვე მიხვდით, რომ ის დიდი ნიჭის პატრონი იყო?

— ყოველთვის მოკრძალებული ადამიანი ვიყავი... ოთარი როცა გავიცანი, წარმოიდგინეთ, მაშინ თბილისში არც კი ვიყავი ნამყოფი. როდესაც მას ცოლად გავყევი და სამტრედიიდან თბილისში ჩამოვედი, აქაურ ცხოვრებასაც მალე შევეჩვიე; ჩემში გარკვეული გარდაქმნა მოხდა... თან, აშკარად ვატყობდი ოთარს, რომ ის მართლაც არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი, მუდამ უცნაურად იქცეოდა... მაგიდაზეც ხშირად მხვდებოდა ქაღალდის ნაგლეჯებზე დაწერილი ლექსები. როცა ამ ლექსებს ვკითხულობდი, ვხვდებოდი, რომ ჩემი ცხოვრების თანამგზავრი ნიჭიერი ადამიანი იყო. რა თქმა უნდა, სტრიქონებს სანაგვე ყუთისთვის ვერ ვიმეტებდი... ასე რომ, თავისი ლექსებით, ქმედებითა და ყოფით სულ მაოცებდა...

— არასდროს გინანიათ, მას ცოლად რომ გაჰყევით?..

— როდესაც ოთარზე ძალიან გავბრაზდებოდი, სახლში დიდ საოჯახო საქმეს წამოვიწყებდი, რომ არ გავგიჟებულიყავი და მასავით, გარეთ არ გავვარდნილიყავი (*იცინის*).



სათევზაოდ კუს ტბაზე

— მაგრამ როდესაც ხელში გიტარას აიღებდა და მღეროდა, მაშინ როგორი განწყობილება გეუფლებოდათ?

— ...შინ ყოველთვის მოჰყავდა სტუმრები. სტუმრიანობა არც მანამდე იყო ჩემთვის უცხო, ასეთივე ოჯახში ვიყავი გაზრდილი. ამიტომ ოთარის მოყვანილ სტუმრებს სიამოვნებით ვმასპინძლობდი... და იყო სიმღერა, ხუმრობა, გართობა... ჩვენთან მოსვლა ადრეც და ახლაც ყველას უხარია...

— თქვენც მღერით?

— მე „თავო ჩემოს“ ვმღერი... ან კიდევ სიმღერას — „კარგი იყო, არ გამეცან თავიდან“...

— უკვე რამდენი წელია, რაც ერთად ხართ?

— წელს, 28 აგვისტოს 40 წელი გახდა... ერთხელ, კოკა ყანდიაშვილმა თავის გადაცემაში მიგვიწვია და გვკითხა: ჯვარი თუ გაქვთ დაწერილი? — არა-მეთქი, — ვუპასუხე. — ჯვარს რომ დაიწერთ, ხომ დამპატიჟებთ ქორწილშიო? — აუცილებლად-მეთქი, — მივუგე... მაგრამ ჯვარი დღემდე არ დაგვიწერია...

— რატომ?

— რატომ და, როცა ვიკითხე, — რა მოხდება, ჯვარი რომ არ დავიწეროთ-მეთქი? მითხრეს, — ჯვარი რომ არ დაიწეროთ, იმ ქვეყანად ერთმანეთს ვერ შეხვდებითო. გაგიჟდი? იმ ქვეყნად ისევ მაგას უნდა ვუყურო-მეთქი?.. — ვუთხარი იმ ადამიანს.

— მაინც რას ნიშნავს თქვენთვის 40 წლის მანძილზე ასეთი ადამიანის გვერდით ყოფნა?

— ალბათ ერთმანეთის ბედისანი ვართ და ოჯახიც ასე მოვიტანეთ დღემდე. ოთარი არ არის პრეტენზიული. თუმცა აქამდე თავისი ცხოვრებით იცხოვრა, მე კი, შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი ცხოვრება არ მქონია; გამოვიდა, რომ სულ მისთვის ვიცხოვრე...

ვანო:

— ისე, ამის გამო ქალბატონ გულნაზს ერთი ღირსების ორდენი კი ეკუთვნის...

გულნაზი:

— ჩემთვის ღირსების ორდენი ის არის, რომ ჩვენი ოჯახი, განურჩევლად ეროვნებისა, მთელ საქართველოს უყვარს.

— სანამ გათხოვდებოდით, თუ წარმოიდგენდით, რომ კოლორიტის მეუღლე გახდებოდით? საერთოდ, რაზე ოცნებობდით ბავშვობაში?

— არ დამივიჯერებთ, მაგრამ ზუსტად მქონდა წარმოდგენილი ჩემი შემდგომი ცხოვრება — ანუ მომავალში რა უნდა ყოფილიყო და რა გზა უნდა გამომევლო, თითქოს ვიცოდი... და ზუსტად ასეც ვიცხოვრე და ვცხოვრობ დღესაც. ეტყობა, ყველაფერს წინასწარ ვიყავი შეგუებული. თუმცა ძალიან მინდოდა, რომ პროფესიით ექიმი, მსახიობი ან იურისტი გამოვსულიყავი...

— მერე, ბატონმა ოთარმა ხელი არ შეგიწყოთ?

— რას ამბობთ, ვინმე ხელს თუ ჩამომართმევდა, — ხელი გაუშვი, ეს ჩემი ცოლიაო, — ეუბნებოდა (*იცინის*)...

— რამდენი წლის იყავით, ოჯახი რომ შექმენით?

— 19-ის, ოთარი — 34 წლის. არასოდეს მიფიქრია, რომ ჩვენ შორის ამხელა ასაკობრივი ზღვარი იყო. იმთავითვე დავკავდი ოჯახის მოვლით, საქმით...

— რამიშვილების ოჯახში ვინ დაგხვდათ?

— ოთარის არაჩვეულებრივი მშობლები, რომლებიც ასევე კარგად მღეროდნენ... ხანდახან, მათი ხმა რომ მომენატრება, ჩავრთავ ჩანაწერს, ვუყურებ და ვტირი. საოცრად თბილი ადამიანები იყვნენ... ოთარს ჰყავს ერთი და, რომელიც ორი ქალიშვილის დედაა. რამიშვილებს შესანიშნავი წრე ჰყავთ. მოკლედ, ყველანი ერთად ვცხოვრობდით. მომსწრე ვარ იმისა, თუ როგორი სიამტკბილობა ჰქონდათ ერთმანეთში ჩემს დედამთილსა და მამამთილს. მათი ცქერა ჩემთვის უდიდესი სკოლა იყო... თუმცა ოთარისგან მსგავსი დამოკიდებულება ჩემ მიმართ არ მახსოვს: რომ გათენდებოდა, ალიონს გარეთ მიჰყვებოდა და შინ გვიან ბრუნდებოდა... მაგრამ მიუხედავად მისი უცნაურობისა, მიმაჩნია, რომ მაინც საინტერესო ცხოვრებით ვიცხოვრე, რადგანაც ჩემი ყოველი დღე აბსოლუტურად განსხვავებულია... იცით, რას ვინატრებდი?

— რას?

— მოდი, ოთარის სტრიქონებით ვიტყვი: „ნატვრის ახდენა ამქვეყნად თუა, ახალგაზრდობავ, გთხოვ, დამიბრუნდი“... ასე რომ, საინტერესო ცხოვრება გვაქვს ორივეს გავლილი... მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც მას გულით ესალმება და სითბოს არ აკლებს... იქ, სადაც ცნობენ ოთარს, მეც მცნობენ. როგორც ჩანს, შრომას მეც მიფასებენ... სულ მეუბნებიან, — შენ საქართველოს ბულბული გაბარია, ხომ იცი, კარგად უნდა მიხედო... მეც, — რაც შემიძლია, ვუვლი-მეთქი, — ვპასუხობ. — მას არაფრის ნება არ უნდა მისცე; მაგან ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლოსო...

— ამ უბანში (საბურთალო) 6 წელია, ცხოვრობთ. არადა, ბატონი ოთარის მთელი შეგნებული ცხოვრება ვაკეს, კერძოდ კი კავსაძის ქუჩის №7-ს უკავშირდება. ადვილად შეეგუა ახალ უბანს?

— სხვათა შორის, აქ გადმოსვლამ ოთარზე ძალიან იმოქმედა. გული მართლაც სწყდება, იქაურობა რომ დავტოვეთ და საცხოვრებლად აქეთ გადმოვედით, მაგრამ როცა ძალიან მოენატრება ვაკე, მიდის ხოლმე. სამაგიეროდ, იმ ბინის გაყიდვის წყალობით შვილებს თავ-თავიანთი კუთხე აქვთ, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ.

— თქვენ ხალხის მიერ ბატონი ოთარის სიყვარულსა და დაფასებაზე საუბრობდით... მართლაც, საოცარი სიყვარული აქვთ ადამიანებს მისი...

— ამ დღეებში, ექიმისგან რომ გამოვედით, ტრასამდე გარკვეული მანძილის ფეხით გავლა ვერ შეძლო. ამ დროს მანქანა ვიღაცამ გაგვიჩერა და დაბრძანდითო, გვითხრა, მერე დასძინა, — რა ბედნიერი ვარ, ბატონ ოთარს რომ შევხვდიო! — და სახლამდე მოგვიყვანა...

ვანო:

— არ მიკვირს ასეთი საქციელი, პირიქით რომ ყოფილიყო, ის გამიკვირდებოდა. ცოტა ხნის წინ ბატონი ოთარი დილის ტელეპროგრამაში იყო მიწვეული, საკუთარ იუბილეზე უნდა ელაპარაკა. მან კი აიღო ხელში გიტარა და სიმღერა ბუთხუზ ბასილაიას ხსოვნას მიუძღვნა... ამით იმის თქმა მინდა, რომ თავისი შემოქმედება ყოველთვის უკანა პლანზე ჰქონდა გადაწეული და სხვაზე ფიქრობდა. მართლაც, ბევრი წარმატებული ადამიანია ოთარის მიერ აღზრდილი...

— დღე ალბათ ისე არ გავა, რომ მას რაიმე კურიოზი არ გადახდეს თავს.

ვანო:

— კი, ასეა, მაგრამ ცოტა არ იყოს, ძველი, გაუხმაურებელი კურიოზი მინდა, მოგიყვეთ: ბატონი ოთარი ადრეულ წლებში ქალაქის „გაის“ (ავტოინსპექციის) თანამშრომლებმა თავიანთ იუბილეზე დაპატიჟეს. ამ დროს მასთან ვიყავი და გიტარაზე ვმეცადინეობდი. — ადე, მივდივართო, — მითხრა. — სად-მეთქი? — ვკითხე. — რა მნიშ-

ვნელობა აქვს, პურმარილი ხომ იქნებაო!.. ამასობაში მანქანაც მოვიდა, „გაის“ უფროსმა გამოუგზავნა და წავედით. ბატონა ოთარმა მძღოლს ვაჟა-ფშაველაზე, სპორტულ მაღაზიასთან გააჩერებინა მანქანა. უცებ შეირბინა და მალევე უკან გამობრუნდა... პურმარილზე, ცხადია, ყველანი დათვრნენ და „მიხაილოვიჩს“ სთხოვეს: ახლა ჩვენი საყვარელი სიმღერა გვიმღერეო. ოთარმაც ამოიღო „შვიმტოკი“ და არ ჩაბერა?!. თურმე ნუ იტყვით და, სპორტულ მაღაზიაში სასტვენი უყიდია!.. კიდევ ერთს ვიტყვი: ოთარს შეხვდა ერთი კაცი. — პირველი შვილი ვინ გყავსო? — ჰკითხა ოთარმა. — ბიჭიო, — უპასუხა იმ კაცმა. — რა ვქნა, „მიხაილოვიჩ“, გოგოს ვერ „ვაკეთებო“... — ბიჭო, როდის იყო, „მერსედესის“ შემდეგ „ჟიგულის“ აკეთებდნენო?!.

— როგორც დავინახე, ბატონ ოთართან მოსწავლეები ისევ დადიან...

გულნაზი:

— კი, აბა, ისე არ შეუძლია. სიმღერას, დაკვრასა და მოსწავლეებთან ურთიერთობას ვერაფრით ელევა...

— შვილები მამას რამდენად ჰგვანან?

— ძალიან კარგი შვილები გვყვანან. კარგი ოჯახებიც აქვთ, მაგრამ ოთარს ვერავინ შეედრება!..

— როგორც ვიცი, მუსიკალურები არიან...

— კი. უფროსი — ზურა არაჩვეულებრივი ჯაზმენია; მიშიკოც საოცრად მუსიკალური ადამიანია; მას კონსერვატორია აქვს დამთავრებული და ასევე, იურიდიული ფაკულტეტი; მესამემ — ლევანმა ფიზკულტურის ინსტიტუტი და უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა...

ამასობაში ბატონმა ოთარმა გაკვეთილი დაასრულა და ყველამ ერთად, მის ოთახში გადავინაცვლეთ.

— გამარჯობა, ბატონო ოთარ!

— გაგიმარჯოს! რა გქვია და რა გვარი ხარ?

— ლალი ფაცია გახლავართ...

— ლალი ფაცია?.. კარგად აცვია!..

— ვითომ კარგად მაცვია?

— გაცვია, რა, ტიტველიც არა ხარ...

— როგორ ბრძანდებით?

— არა მიშავს... შენ?

— თქვენ რომ გიყურებთ, შეუძლებელია, ცუდ ხასიათზე ვიყო...

— გაიხარე!..

— ერთხელ, მახსოვს, როდესაც მოგიკითხეს, ასე უპასუხეთ: გამორთული მაცივარივითა და გაზგასული ბორჯომივით ვარო...

— დიახ, ასეა... ოღონდ დღეს ზემოდან უნდა დავაყოლო, სიმღერით: „არ დაიჯერო, არ დაიჯერო“!.. და ნაკლები უნდა ვიფიქროთ: ფიქრი და დარდი ადამიანს ანადგურებს...

— რას გვეტყვით, რა ხდება ქვეყანაზე?

— პოლიტიკაში ყრუ ვარ, ვერ ვერკვევი, მუსიკაში კიდევ — მაგარი!

— სულ ვერ ხვდებით, რა ხდება ქართულ პოლიტიკაში?

— რა ვიცი, ზოგი იქით მიდის, ზოგი — აქეთ... შესაკრებთა გადანაცვლებით არაფერი იცვლება. მაგრამ „არ დაგღალოს ფიქრებმა, ყველაფერი იქნება!..“

— 75 წელი სერიოზული ასაკია, რას იტყვით?..

— რა უნდა ვთქვა? ამ ცხოვრებას ნელ-ნელა, რიტმში მივყვები. სულ მოლოდინში ვარ: დღეს არა — ხვალ, ხვალ არა — ზეგ და ასე, ლოდინ-ლოდინში 75 წელსაც მივაღწიე... მუშაობის ხალისი სულ მაქვს... მოწაფეებსაც ვამეცადინებ, მაგრამ ხალხს ფული არა აქვს და მოწაფეები ისე, როგორც ადრე, ვეღარ მოდიან. საზოგადოება, ხალხი მიყვარს... ხალხი, რომელიც დღეს უმუშევარია...

— დღევანდელი თბილისი თუ მოგწონთ?

— ძველად რომ იჩხუბებდი, გინება არ იყო. მუშტი-კრივის შემდეგ ერთმანეთს გადაკოცნიდნენ და რესტორანში მიდიოდნენ. ახლა რა გითხრა, მამას დედასთან ურთიერთობას არ აცლიან (*ვიცინით*)... შენ პლანი ხომ არ გაქვს მოწეული, რამდენს იცინი?..

— რას ამბობთ, ბატონო ოთარ! სიგარეტსაც არ ვეწევი!..

— ნიჭიერი ხარ!.. სიგარეტი ფილტვების საფხანია...

— კიდევ რა არ მოგწონთ დღევანდელ თბილისში?

— დანისა და იარაღის ხმარება არ შეიძლება... თბილისში გადასარევი ხალხი ცხოვრობდა და ცხოვრობს ახლაც. ამ ქალაქმა სიყვარული მასწავლა, სტუმართმოყვარეობა, კარგი მისვლა-მოსვლა... მაგრამ ახლა ადამიანებს უჭირთ; ამასთან, გაცივდნენ კიდეც და საკუთარი ცხოვრება კომპიუტერს დაუკავშირეს... მაგრამ თბილისზე მე მაინც ვგიჟდები, აქედან წასვლა არსად მინდა. ქუჩაში რომ გავდივარ, მანქანები ჩერდებიან, ხალხი მომდევს... მეუბნებიან, ეგენი შენი ფანები არიანო. არადა, დღემდე ვერ გავიგე, ფანი რას ნიშნავს?.. ისე ცუდი რამე არ უნდა იყოს, მგონი, ხალხს ვესიმპათიურები და ეგ არის, რა!..

— ქალბატონ გულნაზს რა ადგილი უკავია თქვენს ცხოვრებაში?

— მეორე ასეთი ადამიანი არ არსებობს. გადაყოლილია ჩემზე, პატარა ბავშვივით მივლის...

— პირველად რომ ნახეთ, როგორი გოგო იყო?

— ანგელოზი იყო და ახლაც ანგელოზია...

— როგორ ფიქრობთ — ქალი რა ფენომენია?

— კაი რამეა... ნერვებსაც აგიშლის, გაგახარებს და დაგლუპავს კიდეც. ყველაფერსაც იზამს...

გულნაზი:

— სიცილზე გამახსენდა: ერთხელ ჟურნალისტი მოვიდა, ინტერვიუ ჩაწერა ოთართან. ბევრი იმხიარულა, იცინა; მერე თქვა, ისე კარგად ვგრძნობ თავს, სახლში წასვლა არ მინდაო. თან, უკვე საკმაოდ გვიანიც იყო... — მერე, ადექი და მაგ ტახტზე მიწექიო, — უთხრა ოთარმა...

ვანო:

— გუშინ ფოტოკორესპონდენტი მოვიდა, სურათებს უღებდა ბატონ ოთარს; რაღაც ბევრი იწვალა, ცოტა სხვანაირი ფოტოების გადაღება მინდაო, — ამბობდა... — მერე, დაწექი და ისე გადაიღეო, — მიხაილოვიჩმა მიუგო...

— ბავშვობაში შენიშვნებს არ გაძლევდნენ და არ გიბრაზდებოდნენ?

— არა, ვინ გამიბედავდა? ყველას იქით ვუჯავრდებოდი...

— „აჩმორებდით“?

— არა, ვაჩმახებდი...

შვილიშვილებთან ერთად

— როგორც გავიგე, თურმე წელიწადია, რაც არ დაგილევიათ... ისე, მაინც რა არის ალკოჰოლი?

— დალევ და მუზა მოგდის კაცს, კარგ ხასიათზე დგები...

— მუზა სიფხიზლეში არ გსტუმრობთ?

— ნაკლებად, თუმცა „მუზას რას უზამ?!.“ 300-მდე სიმღერა მაინც მაქვს დაწერილი.

— ვიცი... ყველა თქვენი სიმღერა მაგარია!..

— კი, ჩაქუჩით ვერ გატეხ, ისეთი!..

— ფეხბურთის გულშემატკივარი რომ ხართ, ესეც ვიცი. როგორ გგონიათ — საქართველოს ნაკრებს რატომ არ უმართლებს? რა გვეშველება?

— ცხოვრებაში რა გვეშველება, რო?!. ფეხბურთს ვინ დაეძებს?!.

— ქართული ფეხბურთის უმძიმეს მდგომარეობას ვერაფერი უშველის?

— მთავარია: ვარჯიში, რეჟიმი და ჭკუა!.. მე ჯარში სევასტოპოლში ვმსახურობდი. იქ ფეხბურთიც მითამაშია. 11 ნომერი ვიყავი. 18 წელი კრივშიც ვვარჯიშობდი.

— აზარტული თამაშებიდან რა გიყვართ?

— ნარდი მიყვარს ძალიან: „აღარა ვარ დარდით, ისე მიყვარს ნარდი!..“

— ახლა უნდა დაგემშვიდობოთ, რადგანაც კონცერტის წინ ჩემი კითხვებით არ მინდა, გადაგღალოთ... სულ ბოლოს კი მინდა, მოგილოცოთ 75 წლისთავი, რკინისებური ჯანმრთელობა გისურვოთ და ქართველების გულის გასახარად, კიდევ ბევრი ლამაზი სიმღერა შეგექმნათ!..

— დიდი მადლობა, შვილო!.. ვეცდები, ჭკუით მოვიქცე!.. ■

ლიკა ქაჯაია

გარიგება

მაჭანკალი დედა, დამფრთხალი სასიძო და სადედამთილოს მიერ შემოწმებული ქალწულობა

უსიყვარულოდ შექმნილი ოჯახი ჩვენში მრავლადაა, მით უმეტეს, ჩვენი მშობლებისა თუ ბებია-ბაბუის თაობაში. საქართველოში გარიგებით გათხოვება და ცოლის მოყვანა ოდითგანვე პოპულარული იყო და რა გასაკვირია, თუ მაშვალი დღესაც მრავლადაა. „ხანუმობას" ისეთი ქალები ან კაცები ჰკიდებენ ხელს, რომელთაც სხვისი ბედნიერება ახარებთ, ქეიფი სწყურიათ ან სულაც, ამ საქმეს მხოლოდ იმისთვის ემსახურებიან, რომ გასამრჯელო აიღონ. ადრე თურმე ხარის ტყავსაც სჯერდებოდნენ, ახლა კი ფულის გარეშე თითსაც აღარავინ გაანძრევს.

ისე, ახალგაზრდებს ცოლის მოყვანა ნამდვილად უჭირთ (ყველას არ ვგულისხმობ, რა თქმა უნდა) და პატარა ბიძგი მართლაც სჭირდებათ, მაგრამ შეზარხოშებულს, შენს საკუთარ სახლში „შემოპარული" და ლოგინში ჩაგორებული უცხო ქალი რომ დაგხვდება, დამეთანხმებით, ეს უკვე მეტისმეტია. ეგ კიდევ არაფერი; მშობელი რომ იზრუნებს შვილის დაქორწინებაზე და სადედამთილოს ან სასიდედროს მოგაყენებს სახლში; ან როცა ქალი, რომელიც დედამთილობას გიპირებს, გასაყიდი ცხენივით აგზომდაგზომავს და შენი პატიოსნების შემოწმებასაც სახალხოდ შეეცდება, აი, მაშინ ხარ მთლად დაღუპული...

სასიდედრო — არა, მაგრამ კარგად მახსოვს, ჩემი უფროსი მეგობარი ცოლის მოყვანაზე კატეგორიულ უარს რომ ამბობდა, დედამისმა თავისი მოწონებული სარძლო მოიყვანა შინ. ბიჭი ჯორზე შეჯდა: სახლში არ მივალ და იმ გოგოს ჩემი ლოდინი რომ მოჰბეზრდება, წავა, აბა, რას იზამსო?!. როცა დედამისმა ძალიან შეაწუხა და ლამის მიწაში ჩააწვინა ეს „სამარცხვინო" შვილი, — ქალი სახლში მოგიყვანე და ნახე, იქნებ, მოგეწონოს, თავს ნუ მომჭრიო, — ვაჟმა დაამშვიდა: შენ წადი და ნახევარ საათში თუ არ მოვედი, მერე თავი მართლა წამაცალეო. დედა წავიდა თუ არა, ხვეწნა დამიწყო: სახლში „ბრიტვა" გექნება და თავი გადამპარსეო. სხვა გზა რომ არ მქონდა, მამაჩემის სამართებელი გამოვიტანე და ხელებაკანკალებულმა მის ოქროსფერ ქოჩორს დავუსვი. როცა „კარგად" გავპარსე და სარკეში ჩაიხედა, თქვა: ახლაც თუ არ შემეშვებიან და ის გოგოც ფანტომასზე გათხოვებას გადაწყვეტს, კაცი კი არა, ლეგენდა ვიქნებიო. თავგადაპარსულს შორიდან რომ შევხედე, სიცილი წამსკდა — ისედაც წითური და თანაც, მზემოკიდებული სახე თეთრ, ახალგადაპარსულ თავს ძალზე სასაცილოდ ერწყმოდა. ნახევარ საათში დედამისი ისევ გამოეცხადა და როცა თავმოტვლეპილი შვილი დაინახა, გული შეუღონდა... მეც კარგად გავილანძღე. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ძმაკაცი „დაღუპვას" გადავარჩინე. ისე, ახლა ნამდვილად ვნანობ, იმ დღეს მას რომ დავემორჩილე. რატომ?.. დღესაც უცოლოდ დადის, დედამისს კი მისი გამოხდომების შიშით, სახლში სარძლო ვეღარ მიუყვანია, ნამდვილი მაჭანკლებიც გაურბიან ჩემი მეგობრის ოფოფებს და ესაა საქმე?!.

ახლა კი ჩემს რესპონდენტებს გაგაცნობთ. იმედია, მათი ნაამბობი თქვენც გაგამხიარულებთ, ზოგს კი შესაძლოა, რაღაც-რაღაცები ჭკუაშიც დაგიჯდეთ და ეს სახალისო ამბები სათქვენოდაც გამოიყენოთ.

საბა, *35 წლის:*

— ვიცოდი, მაჭანკლის პროფესია რომ არსებობდა, რომ ხანუმები სხვების გაბედნიერებაზე ზრუნავენ და ამაში ფულს ან ძვირად ღირებულ საჩუქარს იღებენ, მაგრამ საკუთარი მშობელი ასე თუ გამწირავდა, ნამდვილად არ მეგონა. მოკლედ, დედაჩემი დღემდე არ ისვენებს — ხან ვინ მოჰყავს სახლში და ხან — ვინ. უნდა, სასწრაფოდ დამაქორწინოს, მე კი არსად მეჩქარება.

— ისე, უკვე დროა, ცოლი მოიყვანო. პრინციპში, „დაძმარებული" სასიძოც კი ხარ.

— შეიძლება, მაგრამ ყველას თავისი ბედი აქვს. ამხელა კაცს ისევ მშობლები მარჩენენ და ცოლ-შვილი რით ან როგორ გამოვკვებო? მათი რჩენაც ჩემს მშობლებს დააწვეს კისერზე?

— შენ ხომ მუშაობ?

— ჰო, ვმუშაობ, მაგრამ „კაპიკებს" ვიღებ და ისიც მხოლოდ გზის ფულად მყოფნის, სიგარეტით კი მშობლები მამარაგებენ.

— გამოდის, კარგი ხელფასი აქვთ...

— თავი არ გეტკინოს!.. მამაჩემს 300 ლარი აქვს, დედას — 200. გაგვაქვს თავი, არ გვშია და არ გვწყურია, მაგრამ ჩემი 200 ლარით ოჯახი როგორ უნდა ვარჩინო?

— ეი. სულ 700 ლარი გაქვთ შემოსავალი. ბევრ ოჯახს ამის ნახევარიც არა აქვს...

— იმიტომაც იხოცებიან შიმშილით. ბავშვი რომ გაჩნდეს, მერე რა ვქნა, ლობიო ვაჭამო და პამპერსის მაგივრად ჩემი მაისურები ამოვუფინო? აბა, მითხარი, 700 ლარი რაში უნდა იმყოფინოს მრავალსულიანმა ოჯახმა? თან, არ დაგავიწყდეს, შინ ორი გაუთხოვარ-უმუშევარი და მყავს.

— ალბათ, დედაშენი მათთვისაც ეძებს საქმროებს...

— ჰოდა, ამიტომაც დარჩნენ ჩემი საცოდავი დები გაუთხოვრები. დედაჩემის მოსაწონი ვერავინ შეიყვარეს და ვისაც დედამ დაადგა თვალი, ესენი ვერ უგებენ. ერთხელ, შინ მოსულს სტუმრებით სავსე დამხვდა სახლი. მაშინ დედაჩემისგან ასეთ რამეს ნამდვილად არ მოველოდი, ეს პირველი შემთხვევა იყო. სახლში შესულმა ვიკითხე: ხომ მშვიდობაა? რომელიმეს დაბადების დღე გაქვთ და არ მახსოვს-მეთქი? — არა, შენს დას ათხოვებს ყურუმსაღი დედაშენიო, — ჩაიბურტყუნა მამამ და დაიჭყანა. ნინიკო მაშინ 22 წლის იყო. დედაჩემს ვიღაც ბიჭი მოსწონებია და მისთვის უთქვამს: სახლში ისეთი გოგო მყავს, ვერ დაიწუნებ; თუ გვიკადრებ, მობრძანდები და ნახავ, არ ინანებო. ის დოყლაპია მეორე დღესვე გვესტუმრა.

— დოყლაპია რატომ იყო?

— აბა, ვიღაც ქალი რომ გეტყვის, — მოდი, ჩემი შვილი უნდა განახვოო, — და მეორე დღესვე რომ გაიქცევი, დოყლაპია ხარ, აბა, რა ჯანდაბა ხარ?!. მოკლედ, გაუშლიათ სუფრა და მიდის ქეიფი. იმ ბიჭს მოუყვანია თავისი სანათესავო, ბებიამისი სუფრის თავში დამჯდარა და ჩემს დას გასაყიდი საქონელივით ათვალიერებდა. ჩემი მისვლა დიდად არ ეპიტნავათ და „განაბმა“ ბებომ ეს არც დამალა: ამ სახლში კაცები დიდი სტუმართმოყვარეობით არ გამოირჩევიან ან ქალის გათხოვება არ უნდათ; ქალი მონა კი არაა, მან თავისი საბედო უნდა ნახოს და გაფრინდესო. მისთვის არაფერი მითქვამს, სუფრას მივუჯექი და მოვულხინე. დები გვერდით მოვისვი და მათ იმდენი ღვინო დავალევინე, რომ გონება მთლად აემღვრათ და აღარ იცოდნენ, რას აკეთებდნენ. მერე ნინიკო შევაგულიანე, — მიდი, საქმროს აკოცე-მეთქი. თან, ყურში ჩავჩურჩულე: თუ არ გინდა, ამ საღამოს შენი საქმე გადაწყვიტონ, ისე მოიქეცი, როგორც მე გეტყვი-მეთქი. ნინიკო წამოხტა და თმაშეთხელებულ საქმროს ცხვირზე აკოცა. კაცი გაწითლდა. ამით ვისარგებლე, წამოვხტი და განვაცხადე: ნინიკომ ბევრი ბიჭი დაიწუნა იმის გამო, რომ მათ გამოცდა ვერ ჩააბარეს; ახლა გამოცდა შენ უნდა ჩააბარო და წარმატებას გისურვებ-მეთქი. — რა გამოცდაო? — ახლა უკვე მამამისმაც ამოიღო ხმა. — რა და, ნინო კაცობაში გამოცდის; თუ ვაჟიშვილი არ აღმოჩნდება, ვერ დავიტოვებთ; ნინიკო, დაიწყე-მეთქი. ჩემი და მივიდა, მუცელზე ხელი მოუთათუნა და... იქ ამბავი ატყდაა: დედამისი გიჟივით წამოხტა, რას კადრულობთო?! მამამისმა თეფშები დაგვილეწა, ბებიამ სულ ჯოხი აბრახუნა იატაკზე, სხვა ნათესავები თავქუდმოგლეჯილები გაცვივდნენ გარეთ, სასიძო კი იდგა და თვალებით მშობლებს უხმობდა, დამეხმარეთო. მამაჩემი და მეზობლები სიცილით იგუდებოდნენ, ჩემი დები იატაკზე ეყარნენ, მე კი გავყვიროდი: სიძე ვაჟიშვილია და უნდა დავიტოვოთ, აქედან ვერ გაიყვანთ-მეთქი!.. ის ბიჭი ხელში ატატებული გაიყვანა მამამისმა და ერთ მანქანაში ყველანი ისე ჩაეყარნენ (ერთმანეთი წიხლებით შეყარეს და ზოგი „ბაგაჟნიკშიც“ კი ჩაძვრა), მეორე მანქანა არავის გახსენებია და მის წასაყვანად რამდენიმე დღის შემდეგ ვიღაც კაცი გამოგზავნეს.

— დედაშენს ამ ყველაფერზე როგორი რეაქცია ჰქონდა?

— მე და ჩემს დებს მთელი ტანი დალურჯებული გვქონდა, იმდენი გვჩქმიტა. მეორე დღეს კი თავადაც ბევრი იცინა: თურმე ვინ მომწონებია სასიძოდო (*იცინის*)!

— შენთვის ბევრი ქალი მოუყვანია სახლში?

— უფ, რამდენიც გინდა. ზოგი ტკბილი სიტყვებით გავისტუმრე, ზოგი კი ლამის, გასაგდები გამიხდა. ერთი „ნამეტნავად“ გაჯიუტდა, სახლიდან წასვლა არ უნდოდა და ცდილობდა, ჩემთვის თავი მოეწონებინა. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირდა, პირიქით, ძალიან კარგი გოგო იყო, მაგრამ არ მინდა ცოლის მოყვანა და ძალაა?! თანაც, აქტიური ქალები საერთოდ არ მომწონს... ჰოდა, ამ გოგოს არაფერი რომ არ გამოუვიდა, დედაჩემს შეეკრა და ერთხელ, საკუთარმა მშობელმა მოტყუებით წამიყვანა ამ გოგოს სახლში. მითხრა, — თანამშრომელთან უნდა წამომყვე და ნორმალურად ჩაიცვიო. მისგან სიურპრიზებს მიჩვეულმა, გავიფიქრე, — ალბათ, იქაც ვიღაც უნდა მაჩვენონ-მეთქი და ტანისამოსი არც კი გამოვიცვალე, „სპორტულებით“ წავედი. როცა სტუმრად მივედით, გავშრი — კარში ჩემი ვითომდა საცოლე შემომეგება და გეგონებოდა, უკვე მისი ქმარი ვიყავი, ჩუსტები შემომაგება. ოთახში შესულს თმა გამითეთრდა — ამ ჩემი ცოდვით სავსე გოგოს მთელი სანათესავო შეეკრიბა, დიდი სუფრა გაეშალათ და რომ იტყვიან, იქაურობას ჩიტის რძეც არ აკლდა. თავი საოცრად უხერხულად ვიგრძენი და როცა გოგოს მამამ სიძე მიწოდა, ხოლო დედაჩემმა მას — მძახალოო, დაუძახა, — ნერვებმა მიმტყუნა. ბოდიში მოვიხადე: ცოტა ხნით გავალ, ასე ხელცარიელი ოჯახში შემოსვლა არ მეკადრებოდა-მეთქი... დედაჩემს გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა და სიხარულიც უცებვე შეეტყო. თავი გარეთ რომ დავიგულე, ქუჩაში „ბომჟები“ ვიპოვე, მათთან ერთად წამებში გამოვთვერი, მერე მიხაკების დიდი თაიგული ვიყიდე და იმ გოგოს სახლში მივედი. უკვე შეზარხოშებულმა და გათამამებულმა იქ ამბები დავატრიალეეე...

— მაინც, რა ამბები დაატრიალე?

— ზედ სუფრაზე ვიცეკვე, ქალი ხელში ვატრიალე, მის ახლობელ გოგოს სიყვარული ავუხსენი, თუკი რაიმე ბილწი ანეკდოტი ვიცოდი, სულ გადმოვაფრქვიე, ბოლოს კი ლამის ტრუსის ამარამ ვიცეკვე. დედაჩემი ირწმუნებოდა: განგებ აკეთებს, უნდა, რომ დაიწუნოთო, — მაგრამ ვინ დაუჯერა?! იმ გოგომ კივილი მორთო, — ეს ვის „მტენიდით“, არ გრცხვენიათო?! მერე კი დედაჩემს უყვირა: თქვენი შვილიანად მომცილდით და შეეცადეთ, მეტად აღარ შემაწუხოთო!.. ისე, კი შემეცოდა ის საცოდავი, იმდენი იტირა, ლამის გასკდა და ტბა დააყენა. როგორც ჩანს, გათხოვება ძალიან ეჩქარებოდა (*იცინის*).

— შენი საქციელი ბოროტ ხუმრობას ჰგავს.

— საკუთარი მშობელი მოტყუებით რომ მიგიყვანს ქალის სანახავად, გოგო რომ შენს „დასაბმელად“ დაიწყებს ჩალიჩს და მთელი მისი სანათესავო გადაგეკიდება, — გინდა თუ არა, ეს უცნობი ქალი ცოლად უნდა მოიყვანოო, — ეს არაა ბოროტი ხუმრობა?!

— დედაშენმა ჭკუა ამის შემდეგაც ვერ ისწავლა? შინ ისევ მოჰყავს საარძლოები?

— არა, ახლა ამბობს: თავს შარში აღარ გავყოფ, არანორმალური შვილები მყვანანო, მაგრამ ზოგჯერ ნებისყოფა არ ჰყოფნის და ვიღაცაზე ლაპარაკით მაინც გვიბურღავს ტვინს. ვეუბნები ხოლმე: წადი, სხვებს უმაჭანკლე, ამით ფულსაც იშოვი და ბევრს გააბედნიერებ-მეთქი. — საკუთარი შვილები მეურჩებით და სხვებზე როგორღა ვიზრუნებო?! ლამის თავი მოიკლას, ისე უნდა შვილიშვილი.

— მერე, არ გეცოდება?

— მოვა დრო და ბევრი შვილიშვილი ეყოლება, მაგრამ მანამდე ვინმე უნდა შემიყვარდეს. დედაჩემის „ნაჩალიჩარი“ ცოლი რა ჯანდაბად მინდა?!.

სულიკო, *38 წლის:*

— ჩემი მეზობელი ქალი მაგარი მასტია. თავის დროზე ისეთი ამბები დაატრიალა, შეიძლება, არც დაიჯეროთ. მოკლედ, ქალბატონ ლიანას 3 ვაჟი ჰყავს. ერთმა თავს უშველა და ცოლი ადრეულ ასაკში, თანაც, ისე შეირთო, დედისთვის არაფერი უკითხავს; მეორემ — ლაშამ შეყვარებული რომ გააცნო, ლიანამ თავი გაიგიჟა: კარგი გოგოა, მაგრამ ჯერ უნდა დავრწმუნდე, მართლა ქალიშვილია თუ არაო. შვილი გადაირია: რა, შენთან უნდა გაატაროს პირველი ღამე თუ შენი თანდასწრებით დავაკარგვინო ქალწულობაო? — რომელი ვარიანტიც შენთვის უფრო მისაღებია, ისე მოვიქცეთო, — წარბიც არ შეუხრია, ისე უპასუხა. ჰოდა, გადაირია შვილი. საცოდავი ბიჭი ცოლის მოყვანაზე ხმას აღარ იღებდა. ჰოდა, ასე, შეყვარებულობაში გასტანა 7-მა წელიწადმა. ნინო ლაშას ეჩხუბებოდა: უკვე დროა, დავქორწინდეთ, თუ დაოჯახებას არ აპირებ, მითხარი და მე ჩემს გზაზე წავალ, შენ — შენსაზე, აბა, ასე როდემდე უნდა ვიწანწალოთო? ლაშამ შესთავაზა: მოდი, გავიპაროთო. ნინიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: გასაპარავი რა გვჭირს? მშობლები ჩვენს ურთიერთობას არ ეწინააღმდეგებიან და ბარემ, ნორმალურად, ტრადიციების მიხედვით ვიქორწინოთო. ლაშა იძულებული გახდა, ნინისთვის სიმართლე ეთქვა. ამის გამო, ერთი პერიოდი ისინი ერთმანეთს დაშორდნენ კიდეც. ქალბატონი ლიანა ამ ამბავს არც დარდობდა: ნინიზე ამბობდა, — ალბათ, საკუთარი თავის იმედი არ ჰქონდა, ლაშას მოტყუებას ნებისმიერი ხერხით შეეცდებოდა, მაგრამ იცის, რომ მე ვერ გამაცურებს და კარგი ქნა, ჩემს შვილს რომ ჩამოშორდაო... ნინიმ ლაშას გარეშე რამდენიმე თვე გაძლო, მერე კი სიყვარულის ჭიამ არ მოასვენა, ლიანას ესტუმრა და უთხრა: თანახმა ვარ, ჩემი პატიოსნება დაგიმტკიცოთო. ლიანა სიხარულით ცას ეწია. იმწამსვე ლაშას დაურეკა და უთხრა: ძალიან მჭირდები, სამსახურიდან ახლავე წამოდიო. ლაშამ იფიქრა, ჩემს თავს რაღაც უბედურებაა და შინ სასწრაფოდ გამოცხადდა. ნინის

დანახვამ ბიჭი ძალიან გააკვირვა, ხოლო როცა მისი განზრახვის შესახებ შეიტყო, ჰკითხა: მართლა გინდა, დედაჩემს შენი პატიოსნება დაუმტკიცო? ჩვენ შეგვიძლია, ამის გარეშეც ვიქორწინოთ, მიუხედავად იმისა, ეს დედაჩემს მოეწონება თუ არაო. ნინიმ იუარა: მთელი ცხოვრება დედამთილის აბზუებული ცხვირის ყურებას მირჩევნია, ჩემს პირველ ღამეს დაესწროს, რა თქმა უნდა, ეს შენ თუ არ შეგიქმნის დისკომფორტსო. მოკლედ, იმ საღამოს ნინი ლაშასთან დარჩა. მართალია, ლიანა მისი ქალწულობის დაკარგვას არ შესწრებია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ დილით სისხლიანი თეთრეული გარეთ გამოფინა და რატომღაც, ამით მეზობლებს დაგვიმტკიცა, — ჩემი რძალი ქმარს პატიოსნად ჩაჰბარდაო (*იცინის*).

— **და ეს თბილისში მოხდა?**

— დიახ და არც ისე დიდი ხნის წინ.

— **ეჭვიც არ მეპარება, მესამე ვაჟის საქმეშიც ჩაერევოდა.**

— მესამე ვაჟის ქორწინება უფრო უცნაური გახლდათ. დათუნა პროფესიით ფილოლოგია. „დედიკოს ბიჭმა“ საცოლის დამოუკიდებლად შერჩევა ვერ გაბედა და ლიანაც იძულებული გახდა, მისთვის ქალი შეერჩია. შეაწუხა ნათესავები, მეზობლები და ბოლოს, სასურველი სარძლოც გაჩითა. მართალია, მის ქალწულობაში დარწმუნებული იყო, რადგანაც გოგონა სკოლას იმ წელს ამთავრებდა, თანაც, მიყრუებული სოფლიდან იყო და შინიდანაც იშვიათად უშვებდნენ მამა და 4 ძმა, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ სულ გრძელი ქვედაბოლოებით დადიოდა და ლიანამ იფიქრა: უშნოფეხებიანი ქალი არ შემომატყუონ, ჩემს დათუნას „ბრაკი“ ცოლი არ შეხვდესო. ჰოდა, ვიდრე ნიშნობა შედგებოდა, ლიანამ სარძლო შინ წამოიყვანა (იმ დღეს დათუნა ნათესავთან იყო წასული; ვაი, და, ლიანას სარძლო დაეწუნებინა, დათუნას კი ეთქვა: გინდა თუ არა, მე მომწონს და უნდა შევირთოო, მერე, რა ეშველებოდა?!.) და გოგონა აიძულა, მისი თანდასწრებით ებანავა. თურმე სათვალე ცხვირზე დაიკოსა, სარძლოს თითოეული ნაკვთი დაწვრილებით შეისწავლა და როცა ქალს წუნი ვერ უპოვა, დათუნას დაურეკა: მოდი, საშენო ქალია, ნიშნობა საჭირო არაა, დღესვე უნდა გაგაბედნიეროო.

— **დათუნამ დაუფიქრებლად შეირთო დედის მიერ შერჩეული ქალი?**

— აბა, რას იზამდა?! ის კი არა, საცოდავი, ძალიან ბედნიერი იყო: ოქრო დედა მყავს, ისეთი ქალი შემირჩია, რომელსაც წუნს ვერავინ უპოვისო. ისე, ლალიკა მართლა მშვენიერი გოგოა, კარგი დიასახლისი და მეუღლე.

— **ალბათ, ქალბატონ ლიანას თავისი პირველი რძალი არ მოსწონს, რადგან ის მისი შერჩეული არაა...**

— (*იცინის*) ამ დროს, პირიქითაა: ამ ორ მშვენიერ, მის მიერ მოწონებულ რძალთან კარგი ურთიერთობა ნამდვილად არა აქვს. ნინიმ და ლალიკამ დედამთილს თავხედური საქციელი ვერ აპატიეს — რა, საქონლები ვიყავითო?!. ახლა ლიანა მესამე რძლის — სოფიკოს მზეს იფიცებს და ამბობს, რომ მისნაირი გოგო ამქვეყნად არსად ეგულება. არადა, მეზობლები ჭორაობენ, რომ გიომ ის ბორდელიდან გამოიყვანა. თუმცა, სოფიკოს შესახებ ცუდს ვერაფერს ვიტყვი. ჩემი აზრით, მასზე ბოროტი ჭორის გავრცელებას თავის დროზე, სწორედ ლიანამ შეუწყო ხელი... ისე, თავს ვერავის პატიოსნებაზე დავდებ და შეიძლება, ის გათხოვებამდე მართლა მეძავი იყო, მაგრამ ფაქტია, ახლა ნამდვილი ანგელოზი გახლავთ. ლიანა თავში ხელს ირტყამს: ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა, ხოლო ვისაც გავხადე, ის ჩემს შემოსვას ცდილობსო. აი, სწორედ ამას ჰქვია ბედის ირონია.

კპტო, *27 წლის:*

— ჩემი მეგობრის დედამ მატარებელში გაიცნო ქალი, რომელმაც დაიწუწუნა: დასაოჯახებელი ბიჭი მყავს, ის კი ამ საკითხზე არაფერს ფიქრობს და მეც ვერ ვეხმარები; ხომ იცით, ახლა კარგი გოგოს პოვნა ძალიან ძნელიაო. სალოს დედას გაუხარდა: მე მყავს კარგი გოგო, ა, ბატონო, სურათი; მთავარია, გარეგნობით არ დაიწუნოთ და პატიოსნებით ვერავინ შეედრებაო. ბიჭის დედას — ქალბატონ ქეთინოს სარძლო ძალიან მოეწონა, სალოს დედამ კი სასიძო იქვე, მატარებელში ნახა და მისით აღფრთოვანებული დარჩა. ქალებმა შვილების ტელეფონის ნომრები გაცვალეს და ერთურთს მომავალში დამოყვრების იმედით გამოემშვიდობნენ... ცოტა ხნის შემდეგ ქალბატონ ქეთინოს შვილისთვის სალომეს ტელეფონის ნომერი მიუცია და უთქვამს: კარგი გოგოა, მისი სურათი ვნახე და თუ დაურეკავ, არ ინანებო. გიოს მისთვის ხელი აუკრავს: რას მეუბნები, ვინ გოგო ნახე, ხომ არ გაგიჟდიო?! შვილი რომ ვერ დაინტერესა და „ჯორიდან ვერ ჩამოსვა“, ქალბატონმა ქეთინომ სარძლოს თავად დაუმესიჯა, ოღონდ, რა თქმა უნდა, გიოს სახელით. მერე ერთმანეთში სურათები გაცვალეს და „ურთიერთობაც აეწყო“. როცა საქმე „დასერიოზულდა“, ქეთინო შვილს გამოუტყდა: ასე ვქენი, შენი სახელით ვუმესიჯებდი და იცოდე, არც ერთი „ესემესი“ არ წამიშლია, შეგიძლია, ყველა წაიკითხო; აი, იმ გოგოს სურათიც, და თუ მოგეწონება, მასთან ურთიერთობა თავადვე განაგრძე, სალომეს ლოგინშიც მე ვერ შემოგიგორებო.

— **გიოს სალო მოეწონა?**

— მოეწონა რომელია?! მესიჯობას პაემანი მოჰყვა, პაემანს — ნიშნობა და მალე დაქორწინდნენ კიდეც. აბა, ასე გააბედნიერეს დედებმა შვილები. ჰოდა, როცა დედაჩემი მსაყვედურობს: ყველა გათხოვდა და შენ რაღას უცდიო? — ვპასუხობ: გოგოებს გათხოვებაში მშობლები ეხმარებიან, შენ კი იმის ნაცვლად, რომ ვინმე შემირჩიო და ხელი შემიწყო, ყველა თაყვანისმცემელს მიწუნებ და მათ ისეთ რაღაცებს ეუბნები, უკანმოუხედავად გარბიან-მეთქი (*იცინის*).

— **ეი. დედას საყვედურობ, საქმროს ძებნაში რომ არ გეხმარება?..**

— რა სისულელეა?! ვეხუმრები! დედაჩემის შერჩეულს 100 წელი, ცოლად არ გავყვები.

— **ალბათ, თავის დროზე სალომეც ასე ჭიკჭიკებდა.**

— ჰო, ისიც ამას ამბობდა, მაგრამ დედამისი მაგარი მაჭანკალი აღმოჩნდა. ახლა მე მემუქრება: შენც გაგიჩალიჩებ რამესო!.. მოკლედ, სალომეს დედის და ღმერთის იმედად ვარ (*იცინის*)... ისე, გოგონებს სანწუწუნოდ ნამდვილად გვაქვს საქმე. ეს ბიჭები სულ გადარჯულდნენ. ყველას გართობა უნდა, ოჯახის შექმნას და ასეთი მძიმე ტვირთის „აკიდებას“ კი უმეტესობა გაურბის. ჰოდა, ალბათ, ამიტომაც გააქტიურდნენ მშობლები, თორემ ვის გაუგონია, საკუთარ შვილს სასიძო ან სარძლო მიაყენო შინ და უთხრა: გინდა თუ არა, უნდა მოგეწონოსო?!. ■

„ხელში კომპრომატებით სავსე საქაღალდე მეჭირა და არ გამოვიყენე“

ჯახა ჯუჯავას „ალიარებითი ჩვენება“

„ვატყობ, რომ თანდათან მარტორქაზე სქელი კანი მიხდება. საერთოდ აღარ მაღელვებს ისეთი რამეები, რასაც ადრე წონასწორობიდან გამოვყავდი“, — ასეთ „აღიარებით ჩვენებას“ კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი — ჯახა ჯუჯავა გვაძლევს. ოპოზიციონერი ირწმუნება, რომ საკუთარ ოჯახშიც უმცირესობაშია, მაგრამ იქ „მმართველი ძალის“ ანუ მეუღლის მიმართ ისეთი კრიტიკული არ არის, როგორიც — სააკაშვილის გუნდის მიმართ. აღმოჩნდა, რომ პოლიტიკურ ბატალიებში ჩაბმა ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს სურდა. როგორც თავად ამბობს, „კონსერვატორებში“ ზვიად ძიძიგურთან ნაცნობობის შედეგად მოხვდა. ძიძიგური კი მაშინ გაიცნო, როდესაც საკრებულოში მიწვეულ სპეციალისტად მუშაობდა. არ ერიდება, აღიაროს, რომ წარმატებული პოლიტიკოსი არ არის. მისი აზრით, დღეს ჩვენი ქვეყანა ისეთ ცუდ ვითარებაშია, რომ თუ რომელიმე პოლიტიკოსი საკუთარ თავს წარმატებულად მიიჩნევს, ეი. ის მთლად დალაგებული ვერ არის...

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ჯახა, რაზე ატყობთ, რომ თანდათან მარტორქაზე სქელი კანი გიხდებათ?

— რამდენიმე დღის წინ წავიკითხე სტატია, რომელშიც შალვა ნათელაშვილი უკანასკნელი სიტყვებით „მთათხავდა“. ადრე ასეთ რამეებს ძალიან განვიცდიდი, ახლა კი საერთოდ არ მანაღვლებს.

— ნათელაშვილს ასეთი რა დაუშავეთ?

— წარმოდგენა არა მაქვს. ოპონენტის ჯანსაღ კრიტიკას მივესალმები, მაგრამ ზღვარგადასულ ლანძღვაგინებას ამორალობად მივიჩნევ.

— ალბათ იმას ვერ ივიწყებს, ერთ დროს პარლამენტში „ნაციონალების“ სიით რომ მოხვდით.

— მე მაგ საშინელ ორგანიზაციაში არასდროს ვყოფილვარ. უბრალოდ, როდესაც კონსერვატიულ პარტიაში ვიყავი, საპარლამენტო არჩევნების წინ „ნაციონალებთან“ ბლოკი შევკარით.

— იმ პერიოდში ალბათ, „ნაციონალების“ იდეებსაც იზიარებდით...

— მაშინ „ნაციონალების“ ერთადერთი იდეა შევარდნაძისა და მისი კორუმპირებული ხელისუფლების გადაგდება იყო. ამას გავიზიარებდით, აბა, რას ვიზამდით?!

— თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკების წინააღმდეგ მებრძოლი ოპოზიციონერები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავადაც კორუმპირებულნი ხდებიან?

— ეს ჩვეულებრივი ამბავია. ადამიანებს ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად, ტვინი ეღლებათ და მავნე მიდრეკილებებს ვეღარ აკონტროლებენ.

— შეიძლება, ეს თქვენც დაგემართოთ?

— ხომ გაგიგონიათ — არასოდეს თქვა არასოდესო, — მაგრამ ყველანაირად ვეცდები, სხვისი მაგალითი გავითვალისწინო და არასოდეს გავაკეთო ის, რის წინააღმდეგაც ახლა თავად ვიბრძვი.

— თუმცა ერთხელ უკვე დაგადანაშაულეს ფულის არაკანონიერი გზით შოვნაში...

— კი არ დამადანაშაულეს, არამედ ჭორი გამივრცელეს. ყველგან ჩემი სახლის სურათებს ბეჭდავდნენ და ამბობდნენ, რომ უზარმაზარი ქონების პატრონი ვარ. არადა, ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული სახლი მაქვს. ადამიანები, ვინც ჩემზე ჭორაობდნენ, გაცილებით კომფორტულ სახლებში ცხოვრობენ. ჟურნალისტები თავადვე წავიყვანე ჩემთან და ყველა ოთახი დავათვალიერებინე. ასეთი ჭორის მოგონება ოპონენტის წინააღმდეგ ბრძოლის ბინძური მეთოდია. ხელისუფლებას, როდესაც ადამიანისთვის სახელის გატეხა უნდა, ან კორუმპირებულობას აბრალებს, ან ჯაშუშობას, ან ნარკომანობას, ან ცისფერობას, ან კიდევ — არაქართველობას. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ასეთ ბრალდებაზე ხელისუფლებას სერიოზული არგუმენტი არ წარმოუდგენია, ხალხის მეხსიერებაში ეს ყველაფერი მაინც რჩება და ძალაუნებურად სახელი გიტყდება. სხვათა შორის, ეს მარტო სააკაშვილის ბრძოლის მეთოდი არ არის. უახლოეს წარსულშიც ხდებოდა ასეთი რამეები. ზვიად გამსახურდიაზე ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი იმასაც ამბობდა, რომ ვითომ მისი წინაპრები სომეხი ტერტერაშვილები იყვნენ. ვინც ამას ამბობდა, ის ახლაც პარლამენტში ზის.

— ვის გულისხმობთ?

— თამაზ კვაჭანტირაძეს.

— თქვენ თუ გაგივრცელებიათ პოლიტიკური ოპონენტის წინააღმდეგ ჭორი?

— ჭორი კი არა, ხელში კომპრომატებით სავსე საქაღალდე მეჭირა და ის არ გამოვიყენე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ერთ-ერთმა რიგითმა მოქალაქემ საკმაოდ ცნობილ პიროვნებაზე შეგროვებული ინფორმაცია სწორედ მე მომიტანა. ისეთ პირადულ და დელიკატურ საკითხებზე იყო საუბარი, ის რომ გამევრცელებინა, ჩემი თავი შემზიზღდებოდა...

— კომპრომატები ვის წინააღმდეგ იყო?

— მაპატიეთ, მაგრამ ვერ გეტყვით. ჩემი აზრით, ამის გაკეთება ძალიან დიდი უზნეობაა. არასოდეს მიფიქრია, პოლიტიკოსს ასეთი მეთოდით დავპირისპირებოდი. მე კი ის ადამიანებიც დამიპირისპირდნენ, ვისაც მეგობრებად მივიჩნევდი (*იცინის*). ადრე მარტორქაზე მაგარი კანი არ მქონდა და ამის გამო ძალიან ვნერვიულობდი. გუშინდელ დღესავით მახსოვს: საქმიან შეხვედრაზე ვიყავი, მდივანმა დამირეკა და მითხრა, „რუსთავი 2“-ზე ვიღაც ახალგაზრდა დეპუტატი — ბაღდავაძე თუ ბალავაძე (მაშინ ვახტანგ ბალავაძე ცნობილი კაცი არ იყო) გამოდის და ამბობს, — კუკავამ უკანონოდ დაგროვილი ქონებით ძვირად ღირებული საცხოვრებელი სახლი შეიძინა და ეს საქმე აუცილებლად უნდა გამოვიძიოთო. გამიკვირდა, იმიტომ, რომ ამ განცხადებამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე, ვახო რესტორანში შემთხვევით

შემხვდა, გადამეხვია და მითხრა, — დიდ პატივს გცემ და ძალიან მინდა, ვიმეგობროთო. ჩემს მდივანს ისიც კი ვუთხარი, — მაგ კაცის გვარი გამირკვიე, არა მგონია, ვახო იყოს, ეგ ერთი

შალვას მეგობარი არასდროს ვყოფილვარ, უბრალოდ, კარგი ურთიერთობა გვქონდა

კვირის წინ სიყვარულს მეფიცებოდამეთქი. სამწუხაროდ, ჩემი პირველი „ბრალმდებელი“ სწორედ ვახო აღმოჩნდა. ამის შემდეგ ჟურნალისტებმა გადამრიეს. „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტებთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა და ჩემზე გავრცელებული ჭორის შემდეგ, რომელი მათგანიც კი სურვილს გამოთქვამდა, საკუთარ სახლს დაუზარებლად ვათვალიერებინებდი, მაგრამ რატომღაც, მაინც აგრესიულად იქცეოდნენ და ჩემს ცოლ-შვილს სახლში სწორედ მაშინ უცვივდებოდნენ, როდესაც შინ არ ვიყავი. მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ყველაზე ძველი პროფესიის წარმომადგენლები არიან...

— **რას გულისხმობთ? მეძავები არიან?**

— ასე გამოვიდა...

— **ეს ჯანსაღი კრიტიკაა თუ ზღვარგადასული ლანძღვა?**

— ეს ჯანსაღი კრიტიკა არ არის, მაგრამ არც მათი საქციელი იყო ნორმალური. რატომ უცვივდებოდნენ ჩემს ცოლ-შვილს სახლში, როდესაც მე თავად ვთავაზობდი იქ მიყვანას?.. ერთხელ საპროტესტო აქციაზე ერთ ქალბატონს სიტყვიერი შეურაცხყოფა მივაყენე და ამის გამო, ჟურნალისტებმა ძალიან გამაკრიტიკეთ. ქალს მართლა არ უნდა აკადრო ცუდი სიტყვა, მაგრამ მეც ადამიანი ვარ და ზოგჯერ წონასწორობიდანაც გამოვდივარ, მართლა მარტორქაზე სქელი კანი კი არა მაქვს.

— **თუ არ ვცდები, მასაც მეძავი უწოდეთ...**

— დიახ. საპროტესტო აქციას ჯერ ზონდერბრიგადები გვირბევდნენ, შემდეგ მათ მოჰყვებოდნენ „მომკივანი“ ქალები და ტელეკამერებით აღჭურვილი ჟურნალისტები. ეს ქალები სულ იმას ვიშვიშებდნენ — ადგილობრივი მცხოვრებლები ვართ და აქციის გამო ვწუხდებითო!.. ერთხელაც, ჩვენი წარმომადგენლების მიერ გადაღებული კადრების ყურებისას აღმოვაჩინეთ, რომ პუშკინის, ინგოროყვას, ჩიტაძის ქუჩებსა და რუსთაველის გამზირზე ერთი და იგივე ქალები მორბოდნენ და ამბობდნენ — ადგილობრივი მცხოვრებლები ვართო. მერე გაირკვა, რომ გირგვლიანის სურათებსაც ისინი ხევდნენ. ძალიან ძნელია, ამდენ უსამართლობას ისე გაუმკლავდე, რომ წონასწორობიდან არ გამოხვიდე. იმის ატანაც ძნელია, რომ ხელისუფლებაში მოკალათებული კრიმინალები, მატყუარები და კორუმპირებულები რაღაც-რაღაცებში აქეთ გადანაშაულებენ. სააკაშვილი იმას ჩივის, კუკავას სახლი რატომ აქვს, გამყრელიძეს პალტო რატომ აცვია და ნათელაშვილი ჯიპით რატომ დადისო, თავისი რეზიდენციის მშენებლობას კი ერთი მილიარდი დოლარი დაახარჯა და პერსონალურ თვითმფრინავში მილიონი დოლარი გადაიხადა. სააკაშვილის გუნდის წევრები სწორედ მას შემდეგ გახდნენ მილიონერები, რაც ხელისუფლებაში მოვიდნენ. აბა, ერთი, გამოიძიეთ, როგორ და რამდენი ქონება დააგროვეს: გივი თარგამაძემ, მერაბიშვილმა, უგულავამ, ადეიშვილმა...

— **ხელისუფლების წარმომადგენლებთან არ მეგობრობთ?**

— ერთი პერიოდი ვმეგობრობდი, ვფიქრობდი, რომ პოლიტიკა და პირადი ცხოვრება ერთმანეთში არ უნდა ამერია, მაგრამ არ გამოვიდა. ვერანაირად ვიმეგობრებ იმ ადამიანებთან, რომლებსაც კოდორის დაკარგვა უხარიათ. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ დავრწმუნდი, რომ „ნაციონალები“ ნამდვილი „ორჯონიკიძეები“ არიან და საქართველოს დაშლა უნდათ. კოდორი და ახალგორი ხომ გაასხვისეს, ახლა ჯავახეთს ამზადებენ გასაჩუქებლად.

— **კოდორის დაკარგვით გამოწვეული სიხარული ვის შეატყვეთ?**

— მათ, ვინც კოდორის დაკარგვის დღეს რუსთაველზე ტაშ-ფანდური გამართეს. ქართველები კოდორიდან გამორბოდნენ, ესენი კი მღეროდნენ და ცეკვავდნენ.

— **თქვენ სად იყავით ამ დროს?**

— კონსერვატიული პარტიის ოფისში. სააკაშვილის მინისტრებმა ჯერ ომი დაიწყეს, მერე მტერს რეზერვისტები შეატოვეს, თავად ჯიპებში ჩახტნენ და უკანმოუხედავად გამოიქცნენ. ზოგიერთმა მათგანმა თბილისში მოაწყო ზეიმი, ზოგი კი ისეთი შეშინებული იყო, თბილისშიც ვეღარ გაჩერდა და წითელი ხიდისკენ გაიქცა. ქართველ ხალხს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს წითელ ხიდთან მოწყობილი, „ელიტური“ საცობი. ძალიან ვამაყობ, რომ არც ერთი ოპოზიციონერი ომის დროს საქართველოდან გასაქცევად არ ემზადებოდა. გიორგი მეფის არ იყოს, ოპოზიციონერებს შეიძლება, ბევრი ცოდვა გვაქვს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ღალატს მაინც ვერავინ დაგვწამებს.

— **ხელისუფლება სამშობლოს ღალატსა და ჯაშუშობაში სწორედ ოპოზიციონერ ლიდერებს სდებდა ბრალს.**

— მერე, რატომ ვერავის დაუმტკიცა ბრალდება?! ასე, სამშობლოს ღალატს, ერთ დროს, ზვიად გამსახურდიასაც აბრალებდნენ. რამდენიმე დღის წინ, გამსახურდიასა და კოსტავას მიერ გამოცემული „ოქროს საწმისის“ ერთ-ერთ კრებულს ვკითხულობდი, რომელშიც მწერალთა კავშირიდან ზვიადის გარიცხვის ოქმი იყო დაბეჭდილი. ამ ოქმის ზოგიერთი ხელმომწერი დღესაც ცოცხალია და თავს ღირსეულ ქართველად მიიჩნევს. ისე, საზოგადოება ამ გამოცემას თუ გადახედავს, კარგი იქნება... მინდა, ისიც შეგახსენოთ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ქართველები კრემლის აგენტობას აბრალებდნენ, რუსები კი — ინგლისის ჯაშუშობას. ქართველი კომუნისტი მწერლები იმასაც კი ამბობდნენ, ის ილია ჭავჭავაძის შემოქმედების წინააღმდეგ იბრძოდაო. ერთხელ კონსტანტინემ თქვა კიდეც — ამათ ნამუსი არა აქვთ, მე ილიას კი არ ვებრძვი, არამედ ვაკრიტიკებო. როდესაც კომუნისტურ საქართველოში ილიას შემოქმედება აკრძალული იყო, კონსტანტინე გამუდმებით ეწეოდა მისი, როგორც პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის პროპაგანდას. შემდეგ, სტალინის გადაწყვეტილებით, ილიას რეაბილიტაცია მოხდა და კომუნისტი მწერლები, რომლებიც ადრე ჭავჭავაძეს საერთოდ არ აღიარებდნენ, კონსტანტინეს იმის გამო კიცხავდნენ, რომ მისი გლეხურ ენაზე დაწერილი ლექსები მოსწონდა. ისტორია დღესაც მეორდება: რუსეთის ჯაშუშობას ოპოზიციას ის ხალხი აბრალებს, ვინც საქართველოს ხელისუფლებაში ბალტინის ტანჯზე ამხედრებული მოვიდა. ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ არ იყო, ჩვენ ჯერ ყველაფერი კარგად გვახსოვს... გიგა ბოკერიამ სხვას როგორ უნდა დააბრალოს რუსეთის აგენტობა?

— **გიგა ბოკერია რა შუაშია?**

— როგორ თუ რა შუაშია?! ეგ და გოკა გაბაშვილი არ იყვნენ, შევარდნაძეს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაში რომ ეხმარებოდნენ?!

— გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაში შევარდნაძეს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, გოგა ხაინდრავაც ეხმარებოდა...

— ხაინდრავა ნამდვილად იყო გამსახურდიას დაუნდობელი კრიტიკოსი. იმასაც ვიტყვი, რომ ზვიადთან დაკავშირებით, მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების 99%-ს არ ვიზიარებ. უფრო მეტიც, ის არაკეთილსინდისიერი იყო საქართველოს ერთადერთი ეროვნული პრეზიდენტის მიმართ, მაგრამ მას სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილება არ მიუღია. მე დამნაშავეებად და მოღალატეებად მივიჩნევ მათ, ვინც ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხელში იარაღი აიღო. თან, იარაღს რუსებისგან იღებდნენ.

— ბატონო კახა, თქვენი აზრით, რას ფიქრობს თქვენზე ხალხი, როდესაც უარს არ ამბობთ იმ ყოფილ ჩინოვნიკებთან თანამშრომლობაზე, რომლებსაც ერთ დროს მკაცრად აკრიტიკებდით?

— წესით, ცუდი არაფერი უნდა იფიქროს. თქვენ გაგიგიათ, რომელიმე ყოფილი ჩინოვნიკი ოპოზიციაში გადმოსვლის შემდეგ გაგვემართლებინოს? ჩვენ ხელისუფლებას კრიმინალებად მივიჩნევთ, მაგრამ მათთანაც ვთანამშრომლობთ. ბოლოს და ბოლოს, სეპარატისტებთან ვცდილობთ საერთო ენის გამონახვას!.. თანამშრომლობა და მოლაპარაკება პოლიტიკაში ჩვეულებრივი ამბავია და სულელები უნდა ვიყოთ, ამაზე უარი რომ ვთქვათ.

— კი, მაგრამ ასე ხომ თქვენს ყოფილ ოპონენტებს ისევ ხელისუფლებაში დაბრუნების შანსს აძლევთ?!

— სულაც არა. ახალ ხელისუფლებას ხალხი თავად აირჩევს. ჩვენ კი არჩევნების წინ საზოგადოებას დეტალურად შევახსენებთ — ვის რა აქვს გაკეთებული. მანამდე კი ბრძოლა გვაქვს მოსაგები და ამისთვის ყოფილი ჩინოვნიკების დახმარებაც გვჭირდება. წარმოიდგინეთ, რომ ქართველებისა და სპარსელების ჯარი ერთმანეთს ებრძვის, უეცრად სპარსელთა ერთი ნაწილი ჩვენების მხარეს გადმოდის... როგორ გგონიათ — ქართველი სარდალი რას ეტყვის?.. თქვენ სპარსელები ხართ, თქვენს ხალხს ნუ ებრძვით და ისევ ჩვენ დაგვხოცეთო?

— პოლიტიკური ბრძოლის მოსაგებად, მეგობარსაც გაწირავთ?

— არა, რას ამბობთ?!

— როდესაც „ნაციონალებმა“ კობა დავითაშვილის მაკომპრომეტირებელი ვიდეომასალა გაავრცელეს, ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს თქვენ და ზვიად ძიძიგურმა მისგან თავი შორის დაიჭირეთ...

— არა, ასე არ იყო, უბრალოდ, რაღაც-რაღაცები დროში დაემთხვა. მე და კობას, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით პრინციპული უთანხმოება გვქონდა. ამის გამო, პარტიის გენერალური მდივნის პოსტიდანაც კი გადავდექი. მაგრამ იმ პერიოდში საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა და კობას თხოვნით, ეს ამბავი არ გავახმაურეთ. ჩანაწერი ზუსტად არჩევნების მეორე დღეს უჩვენეს. არ გვინდოდა, ხალხს ეფიქრა, რომ ამ ჩანაწერის გამო განვუდექით კობას და შიდაპარტიულ პრობლემებზე საერთოდ, აღარაფერი ვთქვით.

— ქრთამის აღება რამდენად მართებულად მიგაჩნიათ?

— ის არ იყო ქრთამის აღება.

— შალვა რამიშვილზე რას იტყვით — ქრთამი არც მას აუღია?

— არა, ნორმალურ ქვეყანაში, ვინც რამიშვილს ქრთამის აღებას დააბრალებდა, იმას სასამართლოში უჩივლებდნენ, იმიტომ, რომ ეს ცილისწამებაა.

— რატომ არის ცილისწამება? ტელეეკრანზე ნათლად ჩანს, რომ რამიშვილმა ბექაურს ფული გამოართვა და მადლობაც გადაუხადა.

— არა, რამიშვილს ქრთამი არ აუღია. კანონის მიხედვით, მექრთამედ ითვლება პიროვნება, რომელიც ფულს არაკანონიერი საქმის შესრულების სანაცვლოდ ითხოვს. ხელისუფლებამ მაშინ ისეთივე სპეცოპერაცია ჩაატარა, როგორიც ახლა. მათ იცოდნენ, რომ შალვას ფულის მიმართ მიდრეკილება ჰქონდა და თავადვე შესთავაზეს...

— ახლა რა სპეცოპერაცია ჩაატარა?

— რამიშვილს ისევ ფული შესთავაზა და ტელეკომპანია „იმედში“ მაღალანაზღაურებად სამსახურში დაასაქმა.

— მასთან მეგობრობას აღარ აპირებთ?

— შალვას მეგობარი არასდროს ვყოფილვარ, უბრალოდ, კარგი ურთიერთობა გვქონდა. ახლა მასთან არანაირ ურთიერთობას აღარ ვაპირებ და საერთოდ, მის შესახებ არაფერი მინდა ვიცოდე.

— როგორ ფიქრობთ — ზოგჯერ კანონი მორალს ხომ არ ეწინააღმდეგება?

— არა, ეს საბჭოური გაგებაა. ევროპულ ქვეყნებში კი კანონსა და მორალს შორის არანაირი ჭიდილი არ ასებობს. თანამედროვე სამართლის კანონი სწორედ მორალზეა აგებული. სააკაშვილის წყალობით, საქართველოში კანონი ჯერ ისევ ამორალურია, იმიტომ, რომ მის მიხედვით, ადამიანი ვალდებულია, საკუთარი მეზობელი და ნათესავი ჩაუშვას.

— ქურდის ან კრიმინალისთვის ხელის დაფარება ამორალური არ არის?

— მერე ვინ თქვა, რომ სააკაშვილი ქურდებს ებრძვის? ის უბრალოდ, მათ საქმეში ჩაერია. ზუსტად ვიცი, რომ მის ანგარიშზე ონიანმა ბოლოს 5 მილიონი დოლარი ჩარიცხა. ამიტომაც არის, რომ მას კალაშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარება.

— ეს სერიოზული ბრალდებაა, ბატონო კახა...

— დიახ, მართალი ხართ, ეს ბრალდებაა და არა ჭორაობა. ჩემს სიტყვებზე პასუხს ვაგებ. 2003 წლის ნოემბერში, როდესაც ონიანი საქართველოში იყო ჩამოსული, მის უსაფრთხოებას პირადად ვანო მერაბიშვილი უზრუნველყოფდა. ■

ბრძოლა თვითდაჯერებულებისთვის და თაობა, რომელიც უფროსებს „ჩყვნის“

„ამერიკელებს აყოლილი ქალაჩუნა კი არა, ნამდვილი ვაჟკაცი ვარ“

ამას წინათ ჩვენმა ერთ-ერთმა მკითხველმა, რომელიც თავს დამავოის უწოდებს, მომმართა თხოვნით: „გამიხარდება, ინტერვიუს თუ ჩაწერ მოზარდებთან და მათ ალაპარაკებ საკუთარ მიზნებზე (საერთოდ, თუ გააჩნიათ). მაინტერესებს, რამდენად მიზანდასახული თაობა მოდის და საერთოდაც, როგორ აპირებენ საწადელის მისაღწევად ბრძოლას?“ აღმოჩნდა, რომ დამავოიმ კლასელ გოგოსთან იკამათა, რადგანაც თურმე, მას არავითარი მიზანი არ გააჩნია და საკუთარი ბედნიერებისთვისაც კი არ აპირებს ხელის განძრევას. როგორც ყველა მკითხველის, დამავოის თხოვნაც გავითვალისწინე და ძვირფასი დრო ვერის პარკში მოსეირნე ახალგაზრდებს წავართვი.

ლიკა ქაჯაია

ელენე, *20 წლის:*

— მიზანი როგორ არ მაქვს? აი, მაგალითად, ჩემი მიზანია, იმ კაცის ცოლი გავხდე, რომელიც ახლა გვერდით მიზის.

— და ამ მიზნის მისაღწევად ბევრი ბარიერის გადალახვა მოგიწევს?

— ბარიერის რა მოგახსენო, მაგრამ რაღაც დოზით, ვიბრძვი კიდეც იმისათვის, რომ ნიკას თავი არ წამართვან. ისე, მასაც არანაკლები ბრძოლა მოუხდა ჩემი გულის დასაპყრობად.

ნიკა, *23 წლის:*

— მოკლედ, ცხოვრება ბრძოლაა, რა.

— გარდა დაოჯახებისა, კიდევ რა მიზნები გაქვთ?

— ძალიან მინდა, მოსამართლის პროფესიას საფუძვლიანად დავეუფლო და მომავალში პროფესიონალი და რაც მთავარია, სამართლიანი მოსამართლე გავხდე. ამ მიზნის მისაღწევად თავს ნამდვილად არ ვზოგავ და წიგნებში ჩაძირული ხშირად, დროის შეგრძნებას ვკარგავ. სწორედ ამის ბრალია, რომ შეყვარებული ხშირად მსაყვედურობს. ელენე ეჭვიანია და ჰგონია, რომ ამ დროს წიგნებს კი არ „ვურტყამ თავს“, არამედ ქალებში ვერთობი...

ელენე:

— (*იცინის*) ნიკა არ აჭარბებს, მართლა ეჭვიანი ვარ. რა ვქნა, ჩემთვის დაუჯერებელია ის ფაქტი, რომ ბიჭი წიგნებთან ასე მეგობრობს. ნიკა კომპიუტერთან იშვიათად ზის, უფრო ხშირად წიგნს კითხულობს და ეს მაკვირვებს. პირადად მე, კომპიუტერი და ინტერნეტში ძრომიალი სიგიჟემდე მიყვარს.

— გარდა გათხოვებისა, შენ რა მიზანი გაქვს?

— ვაღიარებ, ჩემგან პროფესიონალი ექიმი ვერ დადგება. სამედიცინო უნივერსიტეტში ვსწავლობ. მინდოდა, პედიატრი გამოვსულიყავი, მაგრამ ალბათ, საბუთებს ფარმაცევტულზე გადავიტან. წამლებში კარგად ვერკვევი და ამ საქმეში შეცდომას არ დავუშებ, მაგრამ თუ პედიატრიულს „მივაწვები“, ჩემი გაფანტული ყურადღების გამო, ადამიანის ჯანმრთელობას შესაძლოა, საფრთხე შევუქმნა.

— მაგრამ თუ მართლა ყურადღებაგაფანტული ხარ, შესაძლოა, ადამიანს პრეპარატიც კი შეცდომით მისცე...

— არა, მერწმუნეთ, მსგავსი რამ არასდროს დამემართება!

— იმედი მაქვს.

— გარდა იმისა, რომ ფარმაცევტად ვიმუშავებ, ბევრ შვილსაც გავუზრდი ნიკას და სამშობლოს (*იცინის*).

მადონა, *16 წლის:*

— ძალიან მინდა, მომავალში გამიმართლოს და რომელიმე ტელევიზიაში დავიწყო მუშაობა. ჟურნალისტის პროფესია ბავშვობიდანვე მომწონდა და ვცდილობდი, ამა თუ იმ პროფესიონალისთვის მიმებაძა. სხვათა შორის, ერთ-ერთ ჟურნალთან ვთანამშრომლობ და როგორც ამბობენ, ჟურნალისტობა მეხერხება.

ეკა, *16 წლის:*

— მეც მინდოდა ჟურნალისტობა, მაგრამ არ გამომივა. ალბათ, ადვოკატის პროფესიას ავირჩევ... ძალიან მიყვარს საფრანგეთი. მართალია, იქ არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მაინც ვგიჟდები ამ ქვეყანაზე. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ჩემი პროფესიით სახელი გავითქვა, ბევრი ფული ვიშოვო და ოცნება ავისრულო — სამოგზაუროდ საფრანგეთში წავიდე.

— იქ საცხოვრებლად წასვლის სურვილი არ გაქვს?

— არა. პირველ რიგში, ჩემი სამშობლო მიყვარს, მერე — საფრანგეთი. ჩემს მშობლებს არა აქვთ იმის საშუალება, რომ შვილებს ოცნებები აგვისრულონ. ოდესმე, ბავშვი თუ მეყოლება, შევეცდები, მას ის ჰქონდეს, რაც მე მაკლია.

— შენ რა გაკლია?

— ბევრი არაფერი, მაგრამ უსახსრობის გამო ბევრ რამეზე მიწევს უარის თქმა. ზოგჯერ კლასელებს ექსკურსიაზეც არ მივყვები, რომ ჩემს

მშობლებს ვალის აღება არ დასჭირდეთ. მართალია, ორივე მუშაობს, მაგრამ მათი შემოსავალი მიზერულია და თვიდან თვემდე ძლივს გაგვაქვს თავი.

მადონა:

— მიუხედავად ამისა, ეკას მშობლები სულ იმას ცდილობენ, საკუთარ შვილებს ასიამოვნონ. წელზე ფეხს იდგამენ, რათა ეკას და მის ძმას არაფერი მოაკლდეთ. ძალიან კარგი ადამიანები არიან და მიხარია, ჩემს მეგობარს ასეთი პატიოსანი, მშრომელი დედ-მამა რომ ჰყავს.

კარლსონა, *17 წლის:*

— ჩემი მიზანი ერთია — მოჭიდავე ვარ და მინდა, ამ სფეროში წარმატებას მივაღწიო, მსოფლიო დონის ჩემპიონი გავხდე და ქალების გული დავიპყრო.

— ეი. პოპულარობა გინდა, არა?

— რატომაც არა! რა, ეს „გრეხია“?

— არა, „გრეხი“ ნამდვილად არაა.

— ჰოდა, მიზანს აუცილებლად მივაღწევ და როცა ჩემთან ინტერვიუზე მოხვალ, ჩემი ნაშების სახელების ჩაწერას ვერ აუხვალ (*იცინის*). იმედია, გამიმართლებს.

ქეთუსია, *15 წლის:*

— მიზანი? მიზანი რატომ უნდა დავისახო? ჯერ ბავშვი ვარ და ჩემი ტვინი სხვა რაღაცებითაა დაკავებული.

— მაინც, რითია შენი ტვინი დაკავებული?

— გართობით, სწავლით...

სალი, *15 წლის:*

— (*იცინის*) თუმცა, წიგნების კითხვით დიდად არ იკლავს თავს.

ქეთუსია:

— შენ ვინ გეკითხება?

— ძალიან გთხოვთ, ახლა ნუ იჩხუბებთ.

— აბა, ვინ ეკითხება, ლაპარაკში რომ მეჩრება?.. თუ ძალიან გაინტერესებთ, სალი ერთოსანია.

სალი:

— შენ ხომ გისკდება ტვინი, რა. ვიხუმრე, გოგო, რა გჭირს.

ქეთუსია:

— ენაზე კბილის დაჭერა ვერ ისწავლე, რა... მოკლედ, ჩემი მიზანია, ყველას დავუმტკიცო, რომ ჭკვიანი ვარ და ბევრი რამ შემიძლია.

სალი:

— და კიდევ, მისი მიზანია, ლევანიკო ჩაიგდოს ხელში (*იცინის*).

ქეთუსია:

— გოგო-მეთქი! შენ რა, შეიშალე თუ ყველა ჟურნალისტის დანახვაზე გაჟრიალებს ხოლმე?!

სალი:

— ო, რა სერიოზულად აღიქვამ ყველაფერს, იუმორზე აცრილი ხარ?

— ლევანიკო ვინაა?

ქეთუსია:

— ის ბიჭია, რომელიც ძალიან მომწონს. მასაც მოვწონვარ, მაგრამ მორიდებულია და თანაც, რაჭველი გახლავთ. სიყვარულის ახსნას არ ჩქარობს (თუ ვერ მიბედავს, ზუსტად არ ვიცი) და ამის გამო მეგობრები მაშაყირებენ.

სალი:

— მე კიდევ, ესპანეთში წასვლაზე ვოცნებობ. ვინაიდან ჩემი მშობლები ამ სურვილს ვერ შემისრულებენ, შევეცდები, მდიდარ კაცს გავყვე ცოლად და სურვილი ასე ავისრულო.

ქეთუსია:

— მდიდარს და მახინჯს (*იცინის*)!

ზვიადი, *17 წლის:*

— მე და ჩემს შეყვარებულს ძალიან გვინდა, მომავალში მარტო, მშობლებისგან შორს ვიცხოვროთ. მე და მაკუნას მათთან ურთიერთობა გვიჭირს. ჩვენ თინეიჯერები ვართ და მშობლები ყველაფერს გვიკრძალავენ, ჩვენი გაკეთებული არაფერი მოსწონთ.

— მაინც, რას გიკრძალავენ?

მაკუნა:

— სვირინგების გაკეთებას, ცხვირის გახვრეტას...

ზვიადი:

— ეგ რა კაცის საქმეაო?! მე ახლა მინდა, ჩემი გავისწორო, თორემ როცა ზრდასრული ვიქნები, პირსინგი აღარ მომხიბლავს და ნახვრეტს შევიხორცებ.

მაკუნა:

— ჩვენს მშობლებს უნდათ, საკუთარ ნებაზე გვატარონ, მაგრამ არაფერი გამოუვათ. დედაჩემი ზვიადთან შეხვედრას მიკრძალავს — ტვინს ის ბიჭი გირევს, თორემ ვიდრე მაგას გაიცნობდი, ნორმალური იყავი, აზროვნებაც სხვანაირი გქონდაო.

ზვიადი:

— თურმე, მე გავაფრენინე (*იცინის*), არადა, მაკუნამ მიბიძგა, აი, ამ პირსინგის გაკეთებისკენ (*ზვიადმა წარბზე გაკეთებულ ბრჭვიალა საყურეს დაადო თითი*). ისე, გულახდილად თქვი, ხომ მიხდება?

— ბოდიში, მაგრამ პირსინგები არ მიყვარს და ამიტომაც, მათი სილამაზის შეფასებისას ობიექტური ვერ ვიქნები.

— გაიხარე, არ მეწყინება, თუ შენს აზრს არ დააფიქსირებ.

— შენ და მაკამ სად უნდა იცხოვროთ?

— ბებიამ სახლი მაჩუქა, დიღომში. იქაურობა გასარემონტებელია და იმდენი ფული უნდა ვიშოვო, რომ სახლი საკუთარი ხელით მაინც შევარემონტო.

— ამას შეძლებ?

— ხელმარჯვე ნამდვილად ვარ, ბევრი რამის გაკეთება შემიძლია. სხვათა შორის, როცა ჩვენს სახლში ხელოსნები რაიმეს შესაკეთებლად მოდიოდნენ, მათ ყოველთვის ვეხმარებოდი და ისინიც მაქებდნენ: შენ რა მაგარი ხარო. მთავარია, ფული ვიშოვო და სახლს ისე გავარემონტებ, თქვენი მოწონებული.

მაკუნა:

— ზვიადს ხატვაც ეხერხება.

— ფული რა გზით უნდა იშოვო?

ზვიადი:

— რამდენიმე დღეა, ელიავაზე არსებულ ბირჟაზე დავდივარ და პატარ-პატარა სამუშაოს ვასრულებ. ფულს არ ვხარჯავ, ვინახავ. ამის შესახებ ჩემმა მშობლებმა არაფერი იციან. როცა მიზანს მივაღწევ, სიმართლეს მხოლოდ მაშინ შეიტყობენ და მიხვდებიან, რომ ამერიკელებს აყოლილი ქალაჩუნა შვილი კი არა, ნამდვილი ვაჟკაცი ჰყავთ...

მაკუნა:

— პირსინგი ან სვირინგი ქალაჩუნობას ნამდვილად არ ნიშნავს. ზვიადი ნამდვილი ქართველი ვაჟკაცია; უბრალოდ, თანამედროვე ცხოვრებასაც აუწყო ფეხი და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— მაკუნა, შენი მიზანი რა არის?

— ის, რომ საყვარელ ადამიანს მხარში ამოვუდგე და ის თავგანწირვა დავუფასო, რასაც ჩვენი ერთად ყოფნისთვის იჩენს. მართალია, პატარები ვართ, მაგრამ საკუთარი ბედნიერებისთვის ბევრი რაღაცის გაკეთებას შევძლებთ. იმედია, მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებით.

ზვიადი:

— და ბედნიერად ვიცხოვრებთ.

— წარმატებებს გისურვებთ!

— გმადლობთ!

ვერის პარკში შესული, გულგრილად ვერც იმ წყვილებს ჩაუვლი, რომლებიც მთელი მონდომებით ცდილობენ, ერთმანეთს სიყვარული დაუმტკიცონ. მათ შემხედვარეს, ბევრს თმა ყალყზე უდგება და რა გასაკვირია, რომ წყვილების ზედმეტი გამბედაობის გამო უკმაყოფილებასაც გამოთქვამს.

ლამარა, *56 წლის:*

— ეს რა დროება დაგვიდგა. მოკლედ, ამ ახალგაზრდებს არაფრის რცხვენიათ, ლამის მშობლების თვალწინ დაიწყონ ბავშვების „გაკეთება“. ვაი, ჩვენს პატრონს! ისე, ეს ყველაფერი ჩვენი, უფროსების ბრალია. შვილები ზედმეტად გავათამამეთ.

— რას გულისხმობთ?

— პატარა ბიჭებს ვასწავლით, როგორ უნდა აკოცონ გოგონებს და მერე, როცა პატარები ერთმანეთს ტუჩებში კოცნიან, სიცილით ვიგუდებით. ჰოდა, აგერ არიან ის პატარა გოგო-ბიჭები, ცოტათი წამოზრდილნი და ვიცინოთ ახლაც, ბატონო.

— **თქვენ რამდენი შვილი გყავთ?**

— ჩემი შვილები უკვე დაოჯახებულნი არიან და მათი აქ დანახვის საფრთხე არ მემუქრება (*იცინის*). შვილიშვილები კი მყავს, მაგრამ ისინი ასეთ რამეს ვერ გაბედავენ.

— **რატომ გგონიათ?**

— იმიტომ, რომ სხვანაირად არიან აღზრდილები, მშობლების შიში აქვთ.

— **მე თუ მკითხავთ, აქ ბევრი ისეთი წყვილია, რომელსაც მშობლების ეშინია, მაგრამ მაინც რისკავს.**

— ღმერთმა დამიფაროს და, აქ ჩემი რომელიმე შვილიშვილი შეყვარებულთან ჩახუტებული რომ დავინახო, ისეთ დღეში ჩავაგდებ, ბიჭისკენ გახედვა აღარასდროს მოუნდება.

— **შეყვარებულობის პერიოდში თქვენ და თქვენი მეუღლე ერთმანეთს პაემანს სად უნიშნავდით?**

— კინოთეატრშიც დავდიოდით და პარკშიც ვსეირნობდით, მაგრამ ხალხის დასანახავად ერთმანეთისთვის არასდროს გვიკოცნია.

— **ჩუმ-ჩუმად, მოფარებულში ეხუტებოდით ერთმანეთს?**

— არა! ვიდრე არ დავქორწინდით, ერთმანეთისთვის ხელიც არ გადაგვიხვევია. მაშინ სხვანაირი სიყვარული ვიცოდით (*იღიმის*), ახლა კი ერთი სული აქვთ, როდის ჩაბურჯგნიან ერთიმეორეს. ასე როგორ

შეიძლება?!

— **აქ არა მარტო ბავშვები, ალბათ, ბევრი ასაკოვანი წყვილიც შეგინიშნავთ...**

— ფუჰ...

— **როგორ ფიქრობთ, ისინი ახალგაზრდებმა გარყვნეს?**

— დამცინით, არა? ბებერი ქალის დაცინვა არაა კარგი საქმე.

— **როგორ გეკადრებათ, ქალბატონო. სიმართლე გითხრათ, მეც არ მხიბლავს ბაღში მოზასავე წყვილების ყურება.**

— შენ გაიხარე, თუ სიმართლეს ამბობ. აქ ბავშვებს ასეირნებენ. პატარები ამ სიბილწეს უყურებენ და უფროსებს ჰბაძავენ. მათ მშობლებს კი უკვირთ, ამდენი რამ საიდან ან როგორ ისწავლესო?

ჩვენს საუბარში ბურბუშელას გამყიდველი ქალი ჩაერია:

— გისმენთ და გაკვირვებული ვარ, რა. თითქოს, პირველად ხედავდეთ ამ ბავშვებს. რა გიკვირთ, თქვე კაი დედმამიშვილებო? ეს მოზარდები ისეთ რაღაცებს უყურებენ ტელევიზორში, რომ კიდევ კაი ჭკუაზე არიან. რა, ადრე არ იყო ბოზობა? მაგრამ ჰო, მაშინ ყველაფერს მალულად აკეთებდნენ.

ლამარა:

— მერე, ის დაფარული არ სჯობდა აშკარა ბოზობას და ბავშვების გარყვნას? ხელს რატომ აფარებთ ამ გაოხრებულებს? დავიჯერო, მოგეწონებათ, თქვენი შვილი აქ, ვიღაც ბიჭის კალთაში ჩასკუპებული რომ დაინახოთ?

ბურბუშელას გამყიდველი:

— მე ის უფრო მეწყინება, ჩემგან მალულად უარესი რომ გააკეთოს.

ლამარა:

— ამაზე უარესი რა უნდა იყოს?

ბურბუშელას გამყიდველი:

— რა და, გოგოები ნარკოტიკს იკეთებენ, ვენები სულ დაჩხვლეტილი აქვთ; კიდევ, ცირკთან დგანან, მართლა ბოზობენ და ამაში ფულსაც იღებენ... აქ მხოლოდ ერთმანეთს თუ აკოცებენ, სხვა რა უნდა გააკეთონ? კოცნით კი მოგეხსენებათ, ბავშვები არ ჩნდებიან. მართალია, ჩვენს ახალგაზრდობაში ამბობდნენ, — ქალს კაცის შარვლის ტოტიც რომ შეეხოს, დაფეხმძიმდებაო, მაგრამ ეს რომ ტყუილია, ყველამ ვიცით. ჯობია, ჩვენ თვალწინ აკოცონ შეყვარებულს, ვიდრე მალულად აკეთონ რაღაცები.

ლამარა:

— ვერა, შვილო, ამ ქალთან ვერ ვიკამათებ. ეტყობა, ეგეც აფრენს, თორემ როგორ შეიძლება, ნორმალურმა ადამიანმა ამათი საქციელი მოიწონო?! ფუ, სულ გადავჯშდით, რა!

მარიკო, *28 წლის:*

— ახალგაზრდები კი არა, ასაკოვანი ადამიანები უნდა ნახოთ, რა დღეში არიან. ისინი რომ იკადრებენ, იმას თინეიჯერები ვერც მოიფიქრებენ. საღამოობით, ზრდასრული კაცები აქ ლამის, ცოცხალ სექსფართებს მართავენ, ღრეობენ. ამაზე ყველა თვალებს ხუჭავს, სამაგიეროდ, იმ ახალგაზრდების საქციელს ხმამაღლა კიცხავენ, რომლებიც შეყვარებულებს ეჟღურტულებიან და დიდიდიდი, შესაძლოა, ერთმანეთს აკოცონ.

— **ახლა აქ მარტო სეირნობ...**

— მეგობარ გოგოს ველოდები.

— **შეყვარებულთან ერთად აქ არასდროს ყოფილხარ?**

— როგორ არ ვყოფილვარ, მაგრამ სიმართლე გითხრა, ხალხის დასანახავად ერთმანეთისთვის არასდროს გვიკოცნია. მართალია, ჩემს თაობას „ავარდნილს“ ეძახიან, მაგრამ ჩვენც გვაქვს სინდის-ნამუსი და უფროსებს როგორც უნდა გაუკვირდეთ, რაღაცების გვრცხვენია კიდეც.

დათო, *19 წლის:*

— დიდი რამე, შეყვარებულს ხალხის თვალწინ თუ ვეზასავები. ქალს სიყვარულს იქ ავუხსნი, სადაც მომინდება და თუ ვინმეს ეს არ მოეწონება, გაიაროს, ყურებას კი ნუ დაგვიწყებს. ისე, ჩემი თაობის ხალხი აქ იშვიათად დადის და სიმართლე გითხრა, შეყვარებულთან ერთად პარკში მხოლოდ მეცხრე კლასამდე დავდიოდი... აქ ძირითადად, სოფლიდან ჩამოსული ხალხი და სკოლის მოსწავლეები იკრიბებიან. მათ ბუჩქების უკან დამალვა და შეყვარებულთან მოფერება უსაფრთხო ჰგონიათ (*იცინის*).

— **რა გაცინებს?**

— მეც ასე მეგონა, მაგრამ აქ ერთხელ მამაჩემმა გამჩითა, ვიღაც გოგოსთან ერთად ვიყავი და შინ მისულს ყურები სულ „გარმონივით“ დამიწელა (*იცინის*).

მარი, *20 წლის:*

— აქ ძირითადად, სკოლის მოსწავლეები დადიან და ეს მაშფოთებს. ისინი არა მარტო შეყვარებულებს ეფერებიან, არამედ სიგარეტს ეწევიან, პლანს ახვევენ და უხამსობენ კიდეც. უზნეო გოგონების გამო ბიჭებს შორის ჩხუბიც ხშირად ხდება და ბევრჯერ შევსწრებივარ ისეთ ფაქტსაც, როცა თავად გოგონები წეწავდნენ ერთმანეთს. ამ ყველაფერს საზოგადოება შორიდან უყურებს და ყველაფერზე თვალებს ხუჭავს. როცა აქ ასეთი რაღაცები ხდება, გვერდითა სკამზე შესაძლოა, ასაკოვან წყვილს „ჩუმი“ სექსი ჰქონდეს გაჩაღებული და ცხადია, მათი მხრიდან მორალზე ლაპარაკი არც იქნება გამართლებული; მაგრამ პარკში რომ ჭკუადამჯდარი კაცი ან ქალბატონი (როგორც თავად მიიჩნევენ) გაივლის და ასეთ უწესრიგობაზე თვალებს დახუჭავს, ეს არაა კარგი საქმე.

■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

სიყვარულო, ძალსა შენსა

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?
ვინ არს რომე გულსა ტახტად,
ოხრვას ხარჯად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეზრახვის,
რომ შენ გამო ვარდს შეჰყეფდეს!

სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი გრძნობს, არსებს რაცა,
სჯულსა შენსა ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა;
ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი,
ტახტი მზა გაქვს, ჰგიებ საცა,
გულები გყავს ქვეშევრდომად,
ამას მეც ვგრძნობ და თვით სხვაცა.

შენის უღლისგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რადმე ვის!
თუ შენ ხარ ვნების მიზეზი, ლხენაც შენგან არ გვეძლევის?
ნამდვილ ჯეთილ არს განცხრომა, იგი ნუმც-ოდეს გველევის,
მაშა ცუდია, თუ მასში სიბნელეც არსით ერევის.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

პატარა ლექსიკონი „ალმოჩნდა“

და არა „გამოდგა“

ამ ორ სიტყვას წამდაუწუმ ურევენ ერთმანეთში, უფრო სწორად — მეორეს იყენებენ პირველის ნაცვლად და ხშირად, ასეთი აბსურდული ფრაზა გამოდის:

„ეს პასი ცუდი გამოდგა“

თუ ცუდია, როგორღა გამოდგა? **„გამოდგომა“** ხომ იმისაა, რაღაცა რომ გამოგადგება!.. ამგვარად, პასი ცუდი კი არ **„გამოდგა“**, არამედ **„ცუდი ალმოჩნდა“**.



მე - ფსიქოლოგი

ინგა ჯაყელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-42

— რატომ ჩართე? ახლა აღარ მომასვენებენ! — ვუსაყვედურე და ტელეფონი გამოვართვი. ვაჟა იყო:

— არ მინდა ვუპასუხო... ეგონება, რომ მძინავს, — ვთქვი და აპარატი ბალიშის ქვეშ ამოვდე.

— რატომღაც ვიფიქრე, რომ ნებით არ მომცემდი ნომერს! — თავისი საქციელის გამართლება სცადა ბიჭმა.

— ალბათ, ასეც იქნებოდა... ხომ გითხარი — ჩვენი ურთიერთობა აქ დასრულდება-მეთქი.

— რატომ?.. თუ თავისუფალი ხარ, რატომ არ უნდა შევხვდეთ? არ გაგიჩნდა ჩემთან დაახლოების სურვილი?! — გვერდით მომიწვა ნიკა და სცადა, თვალებში ჩაეხედა ჩემთვის.

— სურვილში არ არის საქმე. არ შემიძლია, კაცთან ხანგრძლივი ურთიერთობა. უფრო სწორად, არ მინდა... 30 წლის ვარ. შენ შენი ტოლები უნდა მოძებნო, გასართობადაც და სერიოზული ურთიერთობისთვისაც..

— ასაკი რა შუაშია, როცა ადამიანი შენს ნაპოვნ მეორე ნახევრად მიგაჩნია?!

— მოკლედ, არ ვარ მზად სერიოზული ურთიერთობისთვის. მადლობელი ვარ, რომ ქალად მაქციე. თანაც, ეს ძალიან მოხდენილად გააკეთე... ვერასოდეს დაგივიწყებ ალბათ: სადღაც წავიკითხე — ქალს ცხოვრებაში შეიძლება, უამრავი მამაკაცი ჰყავდეს და ყველას დავიწყება შეძლოს, მაგრამ პირველს ვერასოდეს ივიწყებსო!..

ნიკას გაეცინა.

— რა იყო?

— იცი, თურმე რეალურად, ყველა ქალს მხოლოდ ორი მამაკაცი ჰყავს — ესეც სადღაც წავიკითხე: პირველი და — სხვა დანარჩენი, ყველა მეორეა... ამიტომაც არ მიყვარს არც ერთი ქალი, ვისთვისაც „მეორე“ ვარ. არც მე მინდა დაგივიწყო და დაგკარგო, რადგან პირველობა მარგუნე! — ხმა გაებზარა ნიკას. მერე, უკვე თითქოს ჯიბრზე, დასძინა:

— არა, მე შენ არ დაგკარგავ! როგორც კი თბილისში დაბრუნებას შევძლებ, აუცილებლად მოგძებნი.

— რა დააშავე ისეთი, რომ გამოქცევა გახდა საჭირო?!.

— მამაჩემი პოლიციის მაღალჩინოსანია და მისი წყალობით გადავურჩი ციხეს, თორემ დასასჯელი ვიყავი — ერთი ბინძური პოლიტიკოსის შვილის გატაცებაში გავერიე. ძმაკაცს დავეხმარე შურისძიებაში. იმ ბიჭს კიდევ ავადმყოფი გული ჰქონია და სარდაფში რომ ჩავკეტეთ, შეტევა მოუვიდა. ექიმი არ გამოვიძახეთ და მოკვდა...

— რა საშინელებაა, რამხელა ცოდვაა და რისთვის?!

— მე მხოლოდ გავაკავე და მანქანაში ჩავტენე, მერე წამოვედი... მაინც ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს.

— მაინც რა დააშავა ასეთი იმ პოლიტიკოსმა?

— ერთ-ერთ რაიონში კენჭს იყრიდა მაჟორიტარად, ჩემი მეგობრის მამასთან ერთად, ჰოდა, აჯობა. ისე ინერვიულა დამარცხებულმა, ტვინში სისხლი ჩაექცა და მოკვდა. არადა, რაც ფული ჰქონდა, სულ იმ არჩევნებში ჩაყარა. ოჯახი ცარიელზე დატოვა. ჰოდა, ჩემს მეგობარს უნდოდა ასე ამოეღო ფულის ნაწილი მაინც. შვილს გამოსასყიდის საფასურად დაუბრუნებდა. რა ვიცოდით, ავადმყოფი თუ იყო? შესახედავად გოლიათს ჰგავდა. არადა, 19 წლის იყო მხოლოდ...

— იქნებ ჩამჯდარიყავი ციხეში და პასუხს რომ აგებდი, უფრო დაიმშვიდებდი სინდისს?..

— არ ვიცი, მაგრამ ამის საშუალებას არც მამაჩემი მომცემდა და თან, უამრავი ვინმე უნდა ჩამეშვა...

— არც სხვა დასჯილა?!

— არა... აგარაკი ჰქონდათ, ვიცოდით და იქ ავიტანეთ მიცვალებული... მოკლედ, ექსპერტებმა ბუნებრივ სიკვდილად გამოაჩინეს მისი დაღუპვა. ოჯახმაც დაიჯერა ალბათ...

— აბა, რაღას იმალები?

— მოწმე გამოჩნდა, რომელმაც გამტაცებლები დაგვინახა და საოცარი სიზუსტით აღწერა... მოკლედ, მამაჩემმა ასე ჩათვალა საჭიროდ...

— მე რომ დაგასმინო?! — შევხედე გამომცდელად.

— არა, შენ არა ხარ ბოზი, არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით! — დარწმუნებით თქვა და ალბათ მართალიც იყო.

— სხვას რას საქმიანობ?!

— რა ვიცი. იურიდიული დავამთავრე. სხვათა შორის, მართლა კარგად ვსწავლობდი, მაგრამ უცებ მივხვდი, რომ ეს საქმე არ მიზიდავს.

— აბა, ბარმენობა და ოფიციანტობა გირჩევნია?

— რატომაც არა?! თანაც, ეს დროებითია და იმედი მაქვს, ოდესმე საკუთარი სასტუმრო და რესტორანი მექნება. მამაჩემი დამპირდა დახმარებას. მაგრამ სანამ პოლიციაშია, ვერ ბედავს ქონების გამოჩენას... შენზეც მიამბე რამე.

— არ მინდა... ჯერ არ მინდა!..

— კარგი, სხვა დროს იყოს, რომელიც, იმედია, დადგება და გვექნება...



არ ვარ მზად სერიოზული ურთიერთობისთვის

...ნიკა იმ დღეს არ მუშაობდა, ამიტომ ცოტა ხანს დამტოვა მარტო. საღამოს კი დისკოთეკაზე დამპატიჟა.

დანიშნულ დროს სასტუმროს ფოიეში ჩავედი. მეგონა, ნიკა თავად მომაკითხავდა, მაგრამ იქ სხვა, საკმაოდ სიმპათიური, 20-22 წლის ყმაწვილი დამხვდა. ისეთი მწვანე თვალები ჰქონდა, ლამის ვკითხე — ლინზები ხომ არ გიკეთია-მეთქი?!.

— ქალბატონო ეკა, ნიკამ გამომგზავნა თქვენთან შესახვედრად...

— თავად რატომ არ მოვიდა?

— ავიჩეჩე მხრები.

— თვითონ აგიხსნით, კარგი?

— გამიღიმა ბიჭმა.

ამის შემდეგ სახელის კითხვის სურვილიც აღარ გამჩენია.

ბიჭი „ინფინიტის“ ახალი ჯიპისკენ გამიძღვა.

— ფეხით გაგვევლო...

— მანქანას აქ ვერ დავტოვებ! — მომიჭრა მოკლედ.

დავემორჩილე.

ხუთი წუთიც არ დაგვჭირვებია იმ კლუბთან მისასვლელად, სადაც დისკოთეკა იმართებოდა.

ნიკა უკვე მაგიდასთან მელოდა და სასმელიც შეეკვეთა...

ცხელოდა და ჯინსის ზედა გავიხადე. მოტკეცილ მაისურში ზედმეტად სექსუალურადაც რომ გამოვიყურებოდი, კარგად ვიცოდი. ამიტომ არც გამკვირვებია ნიკას თვალების „დაელმება“...

— გაგვიმარჯოს! — ასწია მან ჭიქა.

— გაგვიმარჯოს! — ვუპასუხე მეც.

— ვიცეკვოთ?

— ჯერ არა...

— შემიძლია, ექსტაზი შემოგთავაზო, ყველანაირ კომპლექსს მოგიხსნის! — შემომთავაზა ბიჭმა.

ახლა მე ჩამიდგა ალბათ ირონიული ღიმილი თვალებში:

— არ მჭირდება. კომპლექსები არ მაწუხებს. შენ მაგივრად ის ბიჭი რატომ გამოგზავნე?

— არ მინდოდა. იქაურების სალაპარაკოდ გამეხადე. ამ დროს, ფოიეში ბევრი ჭორიკანა თანამშრომელი იყრის თავს.

— სულ არ მედარდება! — ავიქნიე ხელი.

— ისედაც, დისტანციის დაცვა მირჩევნია. იმიტომ კი არა, რომ სხვაზე უკეთესი მგონია თავი, — უბრალოდ, არ მიყვარს იმ ადამიანების ჩემს ცხოვრებაში შემოშვება, ვინც ჩემი ინტერესების სფეროში არანაირად არ შედის და არც საერთო მომავალი შეიძლება გვქონდეს.

— ოჰო, ესე იგი, „დიდი კაცი“ რომ გახდები, ბევრს კაბინეტშიც არ შეუშვებ, ძველი ნაცნობობის წყალობითაც კი!

— ჰო, ამასაც ვგულისხმობდი...

— ჩემზე მეტი „წიკები“ ვინმეს თუ ჰქონდა, არ მეგონა! — ვთქვი და წამოვდექი. — წავედი.

— მეც მოვდივარ.

...ნიკა მალე წამომეწია და ხელკავი გამომდო:

— წამო, სანაპიროზე გავიდეთ!

— ამ დროს საშიში არაა? — ნაშუაღამევი იყო უკვე.

— ჩემთვის საშიშროება აღარ არსებობს! — პიჯაკი გადასწია და იარაღი დამანახვა. — თან, გაფორმებული მაქვს, ტარების უფლებით...

— იმედია, გამოყენება არ დაგვჭირდება.

ზღვა საოცრად მშვიდი იყო. სავსე მთვარეს ვერცხლისფერი ბილიკი გაედო სარკისებრ ზედაპირზე...

— რა სილამაზეა! — ვთქვი და ქვიშაზე დავჯექი, რომელსაც, აპრილის მიუხედავად, მაინც შეენარჩუნებინა სითბო...

ნიკა გვერდით მომიჯდა და ხელი გადამხვია, მკერდზე მიმიკრა:

— არ მიმატოვო, რა! — სახე ჩემს თმაში ჩარგო.

არაფერი ვუპასუხე, რადგან არაფრის დაპირება არ შემეძლო...

სასტუმროში რომ დავბრუნდით, სამი სრულდებოდა და მალე დაგვეძინა. დილით რომ გავიღვიძე, ნიკას უკვე უნიფორმა ეცვა და ნომერში საუზმე შემოეტანა:

— დღეს ვმუშაობ და შეგიძლიათ, მიმსახუროთ! — რატომღაც თქვენობით მომართა...

უკვე პარასკევი იყო. შაბათს ვაჟა ჩამომაკითხავდა. ტელეფონი სულ გამორთული მქონდა და რადგან გამახსენდა, ჩავრთე. თითქმის მაშინვე დარეკა და მისაყვედურა:

— ხომ იცი, ვნერვიულობ, როცა არ მპასუხობ! არ შეგიძლია ანგარიში გამიწიო?!

— იმდენი ვინმე დამირეკავდა, შენი ხათრითაც არ მინდოდა ამის ატანა!

— ხვალ ნაშუადღევს ვიქნები ბათუმში და მზად დამხვდი, მაშინვე უნდა დავბრუნდეთ. კვირას კიევში მივფრინავ, — მითხრა და რატომღაც დაავიწყდა, ეკითხა, როგორ ვიყავი...

უცებ ვიგრძენი, რომ არც მისი დანახვა მინდოდა და არც ყოველდღიურობაში დაბრუნება... კიდევ კარგი ხვალამდე მთელი დღე და კიდევ ღამე იყო...

ნიკას ჩემთვის დღისით არ ეცალა. ამიტომ მარტომ ვიხეტიალე და მაღაზიების არცთუ ისე დიდ ქსელში საკმაოდ წარმატებული შოპინგი მოვიწყვე...

ნიკამ მხოლოდ ღამის თორმეტის შემდეგ მოახერხა ჩემთან მოსვლა. დაღლილი იყო:

— შეიძლება, შენს სააბაზანოში წყალი გადავივლო?! — ნებართვა ითხოვა...

უეცრად, გავშმაგდი:

— ერთად ვიბანაოთ!

ნიკამ ინტერესით შემომხედა და თითქოს უცებ მოეხსნა დაღლილობა...

მერე რაც მოხდა, ამის სიტყვებით აღწერა შეუძლებელია და არც ვეცდები. ვისაც საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას ასეთი „ფრენის“ შეგრძნება არ განუცდია, მაინც ვერ მიმიხვდება და მხოლოდ გააღიზიანებს სხვისი ინტიმური ცხოვრების დეტალების გამომზეურება...

ნიკა აღფრთოვანებული იყო:

— ხვდები, რომ ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილები?! — ძლივს დაიმორჩილა ემოციისგან შეცვლილი ხმა.

არაფერი ვუპასუხე. პირსახოცის ხალათი მოვიცვი და დივანზე დავჯექი.

— იშვიათად ვეწევი, მაგრამ ახლა რომ არ მოვწიო, ცუდად გავხდები.



მერე რაც მოხდა, ამის სიტყვებით აღწერა შეუძლებელია

— ჩემი პიჯაკის ჯიბეშია და აიღე! — შემომძახა სააბაზანოდან.

— არა, ჩანთაში სულ მიგდია „დამსკი“; სხვა ხველებას ამიტეხს, — გავედი და ჩანთაში კოლოფი მოვძებნე. კვამლი ხარბად შევისუნთქე და რატომღაც მომეჩვენა, რომ მე — მე კი არა, ვიღაც სხვა იყო — უფრო სწორად, ახალი „მე“...

უცებ ისიც გამახსენდა, რომ სექსის დროს თავდაცვაზე არ მიფიქრია. ამ დროს დიდი შანსი მქონდა, დავფეხმძიმებულიყავი და ასე რომ მომხდარიყო, ერთი წუთითაც არ დავფიქრდებოდი, ისე გავაჩენდი ბავშვს. ოღონდ ამის შესახებ ნიკა ვერასოდეს გაიგებს, რა თქმა უნდა...

— რაზე ფიქრობ? — უკან დამიდგა ნიკა. მასაც სიგარეტი აეღო და სანთებლის მოძებნის ნაცვლად ჩემი სიგარეტიდან მოუკიდა.

— ნეტავ, რამ შეგვახვედრა?.. შემთხვევითობის არ მჯერა...

— ჰო, მეც დარწმუნებული ვარ, რომ შემთხვევით არაფერი ხდება ამქვეყნად! — დამიდასტურა ბიჭმა და

ცალი ხელი ისე მომხვია, ზურგით მის სხეულზე მიკრული აღმოვჩნდი.

— ფილოსოფოსები ამბობენ, რომ უპასუხო კითხვა არ არსებობს და ადრე თუ გვიან, ახსნა ყველაფერს მოეძებნებაო. ოღონდ, იმას, რაც ახლა ხდება, შეიძლება, 20-30 წლის შემდეგ ექნეს გაგრძელება...

ნიკას გაეცინა:

— რა იყო?

— უცებ წარმოვიდგინე — 30 წლის შემდეგ როგორები ვიქნებით... გამოგვივა ვითომ რამე საწოლში, მით უმეტეს — სააბაზანოში?..

სიგარეტი საფერფლეში ჩავჭყლიტე, საწოლს მივაშურე და საბნის ქვეშ შევძვერი. სასიამოვნო მოთენთილობას ვგრძნობდი:

— მეძინება!..

ნიკა გვერდით მომიწვა.

— არ შეიძლება, კიდევ რომ დარჩე? — სცადა ჩემი დათანხმება.

— არა, სამუშაო მელოდება... უამრავი პაციენტი...

— ექიმი ხარ?

— ჰო. ოღონდ, უფრო — სულის ექიმი: ფსიქოლოგი ვარ.

— ზაფხულში არ ჩამოხვალ დასასვენებლად?

— ანტალიაში წავალ ალბათ — იქ უკეთ დავისვენებ და სხვათა შორის, ფასებშიც არაა დიდი სხვაობა...

— მეც წამოვიდოდი, მაგრამ სეზონზე აქ იმდენი საქმეა, ვერ შემელევიან ერთი კვირითაც კი...

— მაინც არ წაგიყვანდი! — ავუწეწე ქოჩორი.

— რატომ? სხვასთან გირჩევნია? — მაინც იეჭვიანა ბიჭმა.

— შენზე უკეთ ვინ იცის, რომ სხვა კაცი ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა?! — ვუსაყვედურე მსუბუქად და ჩამეხუტა. ცხვირი ჩემს ყელში ჩარგო:

— იმედია, არც იქნება!..

ისევ არ ვუპასუხე და მალე დამეძინა კიდეც.

რომ გამეღვიძა, ნიკა ოთახში აღარ დამხვდა. იქნებ ასეც ჯობდა: არც მიყვარს დამშვიდობება და მით უმეტეს, არ ვიცოდი, ნიკას როგორ დავმშვიდობებოდი...

ბარგი შევკარი და რადგან დრო კიდევ მქონდა, ზღვაზე გავედი. აპრილის მზეს მაინც გამოეტყუებინა ხალხი პლაჟზე.

ვინ იცის, მერამდენედ დავდექი ზღვისკენ ზურგით და დაბრუნების იმედით ხურდა ფული გადავყარე. საერთოდ კი, ბანაობაზე მეტად პლაჟზე ხეტიალი მიყვარს, ტალღების შრიალი და ჰაერის მლაშე სურნელი...

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონით: 8(99).71.89.39.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დოკუმენტური პროზა

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი"

ამ უმძიმესი და წითელი არმიისთვის ყველაზე შემარცხვენელი ომის დასრულების შემდეგ, 1940 წლის მარტში გაიმართა პარტიის ცეკას პოლიტბიუროს სხდომა, რომელზეც მის შედეგებზე საუბრობდ, მოხსენებით ვოროშილოვი გამოვიდა. ამ სხდომაზე გადაწყვიტეს, ჩატარებულიყო მთავარი სამხედრო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზეც ამ ომის მონაწილეთაც მიიწვევდნენ. საბჭო 14-დან 17 აპრილამდე ჩატარდა. მასზე სიტყვით გამოვიდა სტალინი. მან აღნიშნა, რომ საჭიროა, სამეთაურო შემადგენლობამ თანამედროვე ომის თავისებურებები შეისწავლოს და რომ სამოქალაქო ომის კულტმა მას ახალ ყაიდაზე გადართვაში შეუშალა ხელი.

დასაწყისი იხ. „გზა", №27-42

მთავარმა სამხედრო საბჭომ შეიარაღების, აღჭურვილობის გაუმჯობესების, სამხედრო გამოცდილების გამდიდრებისა და არმიის ბრძოლისუნარიანობის გასაძლიერებლად ზოგიერთი სხვა ზომის გატარების მიზნით რამდენიმე დადგენილება მიიღო.

ფინეთის ომისა და მისი შედეგების გარჩევის შემდეგ დარწმუნდა იმაში, რომ ჩვენი ჯარი სუსტი, სამეთაურო შემადგენლობა — ცუდად მომზადებული, შეიარაღება მოძველებული იყო და ასეთი არმია ჰიტლერული გერმანიის ჯარს ვერაფერს დააკლებდა...

ამას დავამატებ სტალინის მიხვედრილობას, რომ მისი უახლოესი თანამებრძოლი — თავდაცვის სახალხო კომისარი ვოროშილოვი სამხედრო საქმეში უკვე ჩამორჩენილი და არაკომპეტენტური იყო. ამრიგად, მისი შემცვლელის მოძებნა იყო საჭირო. მანერჰაიმის გარღვევა სემიონ ტიმოშენკოს დამსახურება გახლდათ. ამას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და მარშალის ჩინი მიენიჭა.

და მაინც: თუ გავითვალისწინებთ, რომ ფინეთის მოსახლეობა სულ 3 მილიონს შეადგენდა, ხოლო ამავე რაოდენობას წითელი არმიის პირადი შემადგენლობა აღწევდა, იმასაც დავამატებთ, რომ ჩვენმა ჯარმა უდიდესი დანაკარგი განიცადა, დავრწმუნდებით, რომ ასეთი გამარჯვება სულაც არ იყო საზეიმო.

პოლიტბიუროს სხდომაზე სტალინმა თქვა:

— ფინეთთან ომმა გვიჩვენა, რომ ჩვენი სამეთაურო კადრები ძალზე სუსტადაა მომზადებული, ხოლო დისციპლინა ჯარში ძლიერ მოიკოჭლებს. ეს ყველაფერი ამხანაგ ვოროშილოვის დროს მოხდა და ახლა მას ესოდენ რთული საკითხების მოკლე დროში მოგვარება გაუჭირდება. არადა, დრო არ ითმენს: ჰიტლერმა ევროპაში ომის ცეცხლი ააგიზგიზა. არის წინადადება, ამხანაგი ვოროშილოვი სხვა პიროვნებით შევცვალოთ და თავდაცვის სახალხო კომისრად ამხანაგი ტიმოშენკო დავნიშნოთ.

ტიმოშენკომ უარის თქმა სცადა და ამას იმით ასაბუთებდა, რომ არ ფლობდა საჭირო ცოდნას და სახელმწიფოებრივ სიბრძნეს, რომელიც ასეთ დიდ და საპასუხისმგებლო პოსტზე სამუშაოდ იყო საჭირო; ისიც აღნიშნა, რომ არ იყო ღირსი, შეეცვალა ამხანაგი ვოროშილოვი, რომელსაც არა მარტო არმია, არამედ მთელი საბჭოთა ხალხი კარგად იცნობდა და უყვარდა.

სტალინმა უპასუხა:

— ეს ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ ხალხმა არ იცის, რომ ამხანაგ ვოროშილოვს სიმტკიცე აკლია. ახლა კი სიმტკიცე განსაკუთრებით, ყველაფერში გვჭირდება. თქვენ ამ თვისებით გამორჩევით. უპირველეს ყოვლისა, დისციპლინასა და კადრების მომზადებას მოჰკიდეთ ხელი. რაც შეეხება სახელმწიფოებრივ სიბრძნეს — ეს დროის საკითხია. თუ რაიმე გაგიჭირდებათ, დაგეხმარებით.

ამგვარად, ტიმოშენკო თავდაცვის სახკომად დაინიშნა, ხოლო ვოროშილოვისთვის საგანგებოდ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა შემოიღეს. სემიონ ტიმოშენკო ამ დროს 45 წლის იყო. ის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე იბრძოდა ბოლშევიკების მხარეზე. მერე, ცარიცინის თავდაცვაში მონაწილეობდა, 1919 წლიდან, ბუდიონის საცხენოსნო დივიზიაში იბრძოდა; „წითელი დროშის" ორგზის ორდენოს-

ანი გახლდათ. მართალია, ფუნდამენტური განათლება არ მიუღია, მხოლოდ უმაღლესი აკადემიური კურსები დაამთავრა, მაგრამ სარდლობდა კიევის ჩრდილოეთ კავკასიის, ხარკოვის ფრონტებს; 1939 წლის სექტემბრიდან მეთაურობდა უკრაინის ფრონტს, რომელმაც დასავლეთ უკრაინა დალაშქრა.

ალბათ არ შევცდები, თუ ფინეთთან უგერგილოდ წარმართული ომის ფსიქოლოგიურ შედეგსაც შევეხები. როგორც უკვე აღვნიშნე, სტალინმა კარგად დაინახა წითელი არმიის სისუსტე და იძულებული იყო, დაახლოებოდა ჰიტლერს და რაღაც დათმობებზეც წასულიყო გერმანიასთან, რომელმაც იმ დროისთვის უკვე დაამტკიცა, რომ შესწევდა უნარი, მყისიერად დაემარცხებინა ძლიერი მოწინააღმდეგენიც კი. აქედან გამომდინარე, სტალინს დრო სჭირდებოდა, საკუთარი არმიის სისუსტეები რომ აღმოეფხვრა.

ამრიგად, თუ შედეგებს შევაჯამებთ, უნდა აღვნიშნოთ: ლენინგრადის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიული ნაბიჯი გამართლებული იყო, მაგრამ სტალინის ამ ჩანაფიქრის სათანადოდ განხორციელება მისმა მხედართმთავრებმა ვერ მოახერხეს. მათ შეცდომაში შეიყვანეს იგი, როგორც მოწინააღმდეგის, ასევე ჩვენი ჯარის შესაძლებლობების საკითხში. მოკლედ რომ ვთქვათ, ომი ფინეთთან — სტალინის სამხედრო მოღვაწეობაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარუმატებლობა იყო. ამასთანავე, ამ ომის წყალობით შესაძლებელი გახდა, ბევრი ნაკლოვანება გამოევლინათ და თანადროულად აღმოეფხვრათ.

ომი ევროპაში

(საფრანგეთის განადგურება)

მას შემდეგ, რაც გერმანიამ პოლონეთის ოკუპირება მოახდინა, ჰიტლერის წინაშე დადგა საკითხი — საბჭოთა კავშირს დასხმოდა თავს თუ ჯერ საფრანგეთი ან ინგლისი დაემარცხებინა? აღმოსავლეთისკენ რომ წასულიყო და იმ უკიდეგანო სივრცეს დაჰპატრონებოდა, რისი სურვილის შესახებ არაერთხელ უთქვამს, ეს გერმანიას იმდენად გააძლიერებდა, რომ ინგლისი და საფრანგეთი მას წინ ვეღარ დაუდგებოდნენ. მაგრამ სწორედ ამიტომ, ისინი მოვლენების ამგვარ განვითარებას არ დაელოდებოდნენ და სავარაუდოდ, დასავლეთიდან შეუტევდნენ — ე.ი. ჰიტლერს ორ ფრონტზე ბრძოლა მოუწევდა. აქედან გამომდინარე, უმარტივესი ლოგიკა ფიურერს უკარნახებდა — თავდაპირველად, დასავლელი მოწინააღმდეგენი უნდა უვნებელეყო. მაგრამ საფრანგეთი გაცილებით მაღლა იდგა იმ ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებსაც ჰიტლერი 1939 წელს ასე იოლად გაუმკლავდა. წარსულში გერმანიას არაერთხელ უომია ამ სახელმწიფოსთან და ეს ყოველთვის თანაბარი ძალის მქონე მოწინააღმდეგეთა ბრძოლა იყო: ზოგჯერ ფრანგული შეიარაღებული ძალები სჯაბნიდნენ გერმანელებს, ზოგჯერ — პირიქით ხდებოდა. ამგვარად, საფრანგეთი სერიოზული მოწინააღმდეგე იყო, მით უმეტეს, რომ არანაკლებ სერიოზული მოკავშირე — ინგლისი ჰყავდა...

მარშალმა პეტენმა უმალ სამშვიდობო ინიციაგივით მიმართა ვერმახტის სარდლობას

შემუშავებული გეგმის თანახმად, გერმანიის ჯარები 1940 წლის 10 მაისს, ჰოლანდიისა და ბელგიის ტერიტორიების გავლით, შეტევაზე გადავიდნენ. საჰაერო დესანტების მეშვეობით, მათ უმნიშვნელოვანესი უბნები და ობიექტები (აეროდრომები, ხიდები) დაიკავეს. უკვე 14 მაისს ჰოლანდიის არმიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. ბელგიის ჯარმა უკან დაიხია და მდინარე მაასთან გაჩერდა. ამავე ზოლთან განლაგდნენ ინგლისურ-ფრანგული ნაწილები, მაგრამ გერმანელებმა იოლად გაარღვიეს მოწინააღმდეგის სუსტი დაცვა და 20 მაისისთვის სანაპიროსთან გავიდნენ. ამის შემდეგ გაიმართა ე.წ. დიუნკერკის ტრაგიკული ოპერაცია, რომლის შედეგადაც, ძლიერ დაზარალებული მოკავშირეთა ჯარი იძულებული გახდა, ევაკუაცია მოეხდინა.

სულ რაღაც 44 დღეში – 10 მაისიდან 22 ივნისამდე – საფრანგეთისა და მისი მოკავშირეების – ინგლისის, ჰოლანდიისა და ბელგიის ჯარები გაანადგურეს

გერმანულმა არმიამ სწრაფად განახორციელა ძალების გადაჯგუფება და უკვე 5 ივნისს დაიწყო მეორე შეტევითი ოპერაცია სახელწოდებით — „როტ“, რომელშიც 140 დივიზია მონაწილეობდა. ეს ოპერაცია ფრანგული შეიარაღებული ძალების სრულ განადგურებას და ომიდან საფრანგეთის გამოთიშვას ისახავდა მიზნად.

ამ ქვეყნის მთავრობა და სარდლობა სრულიად დემორალიზებული იყო. 14 ივნისს, მთავრობის თავმჯდომარის, ვეიგანის ბრძანებით, მტერს უბრძოლველად ჩააბარეს პარიზი. ჰიტლერული ჯარი დაუბრკოლებლად მიიწევდა ქვეყნის სიღრმისკენ. 17 ივნისს, სრულიად უმწეო მთავრობის ადგილი მარშალმა პეტენმა დაიკავა, რომელმაც უმალ სამშვიდობო ინიციატივით მიმართა ვერმახტის სარდლობას.

ჰიტლერი მიღწეული გამარჯვებით ბედნიერი და გაბრწყინებული იყო. მან ისურვა, რომ საფრანგეთის კაპიტულაციის ოფიციალური გაფორმება სწორედ იმ ვაგონში მომხდარიყო, რომელშიც 1919 წლის 18 ივნისს ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. სასწრაფოდ დაადგინეს ამ ვაგონის ადგილმდებარეობა, მოაწესრიგეს და კომპიენის ტყეში, იმ ადგილას მიაგორეს, სადაც ის 1919 წელს იდგა. 1939 წლის 22 ივნისს საფრანგეთმა კაპიტულაციას მოაწერა ხელი.

ასე და ამგვარად, გერმანელებმა სულ რაღაც 44 დღეში — 10 მაისიდან 22 ივნისამდე — საფრანგეთისა და მისი მოკავშირეების — ინგლისის, ჰოლანდიისა და ბელგიის ჯარები გაანადგურეს. მათ ერთობლივ სარდლობას არ აღმოაჩნდა უნარი, სათანადოდ დაეცვა თავი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სოლიდურ სამხედრო ძალას ფლობდა: თუ გერმანელთა განკარგულებაში 140 დივიზია, 2580 ტანკი, 3824 თვითმფრინავი, 7378 ქვემეხი იყო, მოკავშირეები 147 დივიზიას, 3100 ტანკს, 3800 საბრძოლო თვითმფრინავსა და 14500-ზე მეტ საარტილერიო დანადგარს ფლობდნენ. როგორც ხედავთ, ინგლისურ-ფრანგულ-ჰოლანდიურ-ბელგიურ ჯარებს გერმანელებზე მეტი ძალა ჰქონდათ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37-42

გოჩა მანველიძე

ირაკლიმ გაოცებულმა ჩახედა პირადობის მოწმობას და შემდეგ იკითხა:

— მაინც რაზე გსურთ საუბარი, ბატონო გამომძიებელო?

— თქვენს მეგობარ გოგა კილაძეზე, — უპასუხა გიორგიმ.

— გოგაზე? — გაუკვირდა ირაკლის. — რამე ხომ არ შეემთხვა?

— იცით, რომ დედამისი გარდაიცვალა?

— რა თქმა უნდა. მაგრამ რა შუაშია აქ დაკითხვა? — ჰკითხა ირაკლიმ.

— მე თქვენს დაკითხვას არ ვაპირებ. უბრალოდ, ზოგიერთი საკითხის გარკვევა მსურს.

— რა საკითხის?

— ამაზე დერეფანში ვერ ვისაუბრებთ. სადმე ცალკე ხომ შეგვიძლია, დავსხდეთ? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— რა თქმა უნდა. წამობრძანდით, — უპასუხა ირაკლიმ და თავისი კაბინეტისკენ გაუძღვა.

კაბინეტში არავინ იყო. ირაკლიმ კარი დაკეტა, ვინმეს მათი საუბრისთვის რომ არ შეეშალა ხელი. მერე სტუმარს სკამი შესთავაზა, თვითონაც დაჯდა და მოსასმენად მოემზადა.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ და კილაძეს ახლო მეგობრობა გაკავშირებთ, — დაიწყო გიორგიმ.

— დიახ, — დაუდასტურა ირაკლიმ.

— რა შეგიძლიათ მითხრათ მის შესახებ?

— მაინც რა გაინტერესებთ?

— ყველაფერი: როგორი ადამიანია, როგორი ურთიერთობა ჰქონდა თანამშრომლებთან, ვისთან მეგობრობდა, ხასიათი, შეხედულებები... — ჩამოთვალა გიორგიმ.

— არც კი ვიცი, რა გითხრათ. ჩვეულებრივი ბიჭია, კარგი და ცუდი თვისებებით...

— ცუდ თვისებებს რას უწოდებთ?

— ცოტა ჯიუტია. რამე თუ ჩაიფიქრა, ვერავინ გადაათქმევინებს... — ირაკლიმ სიგარეტს მოუკიდა და ლაპარაკი განაგრძო: — სამსახურის თაობაზე კი, აბა, რა გითხრათ?.. უკეთესი იქნება, თუ ამ კითხვით განყოფილების ხელმძღვანელობას მიმართავთ. თანამშრომლებთან კარგი დამოკიდებულება აქვს. არ მახსოვს, ვინმესთან ვერ გამოენახოს საერთო ენა. კიდევ რა გაინტერესებთ?

— მეგობრები... შეხედულებები... — შეახსენა გიორგიმ.

— მეგობარი ბევრი არ ჰყავს, ათამდე კაცი თუ მოგროვდება. რამდენიმე უბნელი, ყოფილი თანაკლასელი და თანაკურსელი.

— რატომ? კაცთმოძულეა?

— რატომ კაცთმოძულე?! უბრალოდ, ღობე-ყორეს არ ედება და ვისთანაც ერთ ჭიქა ღვინოს დალევს, მეგობრად არ მიიჩნევს. მისთვის ისინი უბრალოდ, ნაცნობები არიან. მეგობრებად კი ისინი ჰყვანან, ვისთანაც ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებს. რაც შეეხება შეხედულებებს... ერთი რამ შემიძლია, დანამდვილებით გითხრათ — ვერ იტანს ძალადობას...

— ძალადობას?! — გიორგიმ ინსტინქტურად მოისვა ხელი შესივებულ ყვრიმალზე.

— დიახ, ძალადობას... მაგალითისთვის ერთ შემთხვევას გავიხსენებ. სამოქალაქო ომის დროს გოგამ რამდენიმე დღე გაატარა უზენაესი საბჭოს შენობაში. იქ ნანახმა ისე დათრგუნა, რომ გარკვეული პერიოდით მუშაობაც კი შეწყვიტა. მეგობრების წრეში ბევრჯერ უთქვამს: იქ ყოფნისას მეგონა, რომ ეს ხალხი ერთმანეთს კი არა, მე მესროდაო!.. ორგანულად ვერ იტანს იარაღს და ყველაფერს, რაც ძალადობას უკავშირდება.

— სიმართლე გითხრათ, მე ბატონ კილაძეზე სულ სხვა წარმოდგენა მაქვს...

— არა, არა... ეს სრული სიმართლეა. გოგას სახლში პისტოლეტიც ჰქონდა, მაგრამ ერთხელაც არ დაუპირებია სროლა.

— ესეც დაუჯერებელია.

— ჩემზე მეტი თუ იცით მის შესახებ, მე რაღას მეკითხებით?! — იწყინა ირაკლიმ.

— როგორც წესი, ყველას გვგონია, რომ ბევრი რამ ვიცით ჩვენი ნაცნობ-მეგობრების შესახებ. მაგრამ მოხდება რაღაც და იწყება ლაპარაკი: ხედავ, რა მოხდა, რას წარმოვიდგენდით?! არასოდეს შემინიშნავს, რომ ასეთი მიდრეკილება ჰქონდა!.. არასოდეს შესწრებიხართ ასეთ საუბარს?

— არა! — ცივად მიუგო ირაკლიმ.

— მე კი ხშირად შევხვედრივარ.

ირაკლიმ გამჭოლი მზერა ესროლა და მერე ჰკითხა:

— მაინც რა გნებავთ, ბატონო გამომძიებელო? ისე მელაპარაკებით, თითქოს რამეში ადანაშაულებდეთ გოგას!

— ბოლოს როდის შეხვდით გოგას?

— ორი დღის წინ.

— რაიმე უცნაური ხომ არ შეგიმჩნევიათ მისთვის? ან რაიმე ისეთი ხომ არ უთქვამს?!

— რას ნიშნავს „რაიმე ისეთი“?

— მაგალითად, პოლიციაზე ხომ არ იყო განაწყენებული?

— განაწყენებული!.. — ბრაზით ჩაილაპარაკა ირაკლიმ. — დიახ, გაბრაზებული იყო და თქვენ ჩემზე კარგად იცით — რატომაც! სხვანაირად როგორ უნდა მიეღო ის ამოცნობა, რომელიც თქვენ ჩაუტარეთ!

— თვითონ გითხრათ ამის შესახებ?

— დიახ, თვითონ მითხრა. რა, ეს აკრძალულია?.. — სწრაფად ჰკითხა ირაკლიმ.

— რა თქმა უნდა, არა. გოგამ მხოლოდ ერთ ამოცნობაზე მოგიყვათ? — გამომცდელად ჰკითხა გიორგიმ.

მეორე ამოცნობას გაქცევა მოჰყვა: ირაკლის რაიმე რომ სცოდნოდა ამის შესახებ, გამოდიოდა, რომ მას კავშირი უნდა ჰქონოდა გოგასთან. მაგრამ ექიმმა გამომძიებლის იმედი არ გაამართლა:

— რა-ა?.. მეორე ამოცნობაც ჩაუტარეთ?! — ჰკითხა გაოცებულმა.

— დიახ. თვითონ არაფერი უთქვამს ამის შესახებ?

— ხომ გითხარით — ბოლოს ორი დღის წინ ვნახე.

— ბუნებრივია, რომ მეგობარს ეთანხმებით და მე მადანაშაულებთ ამოცნობის შედეგისთვის.

— თქვენი დადანაშაულება ჩემი საქმე არ არის. დედ-მამის დაღუპვამ ხელ-ფეხები შეუკრა გოგას და ჯერ-ჯერობით თქვენთვის ვერ მოიცალა. მაგრამ მალე მაინც დაამტკიცებს თავის სიმართლეს და მერე ჩვენგან კი არა, სხვა მხრიდან უნდა ელოდეთ დადანაშაულებას!

— ღამით რომ გენახათ თქვენი მეგობარი, მის „ხელფეხშეკრულობაზე“ სხვა შეხედულება გექნებოდათ!..

— რისი თქმა გსურთ, ბატონო გამომძიებელო? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ხედავთ ამას? — გიორგიმ ჩალურჯებულ თვალსა და შესივებულ ყვრიმალზე მიანიშნა. — ეს, თქვენი „ძალადობის მოძულე“ მეგობრის ნამოქმედარია. რაც შეეხება იმას, რომ დედ-მამის დაღუპვამ მას ხელ-ფეხი შეუკრა და ჩემთვის ჯერჯერობით არ სცალია... ღამით მოხდა უსიამოვნო შემთხვევა, რომელმაც სრულად წარმოაჩინა თქვენი მეგობრის ხასიათი: ქალბატონი თამარ კილაძე 10 წუთის გარდაცვლილი იყო, როცა მისი შვილი თავს დამესხა, გამთიშა, იარაღი და მანქანა მომტაცა და გაიქცა!..

— რა ბრძანეთ?! — თვალები გაუფართოვდა ირაკლის.

— ის, რომ თქვენმა მეგობარმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც ყველაზე მცირე, 8 წელს მაინც მიუსჯიან! — უპასუხა გიორგიმ.

— არა, ეს შეუძლებელია!

— მაშინ მითხარით, სად არის თქვენი მეგობარი?

— ალბათ სახლში — სად უნდა იყოს ამ დროს?!. — მექანიკურად უპასუხა ირაკლიმ.

გიორგი ტელეფონის აპარატს დასწვდა და წინ დაუდო.

— დარეკეთ... ქალბატონი თამარი უკვე გადაასვენეს სახლში. ახლა იქ მისი ნათესავები იმყოფებიან. დაურეკეთ მათ და ჰკითხეთ: იქ არის თქვენი მეგობარი თუ — არა.

ირაკლიმ დაძაბული მზერა დააშტერა ტელეფონს, მაგრამ დარეკვა არც უცდია.

— ხედავთ?! დარწმუნებული არ ხართ, რომ იქ იქნება! — ირონიით შენიშნა გიორგიმ.

— არ მჭირდება საკუთარი თავის დარწმუნება. სხვა თუ არაფერი გაქვთ სათქმელი, უნდა დაგემშვიდობოთ: მიმღებში პაციენტები მელოდებიან, — თქვა ირაკლიმ და ასადგომად წამოიწია.

— ცოტა ხანს კიდევ მოუწევთ მოცდა, — მშვიდად უპასუხა გიორგიმ.

— რა გნებავთ? — გახედა ირაკლიმ უკმაყოფილო სახით.

— პირდაპირ გეტყვით სათქმელს. უკვე იცით, რა ჩაიდინა თქვენმა მეგობარმა. ვხედავ, რომ ჩემი არ გჯერათ. მალე დარწმუნდებით, რომ სიმართლე გითხარით, მაგრამ მაშინ შესაძლოა, ძალიან გვიანი იყოს!

— რატომ?

— მომხდარის მიუხედავად, მე არ მინდა გოგასთვის რაიმეს დაშავება. ისიც კმარა, რაც მოხდა. გუშინ ის თავს დამესხა, ჩემი იარაღი და მანქანა გაიტაცა. ეს სრულიად საკმარისია ციხეში ძალიან დიდი ხნით მის გასასტუმრებლად, მაგრამ მე მაინც მინდა, კიდევ ერთი შანსი მივცე. ალალად გეტყვით — გუშინდელი ფაქტი ოფიციალურად არ გაფორმებულა. მე ჯერ კიდევ შემიძლია ყველაფრის გამოსწორება, მაგრამ ამაში გოგაც უნდა დამეხმაროს.

— რით უნდა დაგეხმაროთ გოგა?

— ჩემთან მოვიდეს. რა თქმა უნდა, იარაღი და მანქანაც უნდა დააბრუნოს.

— მაინც ვისი გადარჩენა უფრო გაინტერესებთ — მისი თუ საკუთარი თავის?

— მართებული კითხვაა, — თავი დაუქნია გიორგიმ, — რაა დასამალი: ამ საქმეს მსვლელობა თუ მიეცა, მეც ვერ გადავრჩები. ზედამხედველი პროკურორიც და 3 პოლიციელიც დაისჯებიან. მაგრამ ჩვენი სასჯელი არაფერია იმასთან შედარებით, რაც თქვენს მეგობარს მოელის. ყველაზე უარეს შემთხვევაში, იმ პოლიციელებს სამსახურიდან გაათავისუფლებენ, მე შეიძლება, ქალაქის რომელიმე განყოფილებაში გადამისროლონ, პროკურორს კი საყვედურს აკმარებენ. აი, თქვენს მეგობარს კი არავინ აპატიებს 5 თანამშრომლის გაბანძებას. როცა აიყვანენ, ჯერ „კაპეზეში“ გაუსწორებენ ანგარიშს... დღედაღამ ცემაში ეყოლებათ. მერე სასამართლოს გადასცემენ და „პოლნი კატუშკით“ გაუშვებენ „სროკზე“. ვინ დარჩება აქედან მოგებული?

— არავინ.

— საქმეც ეგაა და ამიტომაც გთხოვ, ურჩიე გოგას, თვითონ მოვიდეს ჩემთან. მანამდე მოვიდეს, ვიდრე აიყვანენ. მაგრამ დიდ ვადასაც ვერ მივცემ: ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, 2 დღეს თუ დაველოდები. მერე ხელმძღვანელობა მის თავს მომკითხავს და იძულებული გავხდები, საქმეს მსვლელობა მივცე და მასზე რესპუბლიკური ძებნა გამოვაცხადო. იმასაც გეტყვი, ამის შემდეგ რა მოხდება: მე ძიებას ჩამომაშორებენ და საქმეს სხვა გამომძიებელს გადასცემენ, ის კი შენს ძმაკაცს ფერებას არ დაუწყებს, ადრე თუ გვიან, აიყვანს და გლეხი კაცის ვირივით „დაგრუზავს“!

— კარგი, ვთქვათ, გოგა გენდოთ და საკუთარი ფეხით მოვიდა სამმართველოში. ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ იქვე არ დააპატიმრებთ? — ჰკითხა ირაკლიმ.

— არ მენდობით?

— რა მნიშვნელობა აქვს, გენდობით თუ — არა? მთავარია, გოგა გენდოთ, — უპასუხა ირაკლიმ.

— ამაში შენ უნდა დაარწმუნო. იმისთვის კი, ჩემში ეჭვი რომ არ გეპარებოდეს, ამ ნომერზე დარეკე, — თქვა გიორგიმ და ქაღალდის ფურცელი გაუწოდა.

ღამის დადგომასთან ერთად, მიმღები განყოფილებაც მიწყნარდა და ირაკლიმ დასასვენებლად თავის კაბინეტს მიაშურა, ტახტზე წამოწვა და ფიქრს მიეცა. როგორი დაუჯერებელიც უნდა ყო-

ფილიყო გამომძიებლის ნაამბობი, მასში მაინც ერია სიმართლის მარცვალი... მისი წასვლის შემდეგ ირაკლიმ რამდენიმე ნაცნობს დაურეკა. მათ არაფერი იცოდნენ საავადმყოფოში მომხდარის შესახებ. სამაგიეროდ, ყველამ დაუდასტურა, რომ გოგა არსად ჩანდა. საავადმყოფოდან სახლში დედის გადასვენებასაც არ დასწრებია და არც შემდეგ გამოჩენილა.

„რა უნდა მომხდარიყო და საერთოდ, რას უკავშირდება ასეთი საქციელი? — ფიქრობდა ირაკლი. — გამომძიებელზე თავდასხმა, იარაღის, მანქანის გატაცება!.. და ეს იმ დროს, როდესაც მამა ერთი კვირის წინ დაეღუპა, დედა კი რამდენიმე წუთის წინ გარდაეცვალა!.. ეს სიგიჟეა! ნორმალური ადამიანი ასე არ მოიქცეოდა!.. მაგრამ იქნებ... არც ესაა დაუჯერებელი. ისედაც მუდმივ სტრესში გვიწევს ცხოვრება: სამოქალაქო ომი, გამუდმებული სროლა, ყოველ კუთხეში ჩასაფრებული საფრთხე... და ამას დედ-მამის დაღუპვა დაემატა. შემდეგ ეს გაუგებარი ამოცნობა და ხატის გაყიდვაში დადანაშაულება!.. ასეთ ვითარებაში ნებისმიერ ადამიანს შეერყეოდა ფსიქიკა... არა, შეშლილობა ნამეტანია. უბრალოდ, განერვიულდა კაცი. მოთმინების ძაფი გაუწყდა და ბოლმა გამომძიებელზე გადმოანთხია. ვინ იცის, როგორ ნანობს ახლა?! ნანობს, მაგრამ გამოჩენა ვეღარ გაუბედავს. ეშინია, არ დაიჭირონ და ციხეში არ უკრან თავი. ჰო, ნაღდად ასე იქნება. მაგრამ როდემდე დაიმალება?.. იქნებ მართლაც, ღირდეს გამომძიებლის წინადადების მიღება?.. ორ „კაპიკსაც“ მივახმარდით და ამ საქმეს თავიდან მოვიშორებდით. თორემ ცოდვაა კაცი. მართლა და მართლა, როდემდე ირბენს აქეთ-იქით?!.“

ამის გაფიქრება იყო და ოთახში კაკუნის ხმა გაისმა. ირაკლი წამოიწია და ფანჯარას გახედა — კაკუნის ხმა იქიდან მოდიოდა. მაგრამ მინებს მიღმა არავინ ჩანდა.

„ალბათ მომეჩვენა. ჩანს, მეც გადავიღალე“, — გაიფიქრა ირაკლიმ, მაგრამ ამ დროს კაკუნი გამეორდა.

ირაკლი ადგა და ფანჯარას მიუახლოვდა. ჩაბნელებულ ეზოში არავინ ჩანდა. ის-ის იყო, უკან დაბრუნებას აპირებდა, რომ კედლისგან მოშორებით, ბუჩქებში ადამიანის ლანდს მოჰკრა თვალი. მან ხელით ანიშნა, გარეთ გამოდიო. ირაკლი ადგილიდან არ დაძრულა. ამიტომ უცნობმა ისევ დაუქნია ხელი, მერე უკან დაიძრა და მალე თვალს მიეფარა.

„ის არის!.. გოგა! სხვას ვის დასჭირდებოდა მალვით მოსვლა?!“ — გაიფიქრა ირაკლიმ და ოთახის კარს მიუბრუნდა.

საავადმყოფოს ამ ნაწილში ძველი, ნგრევის პირას მისული შენობა იდგა. ირაკლიმ სწორედ იქით აიღო გეზი. ათიოდე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, შენობის შესასვლელთან მდგომი გოგა დაინახა.

„რას ვაკეთებ?!. ვინ იცის, რა აქვს ჩაფიქრებული? იქნებ, როგორც იმ გამომძიებელს, თავს დამესხას?!. თანაც, პისტოლეტიც ჰქონია“, — გაიფიქრა ირაკლიმ და სვლა შეანელა.

ამის დანახვაზე გოგა თვითონ წამოვიდა მისკენ.

— გამარჯობა, — მოახლოებისთანავე მიესალმა ირაკლი, — როგორ ხარ?

— როგორ ვიქნები?.. ასე მგონია, მთელმა სამყარომ ჩემ წინააღმდეგ შეკრა პირი!

— რა ბუზმა გიკბინა, ბიჭო? ეს გინდოდა ახლა?!. მამაშენის დაღუპვა ვერ მოგინელებია, რომ დედაც დაკარგე და ამას კიდევ იმ გამომძიებლის საქმეც მიამატე!.. ეგ რამ გაგაკეთებინა?

— საიდან იცი გამომძიებლის ამბავი? — დაიძაბა გოგამ.

— თვითონ იყო მოსული. კარგა ხანს მელაპარაკა. მართალია, რაც მითხრა?

— გააჩნია, რა გითხრა.

— თავს დამესხა, იარაღი და მანქანა გაიტაცაო!

— გამოდის, სიმართლე უთქვამს, — მშვიდად თქვა გოგამ.

— აუუ!.. შენ მე გადამრევ! რა რობინჰუდობა აგიტყდა?! მაგათთან ჭიდაობით რას მოიგებ?! რა ეშველება ახლა მაგ საქმეს?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს!

ირაკლიმ წინ წაიწია, თვალებში ჩააცქერდა და ჰკითხა:

— გოგა, ატყობ, რა მაგრად „ჭედავ“?!. ხალხს რა პასუხს აძლევ? უშენოდ როგორ უნდა დაკრძალონ დედაშენი?! ან ხვალ რას აპირებ? ვერ ხვდები, რომ ეგენი აღარ მოგეშვებიან?!. როდემდე ირბენ?

— მაგაზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ.

— მოიცა... ჯერ ყველაფერი არ მითქვამს.

— თუ ძმა ხარ, არ დამიწყო ახლა შეგონება. რაც მოხდა — მოხდა. ლაპარაკით მაინც აღარაფერი შეიცვლება.

— არა, სხვა რამე უნდა გითხრა... იცი, რისთვის იყო მოსული გამომძიებელი?

— დაახლოებით ვხვდები: დაგკითხავდა და აგიტაცია-პროპაგანდას გაგიწევდა: რამე თუ გაიგე, ეგრევე ჩაუშვიო!

— არა... პირიქით. მითხრა, რომ ამ საქმის მოგვარებითაა დაინტერესებული! — თქვა ირაკლიმ. — მანქანასა და იარაღს თუ დამიბრუნებს, საქმეს მსვლელობას არ მივცემ და ყველაფერი ჩვენ შორის დარჩებაო!.. იქნებ ვცადოთ, ა?

— და შენ ენდობი იმ გამომძიებელს?!

— სანდო შუამავალი ჰყავს.

— ვინ?

— მეც ვკითხე — რა გარანტია გვაქვს, რომ არ გადაგვაგდებ-მეთქი? მან კი დიტოს ტელეფონის ნომერი მომცა: ამ კაცს დაუკავშირდი, დანარჩენს ის გეტყვისო.

— დიტო?! — გაოცებულმა ჩაილაპარაკა გოგამ.

დიტო ზარნაძე მისი და ირაკლის მეგობარი იყო. ის რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა პოლიციაში. ერთ-ერთი ოპერაციის დროს მძიმედ დაიჭრა. სპეციალურმა კომისიამ სამსახურისთვის უვარგისად ცნო და თანამდებობიდან გაათავისუფლა.

— 2 წელი ერთად უმუშავიათ. დიდი ძმაკაცობა არ აკავშირებთ, უბრალოდ, პატივს სცემენ ერთმანეთს... გამომძიებლის წასვლის შემდეგ, დიტოს დავურეკე. მითხრა, მაგ კაცის ნდობა შეიძლება, თუ გინდა, მეც ჩავერთვები საქმეში, შევხვდები და ყველაფერზე შევუთანხმდებიო! — თქვა ირაკლიმ.

— კარგი, ვთქვათ, ეს საქმე მოგვარდა, მაგრამ რა ეშველება დანარჩენს?

— ამოცნობას გულისხმობ?

— ამოცნობებს, — შეუსწორა გოგამ.

— ამოცნობებს... შენ არაფერი გითქვამს მეორე ამოცნობის შესახებ, — გაუკვირდა ირაკლის.

— როდის უნდა მეთქვა? გუშინ ჩამიტარეს, მერე კი საავადმყოფოში წამიყვანეს.

— ერთი საქმე თუ მოვაგვარეთ, მეორეც მოგვარდება.

— შენ აზრზე არა ხარ, რა ხდება. იცი, რა საქმეს მტენიან?! ვიღაცამ სოლოლაკელი რესტავრატორი დაბრიდა, მერე გვამი მტკვარში გადააგდო... იმ რესტავრატორის ძმა ამტკიცებს, რომ ბოლოს ჩემთან ერთად ნახა... ის კაცი პისტოლეტით მოკლეს. ორჯერ ესროლეს. ექსპერტმა კი უკვე დაამტკიცა, რომ მამაჩემი და რესტავრატორი ერთი იარაღიდან მოკლეს!.. ხვდები, რას მიჩალიჩებენ?.. თუ რესტავრატორი მე მოვკალი, ვისი მოკლული გამოდის მამაჩემი?

— კარგი, რა! მაგას ვინ დაიჯერებს?! — სწრაფად თქვა ირაკლიმ.

— პოლიციამ და პროკურატურამ უკვე დააჯერა საკუთარი თავი, სხვისი აზრი კი მათ არ აინტერესებთ!

— ეგრეც არ არის საქმე. ჩალით ხომ არ არის დახურული ეს ქვეყანა!

— არ ვიცი, ჩალითაა დახურული თუ წალმით. მე გასაკეთებელი გავაკეთე და უკან დახევას არ ვაპირებ!

— რა გითხრა, ძმაო?.. რახან ფიქრობ, რომ გამომძიებელი სანდო არ არის, თავი დავანებოთ. სხვა რამე რომ ვცადოთ?

— რა? — ჰკითხა გოგამ.

— პროკურატურაში დავებაზროთ ვინმეს. ან სერიოზული ადვოკატი ვიპოვოთ. საშუალების მეტი რა არის?! ზოგს კაცი ჰყავს მოკლული და მაინც გარეთაა. ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ერთი გამომძიებლისთვის თვალის ჩალურჯება და იარაღისა და მანქანის წართმევა!

— შეუძლებელი არაფერია, მაგრამ მე თვითონ არ მინდა ეს.

— არ გინდა?! — გაუკვირდა ირაკლის. — როგორ არ უნდა გინდოდეს ამ საქმის გახსნა?! აქ ხომ შენი დედამამის მკვლელზეა ლაპარაკი!

— არ მინდა! — გაიმეორა გოგამ.

— მაშინ მითხარი, რა გაქვს ჩაფიქრებული და რით შემიძლია შენი დახმარება?

— ის, რაც მოხდა, მეც არ მახარებს. ორი დღის წინ მზად ვიყავი, გამომძიებლისთვის ტვინი დამენთხევინებინა, მაგრამ მერე შევიტყვე, რომ ის არ ტყუოდა...

— მოიცა, მოიცა!.. — სწრაფად ჩაურთო ირაკლიმ. — წელან არ თქვი, — გამომძიებელი მტენის ამ საქმესო?!

— ახლაც იმავეს გეტყვი — მტენის... ჰო, მტენის, მაგრამ ამას შეუცნობლად აკეთებს. თვითონაც ვერ ხვდება, ვის და რისთვის სდევნის!

— არ გეწყინოს, მაგრამ ვერაფერს ვხვდები, — გაკვირვებულმა თქვა ირაკლიმ.

— ჰოდა, ამიტომაც, არაფერს აგიხსნი. საამისოდ არც დრო მაქვს და არც საშუალება. მხოლოდ ის მინდა გითხრა, რომ გამომძიებელი ცდება. მისი შეცდომა მე ძალიან ძვირად მიჯდება... გუშინ მეც არაფერი ვიცოდი ამის შესახებ. წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა: საავადმყოფოდან სამმართველოში წამიყვანეს, ამოცნობა ჩამიტარეს და პრაქტიკულად დამადანაშაულეს იმ ადამიანის მკვლელობაში, რომელსაც არასოდეს შევხვედრივარ. მერე გამომძიებელმა ბადრაგთან ერთად, ისევ საავადმყოფოში წამომიყვანა იმ იმედით, რომ დედაჩემის დაკითხვას შეძლებდა. მაგრამ ეს არ გამოუვიდა — მორიგე ექიმმა მასთან საუბრის ნება არ მისცა. მერე კი დედა გარდაიცვალა.

— ერთი რამ ვერ გამიგია: თუ იცი, რომ გამომძიებელი ცდება, რატომ არ აუხსნი ყველაფერს? — ჰკითხა ირაკლიმ.

— ის ვერ გამიგებს და მეც არ მსურს ამაზე ვინმესთან საუბარი.

— არც ჩემთან?

— არ გეწყინოს, მაგრამ შენც ვერაფერს გეტყვი... დედის დაღუპვის შემდეგ სხვა გზა აღარ მრჩებოდა. ჩემს სიმართლეს, ჩემ გარდა, ვერავინ დაამტკიცებს. გამომძიებელს კი ჩემი სამმართველოში დაბრუნება ჰქონდა გადაწყვეტილი. იქიდან პირდაპირ „კაპეზეში“ გამისტუმრებდნენ, მერე კი — ციხეში!..

— და შენც გაქცევა გადაწყვიტე!

— ჰო, — თავი დაუქნია გოგამ, — გამომძიებელი რომ არ გამეთიშა, არაფერი გამომივიდოდა. შენ კარგად მიცნობ და იცი, რომ არ მიყვარს შეხლა-შემოხლა, მაგრამ იმ წუთებში ვერც კი ვაზროვნებდი, ერთი რამ მამოძრავებდა — უნდა გავქცეულიყავი და ამისთვის სისხლის დაღვრასაც არ მოვერიდებოდი. იარაღიც ამიტომ ავართვი გამომძიებელს. დერეფნის ბოლოში 3 პოლიციელი იდგა და მათ ჩემი შეჩერება რომ დაეპირებინათ, ნაღდად ვესროდი. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ექიმის ხალათი მეცვა, პირბადეც მეკეთა და პოლიციელებმა ყურადღება არ მომაქციეს. საავადმყოფოდან მშვიდობით გავაღწიე. ახლა კი არ მინდა, რომ ის ხალხი ჩემი გულისთვის სამსახურიდან გაყარონ. გამომძიებელმა გითხრა, რომ ჯერჯერობით საქმისთვის მსვლელობა არ მიუცია, არა?.. ღმერთმა ქნას, მართლაც, ასე იყოს! ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს ჩაკლავს ამ საქმეს თუ — არა, მაგრამ მანქანასა და იარაღს მაინც დავუბრუნებ... მანქანა საავადმყოფოს უკან, ქუჩაში დგას. დაურეკე გამომძიებელს და როცა მოვა, ესენიც გადაეცი, — ამ სიტყვებთან ერთად, გოგამ პისტოლეტი და მანქანის გასაღები გაუწოდა.

— ახლავე დავრეკო? — დაბნეული სახით ჰკითხა ირაკლიმ.

— ნახევარი საათი მოიცადე, რომ აქაურობას მოვშორდე... და კიდევ ერთი: გამომძიებელს მარტო ნუ შეხვდები: რა იცი, რა ხდება, ეშმაკს არ სძინავს, ჩემზე გაცოფებულმა, რამე არ გაგიჩალიჩოს. ნახევარი საათის შემდეგ დაურეკე და მის მოსვლამდე თანამშრომლებს უჩვენე იარაღი და გასაღები. თან ყველას უთხარი, რომ მე მოგეცი.

— შენ?.. შენ რას აპირებ?

— ერთი საქმე გამომიჩნდა, რომელიც ნებისმიერ ფასად ბოლომდე უნდა მივიყვანო!.. — გოგა მცირე ხნით ჩაფიქრდა, მერე თვალებში ჩააცქერდა ირაკლის და თქვა: — ეს იმდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის, რომ ყველაფერზე უარი მათქმევინა, დაღუპული დედის პატრონობაზეც კი. ვიცი, ჩემი ახლობლები ყველაფერს გააკეთებენ, მაგრამ მაინც შენ უნდა გთხოვო — მიმიხედე დედას და გააკეთე ყველაფერი, რასაც მე გავაკეთებდი, ეს ამბავი რომ არ მომხდარიყო.

— ყველაფერს გავაკეთებ... გპირდები!

— გმადლობთ, — გოგა მეგობრულად გადაეხვია ირაკლის, გადაკოცნა, მერე შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით მიიმალა სიბნელეში...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შეხვედრა წარსულთან

მარი ჯაფარიძე

ქალბატონი დალის სახლში სიცოცხლე ზუსტად დილის 8 საათსა და 5 წუთზე იწყებოდა. ის სწორედ ამ დროს, საწოლიდან აუდგომლად დააჭერდა ტელევიზორის პულტის ღილაკს თითს... როგორც წესი, ამ დროს ერთ-ერთ რუსულ არხზე სერიალი იწყებოდა. შემდეგ — კრიმინალური ამბები და მისი დამთავრებისთანავე, 9 საათსა და 15 წუთზე, ქართულ არხზე — „ანგელოზის გული“ — ბრაზილიური საპნის ოპერა... საყვარელი სერიალი...

დალის „ანგელოზის გული“ მხოლოდ სიუჟეტის კი არა, უფრო ანტურაჟის გამო უყვარდა. ტკბებოდა მდიდრული ინტერიერის ყურებით: ბროლის ჭაღებით, იატაკზე დადგმული ანტიკვარული ვაზებით, მარმარილოს კიბითა და ეზოში მოშრიალე პალმებით. ასევე მოსწონდა პერსონაჟების ჩაცმულობა.

მაგალითად, აგერ, როდრიგესების დიასახლისი, სინიორა ანდრეა საუზმისთვის მდიდრულ კოსტიუმში გამოწყობილი და იდეალური ვარცხნილობით ცხადდება. „როდის მოასწრო ამ ვარცხნილობის გაკეთება? ასე ეძინა?“ — ინტერესდებოდა დალი.

მისი ქმარი, სინიორ ალფრედო კი ყველა სერიაში ისე გამოიყურება, თითქოს ოპერაში მიდის და ლამის ეკრანიდანაც კი იღვრება მისი ძვირფასი პარფიუმის სურნელი.

ერთი სიტყვით, ყოველდღე, კვირის გარდა, დალი 45 წუთის განმავლობაში როდრიგესების ოჯახის ცხოვრებით ცხოვრობდა.

წარმოიდგენდა ხოლმე, რომ თვითონ იყო სინიორა როდრიგესი, ლამაზ ჰოლში მედიდურად დააბიჯებდა, დედოფალივით ამაყად ყელმოღერებული ჯდებოდა მდიდრულ დივანზე და მინაბული ხმით გასცემდა ბრძანებას: „მილაგრეს, სინიორ ალფრედოს დაუძახე!“

ვის-ვის და დალის ნამდვილად გამოუვიდოდა ასეთი სახლის დიასახლისობა... დახვეწილი გემოვნება და მშვენიერების შეგრძნება დაბადებიდან დაჰყვა და სინიორა ანდრეაზე უკეთ შეძლებდა მსახურთა მბრძანებლობას და საქმეების მართვას. თუმცა რომელ საქმეებზეა ლაპარაკი?! სერიალში სინიორა როდრიგესს სხვა საქმე არც აქვს. ის მთელი დღე შინიდან არ გადის და მხოლოდ ლაპარაკს უნდება. „სულელი ბებერი, რომელსაც ინტრიგების ხლართვის მეტი არაფერი ეხერხება, — ფიქრობდა დალი, — მის ადგილზე მე უფრო საინტერესოდ ვიცხოვრებდი“.

სერიალი მალე სრულდებოდა და დალის გულზე სევდა შემოაწვებოდა ხოლმე. ის ნელ-ნელა გამოდიოდა მსუბუქი, ბრაზილიური ტრანსიდან... მოუწყობელი ბინა, ძველი ავეჯი... და ისეთი სიცივე, თითქოს ანტარქტიდაზე ცხოვრობდა... დალი ლოგინიდან ისე გამოძვრებოდა ხოლმე, როგორც დათვი — ბუნაგიდან. არსად ეჩქარებოდა: არც სამსახური ჰქონდა, არც — ოჯახი. შეეძლო, მთელი დღე ლოგინიდან არც ამდგარიყო.

უკვე 2 წელზე მეტია, რაც დალი შინ ზის. უფრო სწორად — წევს... მანამდე მთელი 20 წელი მუშაობდა ჯერ ფილარმონიის ბუფეტში, შემდეგ კი ერთ-ერთი რესტორნის ადმინისტრატორად. ყველაზე მეტად ფილარმონიაში მოსწონდა, რადგან ჯერ ერთი, ცოცხალ მსახიობებს ნახულობდა, მეორეც — იქ შეიძლებოდა, რომ ხურდა მყიდველთათვის სრულად არ დაებრუნებინა. დალი, როგორც „შემოქმედი ნატურა“, რამდენიმე ისეთ „ილეთს“ ფლობდა, რომელიც მწირხელფასიან „ბუფეტჩიცას“ ხელგაშლილი ცხოვრების საშუალებას აძლევდა...

მაგრამ ის წლები გავიდა... ფილარმონიის ბუფეტიდან გამოუშვეს... კიდევ კარგი, ერთ-ერთი კერძო რესტორნის მეპატრონემ შენიშნა მისი ნიჭი და სამსახურში მიიღო. თუმცა, თუ წინათ დალის მცირე ხელფასი და „მანევრირებისთვის“ დიდი არეალი ჰქონდა, ახლა პირიქით აღმოჩნდა. დიდი ხელფასის საწინააღმდეგო, რა თქმა უნდა, არაფერი ჰქონდა, მაგრამ „მანევრირების“ საშუალება აღარ იყო.

ერთხელ სამზარეულოში შეფის ცოლი შევიდა — ბებერი, „რესტავრირებული“, „შეღებილი“ თოჯინა, „მიხატული“ ღიმილით... პროდუქტი აწონა და... „თქვენ ჩვენთან აღარ მუშაობთ!“

აი, ასე დაკარგა ბოლო სამსახური დალიმ. ამის შემდეგ მთელი სამყარო დალის სახლის ზომამდე შევიწროვდა. უმოქმედობამ სიზარმაცე და აპათია გამოიწვია. სახლში მტვრის გადაწმენდაც კი ეზარებოდა.

...სერიალის დამთავრებისთანავე სარეკლამო ბლოკი დაიწყო. დაკუნთული მამაკაცი ტრენაჟორების რეკლამას აკეთებდა და ისტერიულად აქებდა მას. დალიმ შალის „რეიტუზი“ და წითელი მაისური ჩაიცვა. მაისური მეტისმეტად დიდი იყო და ეტყობოდა, რომ მამაკაცისთვის იყო განკუთვნილი. დალის ის ქვედა მეზობელმა აჩუქა... მას სამსახურებრივად ჰუმანიტარული ტვირთის განაწილება ევალებოდა.

ძველი, კუბოკრული ფლოსტებიც, რომელშიც დალიმ ფეხი წაყო, მამაკაცის გახლდათ. ფლოსტები მის პირველ ქმარს დარჩა, როცა 16 წლის წინ დალისგან წავიდა და თავისი ნივთები წაიღო.

დალის პირველმა ქორწინებამ არ გაუმართლა. ქმარი ნამდვილი სულელი აღმოჩნდა. ქალს მასში ყველაფერი აღიზიანებდა და ნერვებს უშლიდა — დილაობით რომ ახველებდა, ჭამის დროს პირს რომ აწკლაპუნებდა... სახელიც კი არ მოსწონდა — გაბრიელი...

დალის თავისი სახელიც არ მოსწონდა... ეს სახელი მამამ დაარქვა, ბებიის პატივსაცემად. დიდი ბებია დიდი ხანია, მოკვდა, შვილთაშვილს კი მისი სახელი შერჩა... მის პირველ ქმარს კი ცოლის სახელი ძალიან მოსწონდა. მას ყველაფერი მოსწონდა, რასაც დალი იტყოდა და გააკეთებდა. ნაჩქარევად დაქორწინდნენ და მალევე გაშორდნენ. კიდევ კარგი, რომ დალიმ იბრძოლა და ბინა დაიტოვა. თუმცა, არც ისე ბევრი ბრძოლა დასჭირდა, რადგან გაბრიელმა თვითონ დატოვა ყველაფერი და ძალიან შორს, სადღაც, მთაში გაემგზავრა.

„ამ სიცივეში როგორ ავდგე? ადამიანი ვარ, დათვი ხომ არა?“ — ბუზღუნებდა დალი. უკვე დიდი ხანია, ბუნებრივი აირი გადაუჭრეს... წყალკანალშიც დავალიანება აქვს... „მერე რა? საქართველოში ყველას ვალები აქვს და მაინც ცოცხლობენ, — თავისთვის მსჯელობდა დალი, — მთავარია, რომ ელექტროენერგიაზე არ დამიგროვდეს დიდი გადასახადი, თორემ ღმერთმა ნუ ქნას, დენიც ჩამიჭრან... მაშინ ტელევიზორს ვეღარ ვუყურებ“.

2 კვირის წინ მისი სახლის კარზე დააკაკუნეს. დალი არ აპირებდა გაღებას, რადგან ეგონა, მევალე მიადგა ან „ყაზტრანსგაზის“ თანამშრომელი.

— მე ვარ, — გაიგონა კარის მიღმა.

კართან გურამი იდგა — დალის მეორე ქმარი. მასზე იმიტომ გათხოვდა, რომ პირველი ქმრისთვის ნიშნი მოეგო, გაბრიელს არ ეფიქრა, რომ დალი სხვა მამაკაცებს არ მოსწონდათ.

აგვისტოში გაბრიელს გაშორდა, ნოემბერში კი გურამზე გათხოვდა. თუმცა, ეს ქორწინებაც მალე მოჰბეზრდა. ადგა და ქმარს გარეთ გაუძახა. ეშინოდა, რომ მეორე ქმარი ბინას გაუყოფდა, მაგრამ საბედნიეროდ, მისი შიში არ გამართლდა.

მაშინ ფილარმონიაში მუშაობდა და იმედი ჰქონდა, რომელიმე მსახიობზე გათხოვდებოდა, მაგრამ არ გაუმართლა. სამაგიეროდ, სცენის გამნათებელი მოძებნა, მას კი ყველაზე

მეტად სასმელი და ქალები უყვარდა. ამიტომ, დალიმ ის მალე ტაქსის მძღოლზე გაცვალა... ის იყო, მის გამოცვლასაც აპირებდა, რომ მოულოდნელი რამ მოხდა: ის თვითონ გამოცვალეს და ახალგაზრდა, ლამაზი გოგონა ჩაანაცვლეს.

გაბრაზებულმა დალიმ ის იყო, ახალი თაყვანისმცემელი გაიჩინა — პოლიციელი მიშიკო, რომ გურამი გამოჩნდა. დიდი ხანია, მათ ერთმანეთი არ ენახათ... 10 წელი მაინც იქნებოდა... გურამი ახლა უძრავი ქონების გაყიდვით ყოფილა დაკავებული და თავისი ოფისიც ჰქონია...

მეორე ქმარმა მისვლის მიზეზი მაშინვე აუხსნა:

— ეს ბინა შენ ძალიან გჭირდება? არ გინდა, რომ უფრო პატარა ბინაში გაცვალო და ფული დაგიმატონ?

დალი ინტერესით ათვალიერებდა მოულოდნელ სტუმარს: სოლიდური იერი ჰქონდა გურამს, ადრე ასეთი არ იყო. ცოტა გასუქებულა, ულვაში მოუპარსავს... პალტო არც გაუხდია. როგორც ჩანს, დიდხანს გაჩერებას არ აპირებდა. მან ქალს ისეთი თანხა შესთავაზა დამატების სახით, რომ დალი გაბრაზდა.

ეს არ იყო სტიმული იმისთვის, რომ ის სხვა ბინაში გადაბარგებულიყო.

— აბა, მეტი რა გინდა? ეს საღორე რომ სახლად აქციო, იცი, რამდენი ფული უნდა დაახარჯო?

გურამმა ჩამოწეულ ჭერს, დაობებულ კედლებსა და საღებავაცლილ იატაკს თვალი მოავლო.

დალი დაფიქრდა. ახლა ფული მართლაც არ აწყენდა, მაგრამ ბინის დაკარგვაც არ უნდოდა.

რა გამოვიდოდა? ახლა დალი მარტოხელა ქალია, რომელსაც უზარმაზარი სახლი აქვს პრესტიჟულ უბანში, გაცვლის შემდეგ კი ვინ იქნება? უბრალოდ, მარტოხელა ქალი და მეტი არაფერი.

— ჩემით გინდა ფულის გაკეთება, არა? ჩემს უბედურებაზე ხელის მოთბობა გინდა, არა? — გაცეცხლდა დალი.

— კი, მაგრამ ასეთი რა უბედურება გაქვს?

— ჩვენ ხომ უცხოები არ ვართ? ასე თუ ისე, ცოლ-ქმარი ვიყავით, — შეახსენა დალიმ, — შეგეძლო, უფრო მეტი ფულის დამატება მოგეთხოვა.

— ჰო, უცხოები რომ არ ვართ, სწორედ ამიტომ უნდა ვისაუბროთ ახლობლებივით, ჩემო დალი. ეს ბინა პირადად ჩემთვის მინდა და ამიტომ, შენც შეღავათი უნდა გამიწიო.

გურამის წასვლის შემდეგ დალის წყენამ გაუარა. ქალმა ყველაფერს შემოქმედებითად შეხედა: გურამს ხომ ოდესღაც უყვარდა? რა იქნება, რომ ძველი სიყვარული გაახსენოს, თავბრუ დაახვიოს და საცხოვრებლად თავისთან მიიწვიოს? თანხა, რომელიც ბინაზე უნდა დაემატებინა, თან მოიტანოს და იმ ფულით რემონტი გააკეთოს. ჰოდა, იქნება დალი ბინიანი, ქმრიანი და „რემონტიანი“ ქალი. ისიც კი წარმოიდგინა, როგორ იყიდდა ისეთ ზოლიან დივანს, როგორიც სერიალში, როდრიგესებს აქვთ. დივანს ძველი ტახტის ადგილზე დადგამს, იატაკზე — ვაზას... იქ, სადაც ახლა დასაუთოებელი ტანისამოსი ყრია. კედლებს მოყვითალო ფრად შეღებავს, ბროლის ჭაღსაც იყიდის... გურამს როგორც ჩანს, ფული აქვს და მოუწევს დახარჯვა. ამ „ჰუმანიტარულ“ მაისურსაც არასოდეს ჩაიცვამს. სინ-

იორა როდრიგესივით გამოპრანჭული ივლის.

გურამის შემდეგი მოსვლისთვის დალი საგანგებოდ მოემზადა: თავი დაიბანა, პომადა წაისვა, იატაკიც დახვეტა და მეზობელს 1 ბოთლი წითელი ღვინოც კი ესესხა.

— რაო, მოიფიქრე რამე? — მეორე ქმარი პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— კი, დაჯექი, — დალიმ ტაბურეტზე მიუთითა.

— არა, გმადლობ, დავჯდე და მერე შარვალი ქიმწმენდაში წავიღო?

ახლა გაბრაზება არ შეიძლებოდა. დალიმ გადაწყვიტა, ემოქმედა.

გურამს მიუახლოვდა, ხელები მხრებზე დააწყო, ტუჩები ყურთან მიუტანა და ჩასჩურჩულა:

— გურამ, მე ლამაზი ქალი ვარ?

მეორე ქმარმა გვერდით გაიწია.

— ლამაზი? ვიცი, მე შენი სილამაზე რაცაა, ტუჩები „გაკრასკული“ გაქვს და კაბა — ჭუჭყიანი გაცვია. საქმეზე ვილაპარაკოთ, რა გადაწყვიტე?

— შენ ხომ გიყვარდი... ნუთუ აღარ გიყვარვარ? — დალი მიხვდა, რომ ოცნება სადაცაა, ხელიდან გაუსხლტებოდა, მაგრამ იმედს არ კარგავდა...

— მიყვარდი-გადამიყვარდი, აი, — გურამმა პიჯაკის ჯიბიდან საფულე ამოიღო, იქიდან ფოტოსურათი ამოაძვრინა, სადაც 3 ბავშვი იყო გადაღებული და დალის ისე წარუდგინა, როგორც მძღოლმა — პატრულის თანამშრომელს, — აი, ესენი არიან ჩემი სიხარულები.

მერე ყველაფერი ისე განვითარდა, თითქოს კინოფირი დიდი სიჩქარით დაატრიალესო. დალიმ ტაბურეტი გადაწმინდა, ღვინის ბოთლი გახსნა, მერე ცოტა წაუტირა. გურამმა სიგარეტი ამოიღო და დაჯდა. ქალი თავისი ცხოვრების შესახებ უამბობდა, მამაკაცი — უსმენდა. ქალი მკერდში ჩაეკრა, მამაკაცმა ზურგზე ხელი მოუთათუნა. ქალმა ღვინის ბოთლი გამოცალა, მამაკაცი არ სვამდა, — საჭესთან იჯდა. ქალმა თავი მაგიდზე ჩამოდო, მამაკაცი — წავიდა...

მეორე დილით მეზობელმა უთხრა, რომ ერთ-ერთ მდიდარ ოჯახს შინ დამხმარე ქალი სჭირდებოდა და შეეძლო, მისთვის რეკომენდაცია გაეწია.

მოახლედ წასვლას დალი არ აპირებდა... მას ისევ იქ მოუნდა, თბილ, ლათინურამერიკულ სამოთხეში. სინიორა როდრიგესივით რომ ჰკითხონ, საუზმე საწოლში მიართვან თუ სამზარეულოში თავად ჩაბრძანდება?.. თეთრ სუფრაზე ლამაზი ჭურჭელი რომ იქნება გაშლილი... მუსიკა... ფაიფურის თეფშზე დადებული ნამცხვრის ნაჭერი...

დალი მოწესრიგდა და სამსახურის საშოვნელად ისე წავიდა: თავი დაიბანა და ტუჩები შეიღება. თავისი ძველი პალტო გაანიავა... „მე უნდა ავირჩიო ისინი და არა იმათ — მე. არ მომეწონება და უარს ვიტყვი“.

ბოლოს და ბოლოს, მიიღო გადაწყვეტილება, რომ იმ მდიდარ ოჯახში დამხმარედ მისულიყო, მაგრამ ერთი პირობით: იქ პირველ შენიშვნამდე იმუშავებდა. თუ რაიმე შენიშვნას მისცემდნენ, მაშინვე მიატოვებდა ყველაფერს და წამოვიდოდა, რადგან დალი ის ქალი არ გახლდათ, რომ შენიშვნები აეტანა.

კარი მამაკაცმა გაუღო. როგორც ჩანს, ის სახლის „მმართველი“ გახლდათ.

— შემოდით, — ისეთი სახით უთხრა ქალს, რომ დალიმ ამრეზით შეხედა. თუმცა, იგრძნო, როგორ დაპატარავდა და წელში მოიხარა, მამაკაცის მზერის გამო.

დიასახლისმა სასიამოვნოდ გააოცა. ის სულ მცირე, სინიორა როდრიგესის ქართულ ვერსიას ელოდა, მის წინ კი ჩვეულებრივი, სათვალიანი, სოფლელი ქალი იდგა. დიასახ-

გაგრძელება იხ. გვ. 82

აკრძალული ოცნებები

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №38-42

ნინი აშკარად განხიბლული იყო, თორნიკესგან ასეთ რამეს არ ელოდა.

— მე სავსებით კმაყოფილი ვარ იმ ბინით, სადაც ვცხოვრობ, — უკმეხად წამოიძახა, — ვწუხვარ, რომ პრობლემები შეგიქმენი, მაგრამ მეგონა, ჩემი ჩამოსვლა გაგიხარდებოდა და ერთად ვიცხოვრებდით. ყოველ შემთხვევაში, შენ მპირდებოდი ამას.

— მაპატიე, ასე რომ გამოვიდა, — მამაკაცმა ხელზე ხელი მოჰკიდა და აკოცა, — ჯერ კიდევ არ მაქვს გაცნობიერებული, რომ აქ ხარ, თბილისში. თავი სიზმარში მგონია.

„მეც შოკში ვარ ამ ყველაფრისგან და, რატომღაც, ისეთი შეგრძნება მეუფლება, რომ გიო მართალია. ეს კი უკვე სერიოზული პრობლემაა“, — გაიფიქრა გოგონამ.

— ჰო, მართლა, რაც შეეხება შენს სამსახურს, — უცებ საუბრის თემა შეცვალა თორნიკემ, — ჯერჯერობით ვერაფერი ვნახე... ჩვენს ფირმაშიც არ არის არც ერთი ვაკანსია.

— არა უჭირს, — მწარედ გაიღიმა ნინიმ, — არ დავიჩაგრები, თვითონ მივხედავ ჩემს თავს, დავრდომილი კი არ ვარ.

— მაგრამ მაინც არ მესმის შენი. როგორ მიატოვე ასე ხელის ერთი მოსმით ასეთი კარგი სამსახური და სრულიად ბრმად წამოხვედი?

— ეს შენ მიგაჩნია ასე, — შეეწინააღმდეგა გოგონა, — მე კი მეგონა, მივდიოდი ადამიანთან, რომელიც მიყვარდა და რომელსაც ვუღირდი. ჩემთვის ეს იყო მთავარი და არა სამსახური.

— ამის მოსმენა, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, ნინი, მაგრამ ჩვენ ძალიან ბევრი სიძნელის გადალახვა მოგვიწევს.

— მომისმინე, თოკო! — მსუბუქად წარმოთქვა, — გპირდები, რომ ტვირთად არ დაგაწვები. იცი? გარდა იმისა, რომ შენთან მოვიჩქაროდი, წამოსვლის წინ ერთ რამეს მივხვდი... აუცილებლად უნდა შემეცვალა ჩემი ცხოვრება — დამეწყო ახალი სამსახური, პირადულშიც შემეტანა ცვლილებები. საკუთარი თავისთვის მინდოდა დამემტკიცებინა, რომ დამოუკიდებლადაც შემიძლია რაღაცის მიღწევა.

— ძალიან გამიხარდება, ასე თუ მოხდება, მაგრამ... მინდა გითხრა, რომ არც ისე იოლია ამის გაკეთება. ერთი შეხედვით შეიძლება იოლი მოგეჩვენოს, თუმცა...

— შენი საქმეები როგორ მიდის? — შეაწყვეტინა ნინიმ, — სამსახურში ყველაფერი წესრიგში გაქვს?

— არაჩვეულებრივად, უკეთესს რომ ვერ ინატრებ, ისე, — თქვა თორნიკემ და საათზე დაიხედა, — როგორც კი ჩემი სამსახური ახსენე, გამახსენდა, რომ უნდა გავიქცე. დღეს პოტენციურ კლიენტებთან სადილი მაქვს დანიშნული.

— მე კი მეგონა, საღამოს შევხვდებოდით... — დაიბნა გოგონა.

თორნიკემ აღერსიანად მოუსვა ლოყაზე ხელი.

— დღეს ვერა, სიხარულო. ხომ გესმის... ფირმის საქმეები ისეთი მნიშვნელოვანია... ხანდახან პირადულის გვერდზე გადადება მიწევს. ცოტა ადრე რომ მცოდნოდა, ჩამოსვლას აპირებდი, გეგმებს შევცვლიდი, — დამნაშავის ღიმილით შეხედა მამაკაცმა, — მაგრამ შენ ნუ დაღონდები, ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს, ფაქტობრივად — მთელი ცხოვრება. ასე რომ, მოვასწრებთ. ხომ გესმის, რაღაც ვალდებულებები მაკისრია სამსახურში, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლი.

„ჩემ წინაშე არ გაკისრია ვალდებულებები?“ — უნდოდა ეკითხა ნინის, მაგრამ გაჩუმდა.

— როდის გნახავ კიდევ? — მოწყენილი ხმით ჰკითხა.

— დაგირეკავ... აუცილებლად, — მამაკაცმა გოგონა თავისკენ მოიზიდა და ტუჩებში აკოცა, — რა ცუდია, ამ შეხვედრის გადადება რომ არ შემიძლია, ძალიან მომენატრე, — ჩქარ-ჩქარა ჩაილაპარაკა და გასასვლელისკენ გავარდა.

ნინიმ სევდიანი მზერით გააცილა შეყვარებული.

საშინლად განხიბლული დაბრუნდა შინ. იქნებ მართლა ჯობია, ბათუმში დაბრუნდეს? თავის სახლში მაინც იქნება და თოკოს შემთხვევით ზარებს იქაც დაელოდება მოთმინებით, რაღა აქ იხადოს ბინის ქირა! ჯანდაბას! რა დღეში ჩაიგდო თავი! მერედა, ვისი გულისთვის? ასეთი კაცისთვის ღირდა კი თავის გამოდება? არა უშავს, მოვა დრო და ნინი ანანებს მას ასეთ საქციელს. შეიძლება დღეს არ უმართლებს, მაგრამ ყველაფერს გააკეთებს, რომ წარმატებას მიაღწიოს. სულაც არ აპირებს დანებებას. ყველა სიძნელეს გადალახავს და მაინც აიწყობს ცხოვრებას, სწორედ აქ, თბილისში, მისთვის უცხო, მაგრამ მაინც მშობლიურ ქალაქში. ერთხელაც მიხვდება თორნიკე, რომ ნინი მისი ტოლი და სწორია, მაგრამ მაშინ გვიან იქნება თითზე კბენანი. აგერ ნახოს, თორნიკემაც და მისმა გიომაც, თუ პატივსაცემი ქალბატონი არ გახდეს... მოულოდნელად შეცბა... რა სიკვდილმა გაახსენა გიო? სულაც არ აინტერესებს, რა წარმოდგენა აქვს იმ პარაზიტს მასზე. მაგრამ... რატომ უთხრა თოკოს, არ ვიცი, რისთვის ჩამოვიდა, ისე შემოიარა შენს, სანახავადო? ეს კითხვა ტვინს უბურღავდა.

რა საზიზღარი ვინმეა ეს რობაქიძე! როგორ ექცეოდა იმ დღეს... არადა, როცა უნდა, შეუძლია ნაზი და მომხიბვლელი იყოს. რესტორანში ისე შესაციცინებდა იმ ქერათმიანს თვალებში... ნინიმ წამით თვალები დახუჭა და თავისი თავი იმ ქერათმიანის ადგილას წარმოიდგინა. ნეტავ, როგორი კოცნა იცის? ალბათ... ალბათ... რა გამოცანა ეგ არის, ლელუკამ ხომ უთხრა, ქალები ბუზებივით ეხვევიანო... ამის გაფიქრებაზე ოდნავ შეაჟრჟოლა... რა ემართება? ხომ არ მოეწონა ის კაცი? თუ თორნიკეზე წარმოდგენა რომ დაეკარგა, იმიტომ დაემართა ასე? რა თქმა უნდა.

გუშინ რომ მსგავსი რამ გაეფიქრებინა, ნერვიც არ შეუტოკდებოდა, ვერც კი წარმოიდგენდა, თოკოს გარდა, სხვა მამაკაცზე თუ შეიძლებოდა ოცნება. ახლა კი... თითები ერთმანეთში ჩახლართა, მაღლა ასწია და სკამის საზურგეზე ვნებიანად გადაიზნიქა. ვისზე ნაკლებია? შეხედეთ, რა მკერდი აქვს, რა ტანი, რა ფეხები! რომელი მამაკაცი გაუძლებს ცდუნებას? უცებ ხმამაღლა გაეცინა. რა სჭირს? სამი საათიც არ გასულა, რაც საყვარელ მამაკაცს დაშორდა და უკვე სხვაზე ფიქრობს. აღიარე, პატარავ, რომ გიო რობაქიძე ძალზე სიმპათიური, თანაც ცნობილი სახეა, ეს უფრო დამაინტრიგებელს და სასურველს ხდის მას. ჰო, აღიარებს. მერე რა? ამით არაფერი იცვლება. ასი წელი არ სჭირდება არაფერში!

უკვე გვიან იყო, მაგრამ რატომღაც, პარკში მოუნდა გასეირნება. ზაფხულის ღამეა, მთელი უბანი გარეთ იქნება გამოსული. ცოტას გაივლის და სუფთა ჰაერს ჩაყლაპავს. კარი გასაღებით ჩაკეტა და სახლის უკან გამავალ ვიწრო ბილიკს გაუყვა, რომლითაც ჩაპამ იგი წინადღეს პარკში გაიყვანა. თბილ ნიავს ყვავილების სურნელი მოჰყვა. ეს ვარდია! — გაიფიქრა ნასიამოვნებმა და იმწუთასვე თავისი სახლი გაახსენდა. სწორედ ასეთი სურნელი ტრიალებს მის პატარა ბაღშიც. ეჰ, ნეტავ ახლა იქ იყოს!

უცებ სიბნელეში რაღაცამ გაიბრჭყვიალა. შეშინებული შედგა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ის რაღაც ბრჭყვიალა ბილიკზე მჯდარი კატის თვალები იყო.

— ეი, მეგობარო! მე შენ გიცანი! ბაბეტა ხარ, არა? — გოგონა დაიხარა და ფისოს ბეწვზე ნაზად გადაუსვა ხელი.

ბაბეტამ დაიკრუტუნა და ზურგი გაზნიქა. მერე პირი ფეხებთან მიუტანა, დასუნა და ბოლოს ალოკა კიდეც.

— არა მარტო სხვის ქმრებს, კატებსაც იპარავთ, არა? — სიბნელიდან მოულოდნელად ნაცნობი ხმა მოესმა.

გოგონა სწრაფად გასწორდა წელში და იქით კენ გაიხედა, საიდანაც ხმა მოისმოდა. უშუქობის გამო მოსაუბრის სახის გარჩევა ძნელი იყო.

— ჩვენ მხოლოდ გავიცანით ერთმანეთი, მეტი არაფერი, — ცივად უპასუხა გოგონამ.

— რა გეშველებოდათ ცხოველების გარეშე... — ირონიულად ჩაილაპარაკა გიომ, თითქოს მიანიშნა, რომ არა ძაღლი და კატა, ჩემს სამფლობელოს სხვანაირად ახლოს ვერ გეკარებოდიო, — მაგრამ არც ამჯერად გაგიმართლათ, თორნიკე შინ არ არის.

— ვიცი, — ჯიბრიანად გასცა პასუხი.

— აჰა, ესე იგი, უკვე შეხვდით, არა?

— რა თქმა უნდა... აბა, თქვენ რა გეგონათ?

სასტიკად აღიზიანებდა, მამაკაცის სახეს რომ ვერ ხედავდა, რადგან თვითონ განათებულ ადგილას იდგა და მოსაუბრეს ადვილად შეეძლო მისი შეთვალიერება.

— აჰა, გასაგებია... ესე იგი, აქ იმიტომ მოხვედით, რომ მადლობა გადამიხადოთ, არა?

— მადლობა გადაგიხადოთ? რისთვის?

— თუნდაც იმისთვის, რომ დაგინდეთ თორნიკესთან და თქვენი საიდუმლო არ გავეცი. თქვენ ხომ აღიარებითი ჩვენება მომეცით, მიყვარს და ერთად ვაპირებთ ცხოვრებასო.

— ა-ა-ა! — ნინი წამით გაჩუმდა, მერე კი გააგრძელა, — და რატომ არაფერი უთხარით თქვენს სიძეს? რატომ დამინდეთ?

— ჯერ მე თვითონაც არ ვიცი. თუმცა, კეთილსინდისიერების გამო რომ არ მოვქცეულვარ ასე, ეს ნამდვილად ვიცი.

— ნუთუ? მაოცებთ პირდაპირ! — დამცინავი ტონი გაურია გოგონამ ხმაში.

მამაკაცმა მისი სარკაზმი არ შეიმჩნია.

— სხვათა შორის, თქვენც გააოცეთ თორნიკე. საცოდავი ისეთ შოკში ჩავარდა, თქვენი ჩამოსვლის ამავი რომ გაიგო, მეგონა, გული წაუვიდოდა! თუმცა, ალბათ ზოგიერთზე ასე მოქმედებს ნამდვილი სიყვარული!

— ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ თქვენ იგი არასდროს გამოგიცდიათ!

— რა, სიყვარული? თანაც ნამდვილი? რა სისულელეა! ამაზე არც შეგეკამათებით. მე, ალბათ, დიდი გრძნობებისთვის არ ვარ შექმნილი.

— ნუთუ მართლა არაფერი გაღელვებთ ამქვეყნად?

— როგორ არა, მაღელვებს... მაგალითად, ჩემი სამსახური... ასევე, მიყვარს ჩემი ოჯახი, — ცივად დაამატა ბოლოს.

— და ამ ყველაფრის მიუხედავად, გადაწყვიტეთ, თოკოსთვის არაფერი გეთქვათ?

ნინი ისე გრძნობდა თავს, თითქოს სრულიად შიშველი მდგარიყო მამაკაცის წინაშე.

— მოდი, ასე ვთქვათ... მე გადავწყვიტე, მოვლენებისთვის ხელი არ შემეშალა. დაე, თავისი გზით წავიდეს ყველაფერი.

მისი პასუხი დამაკმაყოფილებელი არ იყო, მაგრამ ნინი მიხვდა, რომ მისგან მეტის მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა. სანამ მათ შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართებოდა, დროზე უნდა გასცლოდა იქაურობას.

— გვიანაა, წავედი შინ... ნახვამდის... — თავდაჭერილად დაემშვიდობა მამაკაცს.

— უკვე მიდიხართ? — გიოს ხმაში მოჩვენებითი წუხილი გაისმა. — მე კი მეგონა, დარჩებოდით და ჩემი ფანჯრების ქვეშ სერენადას მიმღერებდით. იქნებ სულის სიღრმეში მე ნამდვილი რომანტიკოსი ვარ, რა იცით...

— თქვე-ენ, პატივცემულო გიორგი? — გაკვირვება გაითამაშა ნინიმ, — ნუ მაცინებთ!

— მით უარესი თქვენთვის, თუ ასე ფიქრობთ! — მსუბუქად შენიშნა გიომ, — თქვენ ჩემს სანახავად რომ ჩამოსულიყავით თბილისში, ამაღამ საკუთარ საწოლში მარტო არ აღმოჩნდებოდით. სასიამოვნო სიზმრებს გისურვებთ, საქალბატონე ნი-ნი! — ბოლო სიტყვა ხაზგასმით წარმოთქვა, გატრიალდა და ღამის სიბნელეში გაუჩინარდა.

დაბნეული გოგონა კარგა ხანს იდგა გაუნძრევლად და იმ ბუჩქებს მისჩერებოდა, რომლის უკანაც მამაკაცი მიიმალა. შემდეგ მობრუნდა და ვიწრო ბილიკს უკან გაუყვა. გული გამალებით უცემდა. ლოყები ისე უხურდა, თითქოს ცეცხლი უკიდიაო.

„ჯანდაბას! არასდროს გამოვივლი ამ გზაზე! მაგას ვინ ჰგონია თავისი თავი!“ — მრისხანებდა შეურაცხყოფილი.

მიუხედავად უსიამოვნო საუბრისა, გასეირნებამ თავისი ქნა და ნინის მაშინვე ჩაეძინა, როგორც კი ბალიშზე მიდო თავი...

დილით ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა. თორნიკე! — გაუელვა გონებაში და წამოხტა... მაგრამ შეცდა... ყურმილში ეთერის ხმა გაისმა.

— თქვენთვის სამუშაო მაქვს, — შეატყობინა ქალმა, — სასწრაფო... ბინების ყიდვა-გაყიდვის სააგენტოში სჭირდებათ ადამიანი, რომელიც ორი დღით შეცვლის მდივანს. მხოლოდ ტელეფონზე მოგიწევთ პასუხი და მისამართის ჩაწერა. თანახმა ხართ?

— თუ მეტი არაფერი მევალება, თანახმა ვარ!

სააგენტოს ნინიმ ადვილად მიაგნო. ოფისში მაღალი, ელეგანტურად ჩაცმული მამაკაცი დახვდა.

— ჩემი ცოლი, სამწუხაროდ, გაცივდა. მესამე დღეა, მაღალი ტემპერატურა აქვს და ლოგინშია ჩაწოლილი. სულ ორი დღე დამჭირდებით. სატელეფონო ზარებს ჩაიწერთ, მერე ამ დავთარში გადაიტანთ და მაკლერებს დაუკავშირდებით. სულ ეს იქნება თქვენი სამუშაო. დღეში 30 ლარს გადაგიხდით. იმედია, არ გაგიჭირდებათ.

— მენდეთ, ყველაფერს მოვაგვარებ, არ გამიძნელდება, — გაუღიმა გოგონამ.

მთელი დღის განმავლობაში თავი არ აუწევია. სატელეფონო ზარები არ წყდებოდა, იწერდა და იწერდა მისამართებს. ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავება... ბინების, სახლების, აგარაკების, ფართობების... პარალელურად ქირის ფასებით ინტერესდებოდა. დღის ბოლოს, რამდენიმე ოროთახიანი ბინის მისამართიც ამოიწერა, რომ შემდეგ თორნიკესთვის ეჩვენებინა. მისდა გასაოცრად, ისიც აღმოაჩინა, რომ მისნაირი ოთახის დაქირავება ვაკის მიმდებარე ტერიტორიაზე ორჯერ და სამჯერ ძვირი ღირდა. ამან გააოგნა. რატომ ახდევინებს ლელუკა ასე ცოტას?

საღამოს, შინ დაბრუნებულმა, დიასახლისს შეუარა, მაგრამ იგი სახლში არ დახვდა. ბარათი დაუწერა, როცა მოხვალთ, ჩემთან შემოიარეთ, ბინის ქირაზე მინდა დაგელაპარაკოთო და ოთხად გაკეცილი ფურცელი კარის ღრიჭოში შეჩურთა.

ოთახში შევიდა თუ არა, ტანსაცმელი გამოიცვალა და დაღლილმა ეგრევე აბაზანას მიაშურა. ის იყო, ბანაობას მორჩა და ტანზე პირსახოცმოხვეული ერბოკვერცხის შეწვას შეუდგა, რომ კარზე კაკუნი გაისმა. იფიქრა, ალბათ ლელუკა დაბრუნდაო და ეგრევე, ნახევრად შიშველმა გააღო კარი... გააღო და ადგილზე გაშეშდა... მის წინ გიო იდგა და წარბაწეული გაოგნებული მისჩერებოდა.

— თქვენ?.. აქ რას აკეთებთ? — ენა დაება გოგონას.

— ამის გამო მოვედი, — მამაკაცმა ლელუკასათვის დაწერილი ბარათი ცხვირწინ აუფრიალა.

— თქვენ ყოველთვის კითხულობთ სხვის წერილებს? — ყინულივით ცივი ხმით იკითხა ნინიმ.

— როცა მთხოვენ, აუცილებლად, — მტრულად შეხედა რობაქიძემ, — ლელუკა სათვალეს ვერ იტანს. არადა, მის გარეშე ერთ სიტყვასაც ვერ კითხულობს, ამიტომ ხანდახან ვეხმარები. ასე რომ, უკვე გადავეცი მას, რომ უკმაყოფილო ხართ ქირით.

— როგორ ბედავთ...

— თქვენ როგორღა ბედავთ! — უხეშად გააწყვეტინა გიომ, — ქალი ისედაც ნაკლებს გახდევინებთ, თქვენ კი მაინც უკმაყოფილო ხართ! მისი კეთილი გულით სარგებლობთ, არა?

ნინის ენა ჩაუვარდა, ერთხანს მდუმარედ მისჩერებოდა მამაკაცს.

— როგორ არ გრცხვენიათ!.. სულაც არ მიფიქრია, ეგ მეთხოვა. პირიქით, დღეს გავიგე, რომ ამ უბანში ორჯერ და სამჯერ მეტი ღირს ბინის ქირა... ამაზე მინდოდა დავლაპარაკებოდი... მერიდებოდა, ცოტას რომ ვუხდიდი... — გაფითრებულმა სიტყვებს ძლივს მოუყარა თავი, — ახლა კი... თუ შეიძლება, წადით აქედან!

— მხოლოდ მაშინ წავალ, როცა ამ საკითხს ბოლომდე მოვაგვარებ, — ხმა დაურბილდა გიოს, — მიდით, ჩაიცვით, თორემ გაცივდებით, შემდეგ კი დავილაპარაკოთ.

— ნუ მბრძანებლობთ, თუ შეიძლება!

— ვშიშობ, სურდოს აიკიდებთ და მეც გადამდებთ... მიდით, მიდით... — ხელით ანიშნა გიომ და ოთახში შევიდა.

ნინიმ მას მტრული მზერა ესროლა, მერე საშინაო ტანსაცმელს ხელი დაავლო და სააბაზანოში შეიკეტა. სწრაფად გადაიცვა ტანზე, სველი თმა დაივარცხნა და წკაპით შეიკრა.

გიო სავარძელში იჯდა, როცა გოგონა სააბაზანოდან გამოვიდა.

— თქვენი ერბოკვერცხი ამოვატრიალე, რომ არ დამწვარიყო და უვახშმოდ არ დარჩენილიყავით, — შეატყობინა მამაკაცმა.

— რა გულისამაჩუყებლად მზრუნველი ხართ! — ექიდნურად შენიშნა ნინიმ.

რობაქიძემ შემრიგებლურად ასწია ორივე ხელი.

— მოდი, შევრიგდეთ, ძალიან გთხოვთ... ვაღიარებ, რომ თქვენი წერილის შინაარსი უკუღმა გავიგე.

— ამიტომ, სანამ კარგად არ ჩასწვდებით ხოლმე საქმის არსს, პროტესტი არ უნდა გამოხატოთ. თქვენ, როგორც ჩანს, ნაცნობებთან ურთიერთობაშიც ჟურნალისტი გგონიათ თავი და მიჩვეული ხართ მცდარი დასკვნების გამოტანას.

— ვერ გავიგე?!

— რა ვთქვი გაუგებრად... ჟურნალისტები ხომ ყოველთვის იტყუებით! თავხედურად იჭრებით სხვის ცხოვრებაში, რაღაც-რაღაცას გულახდილად ათქმევინებთ ადამიანს და მერე ისე შეატრიალებთ ამბავს, რომ სკანდალებს ქმნით. ასე არ არის? როგორც ჩანს, ეს ცხოვრების წესად გექცათ! — მრისხანება მაინც იგრძნობოდა ნინის ხმაში. — და საერთოდ, როგორ აღმოჩნდით ამ სახლში? ლელუკა ამ დროს შინ არ არის... ალბათ ჩემს დასაზვერად მოხვედით, არა?

— ნუ აჭარბებთ თქვენი პიროვნების შეფასებაში... ჯერ არც ისე დიდი ფიგურა ხართ, ჩაგისაფრდეთ და თქვენი ცხოვრებით დავინტერესდე, — გაეღიმა გიოს, — მე თვეში ერთხელ ვეხმარები ლელუკას ბუღალტერიის მოგვარებაში, საგადასახადოსთან პრობლემები რომ არ შეექმნას. იგი ცუდად ერკვევა ციფრებში, მე კი ეკონომისტი ვარ და ეს საქმე მესმის.

— ეკონომისტი? აკი... ჟურნალისტი...

— ჟურნალისტიც ვარ. ერთი მეორეს ხელს არ უშლის...

— არ მიკვირს, ლელუკას ანგარიში რომ ეშლება. იგი იმდენსაც არ ართმევს თავის მდგმურებს, რაც რეალურად ეკუთვნის, — ნინისაც შეურბილდა ტონი.

— იმიტომ, რომ ძალიან კეთილი და გულჩვილია, ყველა ეცოდება. როცა ხედავს, რომ ადამიანს ცოტა შემოსავალი აქვს, მაშინვე შეღავათს უკეთებს. ამასთან, უხარია, მის სახლში ბევრი ადამიანი რომ ტრიალებს, უყვარს, როცა აქაურობა მდგმურებითაა სავსე. შემოსავალი ნაკლებად აინტერესებს.

— გასაგებია, მაგრამ ასე როგორ შეიძლება? — გაიკვირვა გოგონამ. — ჯერ მარტო სახლის შენახვას რამდენი უნდა... დენის ფული, გაზის, წყლის... მარტო ამას არ ეყოფა ჩემგან აღებული ქირის ფული. სადმე სხვაგანაც მუშაობს?

— სცენაზე უკვე აღარ გამოდის, თუმცა თეატრში მუშაობს ქორეოგრაფად და იქიდანაც რჩება ცოტა.

— სცენაზე? ის რა, მსახიობი იყო?

— ბალერინა იყო თავის დროზე, თანაც საკმაოდ წარმატებული. მერე ფეხი მოიტეხა და ცეკვა ველარ გააგრძელა.

— ესე იგი, კარგად გამოიმუშავებს...

— ამით არა მგონია, ბევრი შემოსდიოდეს, თუმცა აქვს შემოსავლის ერთი წყაროც. კიდევ გაინტერესებთ რამე? — კითხვით სავსე მზერა მიაპყრო მამაკაცმა.

ნინი გაწითლდა.

— გგონიათ, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა მსიამოვნებს? უბრალოდ, სიტყვას მოჰყვა, თორემ არც მიფიქრია, ასეთი რამეები გამომეკითხა... არ მომეწონა, ასე ცოტას რომ მახდევინებს, რატომ უნდა დაზარალდეს ჩემ გამო?

— ამაზე თქვენ ნუ ინერვიულებთ. მარტო თქვენ მიმართ არ იჩენს ლოიალობას... გარდა ამისა, თქვენ ხომ დროებით ხართ მასთან შეხიზნული... იქნებ ვცდები?

— არა, არ ცდებით... — ძლივს ამოთქვა გოგონამ, რადგან ნერვიულობისგან ნერწყვი კინაღამ ყელში გაეჩხირა, — ხომ არ გშიათ? ტაფამწვარი ორივეს გვეყოფა... ყველიც მაქვს, კიტრიც, პომიდორიც... — საუბრის თემა შეცვალა გოგონამ.

— არა, გმადლობთ, მე უკვე ვივახშმე... შეგიძლიათ მიირთვათ, ჩემი ნუ მოგერიდებათ.

— არ მიყვარს, როცა მარტო ვჭამ და სხვები მოწმეებივით მიყურებენ, — თავი გადააქნია ნინიმ, — მაინცდამაინც არც მშია, უკვე გადამიარა.

— როგორც გენებოთ... უბრალოდ, არ მინდა ჩემ გამო წონაში დაიკლოთ... ასე კარგად გამოიყურებით...

— თქვენ... თქვენ რა ურთიერთობა გაქვთ ლელუკასთან? — ჰკითხა ღაწვებაფორაჯებულმა მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ეთქვა.

— ამის გაგება არაფერში გჭირდებათ, ეს თქვენ არ გეხებათ... ჩათვალეთ, რომ ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ.

— გაუმართლა მას, თქვენნაირი მეგობარი რომ ჰყავს, — წამოსცდა ნინის და მაშინვე ენაზე იკბინა, მაგრამ გვიან იყო. კვლავ წამოუწითლდა ლოყები, — იმის თქმა მინდოდა, რომ... თქვენ ისეთი დაკავებული ხართ... გასაკვირია, როგორ

ახერხებთ მის დასახმარებლად დროის გამონახვას.

— მე ყოველთვის ვპოულობ დროს ადამიანებისთვის, რომლებიც მიყვარს, — ხმადაბლა თქვა გიომ.

წამით მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა... ნინიმ იგრძნო, როგორ გაუხშირდა სუნთქვა... მოზღვავებული ტალღისგან სხეული დაეძაბა. თან ისე ახლოს იდგა მამაკაცთან... მოულოდნელად გიჟური სურვილი დაებადა... კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა გიოსკენ... მერე კიდევ ერთი...

სწორედ ამ მომენტში ოთახში დასადგურებული ჯადოსნური სიჩუმე ტელეფონის ზარმა დაარღვია.

— ვაი! — დაბნეული ნინი ფეხზე წამოიჭრა და ხელი ისე სტაცა ტელეფონის ყურმილს, თითქოს მაშველი რგოლი ყოფილიყო.

— სიხარულო, მე ვარ! — გაისმა თორნიკეს ხმა, — როგორ ხარ?

— არა მიშავს... თავად?

— მეც ვარ, რა... იცი, სრულიად შემთხვევით გამომითავისუფლდა დრო. არ გინდა, შევხვდეთ ერთმანეთს? იქნებ სადმე გვევახშმა? მგელივით მშია.

ნინი წამით შეყოყმანდა... ამწუთას უამრავი მიზეზი შეეძლო მოეგონებინა, რათა უარი ეთქვა შეყვარებულისთვის... მზერა ფრთხილად გიოზე გადაიტანა... მამაკაცს ტუჩებზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა...

სწორედ ამ გამაღიზიანებელმა ღიმილმა საქმე თორნიკეს სასარგებლოდ გადაწყვიტა... არადა, ნინიმ მშვენივრად უწყოდა, რატომაც დაურეკა მამაკაცმა... ამ საღამოს ალბათ სხვა გასართობი ვარიანტი არ გამოუჩნდა...

ჯანდაბას გიორგი რობაქიძე! რაც უნდა, ის იფიქროს! — გაიფიქრა გოგონამ, გამომწვევი მზერა ესროლა ჟურნალისტს და ყურმილში ჩასძახა.

— სიამოვნებით, საყვარელო. მოუთმენლად გელოდები!

რობაქიძეს ბრაზიანი შეძახილი აღმოხდა, თითქოს შეიგინაო, უცებ სკამიდან წამოხტა, გარეთ გავარდა და კარი გაიჯახუნა.

— რა ხმაურია? — იკითხა თორნიკემ.

— ორპირი ქარი იყო და კარი მიჯახუნდა! — სიცილი წასკდა ნინის. — როგორ გამიხარდა შენი ხმის გაგონება, რომ იცოდე, თოკო!

— მეც, სიხარულო... ერთი სული მქონდა, როდის დაგირეკავდი. ოც წუთში გამოგივლი და გარეთ დამხვდი, კარგი?

— კარგი, — ხმადაბლა უპასუხა გოგონამ და ყურმილი დაკიდა.

გაუხარდა კი თორნის ხმის გაგონება? მაშინ რატომ ეცა ასე არეული ტელეფონს? რატომ შეუთრთოლდა გული, როცა გიოს თვალებს შეეფეთა? არა, რა სისულელეა! ეს, უბრალოდ, ქალური კეკლუცობა იყო და სხვა არაფერი. მამაკაცის ორაზროვანი ნათქვამი სასიამოვნოდ მოხვდა ყურში... ეგ იყო და ეგ... თავს ხომ არ იმშვიდებს? იქნებ...

„თავის დასამშვიდებელი არაფერი მჭირს. ყველაფერი წესრიგშია, მე სრულიად ვაკონტროლებ სიტუაციას. განა ასე არ არის?“ — გაიფიქრა, თუმცა ბოლომდე მაინც არ იყო თავის თავში დარწმუნებული...

თორნიკემ იგი რესტორანში დაპატიჟა. იქაურობა სულ ახალგაზრდებით იყო გავსებული. დარბაზში საშინელი გნიასი ისმოდა. არცთუ ისეთი რომანტიკული სიტუაციაა შეყვარებული წყვილისთვის, — გულდაწყვეტილმა გაიფიქრა ნინიმ, პუბლიკას თვალი რომ მოავლო...

როცა ჭამას მორჩნენ და ყავის სმას შეუდგნენ, გოგონამ იმ დღეს მოძიებული გასაქირავებელი ოროთახიანი ბინების სია მიაწოდა.

— შენ დროს ტყუილად არ კარგავ, — შენიშნა მამაკაცმა, — მე იმ კვირაში ვაპირებდი ამის გაკეთებას.

— უბრალოდ, შესაძლებლობა მომეცა, სპეციალურად არ მოვქცეულვარ ასე, — თავი იმართლა გოგონამ.

— ჰმ... ვიცი ეგ სააგენტო... — თორნიკემ სიას ჩახედა. — მშვენიერია... მერე გადავხედავ... — თქვა, ქაღალდი ოთხად გაკეცა და შარვლის ჯიბეში შეინახა, — მაგრამ იქნებ ჯობდა, ჯერ სამსახური გეშოვა და მერე გვეფიქრა ერთობლივ ცხოვრებაზე?

— მე უკვე ვიფიქრე ამაზე, — გაიღიმა ნინიმ, — ვფიქრობ, აქაც იმავე საქმით დავკავდები, რითაც ბათუმში.

თორნიკემ სკეპტიკურად შეხედა.

— არა მგონია, შენი სპეციალობით თბილისში ადვილი იყოს სამსახურის შოვნა. აქაურობა სავსეა იურისტებით. ქვა რომ ააგდო, იურისტს მოხვდება თავში.

„ეს შენ გგონია ასე“, — გაიფიქრა გოგონამ, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

— ნუ დარდობ... სხვა რამეს იშოვი, შენი შესაფერისი ბევრი რამ შეიძლება მოინახოს.

— შესაფერისი?

— ჰო, რა იყო? მთავარია, კარგად გადაგიხადონ და რა მნიშვნელობა აქვს, სად დაიწყებ მუშაობას? — უდარდელად თქვა მამაკაცმა.

— დიდი მადლობა რჩევისთვის, — ირონიულად ჩაიცინა ნინიმ და წამოდგა, — დროა, წავიდეთ. ძალიან მღლის ეს ხმაური. აქაურობა არ მომეწონა...

გარეთ სასიამოვნოდ გრილოდა. ნინის ეგონა, ვახშმის შემდეგ ცოტას გაისეირნებდნენ, მაგრამ, მისდა გასაოცრად, თორნიკემ მაშინვე ტაქსი გააჩერა.

— მინდა შენი პატარა ბუდე დავათვალიერო, — აღგზნებულმა უჩურჩულა გოგონას, როცა მანქანაში ჩასხდნენ და ტუჩებით მისი ყურის ბიბილოს შეეხო.

— შენ არ მეუბნებოდი, ლელუკასთან ვერ გამოვჩნდებიო? — გაიკვირვა ნინიმ.

— ერთი მაგათი დედაც!.. — შეიგინა მამაკაცმა. — მეტის მოცდა აღარ შემიძლია!.. სიხარულო, შენ ისეთი საოცრება ხარ... მოდი ჩემთან... — ვნებიანად დაიჩურჩულა და გოგონა მკერდზე მიიზიდა.

ნინის მის შეხებაზე იოტისოდენა სიამოვნებაც არ უგრძნია... არც წინააღმდეგობა გაუწევია... მხოლოდ მაშინ შეირხა, როცა მამაკაცის ხელი მის მუხლს შეეხო...

— არ გინდა, მძღოლი ყველაფერს ხედავს, — ჩურჩულით თქვა.

— მერე რა? ის ასეთ რამეებს ყოველდღე ხედავს.

— მაგრამ მე არ მსიამოვნებს.

— კარგი, სიხარულო... როგორმე მოვითმენ, სანამ შენს ოთახამდე მივაღწევთ, — მამაკაცმა ხელი შეუშვა და საზურგეზე გასწორდა.

ნინი დაიძაბა... ეს მათი პირველი ღამე იქნება... იმედია, თორნიკე არ მოატყუებს და ხვალ ღვთის ანაბარა არ მიაგდებს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გვ. 77

ლისმა სახლი დაათვალიერებინა. მათ კუდში პატარა გოგონა დასდევდა.

— ჩვენ მთიანი რეგიონიდან ჩამოვედით, — თითქოს თავს იმართლებდა დიასახლისი, — აკლიმატიზაციის პერიოდი გვაქვს... იქ ციოდა... შეგუება ცოტათი გვიჭირს. ბავშვს ავიტამინოზი აქვს, ხშირად ავადმყოფობს, ქმარიც ალერგიულია, მას სპეციალური დიეტა სჭირდება, მტვერს ვერ იტანს, მტვერზე ალერგია აქვს...

— მამიკოს აცემინებს ხოლმე, — საუბარში გოგონა ჩაერია.

— მთელი სახლი ანტიალერგიული მასალითაა გაკეთებული, მაგრამ... მტვერი ხშირად უნდა გადაწმინდოთ, დიეტის დეტალებსაც აგიხსნით...

დალი გაღიზიანდა. „ამდენი ფული აქვთ და სუფთა სოფლელები არიან, სადაა ამ მდიდრული სახლის დიასახლისისთვის შესაფერისი გამომეტყველება? ეს ალერგიული კაცი მდიდარია და ალბათ არც ისე სულელი. უკეთესი ქალი ვერ იშოვა, ნეტავ?“

— იცით, ჩემს ქმარს ბოსტნეული არ ეჭმება, მხოლოდ თევზი, ქათმის ხორცი, ისიც — მოხარშული...

დალი სანახევროდ უსმენდა ქალს. ფიქრობდა, რომ თუ ეს „ალერგიული მამაკაცი“ მას უკეთ გაიცნობდა, მიხვდებოდა, რომ გაცილებით უკეთესია, ვიდრე მისი სათვალიანი, სოფლელი და მსუქანა ცოლი. მერე კი...

— მანანის ბურღული, შვრიის ფაფა, ორთქლზე მოხარშული კატლეტი... ფანჯრები იშვიათად უნდა გააღოთ, რადგან მტვერი შემოვა... სარეცხის ფხვნილიც სპეციალური გვაქვს, რადგან გაბრიელი ფხვნილების მიმართ ძალზე მგრძნობიარეა.

სმენამ ნაცნობი სახელი დაიჭირა. დალი გაქვავდა.

— თქვენს ქმარს გაბრიელი ჰქვია?

— დიახ, გაბრიელი... — ქალმა გვარიც დაასახელა. — რა მოხდა?

გაბრიელი... დალიმ გაიფიქრა, რომ არ ღირდა უარის თქმა ამ სამსახურზე. შესაძლოა, გაბრიელს ძველი დრო გაახსენდეს... ისევ შეუყვარდეს ყოფილი ცოლი... რაში სჭირდება ამ სოფლელ ქალს ასეთი სახლი? ასეთ მდიდრულ სახლში ისეთი ქალი უნდა დიასახლისობდეს, როგორიც დალია... გემოვნებიანი და ლამაზი...

თუმცა, დალი მაინც წავიდა... დიასახლისს მადლობა გადაუხადა და იქაურობა დატოვა.

ცხოვრება დალის სახლში ზუსტად ცხრის ხუთ წუთზე დაიწყო... სწორედ ამ დროს, ერთ-ერთ რუსულ არხზე სერიალი იწყებოდა, შემდეგ კრიმინალური ამბები და 9 საათსა და 15 წუთზე — ლამაზი, ტკბილი, ბრაზილიური ზღაპარი, როდრიგესების ოჯახზე... ■

მარი ჯაფარიძე

საშინელებაა, როცა სწორ ადგილზე ფეხი გადაგიბრუნდება და უამრავი ადამიანის თვალწინ, ცხვირით მიწაში ჩაერჭობი. თვითმფრინავიდან ჩამოსულ ანას კი ეს საკმაოდ კარგად გამოუვიდა. ასფალტიდან მტვერი ავარდა და ცხვირში შეეყარა; მხარზე გადაკიდებული ჩანთა „გაფრინდა“ და მოშორებით, ტყაპანით დაეცა; ყვითელი, შავკოპლებიანი, „ფრიალა“ სარაფნის ბოლო თავზე წამოეხურა; ყვითელჩარჩოიანი მზის სათვალეც სადღაც, მოშორებით დაეცა; გრძელი, შავი, ტალღებად დაყრილი თმა სახეზე ჩამოეწეწა; გადატყავებული ხელისგულებიდან და მუხლისთავებიდან სისხლმა იწყო დენა...

ეს სამარცხვინო ამბავი კი იმის გამო დაემართა, რომ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმა უყვარს. ქალის ფეხსაცმლის ქუსლი 10 სანტიმეტრზე დაბალი არ უნდა იყოსო, — უყვარდა ხოლმე თქმა.

— გოგონი, ცოცხალი ხართ? — ჰკითხა ვიღაცამ „ზემოდან“. ანამ თავი ასწია, თვალების გასწვრივ, მამაკაცის გაპრიალებული ფეხსაცმელი დაინახა და ყურადღებით შეათვალიერა.

„ნამდვილი ტყავის, ძვირფასი ფეხსაცმელია, ალბათ 1.000 დოლარი მაინც ეღირება“, — გაიფიქრა.

თვალებზე ჩამოფხატულ თმას სული შეუბერა და მტვრიან სახეზე ხელი ჩამოისვა.

— გინდოდა, აქვე მოვმკვდარიყავი? — ჰკითხა გაბრაზებული ხმით. — ამ სიხარულს არც შენ და არც სხვას არ მივანიჭებ! ცოცხალი ვარ და კიდევ დიდხანს ვიცოცხლებ, — ამ არცთუ ისე თავაზიანი სიტყვების შემდეგ ანამ წამოდგომა სცადა.

— კაბას მაინც გაგისწორებთ, — მამაკაცის მზრუნველმა ხელმა კაბის ბოლო ჩამოსწია და „საწყის“ მდგომარეობას დაუბრუნა. — ადგომა შეგიძლიათ? — ასეთი „გულისამაჩუყებელი მზრუნველობის“ შესახებ ანას ჯერ არაფერი სმენოდა.

— მგონი, შემიძლია, — უპასუხა და წამოდგა, მაგრამ მოცელილივით დაეცა, — ფეხი, ფეხი ვიტკინე! — ავიშვიშდა.

— რა დაგემართათ? — ისევ ზემოდან დახედა ხელმეორედ წაქცეულ ანას მამაკაცმა.

— რა გაყვირებთ?! ჯობია, ხელი შემაშველოთ და წამომაყენოთ, — ახლაღა ახედა მშველელს.

„რა სიმპათიურია ეს ნაბიჭვარი!..“ — გაიფიქრა ქალმა და თვალები დახუჭა.

— ცუდად ხომ არ ხართ? მკვეთრ მოძრაობებს ნუ გააკეთებთ. „სასწრაფოს“ ხომ არ დავურეკო? — მა-

დასაწყისი

მაკაცი მზრუნველობას კი იჩენდა, მაგრამ ქალისთვის ხელის შეშველებას რატომღაც, არ ცდილობდა.

— ის ჯობია, ხელი გამომიწოდო, — ანამ თვალებით გაბურღა მამაკაცი.

იმან, როგორც იქნა, მოიფიქრა და ხელი გაუწოდა. ქალმა თავისი ლამაზი, მოვლილი და ჩამოქნილი თითები ჩასჭიდა და წამოდგა. მტკივანი ფეხი ჰაერში ასწია და ცალ ფეხზე მდგარი, მამაკაცის ხელს დაეყრდნო.

— თქვენ ის არა ხართ, თვითმფრინავის სალონში სულ ბოლო სავარძელში რომ იჯექით? — გაიხსენა ანამ.

— ისე გტკივათ, რომ ფეხს ვერ დგამთ? — თითქოს ქალის ნათქვამი არც გაუგონიაო, კაცის ხმაში ირონია გაერია.

— ახლა წელზე ხელი მომხვიე და გასასვლელამდე მიმიყვანე! — ბრძანებასავით გაისმა ანას ხმა.

— ვაჰ, რას ბრძანებთ, ქალბატონო?! გარეთ ცოლი მელოდება! უცხო ქალთან ერთად ჩახუტებული რომ დამინახოს, როგორ გგონიათ, მაპატიებს?.. მე კი იმის გამო, რომ თქვენ მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე დგომის გამო ფეხები აგებლანდათ და ძირს დაეპერტყეთ, ოჯახს ვერ დავანგრევ.

— კარგი, ხელი გამიშვი, — თავი გაითავისუფლა ანამ, — უკაცრავად, ერთი წუთით, შეიძლება? — მიაძახა გვერდით ჩავლილ, აეროპორტის თანამშრომელს. — თუ შეიძლება, გასასვლელამდე მიმაცილეთ, ფეხი ვიღრძე.

— არა, არა, არ არის საჭირო, — უკან გააბრუნა მეორე მამაკაცი პირველმა, — მე მივაცილებ, — და ისევ ანას მიუბრუნდა: — ბევრი ბარგი გაქვთ?

— 4 დიდი ჩანთა.

— შინ რით მიბრძანდებით?

— ტაქსით, რა თქმა უნდა.

— კარგი, წავედით, — რაღაცნაირი, უკმაყოფილო სახით თქვა მამაკაცმა, ერთი ხელი ანას წელზე მოხვია, მეორეში მისი ყვითელი ჩანთა დაიკავა და გასასვლელისკენ წაიყვანა.

ქალს ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა და მამაკაცის ძლიერ მკლავს მინდობილი, კოჭლობით მიჰყვებოდა. თან დროდადრო სახე ტკივილისგან ემანჭებოდა.

...როგორც იქნა, ბარგი აიღეს და გარეთ გამოვიდნენ. მამაკაცმა ანა კართან დატოვა და იქვე მომლოდინე ახლობლებს შეეგება. ანა კი ვეებერთელა ჩანთაზე ჩამომჯდარიყო და მათ ხორხოცს ადევნებდა თვალყურს. ყველა იქ მყოფს მოავლო თვალი, ცდილობდა, გამოეცნო, რომელი იყო მისი მშველელის ცოლი, მაგრამ ეჭვი ვერც ერთზე ვერ მიიტანა. თითქოს გაუხარდა კიდეც...

ანას აეროპორტში და უნდა დახვედროდა, მაგრამ ნინომ ბოლო წუთს დაურეკა და უთხრა, რომ რაიონში მიდიოდა აუცილებელ საქმეზე... გული ახლა უფრო დასწყდა და დანაღვლიანდა...

— წამობრძანდით, წაგიყვანთ, — ფიქრებში გართულ ქალს უცნაური კავალერი თავზე წამოადგა.

— არა, არ გინდა, ფეხი იმდენად აღარ მაწუხებს, ტაქსით წავალ.

— მოდი, მომეხმარე, — გასძახა მამაკაცმა ვიღაცას და 2 ჩანთას თვითონ წამოავლო ხელი...

როგორც იქნა, ანას ბარგი ერთ-ერთ ჯიპში მოათავსეს, თავადაც ჩასვეს მანქანაში და დაიძრნენ.

ანამ მისამართი უკარნახა და ამის შემდეგ მთელი გზა ხმა არ ამოუღია.

მამაკაცმა სახლამდე მიაცილა, ბარგი აატანინა და წამოსვლისას ლოყაზე აკოცა.

— ნინო თვალებით ეფერებოდა 8 წლის უნახავ დას.

— ხვალ მანქანას ვიყიდი და ზეგ წავიდეთ, მომენატრა იქაურობა... ღამღამობით მთები მესიზმრებოდა ხოლმე...

— დედასთვის არ მითქვამს, რომ ჩამოსვლას აპირებდი. ხომ იცი, მოლოდინი ძნელია. უცებ რომ მიადგები კარზე, უფრო უკეთესი იქნება.

— კარგი გოგო ხარ, ასე ჯობია...

ხომ იცი, 2 წლის წინ სისხლი ავიღე, ჩემი ძმის მკვლელობის გამო...

— მე ირაკლი მქვია, — უთხრა, თავისი სუნამოს არომატი დაუტოვა და კიბეზე დაეშვა.

ანა კარგა ხანს იდგა გაუნძრევლად. შემდეგ, მეზობელთან დააკაკუნა და გასაღები გამოართვა...

იმ ღამეს ანა მარტო იყო. ცოტა რომ დაისვენა, სურვილი გაუჩნდა, თბილისის ქუჩები მოევლო და მონატრებული ადგილები ენახა, მაგრამ მერე გადაიფიქრა... გადაწყვიტა, გათენებას დალოდებოდა.

დილით ქალაქის ხმაურმა გამოაღვიძა. თავი ისევ ნიუ-იორკში ეგონა, მაგრამ თვალები რომ გაახილა და ჭერს ახედა, გაახსენდა, რომ თბილისში იმყოფებოდა.

ფანჯარასთან ფეხშიშველი მივიდა და გარეთ გაიხედა.

ცენტრალურ ქუჩაზე მანქანები მიმოდიოდნენ... რაც ქალის მზერის არეალში ხვდებოდა, თითქმის ვერაფერს ცნობდა. ქუჩა შეცვლილიყო... თბილისი ევროპის რომელიღაც ქალაქს დამსგავსებოდა.

შემოსასვლელი კარი ხმაურით გაიღო და ნინო შემოვიდა. დები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

გულაჩუყებულ ნინოს თვალზე ცრემლი მოადგა და ხელის ზურგით მოიწმინდა. თან, სასაცილოდ სრუტუნებდა...

ცოტა ხნის შემდეგ გოგონები, დივანზე მოკალათებულები, ყავას წრუპავდნენ და ერთმანეთის ამბებს კითხულობდნენ.

— სვანეთში წასვლას როდის აპირებ? ახლა ჩაიცვი და გარეთ გავიდეთ, შინ ჯდომა არ მინდა.

...ლამის მთელი თბილისი ფეხით მოიარეს... ის იყო, შინ დაბრუნებას აპირებდნენ, რომ ანამ ტაქსის ხელი აუწია.

— რად გვინდა ტაქსი? ჩვენი სახლი აქვეა, — შეახსენა ნინომ.

— საბურთალოს სასაფლაოზე გაგვიყვანე, — დას პასუხი არ გასცა და უკან ჩაჯდა.

ნინომ ტუჩები მოკუმა და უხმოდ ჩაჯდა მანქანაში. უკვე იცოდა, სადაც აპირებდა მისი და წასვლას. ის კი არა და, უკვირდა კიდეც, მთელი დღე ხმას რომ არ იღებდა იმ საკითხზე, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებდა...

ანამ გზაში მინდვრის ყვავილები იყიდა. ტაქსიდან გადმოსულებმა კარგა მანძილი გაიარეს ფეხით. საფლავებს შორის მიდიოდნენ... ანა ზოგიერთთან ჩერდებოდა და სურათს აკვირდებოდა... მერე დანანებით თავს გააქნევდა და გზას აგრძელებდა...

თვალით შორიდანვე მოძებნა გოჩას საფლავი და გეზი იქითკენ აიღო. ნინო უხმოდ მიჰყვებოდა.

ქვაზე გამოსახული მამაკაცი თითქოს თავისკენ უხმობდა... ანამ ფეხს აუჩქარა.

ყვავილები დას მიაწოდა, თვითონ კი ქვას მოეხვია და აქვითინდა...

კარგა ხანს ტიროდა... მხრები უმწეოდ უცახცახებდა...

ნინო მდუმარედ ადევნებდა თვალს... ხელს არ უშლიდა...

ანამ ტირილით გული რომ იჯერა, იქვე ჩამოჯდა.

თვალწინ ის დღე წარმოუდგა, როცა გოჩა სამუდამოდ დაკარგა.

თეთრ კაბაში გამოწყობილი პატარძალი ისეთი ლამაზი იყო, რომ ყველას თვალს სჭრიდა. ანას სახეზე

ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა. მიუხედავად იმისა, რომ დედამთილს რძალი თვალში არ მოსდიოდა, ამას ყურადღებას არ აქცევდა და ყველაზე ბედნიერი დღის ჩამწარებას არ აპირებდა.

გოჩას გადახედავდა ხოლმე... ისიც ბედნიერი იყო... გვერდით საყვარელი ქალი ჰყავდა და ამ დღიდან ვეღარაფერი დააშორებდა, სიკვდილის გარდა...

არადა, თურმე რა ახლოს იყო სიკვდილი!..

ანას წინა საღამოს საუბარი გამუდმებით ჩაესმოდა ყურში და დროდადრო სახე მოექუფრებოდა.

ქორწილისთვის მზადებას გვიან მორჩნენ... ანა და გოჩა ოთახში მარტონი დარჩნენ. გოგონა გრძნობდა, რომ მამაკაცს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა...

— გოჩა, ვხედავ, რაღაც გაწუხებს. ჯობია, თქვა და გული გაითავისუფლო... ხვალ ჩვენი ქორწილია და რაც საჭიროა, ერთმანეთისთვის უთქმელი არ უნდა დაგვრჩეს, — ანა ფიქრობდა, რომ შესაძლოა, სხვა ქალთან დაკავშირებული პრობლემა არსებობდა და ცდილობდა, მამაკაცისთვის ბიძგი მიეცა, რომ მისთვის გული გადაეშალა.

— ანა, მე შეიძლება, სულ მალე მომკლან... — მისთვის სრულიად მოულოდნელი რამ თქვა მამაკაცმა.

— რას ამბობ, ხომ არ ბოდავ?!

— არა, არ ვბოდავ, — თავი გააქნია გოჩამ. — ხომ იცი, 2 წლის წინ სისხლი ავიღე, ჩემი ძმის მკვლელობის გამო... მოკლულის ძმა ციხიდან გამოვიდა... ციხიდანაც მითვლიდა და ახლაც შემომითვალა, — ჩემი ძმის სისხლს არ შეგარჩენო!.. ყოველწუთსა და წამს შეიძლება, გამოჩნდეს...

— ვინაა? რა გვარია?

— საბლიანი...

— ხვალ ქორწილი ჩაივლის... მერე მახვშს შევხვდეთ და გვარების შერიგებას შევეცადოთ.

— ჩემგან ეგ არ გამოვა... ლაჩრად მომნათლავენ... ახლა შერიგებაზე რომ დავიწყო ლაპარაკი, ხმას გაავრცელებენ, შეეშინდაო... ვაჟკაცის სახელს შევირცხვენ...

— კარგი, რააა... რომელი საუკუნეა?!. რაღა დროს სისხლის აღებაა?!

— ვაჟკაცობამ საუკუნე არ იცის... სვან ქალს ეს არ უნდა გიკვირდეს...

— არ მიკვირს, მაგრამ ვგმობ მაგ წესს.

— ყველა გმობს, მაგრამ ყველა ემორჩილება...

— ყველა არ ემორჩილება... შენი ძმის მკვლელობისთვის შენ აიღე სისხლი... შენ გარდა კიდევ 2 ვაჟი ჰყავს შენს ოჯახს... იმათ რატომ არ შეიწუხეს თავი? შენ უმცროსი ხარ... შენ რატომ მოგანდვეს ეგ საქმე?

— მე ვითავე თვითონ, არავის დაუძალებია... როცა ჩემი ძმა მოკლეს, მაშინ მის საფლავზე დავიფიცე, რომ არ შევარჩენდი მის სისხლს. ჩემმა ძმებმა მაშინვე შერიგებაზე დაიწყეს ლაპარაკი... თქვეს, ნულარ გავაღვივებთ შუღლს, ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა მორჩეს ეს ამბავიო!..

— მერე, შენ რატომ არ მიჰბაძე მათ?

— არ შეიძლება. ჩვენს გვარს ისედაც შერცხვენილი აქვს სახელი, ბევრი იაღლიში აქვს, ბევრი სირცხვილი გადაყლაპა... მე ვერ შევირცხვენდი ვაჟკაცის სახელს. არ მინდოდა, ვიღაცას ეთქვა, მტერს ძმის სისხლი შეარჩინაო...

— როგორ გაიმეტე ადამიანი მოსაკლავად?! როცა შემოგაკვდება, ეგ სხვაა...

— ვისაც ოდესმე სისხლი აუღია, რომ ჰკითხო, როგორ მოკლა ადამიანი, გეტყვის, რომ ამ დროს იმის წარმოდგენა ახელებს, თუ როგორ მოკლა ამ ადამიანმა მისი ახლობელი... თუ ამას ნათლად წარმოიდგენ, ხელი არ აგიკანკალდება...

— ეგ ტყუილია.

— არ არის ტყუილი! ასეა! ჩემს შემთხვევაში ასე იყო.

— ახლა რა გვეშველება? როგორ უნდა მოვაგვაროთ ეს საქმე?

— ერთადერთი გამოსავალი არსებობს, — მწარედ ჩაეცინა გოჩას, — უნდა დავასწრო...

— ნუ მაშინებ, გოჩა!..

— ნუ შეშინდები, პატარავ!.. — გოჩამ ანას ხელი მოხვია და მიიხუტა.

ეს საუბარი მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში ახსოვდა ანას.

ანა ფიქრობდა, რომ შესაძლოა, სხვა ქალთან დაკავშირებული პრობლემა არსებობდა

მერე, საქორწილო სამზადისით გაბრუებულს, გადაავიწყდა და მხოლოდ მაშინღა გაახსენდა, როცა შენიშნა, ჯვრისწერის დროს, ეკლესიაში შესვლამდე როგორ მიაწოდა პისტოლეტი გოჩამ თავის ძმაკაცს...

ქორწილი დასრულდა, სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, მხოლოდ შინაურები დარჩნენ და ქეიფი გააგრძელეს.

სიძე-პატარძალმაც შინ წასვლა დააპირა. ის იყო, რესტორნის ეზოდან გამოვიდნენ და მანქანაში სხდებოდნენ, რომ სროლის ხმა გაისმა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარი ჯაფარიძე

„გამარჯობა, მარი. იცი, რაც „გზა“ ახალი ფორმატით მოგვევლინა, იმ დღიდან მივხვდი, რომ „გზავნილებს“ დიდი მომავალი არ ექნებოდა, რადგან ჯერ ჟურნალის ბოლოში გადაისროლეს და მერე — მხოლოდ 3 გვერდი მიაკუთვნეს. მე ჩემზე არ ვამბობ, მაგრად ვწერ-მეთქი, მაგრამ ზოგი ძალიან ნიჭიერი მგზავნელია და რაღა ახლა ვერ წერენ საინტერესო გზავნილებს? ვფიქრობ, რედაქციამ უკვე გადაწყვიტა „გზავნილების“ გაუქმება და შენც დაგევალა ამ ამბის ჩვენთვის თქმა. ადრინდელი „გზა“ ძალიან მომწონდა. გრუზინკა“. მსგავსი მესიჯები დიდი რაოდენობით მას შემდეგ მივიღე, რაც მკითხველს გავუმხილე, — თუ კარგ მესიჯებს არ გამოგზავნით, შესაძლოა, „გზავნილები“ მოკვდეს-მეთქი. ვიცი, რომ მესიჯების ასეთი შინაარსი თქვენმა შეშფოთებამ გამოიწვია. მინდა, დაგამშვიდოთ და გითხრათ, რომ ჩვენი თვითმიზანი სულაც არ გახლავთ „გზავნილების“ გაუქმება, ვინაიდან ამ რუბრიკას ბევრი მკითხველი ჰყავს. მაგრამ ჩვენ მკითხველს არ ვატყუებთ, მე თქვენ მაგივრად ვერ მოვიგონებ ამბებს... ამიტომ, თქვენზეა დამოკიდებული „გზავნილების“ ხარისხი და მისი არსებობა-არარსებობაც. თქვენი იმედი მაქვს... მოიკრიბეთ გონება და გადაარჩინეთ საყვარელი რუბრიკა. ახლა კი მესიჯები, წინა კვირაში მოცემულ თემაზე.

ინგლისური შემოსვლა

საუკეთესო სიძე

„ერთ მშვენიერ დილას მობილურის ზარმა გამაღვიძა. უცხო აბონენტი მირეკავდა. როცა ვუპასუხე, გამითიშა. ვურეკავდი და აღარ მპასუხობდა. შემდეგ დავუმესიჯე, იქნებ მითხრა, ვინ ხარ და რატომ გამაღვიძე-მეთქი? ბოდიში მომიხადა, ნომერი შემეშალაო. მერე ჩვენ ერთმანეთს დავუახლოვდით. მისთვის არ დამიმალავს, რომ ბევრად უფროსი და ქმარშვილიანი ვიყავი, მაგრამ მაინც დავმეგობრდით. შემდეგ ჩემი მულისშვილიც გავაცანი და რამდენიმე თვეში მულისშვილი მომტაცა და „საბუდარში“ წაიყვანა. დღეს ის ერთ-ერთი საუკეთესო სიძეა. აი, ესეც თქვენი „იღბლიანი შემთხვევა“... სევდიანი ქალი“.

მარა რად გინდა?

„ნამდვილად რომ იღბლიანი შემთხვევაა ის, რასაც ახლა მე გიამბობთ: ერთი გოგო მომწონდა. ჰოდა, რავარც იქნა, დავითანხმე შეხვედრაზე, მარა რად გინდა? ქე რომ ძნელი საშოვნელია და ადვილი დასახარჯავი, ის არ მქონდა საკმარისი. 5 ლარი მქონდა სულ. ჰოდა, მივირბინ-მოვირბინე მეგობრებში და ვიშოვე კიდევ 5 ლარი, მარა მეყოფოდა? ჰოდა, გადავწყვიტე, სათამაშო აპარატებს მივჯდომოდი. შევედი „პოკერნიაში“ და კი „მევიგე“ 20 ლარი. ჰოდა, რომ ვდურთე თავი და გამოვვარდი გარეთ უკან მოუხედავად! გახარებულმა დავურეკე და კი დავპატიჟე ამ მოგებული ფულით, კაფეში, მარა რად გინდა? იმ მოგების და იმ დღის შემდეგ ვეღარ მომწყვიტეს „პოკერებს“ და კი დამეტყო უფულობა. კეკე19“.

„იღბლიანი“ ზარი

„ჩემს დაქალს შეყვარებული ჰყავდა 8 თვე. სიგიჟემდე უყვარდათ ერთმანეთი. ყოველ შემთხვევაში, ბიჭი ასე ამბობდა. ეს ჩემი ქალბატონი კი გათხოვებას არ ჩქარობდა, რადგან კარიერაზე ზრუნავდა, მაგრამ ვინ უსმენდა? ეს ჩვენი სასიძო კი რატომღაც ჩქარობდა და თითქმის ყოველდღე ბეჭდით დარბოდა, რომ ქეთი დაენიშნა.

ჩემი დაქალი კი ქვას აგდებდა და თავს უშვერდა. ეუბნებოდა, მიყვარხარ, მაგრამ ერთი წელი მაინც მაცადე, რომ ეს სასწავლებელი მაინც დავამთავროო. ერთ დღეს კი დაურეკეს ამ ჩვენს საპატარძლოს და აცნობეს, მაგ შენს კაცს საყვარელი ჰყავს, ლამის ბებიის ტოლი და მგონი, შვილიც ჰყავს მისგან, არ შეცდე და ეს ანგელოზივით გოგო არ გაჰყვეო. გადაირია ეს ჩემი დაქალი, ეს როგორ მაკადრაო?! დაშორდნენ. რომ არა ქეთის იღბლიანობა, ახლა მაგ უნამუსოს ცოლი იქნებოდა უკვე. არადა, იმ ქალს რომ არ დაერეკა, იმ დღეს თანხმობა უნდა ეთქვა ცოლობაზე... აბაااა... 4-9-1-13-1“.

ჭეშმარიტი გზა

„მინდა, ერთი მოხუცის ნაამბობი მოგიყვეთ, რომელიც იღბლიანმა შემთხვევამ გონს მოიყვანა და ცხოვრების ჭეშმარიტ გზაზე დააყენა: ახალგაზრდობაში ქურდი და ავაზაკი ვიყავი. ერთხელ, ერთი ბინა უნდა გამექურდა. შევედი და მოხუცი ქალი დამხვდა. ისე შემეგება, როგორც შინაურს და ახლობელს. — შვილო, ძალიან ცუდად ვარ, იქნებ მომეხმაროო. თურმე წნევას დაურტყამს და ხელ-ფეხი გასჩერებია. წყალი და წამლები დავალევინე, იქაურობა მოვათვალიერე. კედლები ხატებით იყო სავსე. — ყველაფერი გავყიდე, მხოლოდ ეს ხატები ვერ გავიმეტე, ამათ ვუზიარებ დარდს და ვარამსო, მითხრა მოხუცმა. მერე ყველა ხატისა და წმინდანის შესახებ მომიყვა. ისე ლაპარაკობდა, სუნთქვა შემეკრა. დაღამება ვერ გავიგე. წასვლა რომ დავაპირე, ხვალაც მოდიო, მთხოვა. მეორე დღეს ფეხებმა თვითონ მიმიყვანა იმ სახლში. ასე დავდიოდი და ვუვლიდი. მერე ეკლესიაში დავიწყე სიარული. მაშინ უცოლო ვიყავი, არაფერი მებადა. ახლა კი ბედნიერი კაცი ვარ, შვილებითა და შვილიშვილებით დახუნძლული. არც ღარიბი მეთქმის და ეს ყველაფერი იღბლიანი შემთხვევისა და უფლის საჩუქარი იყო. ოლეგარიო“.

იზოლდას ოცნება

„მინდა მოგიყვეთ ერთი ადამიანის ერთ იღბლიან და ამასთანავე, უიღბლო დღეზე. შემთხვევა გასული

ამსოებობენ ყარგი მსახიობები, ცოდვებიც და მოალოდოენიც ყი — ეს ოკანსაენელნი მოსახლეობის ხოთ მეეჭვსედს წამმოადგენენ

მოკლე ჩართვა

„ზარმაც პატარძალს ღრუბლიანი დღე...“

• „ზარმაც პატარძალს ღრუბლიანი დღე არ ახარებს, რადგან სამარგელად (სამარგლავად) წასვლა, რა თქმა უნდა, ეზარება. მოკლედ, ამ ქალაქელმა ქალებმა არ შეჭამეს ტვინი? კეკე19.

• პატარძალსა ცუდი დღეო, გინდ ადარდე, გინდ — არაო, სულ ერთია, ავდარია, თუკი გამოიდარაო. დღეს ერთთანა იქეიფებს, ხვალე კიდე იქანაო, სიძემ დანა დასაკლავი, თვითონ გამოითხარაო. ლიმონა.

• ზარმაც პატარძალს ღრუბლიანი დღე აზელილ ზღმარტლს მოანდომებს. მისტერ.

• ზარმაც პატარძალს ღრუბლიანი დღე არგუნოს ღმერთმა და იქნებ სიყოჩაღე დედამთილის ჩაგვრაში გამოავლინოს. გრუზინკა.

• ორიგინალური კითხვაა, მაგრამ ისე, ნამდვილად არ მინდა და ვოცნებობ, ჩემს ქორწილში ღრუბლიანი ამინდი არ იყოს, არ მინდა, მციოდეს და კაბა გამიტალახიანდეს. სვანის ასული.

• ზარმაც პატარძალს ღრუბლიანი დღე ღამედ ეჩვენებოდაო. კლეოპატრა.

• ზარმაც პატარძალს ღრუბლიანი დღე კი არა, ზვავიც ვერ შეაჩერებს, თუ მართლა უნდა გათხოვება. ჩუპი.

საუკუნის მიწურულს, გაჭირვებულ ცხოვრებაში მოხდა. 40 წელს მიღწეული, წვრილშვილის პატრონი ქალბატონი, პირობითი სახელით — იზოლდა, ცხოვრობდა თბილისის გარეუბნის ერთ-ერთ ნაქირავებ ბინაში. საკუთარი სამსახურით დიდად ვერ დაიკვეხნიდა, რადგან საავადმყოფოში ექთანად მუშაობდა და ძლივძლივობით აუდიოდა ოჯახის მატერიალური მდგომარეობის დაკმაყოფილებას (მაგას თუ დაკმაყოფილება ჰქვია, მაშინ მე ბუდას მიმდევარი ვყოფილვარ). ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, თავის „სხვა გზა არ ჰქონდა“ სამსახურში რომ იმყოფებოდა, ერთ-ერთი პალატიდან გამოსულს, დერეფანში კარგად „გასუქებული“ საფულე მოხვდა კი არა და, შეეჩეხა თვალებში. სიტუაციის მოთხოვნის შერაფერისად, იზოლდამ ჯაშუშივით აათამაშა თვალები და დერეფნის მარცხენა-მარჯვენა მხარეებს გახედა, ბრჭყალებივით გრძელი ფრჩხილების მქონე თითები მხეცივით სტაცა და იქვე ცარიელ ოთახში შევარდა. მისმა გულმა შუა საუკუნის სასახლეების კარიბჭის შესამტვრევი, უზარმაზარი მორივით დაიწყო რყევა. ერთიანად ათრთოლდა, ხელებმა კანკალი დაუწყო. საფულე სწრაფად გახსნა და შიგ, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკული დოლარებისა და ბრიტანული „ფუნტ“ სტერლინგის უმსხვილესი და თანაც, საკმაოდ ბევრი კუპიურა ეწყო. აი, ამ მომენტში კი მისმა ოჯახმა, სამსახურმა და საერთოდ, მთელმა ცხოვრებამ ცხენების ჯოგივით გაურბინა გონებაში. ფიქრობდა... ფიქრობდა, თუ როგორ მოქცეულიყო. მაგ ფულით ხომ ოჯახს წელში გაასწორებდა, უკეთეს კარიერასაც აიწყობდა და საერთოდ, დიდი ნაბიჯებით ივლიდა ცხოვრებაში, მაგრამ ადიდებული მდინარესავით წამოშლილი სასიამოვნო ფიქრი არც კი დასცალდა, რადგან საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ საგანგაშო სირენასავით გამოაცხადა, რომ დაკარგული იყო უცხოელი ბიზნესმენის საფულე და ამიტომ ყველას ყველა ღონე უნდა ეხმარა მის საპოვნელად. ამის გამგონე იზოლდა შეკრთა, სასიამოვნო ფიქრები თავის კალაპოტს დაუბრუნა... შიშის ფაქტორიც უზარმაზარი იყო, დამალვა ვეღარ გაბედა და მპოვნელის სტატუსით წარდგა. ბიზნესში „ხუთოსანი“ და ქართულ ენაში „ოროსანი“ უცხოელი სახეზე ღიმილით და გულში ნათქვამი yes! yes! yes-ის! მდგომარეობაში მიუახლოვდა იზოლდას, გამოართვა საფულე და თან გამოიყოლა იზოლდას ოცნებებიც. ქალს მხოლოდ მზერაღა აკავშირებდა საფულესთან, რომელიც უცხოელის ჯიბეში ჩაიკარგა და სამუდამოდ მოსწყდა იზოლდას მზერაც... უცხოელმა აიღო კალამი, ფურცელი და ერთი კუპიურა... იზოლდას თმის სამაგრი გამოართვა და რამდენიმე წამში ქალს ხელში შერჩა საკუთარ თმის სამაგრში გარჭობილი 1-დოლარიანი და ფურცელი, რომელზეც ეწერა: THANK YOU...

P.S. იზოლდა მეორე დღესვე წავიდა თავისი „სხვა გზა არ ჰქონდა“ სამსახურიდან. მისტერ“.

ბოთე

„იღბლიანი“ შემთხვევა ისეთი უნდა, ჩემს ბოთე კლასელს, ლევანჩიკას რომ დაემართა. ჰოდა, ეს ჩვენი ლევანი, ჭკუით ვერა, მაგრამ ფიზიკურად ყოველთვის გამოირჩეოდა. მაღალი, ქერა, ცისფერთვალება, ათლეტური აღნაგობის გახლდათ. ფანების რიგიც ედგა და ყოველ მეორე დღეს, ეს ჩვენი დონჟუანი, ახალ-ახალ გოგონებთან ერთად იჩითებოდა. ერთ მშვენიერ დღეს ძმაკაცი გადაეკიდა, მეზობელი დამიქორწინდა და წამო, ვიქეიფოთ მაინცო. ისე იქეიფა ჩემმა მტერმა, როგორც ლევანმა — იქ... თათრების ქორწილი ყოფილა და გაჭყიპეს საწყალი ლეო, უშველებელ ფინჯანში დასხმული ჩაით. მის გვერდით ერთი თათრის გოგო მჯდარა. თურმე ნუ იტყვით და „მასწონებია“ ჩვენი ლევანა. ეტმასნება თურმე ეს გოგო და არის ერთ ამბავში. ჰოდა, მერე, ლევანის თქმის არ იყოს, — კაცი ვარ და მეპატიებაო, — გაუყვანია გვერდით ეს გოგო და როგორც თვითონ თქვა, საქმეც შეუსრულებია. ქორწილი რამდენიმე თვის წინ იყო, ლევანს კი ამ დღეებში ძმაკაცმა უთხრა, თათარი დაგეძებს, ან შეუყვარდი, ან ბავშვს გაგიგორებს მალეო. დაფეთებულ ბიჭს არც ერთი აწყობდა და არც მეორე. ამიტომ დღემდე უწევს სოფელ-სოფელ სიარული, სადმე იმ „მიპაჩინკებულ“ გოგოს რომ არ გადაეყაროს. ამას წინათ, „ბაბნიკის“ სახელით მოვიხსენიეთ. გაბრაზებული მოგვიტრიალდა და ჩაიბუზღუნა — რით ვერ გაიგეთ, მე ქალებში არ დავდივარ, არა!.. ისინი დადიან ჩემთან, თავისი ნებითო... აი, ასეთია ჩვენი ლეო-კაცი და სხვა თუ არაფერი, ის თათრის გოგოც მეცოდება, მის ხელში მოსახვედრად. დამავოი“.

„მინდოდა, გეგრძნო, რომ სასურველი ქალი იყავი“

„იღბლიან კი არა, მტკივნეულ შემთხვევაზე დავწერ. ჩემს დაქალს გადახდა თავს. ჩათში ბორიალის დროს გაიცნო 1 ბიჭი, რომელმაც თავიდანვე უთხრა, რომ ცოლ-შვილი ჰყავდა და აქ მხოლოდ ერთობოდა. ნათიამ უთხრა დათოს, არა უშავს, ვიმეგობროთ, კარგია, თავიდანვე რომ მითხარიო. დამეგობრდნენ. ერთმანეთის შესახებ ყველა დეტალი იცოდნენ, არაფერს უმალავდნენ. ბიჭი ნათიაზე განსაკუთრებით ზრუნავდა, რადგან ნათიას მხედველობის მხრივ პრობლემები ჰქონდა, ელამი იყო. ბიჭი სულ ანუგეშებდა, ნუ დარდობ, ბევრი ადამიანია ჯანსაღი, მაგრამ სული აქვს მახინჯი, შენ კი ისეთი საყვარელი, ნაზი და კეთილი ხარ, აუცილებლად იპოვი კარგ ბიჭს, რომელთანაც მთელი ცხოვრება ბედნიერად იცხოვრებო. ნათიასაც სჯეროდა და ელოდა თავის უფლისწულს. ერთხელ უცხო ბიჭმა დაუმესიჯა, თქვენი გაცნობა თუ შეიძლებაო? ასე დაიწყო მათი ურთიერთობა. ზეზვა ძალიან გულჩათხრობილი იყო. ნათია მის ალაპარაკებას ელოდა. გოგოს გულში უყვარდა თავისი ახალი ნაცნობი, მაგრამ ვერ უმხელდა. იმედიც გაუჩნდა, იქნებ ამ ბიჭმა მიმიღოს ჩემი ნაკლითო. სიმართლის თქმა გადაწყვიტა, მაგრამ ბიჭმა დაასწრო: ნათია, მინდა, ჩემზე გიამბო: 1 წლის წინ, ერთი ნაკლიანი გოგო მიყვარდა, მას 1 თვალი შუშის ჰქონდა. დედამისმა დამაშორა მას, რადგან ღარიბი ვიყავი... ნათიას

ამგვარ შეგვიყვანეთ ცხოვრებაში, ამოცა ხახვის მეცი საჭმელი ვარ გვაქვს!

ცივმა ოფლმა დაასხა. ადგა და თავისი ამბავი მოუყვა, არ მინდა, ჩემნაირი გოგო შეიყვარო მეორედ, ეს უკვე მეტისმეტიაო. ზეზვამ ანუგეშა, შენ ისეთი კარგი ხარ, ყველას შეუყვარდებიო. ამ შექებამ ნათიას იმედი ჩაუსახა. ნათიამ ზეზვას სთხოვა, სურათი მაჩვენეო. გადავიღებ და გაჩვენებო, ბიჭი შეჰპირდა. ერთხელ დათომ და ნათიამ იჩხუბეს და დაშორდნენ. გოგოს არ მოსწონდა დათოს დაინტერესება ჩათით. ეშინოდა, ვინმე არ გაეცნო და ოჯახი არ დანგრეოდა. ნათია მხოლოდ ზეზვას სწერდა. ერთხელ ზეზვამ წერის დროს მესიჯი დააგვიანა. ნათიამ უსაყვედურა. დათოსაც ვწერ, იმას, შენც რომ იცნობ, ახლა მიამბო თქვენი დაშორების ამბავი და ისიც ნერვიულობსო, უპასუხა ბიჭმა და კითხვები დააყარა: როგორია დათო? ოჯახი ჰყავს? რა იცი მასზე? მითხარი ყველაფერიო. ნათია დაეჭვდა და მხოლოდ ის უთხრა: რაც ვიცი, ჩემთან დარჩება, ენატანია კი არ ვარო. იცი, ნათი, უნდა გაგაოცო, მე და დათო ტყუპი ვართ, ეს იცოდიო? ნათიას მწარედ ჩაეცინა, რადგან დათო 30 წლის იყო, ზეზვამ კი, 32 წლის ვარო, გაცნობისას უთხრა. ტყუილი გამოაშკარავდა. აღმოჩნდა, რომ დათო და ზეზვა ერთი და იგივე ადამიანი იყო. დათომ თავი ასე იმართლა: შენ გამო ჩავიდინე ეს, რადგან მინდოდა გეგრძნო, რომ სასურველი ქალი იყავი და მაპატიეო. რა თქმა უნდა, ამის პატიება ძალიან რთული იყო და ნათიამაც ვერ აპატია. ექსტაზი“.

ოჯახების დანგრევის რეალური მიზეზი

„ამ კვირაში ბაბუს დასახმარებლად „გავზქურე“ სოფელში. სიმინდის რჩევას გადავყევი. თბილისისკენ მოვდიოდით, რომ „მარშრუტკის“ მძღოლმა რადიო ააგუგუნა და იმ გადაცემაზე „დაასტოპა“, სადაც ნანუკა ჟორჟოლიანს შორენა ბეგაშვილი („იმედის“ ახალი, ექსცენტრიკული გადაცემის — „საუბრები სექსზე“, წამყვანი) ჰყავდა სტუმრად. იმ მომენტს მოვუსწარით, 30 წლის „ქალიშვილ“ გოგონებს დასცინოდნენ, რამ გააძლებინათო (სასაცილო ვინ უფრო იყო, ეგ მეორე საკითხია). შორენამ თავისი გადაცემის საჭიროება ასე გაამართლა: — მე სექსზე ბევრი რამე რომ არ ვიცოდი, იმიტომ მოხვდა სხვის კალთაში ჩემი ქმარი და იმიტომ დამენგრა 16 წლის გოგოს, ოჯახიო. ერთმა მსმენელმა საერთოდ დამშოკა, ნანუკა ჟორჟოლიანს მიახალა, შენ თვითონ რატომ დაუნგრიე სხვას ოჯახი, ის თქვიო. ნანუკამ, მიყვარსო, ბატონო, თავს მირჩევნიაო და არავის დავანებებ მის თავსო. მიყვარსო, ბატონო, მიდი და ედავე ახლა. გაბრაზებაც კი ვერ მოვახერხე, ისტერიკული სიცილი ამივარდა. არავის განკითხვას არ ვაპირებ... მესმის იმ მსმენელი ბიჭის, ეგ გადაცემა ცირკის წინ ჩაატაროთ, ჯობიაო, რომ გითხრათ (ვენაცვალე კაცობაში) და თქვენიც მესმის... P.S. ნეტავ, პროვოკატორი რა კომენტარს გააკეთებდა ამ ინტერვიუზე, რომ მოესმინა, ა? P.P.S. არა, სექსის ანა-ბანა თუ არ ვისწავლეთ ქალებმა, დაგვნგრევია ოჯახი და ეგაა. არ გვეკადრება, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ხალხს, BOYFRIEND-GIRLFRIEND-ის ინსტიტუტი. ლიმონა“.

„კვანწი, გოგო...“

„ჩემი დიდი სიყვარული წითელი ფერის მიმართ, ჩემს ჩაცმულობაზეც აისახება. წითელი ქუდი, წითელი „ბანტი“ თმაზე, წითელი მაისური და ჩექმა თითქმის ყოველდღე მამშვენებს. ერთ მზიან, ლამაზ დღეს ასე წითლებში გამოწყობილი დავადექი მამიდასთან მიმავალ გზას. თვალებმოჭუტული ავედი „მარშრუტკაში“. ჩემ უკან ბიჭები ისხდნენ და მათი ხმამაღალი საუბარი და სიცილი ყველას გვესმოდა. ჩემს დანახვაზე ერთ-ერთმა თავისი ჭკუით, გაიღადავა, ხმა დაიწვრილა, მომაშტერდა და ძალიან საყვარლად თქვა: „კვანწი, გოგო, კვანწებიი“. მე მორცხვად შევხედე ბიჭებს. უშნოდ ხარხარებდნენ, თორემ სხვა მხრივ ვერაფერს დაუწუნებდი, სიმპათიური ბიჭები იყვნენ. ერთ-ერთი გვერდით მომისკუპდა და დაიქოქა. დადნა ლამაზ სიტყვებად. უხერხულად ვგრძნობდი თავს, თუმცა ბიჭები მხიარულები იყვნენ და „დამდნარ“ ძმაკაცს საყვედურობდნენ, ნუ შეაწუხე ეგ გოგოო. ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, ჩემი ნომერი მაინც არ მივეცი. სამაგიეროდ, თავად მომცა თავისი ნომერი. იცით? მე მას სამი დღის შემდეგ მივწერე და არც ვნანობ. ის მუდამ მამხნევებს, ისევ ძველებურად დნება ლამაზ სიტყვებად (წითელქუდას მეძახის) და ცხოვრებას მილამაზებს... შეიძლება, ვერ გამიგოთ, მაგრამ ასეა... მიხარია და ძალიან, ძალიან მიყვარს! ძმად მიმაჩნია და ბედნიერი ვარ იმ დღის შემდეგ, რაც ის გავიცანი. ლუნა“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„ბანალურია, მაგრამ იღბლიანი შემთხვევაა ის, რომ ყველა ჩემმა მეგობარმა და ნაცნობმა, რომელთა სერიოზულობაში სულაც არ მეპარება ეჭვი, „ოდნოკლასნიკების“ საშუალებით იპოვა თავისი იდეალი, ერთადერთი და ნამდვილი სიყვარული... ბევრი დაოჯახდა, უკვე პატარები გაჩნდნენ. ჩემი დაქალი გაკოტრდა, იმდენჯერ დაპატიჟეს ნათლიად. ეს საიტი აშკარად წვლილს შეიტანს საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებაში. ალბათ ბევრიც დამეთანხმება ამაში და იქნებ თემაც იყოს ერთხელ... სვანის ასული“.

„იღბლიანი შემთხვევებით ჩემი ცხოვრება არც ისეთი დახუნძლულია, რომ ვინმეს გაუკვირდეს ან შეშურდეს, მაგრამ ამის გამო თითქმის არასოდეს მიწუწუნია. SWEET-GIRL“.

■

დახვეწილ სილამაზეს ყოველთვის აქვს საბოლოო

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „ყველაზე უცნაური გათხოვების ამბავი“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად უნდა დაასრულოთ ფრაზა: „მე რომ „გზის“ რედაქტორი ვიყო...“

„ღმერთისგან ბოძებულ სიმდიდრეს – ოჯახს გაუფრთხილდი“



„ვირტუალური სიყვარული ადამიანს აბრმავებს“

„გზის“ №42-ში დაიბეჭდა დამავოის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი წუხდა, რომ მეგობარს, რომელსაც ოჯახის ღალატი აქვს გადაწყვეტილი, ვერაფერი შეაგნებინა და ამიტომაც, დახმარებისა და რჩევისთვის „გზის“ მკითხველებს მოგმართათ. „ნატა 26 წლისაა. გათხოვილია და 2 წლის ლუკაც ჰყავს. მის ქმარსაც ვიცნობ — ძალიან კარგი ადამიანია და რაც მთავარია, ცოლი ძალიან უყვარს. 2 თვის წინ ნატამ „ჯეო-ჩატში“ ვიღაც ლაშა გაიცნო, რომელიც დღემდე არ უნახავს. ამას წინათ გამიმხილა: ქმარი მომბეზრდა და გადავწყვიტე, ლაშასთან წავიდეო... მიუხედავად ბევრი ჩხუბისა და რჩევა-დარიგებისა, ვერაფერი შევაგნებინე“.

ლიკა ქაჯაია

დიკ-20:

„ჯერჯერობით, შენს სიკეთეს მხოლოდ ღმერთი დაინახავს... ნატა, გამოფხიზლდი, უკეთესის მოლოდინში უარესი არ შეგხვდეს და ბედნიერება არ დაკარგო“.

იკუშკეგი:

„თუ ამ მესიჯს კითხულობ, ჩათვალე, რომ ცხოვრებამ ბედნიერების კიდევ ერთი შანსი მოგცა. შეცდომა არ დაუშვა და ქმარ-შვილი არ მიატოვო. შენ გესმის, რა არის ოჯახი და პასუხისმგებლობა? რამ აგაცანცარა ამხელა ქალი? ნუთუ, აზროვნების უნარი სულ დაკარგე? სინდის-ნამუსი არ გაქვს? შენ საერთოდ, სიყვარული იცი, რა არის? შენი სიბინძურით რატომ აუფასურებ ამ ლამაზ და სათუთ გრძნობას? არ მესმის, გონიერმა ქალმა ოჯახი როგორ უნდა დაანგრიოს. თან, შვილი გყავს, 2 წლის ანგელოზი. ნუთუ ვნებამ ისე დაგაბრმავა, რომ მზად ხარ, საკუთარ შვილს მომავალი დაუნგრიო. ღმერთო ჩემო, ქალი როგორ უნდა იყო ასეთი სულმდაბალი? ეგ შენი ლაშა ცოტა ხანს გიხმარს (ბოდიში, მკითხველთან) და მერე მიგაგდებს... ნამდვილად, ფურთხის ღირსი ხარ! რა საშვილოსნოს ცოფი გჭირს ისეთი, ერთი კაცი რომ ვერ გაკმაყოფილებს? შენთან ახლოს რომ ვიყო, ისეთს შემოგილაწუნებდი, ლაშას და ღალატის სურვილს კი არა, ამქვეყნად ყველაფერს დაგავიწყებდი. შენს საქციელს არანაირი გამართლება არა აქვს. ფუი, შენს ქალობას“.

გიორგი, კახეთიდან:

„ნუ ენდობი იმ ადამიანს, რომელიც არც კი გინახავს. მის გამო მეუღლე და შვილი როგორ უნდა მიატოვო? ეს ხომ სისულელეა! ვიდრე ძალიან გვიანი არაა, გონს მოეგე“.

რუსანერი:

„გაოცებული ვარ, რა. რამ გადარია ეს ხალხი? შე კაი დედმამიშვილო, ქმარი გყავს, შვილი გყავს, ჰოდა, დაეტიე შენს ადგილას. ქმარი მოგბეზრდა რა, ტანსაცმელი ხომ არაა, გაცვდეს? ჯანდაბას, ქმარი მოგწყინდა (ვაიმეეე), შენს შვილს რაღას ერჩი? ვინ არის ლაშა? მოვა დრო და თავში ხელს შემოირტყამ. მოინდომა აქ ჯულიეტობანას თამაში. P.S. დამავოი, ჩემი აზრით, შენი მეგობრის ქმარს სიმართლე უნდა უთხრა“.

ჭრიჭინა:

„ეს გოგო ილუზიებშია ჩაფლული. მომიტევეთ გამოთქმისთვის, მაგრამ დედა მაშინ ეტირება, როცა ლაშა თავისას გაისწორებს და მიაგდებს. ოდესმე აუცილებლად მიხვდება, რომ სისულელე გააკეთა, რადგან არარაობის გამო თავისი თბილი და ტკბილი ბუდე დაკარგა, თავის ერთადერთ პატარას ოჯახი დაუნგრია. ხალხო, ნუ გამაგიჟეთ, საკუთარი შვილების გაწირვა ასე როგორ შეგიძლიათ?..“

აფვერისტა:

„ჩემო კარგო, შენ ნატასთვის კარგი გინდა, მაგრამ ის ვირტუალურ სამყაროში ისე გადაეშვა, რომ შენი რჩევა ფეხებზე ჰკიდია. შეეშვი, ეტყობა, ფშუტე ქალია და წაიმტვრევს კიდეც კისერს. ნატა, 26 წლის ქალს ჭკუა გამოგელია? გგონია, მას უყვარხარ? მწარედ ცდები!“

ნათი-ნათი:

„ამ გოგოს მართლა არ ჰქონია აზროვნების უნარი. ის კარგი ქმრის ღირსი ნამდვილად არაა. როგორ შეიძლება, ქმარ-შვილს ვიღაც ჩატში გაცნობილი ანაცვალო? P.S. აბა, რა რჩევა უნდა მივცე ადამიანს, რომელიც დედობის ღირსიც არაა?! იმედია, შერცხვება თავისი საქციელის“.

GOLD GIRL:

„26 წლის გოგოს გრამი ტვინი არ გაქვს თავში. როგორ შეიძლება, 2 თვის გაცნობილ ადამიანზე გაცვალო ოჯახი და მეგობრები? დამავოი, შენ შენი გააკეთე და ეცადე, მისთვის თვალები აგეხილა, მაგრამ ის უგუნური აღმოჩნდა. დარწმუნებული ვარ, ერთ დღეს მარტოდმარტო დარჩება და საკუთარ საქციელს ინანებს. მიხვდება, თუ როგორი ადამიანი დაკარგა შენი სახით. P.S. ისე, შენნაირ მეგობარს არც მე დავიწუნებდი“.

ლუნა:

„ვირტუალური სიყვარული ადამიანს აბრმავებს. ნატა, შენ მოსიყვარულე ქმარ-შვილი გყავს, ამაზე კი ბევრი ქალი ოცნებობს. დარწმუნებული ვარ, შენს წარმოსახვაში ლაშა მაგარი ბიჭია, მაგრამ შესაძლოა, იმედები გაგიცრუვდეს და უბრალო გატაცების გამო ოჯახს დაკარგავ. არა მგონია, ლაშას ქმარშვილიანი ქალი სერიოზულად შეჰყვარებოდა. ის შენთან გაერთობა და მიგატოვებს. ვერ ვხვდები, ნამდვილი სიყვარული ვირტუალურში როგორ უნდა გაცვალო? დამავოი, მეგობრის გადასარჩენად ყველაფერი გააკეთე. თუ არ გაუმართლებს, თავის თავს დააბრალოს“.

გინა 20:

„ნატა სრულ ჭკუაზე არაა. მისი

ქმრის ადგილას მოღალატე ცოლს სახლიდან გავაგდებდი, ამ ქალის საქციელს გამართლება არა აქვს. ის შეცდომას უშვებს და შედეგად, ყველაფერს დაკარგავს. იმედია, გონს დროულად მოეგება. ღმერთი გფარავდეთ ყველას“.

სვანის ასული:

„ალბათ, დიასახლისობა მოჰბეზრდა და მძაფრ შეგრძნებებს ეძებს. უსიყვარულო ცხოვრებას არავის ვურჩევ, მაგრამ ხომ არსებობს სინდისი, პასუხისმგებლობის გრძნობა... ხალხნო, ვირტუალურ ნაცნობობაზე გაუთხოვრები არ ვირევით და თქვენ რაღა გჭირთ? რატომ გაქვთ ამდენი თავისუფალი დრო სისულელისთვის? მით უმეტეს, გადასარევი ქმარი გყოლია. ამ ბანალური მაგალითით სხვებმა მაინც ისწავლეთ ჭკუა“.

GRAZY GIRL:

„მეგობარო, შენ ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო. 26 წლის გოგოს იმდენი კი უნდა ესმოდეს, რომ ასე აცანცარება და ამჩატება არ შეიძლება. იმედია, მიხვდება, რომ მართალი ხარ და ბოდიშს მოგიხდის. ნატა, საბედისწერო შეცდომა არ დაუშვა!“

ინა:

„მგონი, ეს გოგო კარგ ოჯახში ცხოვრებას არც იმსახურებს. რას ჰქვია, ქმარი მოჰბეზრდა? როცა დაკარგავს, მერე მიხვდება, რომ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, მაგრამ უკვე გვიანი იქნება. ნერვები მომეშალა, რა. ამხელა გოგო რამ ააცუნდრუკა? 15 წლის ბავშვებს მეტი ტვინი აქვთ. რა ჰგონია, 2 თვის გაცნობილი ბიჭი „ოქროს კოშკებს“ აუგებს და იქ აცხოვრებს? ეგ კი არა და, გამოიყენებს, მიაგდებს და მერე, ბავშვთან ერთად ქუჩაში აღმოჩნდება. ნატ, ჩვენ არავინ გვეკითხება, ცხოვრებას როგორ მოიწყობ ან რას და როგორ გააკეთებ, მაგრამ გირჩევ, დააფასო ის, რაც გაქვს“.

გრუზინკა:

„ადრე „ლაი-ლაის“ ჩატში ვიყავი დარეგისტრირებული, სადაც უამრავი მსგავსი რამ ხდებოდა. ერთმა გოგომ ქმარ-შვილი მიატოვა და ბოლოს, ქუჩაში აღმოჩნდა. თუ გონს არ მოეგება, სამწუხაროდ, ნატაც მის ბედს გაიზიარებს. მიკვირს იმ ადამიანების, რომელთაც არარაობის გამო ოჯახური კერის მიტოვება შეუძლიათ... ღმერთმა უშველოს ნატას“.

ზოკოლადა:

„არ ვიცი, ღირს კი რჩევის მიცემა ადამიანისთვის, რომელმაც საკუთარ დაქალს არ მოუსმინა, მაგრამ ერთს მაინც ვეტყვი: პატარა ლუკას გამო მაინც დაფიქრდი, ღმერთისგან ბოძებულ სიმდიდრეს — ოჯახს გაუფრთხილდი. ვირტუალური სიყვარული არ არსებობს. ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნები“. ■

პატარა ქალუკა 20:

„პრივეტ. მე ტკივილი გადავლახე და ეს იცით, რამ შემაძლებინა? უფლისადმი გულმხურვალე ლოცვამ. ბავშვებო, გმადლობთ, რჩევისათვის. უფალმა დაგლოცოთ გულისხმიერებისთვის. ვამაყობ, რომ ქართველი ვარ. აბა, ერთმანეთის ტკივილს ასე ძალიან სხვაგან სად იზიარებენ? იცით, მეც თითქმის თქვენნაირად ვფიქრობ — ლევანს პასუხისმგებლობის შეეშინდა. ნუ, რაც იყო, იყო. მე შესაცოდი არაფერი მჭირს. მერე რა, რომ ავად გახლავართ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამის გამო სხვებზე ნაკლები ვარ, ცდება. სულიერად არ დავცემულვარ. ბიჭის ასეთი საქციელი ვერ დამამარცხებს, სასოს ვერ წარმიკვეთს. უბრალოდ, მისმა ადამიანურმა სისუსტემ მატკინა გული... ცხოვრება მაინც მშვენიერია და თუ რაიმე თქვენც გაწუხებთ, ილოცეთ. ჩვენ, ქართველი მართლმადიდებლები ვალდებულნიც ვართ, ღირსეულად გავუძლოთ ტკივილს, რომელსაც აუცილებლად, სიხარული შეცვლის. მიყვარხართ“.

უცნობი, 16 წლის:

„ჩემს ცხოვრებაში მართლაც, უამრავი საშინელება მოხდა, მაგრამ ყველაფერს ვერ მოვყვები, ამის გახსენებაც კი ცუდად მხდის. უკვე ბევრჯერ მოგწერეთ საკუთარი პრობლემების შესახებ და თქვენი რჩევების წყალობით გადაწყვეტილების მიღებაც ყოველთვის მიადვილდებოდა, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით. იმდენი სიმწარე ვნახე, იმდენი ტკივილი გადავიტანე, რომ საკუთარი თავი მეცოდება (მიუხედავად იმისა, რომ შეცოდების ღირსი არა ვარ). ამ ბოლო დროს ხალხთან ურთიერთობას გავურბივარ, რადგან მგონია, ყველა გულს მატკენს. უამრავი შეცდომა დავუშვი და ამის გამო საკუთარ თავს ვსჯი. ყოველღამე ვლოცულობ და ღმერთს ვევედრები, რომ ბედნიერება მაპოვნინოს, მაგრამ არაქალწული გოგო ვის რაში სჭირდება?..“

გერასიმე:

„მინდა, იკუშკებს ვუთხრა, რომ ძალიან ჭკვიანია და „გზის“ მკითხველებს ყოველთვის კარგ რჩევას აძლევს. გაიხარე, ჩემო ჭკვიანო გოგონა. მიყვარხარ“.

ლადი 22:

„დამიბეჭდე, რა, გთხოვ. თქვენი რჩევები ძალიან დამეხმარა, მაგრამ საქმროს სიმართლეს იცით, რატომ ვერ ვეუბნები? — მისთვის ხელის გადახვევის უფლებაც არასდროს მიმიცია. ჰოდა, გული იმიტომ მწყდება, რომ ანგელოზი ვგონივარ, მე კიდევ... ამ ამბავს სხვისგან ვერ გაიგებს, რადგან დედაჩემმაც არ იცის, იმ დღეს რა მოხდა. სხვათა შორის, იმ ბიჭმა, რომელმაც შორეულ წარსულში მომიტაცა, ჩემი წამოსვლიდან 2 თვეში ცოლი მოიყვანა და მათ შვილიც ჰყავთ. ეჰ, მე რაღას მერჩოდა?.. ნათუშკა, მადლობა შენც და შენს მეუღლესაც, ფარვანა 57 — სამწუხაროდ, წარმოდგენა არ მაქვს, როგორ უნდა დაგიკავშირდე. ყველა მგზავნელს დიდი მადლობა, ძალიან გამამხნევეთ“.

ნანუკა:

„დიდი მადლობა, ჩემი მესიჯი რომ დაბეჭდეთ. მართლა კარგი რჩევები მივიღე და ისინი გადაწყვეტილების მიღებაშიც დამეხმარა“.

აბეზარა:

„მინდა, რჩევისთვის ყველა მგზავნელს მადლობა ვუთხრა. ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, ყველა მიგვატოვებს, მაგრამ როცა ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი და ბებო იმ ქვეყნად გადასახლდა, ამასთან შეგუება გამიძნელდა. ახლა თავს მშვიდად ვგრძნობ, რადგან ბებიაჩემს ლოცვა და სანთელი არ აკლია. კიდევ ერთხელ გმადლობთ, ყველანი კარგები ხართ“. ■

თინეიჯერები გვწერენ

„ძმაკაცებისთვის სხვანაირი თვალით არასდროს შემისედავს“

თოლია:

„თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. ვიცი, სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარებით. ერთი ჩვეულებრივი, 15 წლის გოგო ვარ, მაგრამ ზრდასრული, უკვე ჩამოყალიბებული ქალის შეხედულება მაქვს. გარეგნობით დიდად არ გამოვირჩევი, მაგრამ მამაკაცები, როგორც ქალსა და სექსუალურ პარტნიორს, ისე მიყურებენ. ძირითადად, 15-დან 25 წლამდე ბიჭები მეტორღიალებიან. ჩემს თაყვანისმცემლებს შორის ბევრი ჩემი უახლოესი მეგობარი და ცოლშვილიანი კაცია. ყველა მეუბნება, რომ მიმზიდველი ქალი ვარ. მორწმუნე გახლავართ და ასეთ სიბილწეს ვერ ვიტან. ამიტომაც, მათ უარით ვისტუმრებ, რის გამოც, ამ ბიჭებთან ყველანაირი ურთიერთობა მიფუჭდება. მერწმუნეთ, ძმაკაცებისთვის სხვანაირი თვალით არასდროს შემიხედავს და თითქოს ისინიც ჩვეულებრივად მიყურებდნენ. როგორ მოვიქცე, რომ მათთან მეგობრული ურთიერთობა არ გამიფუჭდეს? დიდი მადლობა წინასწარ“.

P.S. მაშ ასე, თუ თოლიას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს. ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 34 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, სუფთა წარსულის მქონე მანდილოსანი. გამომეხმაუროს 34-42 წლის, დასაქმებული მამაკაცი, მხოლოდ — სერიოზული, სიმპათიური, ოჯახის შექმნის მიზნით.

2. ვარ 39 წლის, განათლებული, სიმპათიური. გათხოვილი არ ვყოფილვარ. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ განათლებულ და დასაქმებულ მამაკაცს, 39 წლის ზემოთ.

3. ვარ 22 წლის, ლამაზი, მაღალი და სუსტი. გავიცნობ ქუთაისელ, მაღალ, შავგვრემან, სიმპათიურ ბიჭს. დანარჩენი — გაცნობის შემდეგ. ველი თქვენს მესიჯს.

4. ვეხმაურები 41-ე გვერდზე გამოქვეყნებულ გოგიტას განცხადებას, ბათუმიდან. შორენა.

კაცები

5. ვეხმაურები „გზა“ №41, 29 წლის მშვენიერ ანას. ვარ 34 წლის, ლამა. კარგი ადამიანი უნდა იყო. როგორ დაგიკავშირდეთ?

6. ვარ 36 წლის მამაკაცი, სპეციალობით — ავიატექნიკოსი, ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ, 26-32 წლის ქალს.

7. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, აჭარელ ან გურულ გოგონას. შესაძლებელია დაოჯახებაც.

8. ვეძებ გოგოს, 1984 ან 1988 წელს დაბადებულს, აჭარელს ან წარმოშობით აჭარელს ან მუსლიმანს. ქობულეთელი თემური კამაშიძე. 29.177.71

9. გავიცნობ 30 წლის მანდილოსანს, თბილისელს.

10. მარი, მაინტერესებს მე-7 მესიჯის ავტორის ნომერი. რამაზი.

11. ვეხმიანები „გზა“ №42-ში გამოქვეყნებულ მე-6 განცხადების ავტორს, ექთან ნინიკოს. ნინიკო, ეს ჩემი ნომერია. თუ გაქვს სურვილი, შემეხმიანე. ლაშა.

12. „გზა“ №37, მე-3 მესიჯის ავტორის ნომერი, თუ შეიძლება.

13. გამარჯობა მკითხველებო და ულამაზესებო, ვარ 32 წლის, მწვანეთვალება, სიმპათიური ახალგაზრდა და მსურს გავიცნო გაგებული მანდილოსანი, სიყვარულისთვის.

14. მარ, განცხადებებში ჩამწერე: გავიცნობ მაღალ, მწვანეთვალება და ძალიან ლამაზ გოგონას. მე როგორი ვარ? მერე გეტყვი. :) დათო. P.S. ჯიგარ, დამიკავშირდი.

ვეძებ

15. მინდა, მოგიყვეთ ჩემი ცხოვრების შესახებ: ვეძებ მამაჩემს, აბესალომს (აბელი). მის ძმებს გურამი და ოთარი ჰქვია. ქობულაძე, ქობულოვი — ერთ-ერთი მათი გვარია. ვარ 28 წლის. 18 წელია ვეძებ ჩემს ოჯახს. დედას ღია ჰქვია. გთხოვთ, იქნებ დამეხმაროთ, სინამდვილეში რა გვარი ვარ, არ ვიცი. ყველას ვეტყვი: დედებო, არ დაუშვათ შეცდომა.

16. ვეძებ საბერძნეთში, ქალაქ სალონიკში მცხოვრებ დათო ქართველიშვილს. თუ წაიკითხავ, ძალიან გთხოვ, ნომერი მომწერე, როგორ დაგიკავშირდე.

სხვადასხვა

• ლიმონა, იკუშკები, 9717, ტირიფი73, მაგრები ხააართ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თქვენი კეთილგანწყობის მოპოვება მინდა. არა, უბრალოდ, თქვენი გზავნილებიდან ჩანს, რომ მართლა მაგარი ადამიანები ხართ. რა თქმა უნდა, მარის თამადობით. მარი, მეც მარი მქვია და დიდი იმედი მაქვს, რომ მესიჯს დამიბეჭდავ, რადგან პირველად გწერთ. დიდი ხანია, რაც „გზას“ ვკითხულობ, მაგრამ პირველად მოგწერეთ. იმედია, მყუდროებას არ დაგირღვევთ, თუ თქვენს უზარმაზარ და ლამაზ ოჯახში მიმიღებთ. იკუშკები, მინდა გაგიცნო, რადგან ჯიგარი ადამიანი ხარ. მეც გურული ვარ, გურიაში ვცხოვრობ. რას იტყვი? ასევე მოვიკითხავ ყველა მგზავნელს, ყველანი კარგები ხართ. გულისტუზა.

• ღია სარკმელთან ვინატრე ახლა, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ქალი, ამ სარკმელიდან დიდი ხნის წინათ, პატარა ზეცას მოვკარი თვალი. ფიქრი წლებივით მემატებოდა, ღია სარკმელთან ვიდექი ხანგრძლივ, მე ამ სარკმელთან მენატრებოდა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ქალი. დღეს ეჭვი კბილებს ისევ ილესავს და ცრემლებს ისევ ღვრიან და ღვრიან, მე მინდა, დედებს უმორჩილესად, ვთხოვო, სარკმელი დატოვონ ღია... მოკითხვა SWEETS, GREENS, ბუბუსიკა და კიკოს (ნეტავ როდის გნახავთ, კიდევ?) და ყველას. 9717.

• გრძელი თითებით თუთას არჩევდა, თუთა ვთხოვე და წარბი ასწია, მიჩვენა სამი ლამაზი თითის, ულამაზესი კომბინაცია... 9717.

• ჩემო საყვარელო მგზავნელებო, მოგი-

კითხავთ ყველას. მინდა განსაკუთრებით სუპერსთარის გასაოცარი დაიკო, თაკო მოვიკითხო. უი, ჰოო, გივის სპექტაკლზე ვიყავი და უმაგრესია, თავის ნიკს ნამდვილად ამართლებს. გივი, შენ ჩემი სუპერვარსკვლავი ხარ. ახალი ამბავი იცით? „გზის“ ყველაზე, ყველაზე პატალა და საყვარელი ბისკვიტი, კოზანოსტრა ჩემი ნათლული ხდებაააა. ბისკვიტუნ, მაგრად მიყვარხარ და გპირდები, ყველაზე კაი ნათლია ვიქნები... აბლახანუმ, ბარაქალა შენს ქალობას, ულამაზესი ხარ... მპუაჩები როკოს და მაესტროს. სკარლეტი.

• იდუმალო ქალო, გაიხარე, რომ გახსოვარ. ისე, მე და შენი ქალიშვილი სეხნიები ყოფილვართ. უკვე შემიყვარდა. კამი, კიმოონ, ენიგმა, ჩაგკოცნეთ მაგრაად. თოლია.

• აუ, ჩემს დაქალს არ სჯერა, რომ ჩვენს მესიჯებს აქვეყნებ. ვაკითხებ ჩემს მესიჯებს ჟურნალში და მეუბნება, არ მჯერაო. შენი ნომერი მივეცი, მეც დავამესიჯებ და ვნახოთ, თუ დაბეჭდავსო. დაუბეჭდე, რა, ქართულ რესტორანში ხინკლის ჭამაც გარანტირებული მექნება. ალინა.

• გამარჯობა მარი, გაგაღვიძე? ჟურნალს ვკითხულობდი და დარდი ამეშალა. მე ერთ-ერთი უძველესი მგზავნელი ვარ და იმ ბედნიერთა რიცხვს ვეკუთვნი, შენს 2 მესიჯს რელიკვიად რომ ინახავს მობილურის არქივში. სიმშვიდით ძველი დრო ჯობდა, მრავალფეროვნებით კი — ახალი. თუმცა, ამათთან სიმშვიდის დეფიციტია და აგრესიის ზეობა, რაც მაგრად მწყინს. თავიდან უწყინარები ჩანდნენ და როცა ხალხმა შეიყვარა, ცოტა თავში აუვარდათ. უშეცდომო არავინაა და უნდა შეძლონ ემოციების მოთოკვა, როგორც ეს თავის დროზე ლიმონამ, იკუშკებმა და მისტერმა გააკეთეს. უნდა შეძლონ მოპოვებული სიყვარულის შენარჩუნება, როგორც ეს კამელიამ და პარიჟანკამ გააკეთეს, უნდა შეძლონ თავის მონატრება, როგორც ძველებმა შევძელით. ქართველმა ვაჟკაცმა ქართველი დედა (არც თავისი, არც — სხვისი) არ უნდა აგინოს, როგორც ამას 9717 აკეთებს. ნუთუ ფულს იმაში იხდიან, რომ სულში დალექილი შურით და ნეგატიური ემოციებით ათასობით მკითხველს გუნება გაუფუჭონ? ნებისმიერი დანაშაული სასჯელს იმსახურებს და დაუწესე ასეთებს რაიმე სასჯელი მარი, თორემ აკაკის გამზრდელივით მოგაკვლევინებენ თავს. ვიდრე დამშეული მგლებივით შემომყმუვლებენ, ნიკის ნაცვლად სახელს დავწერ. ნინო.

• ნინი შერმადინს ვულოცავთ საბერძნეთში წარმატებას. X-ფაქტორში... ბოლომდე გამარჯვებული გვენახე, შენს გვერდით ვართ, დედოფლისწყაროს რაიონი, ქედების ზონის გოგონები, ათენში.

• მარი, ბოდიშს გიხდი გვიან რომ გაწუხებ, მაგრამ რა ვქნათ აქ მყოფებმა? დროის შეგრძნება არ არსებობს. აქტიური მგზავნელი არ ვარ. ალბათ სულ სამჯერ მოგწერეთ, მაგრამ აქტიურ მკითხველებს ვაჯობებ. „გზა“ მიყვარს უზომოდ. ამაყი და ბედნიერი ვარ. რატომ? იმიტომ, რომ ნინი შერმადინი აქაური X—ფაქტორის ფინალში გავიდა და იცით, როგორ? აატირა ჟიურის წევრები. მართალია, წინ დიდი გზა აქვს გასავლელი, მაგრამ არ გვეშინია. თუ ვერ გაიმარჯვებს, ერთხელ კიდევ დავანახებთ ბერძნებს, რომ უნიჭიერესები ვართ. ამ პატარა გოგომ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რამხელა ბედნიერებაა, ქართველობა. გეფერებით ყველას. ზვიადაური.

• რამდენი ხანია, ვაპირებდი მონათვლას, მაგრამ ჯერ ნათლიები არ მყავდა (ერთი ძმაკაცი მყავდა მარტო), ჰოდა, აგერ, გამიღიმა იღბალმა და შორეული ახლობელი, სკარლეტი მიწილადა, რომელიც დიდი სიამოვნებით დამთანხმდა ნათლიაობაზე და გამახარა. ასე რომ, ახლა ორმაგად გახარებული ვარ, ერთი — ნათლობით, მეორე — ნათლიით. მარ, მოგვენატრე. ნათლი, გაიხარე. მიყვარხართ და გეხვევით, მუდამ თქვენი კოზანოსტრა (ბისკვიტი).

• გამარჯობა, მგზავნელებო, ძალიან მომენატრეთ. სამწუხაროდ, ძველებურად ველარ ვიცლი და თავს განატრებთ, მაგრამ „გზის“ ყველა ნომერს ვკითხულობ. ჩემი ლამაზი დაიკოებიც მემდურიან, რომ ველარ ვწერ. დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ლუნას, გრუზინკას, სევდიან და იდუმალ ქალს, ლიმონას, ტირიფს, კამელიას, ოლეგარიოს, მისტერს. მგზავრის გამოჩენამ ძალიან გამახარა. ყველანი ძლიერ მიყვარხართ და გულში მყავხართ. არასოდეს მავიწყდებით. თქვენი ქალი ცდუნება.

• ჩემი ცხოვრება უაზრობად მაშინ იქცა, როდესაც საბერძნეთში წამოსვლამ მომიწია. ძალიან მენატრება ჩემი ოჯახი, ჩემი მეგობრები. ყოველდღე მარტო იმასღა ვფიქრობ, როდის გათენდება ის დღე, როდესაც საქართველოში დავბრუნდები. ნინი19.

• იდუმალო ქალო, მე გამოგრჩი. კამკამა.

• მისტერ, ჩემო კარგო, საბრალო ბებოს ასე რომ ლანძღავ, არ გიფიქრია, მისი გონებრივი შესაძლებლობი შთამომავლობით გადმოყოლილი რომ გაქვს? ისე, მოხუცის პატივისცემას ცოდნა უნდა. იკუშკები, ძვირფასო, ქარი საითაც მოგიქროლავს, იქეთ წაყოლა ცუდი ტონია... მაგრამ შენი საქმისა შენ იცი. მსაჯული.

• ნუ, ბერბიჭას (ენიგმას) უკომენტაროდ... მიუხვედრელი ყოფილხარ... მსაჯული.

• მარი, სიხარულო, როგორ ხარ? ძალიან მომენატრა აქ დამესიჯება, მაგრამ ეჰ, სულ გადარბენაზე ვარ, რა... ახლა ჩემი ქალუკა ბაღში დამყავს და მისი ცხოვრებით ვცხოვრობ (დავიღალე ამდენი სუფის და კარაქიანი პურის ჭამით. მარტო არ რჩება ბაღში და სხვა რა გზა მაქვს? მეც მათთან ერთად მივირთმევ)... აბეზარა, ის ნომერი სულ გამორთული აქვს სევდიან ქალს. სონი, სად დამეკარგე? მომენატრე, სიხარულო... ბელო.

• მარ, როგორ ხარ, სიხ? არ გეგონოს, წინა კვირას დამავიწყდი. უბრალოდ, დამესიჯება ვერ მოვახერხე. ენიგმა, შენ როგორ ხარ? ალბათ იქნები ისე, ბევრ ცოცხალს რომ მოუჯოკრავ. ჯურნალში გამოქვეყნებული ნომერი ჩართე, საიდუმლოდ რაღაც უნდა გითხრა. ალინა.

• დამიტირებენ სამარადჟამოდ ანგელოზები და ჩემს ცივ ხელებს შეეხება შენი ხელები, გადმოცვივდება ლამაზ თვალთაგან ცხელი ცრემლები, ატირდებიან ირგვლივ მდგარი მუხის ხეები. შუაღამისას ჩამოჰკრავენ სიკვდილის ზარებს, შევეგებები საიქიოდან წამოსულ ლანდებს, ეს სიყვარული მძიმე ლოდად მე გულზე მაწევს და შენ ტირილით ნუ ისველებ მაგ ლამაზ თვალებს, როცა ცოცხალი დავდიოდი ჯერ კიდევ ქვეყნად, შენ სხვა არჩიე და მთელი ცხოვრება ეული მერქვა, ახლა ტყუილად ნუ დამტირი, გაფიცებ ყველას, ნუ გამაყოლებ საიქიოს გალავანს წყევლას, მე ამასვენეს მგლების საძმო სასაფლაოზე და ჩაეშვება სიკვდილის მზე სასაკლაოზე, შენ დაეშვები მოწყენილი შენს თბილ საწოლზე, ხოლო მე კი ვასვენივარ სასაფლაოზე... აბეზარა.

• მმმაააარ, ااااუუ, რა მაგარი იყო „ეშმაკის მოციქული“, აი, უმაგრესი... კარგი დასასრულია, კმაყოფილი ვარ მე, პირადად. ის საძაგელი ქალი ისე, უარეს სიკვდილს იმსახურებდა... თან ნამდვილი ამბავი, რეალურ ადამიანებზე. წიგნად არ გამოვა? მერამდენედ გეკითხები, მაგრამ რა ვქნა, მინდა წიგნად და... მაგრად წერ რა, მარიამუულ, მიყვარხარ. ჩუპი.

• მაااარ, როგორ მყავხარ? რა კარგი სურვილი ჰქონია, ჩვენს SWEETS.

• უუუღრმესი მადლობა ჩემგან ლევანს, „ტრიკორაჩკებისთვის“ გემრიელად ვაკნატუნე, ჩემო კარგო. SWEET-GIRL.

• ჭრიიჭ, სწავლა ჩემი მეგობარია. ნამდვილო მამაკაცო, ვერ ვხვდები, რაზე უნდა გამეცა პასუხი. იქნებ მითხრა და გიპასუხებ, ჩემო კარგო. დუუჩ, მომენატრე. ეშმაკუნა.

ყველა მსახიობს ვოლის სილაშქეში სჯერა ყველა იმ საშინელების, მასაც მასზე წერენ

• გამარჯობა მარი. პირველად ვგზავნი მესიჯს და არც კი მგონია, თუ მოხვდება „გზავნილებში“ და გამიღიმებს ბედი. მე ერთი უიღბლო ბიჭი ვარ, რომელსაც სიყვარულში არ გაუმართლა. იმედია, შენი მგზავნელები მიმილებენ თავიანთ რიგებში. მოკითხვა კანიბალკას, პარიჟანკას და გრუზინკას. დიდი სიყვარულით, სკორპიონი.

• ნამდვილ მამაკაცს: სურვილი იმას არ ნიშნავს, რომ ნამდვილად ხარ ის, რაც ან ვინც გინდა, რომ იყო. თუმცა, სურვილი უკვე ბევრ რამეს ნიშნავს, ჩემო კარგო, მერწმუნე. იმედია, ჩემს ნათქვამს ცუდად არ მიიღებ. SWEET-GIRL.

• 9717, არა, მაინც საიდან გაჩნდი ასეთი სასიზღარი არსება? :) გენაცვალე შენო... ცუღლუუუტ! SWEET-GIRL.

• მისტერ, ძაალიან გამიხარდა შენი გაცნობა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პატარა, ეშვებიან და ყურებწაჭრილ მონსტრუკად მყავდი წარმოდგენილი და აღმოჩნდა, რომ მშვენიერი ვინმე ხარ. SWEET-GIRL.

• იქებ მირჩიოთ რამე, მგონი ძმაკაცი შემიყვარდა. ვგრძნობ, არც ისაა გულცივი ჩემ მიმართ. უკვე ორი კვირაა, არ მინახავს და ვგიჟდები. ნინი ვარ.

• თქვენ შეიძლება შეგიყვაროთ ჩემზე ლამაზმა, მაგრამ ვერავინ შეგიყვარებთ ჩემზე ლამაზად... როგორ ხართ, სიხარულებო? SWEET, ვნახე, უსაყვარლესია! ცრაზყ გირლ.

• მოგესალმებით, ჩემო მურაბა ხალხო, როგორ მყავხართ? რაღაც, მოწყენილები და ყურადღებამოდუნებულები მეჩვენეთ. გახალისდით და გამხიარულდით, ცოტათი მაინც. თქვენი ირმა91.

• დღეს ხუთშაბათია! ხვალ კი ძალიან გამიჭირდება... შენ გეტყოდი რატომ და რჩევასაც გკითხავდი, მარ! იმედია, ხვალ საკუთარ თავს გავუმკლავდები... სარვიეტა.

• დათო, ადრე ვერ გიპასუხე, „საყვარელო“. რა პრობლემაა, დაგიკონკრეტდები: 12 საყვარელი მყავდა და მე-13-ს აღარ ვეძებ. ამბობენ, თარსიაო. :) ჰა, მიდით, დაიჯერეთ აბა! ASHLEY PCD.

• აუ, „მინირომანში“ ლა საკალელი ლეკვუნიას ფოტკაააა! ვგიჟდები ძაღლებზე. ASHLEY PCD.

• CRAZY GIRL, ფილლიპო, ვერმახტ, ოსვალდ, ნამდვილი მამაკაცი, მაესტრო და ა.შ. მიკალქალთ, ცუგრუმელებოოო. :) ASHLEY PCD.

• მოკლედ, ზოგიერთის დათაფლულ-დაშაქრულ ენას ვენაცვალე, რა! შხამს რომ კილომეტრებზე აფრქვევენ. რამ გაგამწარათ ასე? ASHLEY PCD.

• მაესტრო, გმადლობ დაპატიჟებისთვის. ნეტავ მოვახერხო რა, ჩამოსვლა ქუთეისში. აუ, წრუწუნა მომიკვდაააა... ASHLEY PCD.

• 18 ოქტომბერს ჩემი მადო 18-ის გახდებოდა... ეეჰ, რა სასტიკია ცხოვრება! ASHLEY PCD.

შპარგალკა სარეჟისორო ფაკულტეტზე

• აუ, რა მაგარი ამინდებია?! ნეტავ ისე დაცხეს, რომ დავიზაგრო. :) ჭკუა დამიშლის თუ გონება, ოქტომბრის ბოლოსაც რომ ჩავიცვა საცურაო კოსტიუმი? :) მე ხომ ნახევრად გაფრენილი ვარ. :) ASHLEY PCD.

• უღრმესი მადლობა იმ ხალხს, ვინც დამივიწყა და იგნორი დამადო. აღარ შეიწუხოთ თავი მოწერისათვის, მეც მკიდიხართ უჟე! ვოტ ტაკ! ASHLEY PCD.

• აუ, თახვი რა ძაან საკალელი ხარ! ატარექსია, შენი ნიკი ძველ ბერძნულ სახელებს მაგონებს. მეგი, მაგარია მგზავნელის შვილიც მგზავნელი რომ ხდება! გეხუტეთ. ASHLEY PCD.

• ვაუ... იცით თუ არა თქვენ, მე რომ 11 წლის ვარ? თახვის მესიჯი წავიკითხე და გამიხარდა, ჩემი ტოლი რომ იქნება „გზაში“... მიყვარხართ ხალხო... მარწყვის გოგო.

• ჩემო ძვირფასებო, როგორ ხართ? ლიმონ, კარგი იყო სოფელში? ჩემო საყვარელო ეშმაკუნა, როგორ ხარ? სიკვდილ, მომენატრე. იდუმალო და სევდიანო, რავა ხართ? ჭრიჭინა.

• მეგი, ძვირფასო, მიგიღებთ, აბა რას ვიზამთ? შენი გაცნობა მინდოდა, მანდ რომ ვიყავი, მაგრამ სიცხე გქონდა და არ შეგაწუხე. ტირიფი73, როგორ ხარ? მომენატრე. ჭრიჭინა.

• იღბლიანი შემთხვევა მე და სიკვდილას გვქონდა, როცა ერთმანეთი ჩემს მეზობელთან აღმოვაჩინეთ. კიდევ მაშინ, როცა პირველად „გზა“ აღმოვაჩინე. ჭრიჭინა.

• რა ხდება ხალხო „გზაში“, რა ვერ გაგიყვიათ? ნუთუ არ მოგბეზრდათ ერთმანეთის ლანძღვა? დავიჯერო, ასე ძნელია, თბილი სიტყვები უთხრათ ერთმანეთს? იდუმალი ქალი.

• ტირიფო, მე რა კრიტერიუმებითაც მომწონს თეთრი ყვავი, ეს ჩემი საქმეა. ისე პარი, კამი და იკა რა შუაშია? სამივე ჩემი ფავორიტია, სხვა ინტელექტუალურ მგზავნელებთან ერთად და გთხოვ, პროვოკაციას ნუ მიგორებ და გაბოროტება სხვებში ეძიე ან რად მითითებ, ვინ უნდა მომწონდეს და ვინ — არა? მიკერძოებული მეგობრის პოზიციიდან მმოძღვრავ. ბერბიჭა.

• ოლეგარიო ჩემი ოცნების მამაკაცია. კეთილი, საოცნებო და საოცარი ადამიანი ხარ. ნებისმიერი ქალი ისურვებდა შენთან ყოფნას. გაინტერესებს, ვინ ვარ? აბა, გამოიცანი!

• კუსკუსელ, გაიხარე. ჰო, მართლა, თუ ვინმეს საკუთარი ბეზპრედელობის გაქაჩვის შნო აქვს და ჩემ მიმართ პრეტენზია გაუჩნდა, მისამართი იციან დაა. გამოექანე, ბიჭო! ენიგმა.

• 9717, ბრატი ხარ, მაგრამ 91% ხარ, თმაქოჩრიანი. ჩემზე სულით ლამაზ მგზავნელსა და პატრიოტს, სარვიეტას გაუმარჯოს. მადლობა სიხუ, მაგრამ არ ვარ მაგ ქების ღირსი. ლიმონა.

• ჭრიჭიი, როდის ჩავსხდეთ, ა? შავტუხასაც უყვარხარ, ჩემო მწვანეთვალებავ. იდუმალო და სევდიანო ქალებო, ვაბოდებ თქვენზე. კუსკუს, გაკუცუნე შენა. თოლიااااა! ლიმონა.

ნამდვილ მსახიობს უნდა შეეძლოს
შეასრულოს დამოუკიდებლის
პოლი ისეთივე წარმატებით,
პოვარც — დედოფლის

• ქალივით ჩურჩულებს იასამნები, თითქოს სიყვარულის ცეცხლი მოსდებია... ორქიდეებზე და იასამანზე ვგიჟდებოდი, ვგიჟდებიიი. ლი ჰარვი ოსვალდ პავლოვიჩის ფანი ვაარ. :) ლიმონა.

• წინა ნომერში ლიკამ მესიჯი ვერ დამიბეჭდა. ამიტომ „მობილი-ზაციით“ გიხდით ყველას დიდ მადლობას, რჩევისთვის. ლიკა, მარი და მგზავნელებო, ძალიან კარგები ხართ. აბეზარა.

• ბრრ, რა იყო ეს? 9717, შენ გასაღებული ხარ? არ გინდა, გაგასაღო? თითს რომ დავატკაცუნებ, ფლოსტებს მომიცუნცულებ ხოლმე, ცუგრიკ. დაგლეჯაავს! არც ისე ცუდი გოგო (ეს ჩემი ნიკია).

• აპა, კანიბალკა წავიდა, კამელიაც, ნიკოლიც, აფხაზეთის პრინცესაც, შეწირულიც, ბოხოც. აღარ ჩანან ლელუჩია, ელექტრა და ჩორი. მე თქვენს ბოღმაობას ვუყურო, აფერისტებო? წავეეე...

• ბაზარი არაა, თუ თბილისში ხარ, თქვი და ვის რა ეკუთვნის, გავარკვიოთ. ნამდვილი მამაკაცი.

• 9717, ბიჭო, დედა და დეიდა კი არა, სანათესაო არ გიტირო. დაასაბუთე, ვის გულისხმობ. ქალივით ნუ აწუწუნდი, შენი როჟის საქმე არაა, ვინ რას დაწერს.

• ოოო, ჩემი ქვისლი გააბრაზეეს! ნეტავ ვინაო? ჭრიჭინ, მანქანაში ადგილი აღარ იყო და... არა და, მაგარი იყო, რაა! :-) SKY, გაიხარეე. მწვანეე, აბა შემეხმიანეეე. სიკვდილა.

• 1999 წლის 31 დეკემბერს, ანუ კვირის ბოლოს, თვის ბოლოს, წლის ბოლოს, კვარტლის ბოლოს და ბოლოს და ბოლოს, საუკუნის ბოლოს, კახელი და რაჭველი ერთად მგზავრობდნენ მატარებლით. კახელს მოშივდა, ჩანთიდან ცივად მოხარშული დედალი ამოიღო და შეჭამა, ძვლები კი ქაღალდში გაახვია და ისევ ჩანთაში ჩადო. რაჭველმა ჰკითხა, კი, მაგრამ ეს ძვლები რაღად გინდაო? კახელმა უპასუხა — არ გაგიგია, ჯოო, კაცი ძვლებს რომ ჭამს, ჭკუა ემატებაო? ვაა, მართლა�ო? მოიტა, მომყიდე, რაა! — უთხრა რაჭველმა და ძვლები კახელისგან 10 ლარად შეისყიდა. ძვლების ჭამა რომ გაათავა რაჭველმა, კახელს მიაშტერდა და უთხრა: ისე, დიდი აფერისტი ვინმე ხარ, დედალი 5 ლარად იყიდე, ძვლები კი 10 ლარად მომყიდეე? კახელმა კი უპასუხა — ეგე, ხომ გითხარი, ჯოო!.. ჭამე, ჭამე ძვლები და ჭკუა მოგემატება... ჯეჯე.

• ისეთ მიწისძვრას მოგიწყობ, ბალებით ვერა ზომავდე, რადიაციით გაგტისკო, ტაიფუნივით მოგვარდე. ჩემს გარდა შენს ტემპერამენტს, ნურავის უზიარებ! გაიგეე? გაკოცე. ცხრათვალა.

• პრივეტები, მგზავნელებო! სითბოთი და სიყვარულით სავსე მოკითხვას გიგზავნით ყველას. მიყვარხართ და მენატრებით. უფალი გფარავდეთ. კუსკუსელა.

• ყველა კაცი ერთნაირია, ნამდვილი მამაკაცი სანთლით საძებარია. მიშიკო ხარ თუ რახათ-ლუხუმი, სხვებს რასაც საყვედურობ, იმას აკეთებ. ხომ უნდა იცოდნენ, ვისაც მიმართავ? ნწუ.

• მაარ, „გზავნილები“ შემცირდა თუ მეჩვენება? ცხოვრება არ ღირს თუ არ იცინე, დალიე და სახლში წადი, გამოიძინე. ფოცხიშვილი მაგარია. ნათ, გიომ, გიო შინ არ არიოო. თაკო.

• იასამან, ვარდის და გვირილის გარდა ყვავილი არ მიყვარს. ვაა, ჭრიჭინ, დაუე შალახოო? გენაცვალეთ. დუჩ, მე შენგან ამას არ მოველოდი... სიკვდილა.

• ლამაზებო, როგორ ხართ? მე სოფელში ვარ, ფეჩის გვერძე ვზივარ და გემრიელად ვთბები. სევდიანო ქალო, იუბილეს გილოცავ, ღმერთმა დაგლოცოს და გაგაგძლიეროს. ჭრიჭინა.

• wow! მაე, დამგრუზე, ხომ იცი?! კოზ, აბობოქრებულ ზღვაში გატარებ... ჰა, ჰა, ჰა. ეშმაკუნ, გაკოცე ბევრი, ძაან მაგარი ადამიანი ხარ! ნიბუ, ლიანას მაღაზიას როდის დავეცეთ? სიკვდილა.

• ბერბიჭა, შენი ყურადღება ორივენაირად სასიამოვნო იქნება... შენთან მეგობრობაც გამახარებს. გკოცნი და მიყვარხართ ყველა. ამოუცნობი.

• ჩემი ძმა თანრიგოსანი სპორტსმენია და მაგარი ბიჭიც, მაგრამ დედა არავისთვის გაულანძღავს, რადგან მამამ ასწავლა, ირიბი გზით სხვისი დედის გინებით, საკუთარსაც აგინებ, რადგან ხურდას გიბრუნებენო. თუ ქალს მართლა თაყვანს სცემ, როგორ აგინებ, როცა სხვების დედა და დეიდაც ქალია? კომენტარის არ შეგრცხვებათ? ნინო (და არა ნინჩო და სხვა).

• თაკ, გავაწვალოთ ორმაგად, ნო პრობლემ. :) CRAZY GIRL, მომენატრე. SWEET, ერთი წელი რა მოითმენს, ბისკვიტების გარეშე? დუჩი და კანიბალკა ყველაზე ძაან მიყვარს. GREEN GIRL.

• მაესტრო, მოგეწონა ბოტანიკური ბაღი? ბათუმში ფული გადაგახდევინეს და მე აქ უფასოდ შეგიყვანე. ნუ, ბლატები... ის სურათი დადე „ოდნოზე“, მე რომ გადაგიღე. GREEN GIRL.

• გული სიამით ფეთქავს,/ ვართ სუყველანი ერთად,/ მუდამ, დღისით თუ ღამით/ და გაფრინდება ერთად,/ ყოფნის ეს ერთი წამიც./ მარწყვის გოგო.

• სევდიან ქალს ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს. ლუნა, გისმენ, რას ისურვებ? ტირიფო, მიყვარხარ სიგიჟემდე. მეგობრებს მოვიკითხავ. გრუზინკა.

• კალაურის, X „ა“ კლასელებო, ყველა მაგრად მიყვარხართ. განსაკუთრებით მარი, ხატია, ვანო და ცინარი. სოფიო.

• მონასტერშიო?! ასეთი ცოდვა რა გაქვს, მემე(ო), მიუტეველელი? ნუგეშად მსურს კარგი გითხრა რაიმე: აღარასდროს დაგეძახოს — ვაიმე. ყველაფერი დალაგდება. დროებით. ენიგმა.

• კაი გამარჯობა, თქვენი! ხომ ხართ, როგორც საჭიროა ისე, მეფურად? ისევ მშვიდობაა ცათა შინა და ურვა ქვეყანასა ზედა, ხომ? ეეჰ!.. აქვე ვიქნები. ანაბელ ლი.

• ააბა ვინაა აქ დაუზარელი? პირადი მიზნებისთვის არა, საქვეყნო საქმისთვის გიხმობთ. დამეხმარეთ, რომ ერთი ყურუმსაღი ლექტორით ნაკლებმა იბოგინოს მიწასა ზედა. ანაბელ ლი.

მიყვარხარ

• ტკივილამდე სიყვარული გაგიგიათ? ჰოდა, ასე ტკივილამდე მიყვარს მამუკა. თათუნები, ჩემი ცხოვრების აზრი ხარ. მთელი სიცოცხლე დაგელოდები და მსოფლიოს გასაგონად ვამბობ, რომ ერთადერთი და განუმეორებელი სიყვარული მყავხარ. გეხუტუნე, ლამაზო. იცი უკვე, ვინც ვარ. ათენი.

• დღეიდან კიდევ დაღამდა... სიბნელე... სევდა... უშენობა... მარტო ვარ... ფიქრები... წარსული... მჭირდები... ლოდინით ვიღლები... ეული ფიქრები... და მხოლოდ სიტყვები... წყეული სიტყვები... ენატრები დამავიის!..

• მინდა, ჩემს საყვარელ დას და დისშვილს ვუთხრა, რომ ძალიან, უაზროდ მიყვარან და მენატრებიან. ამქვეყნად ყველაზე ძვირფასები არიან. უთქვენოდ ძალიან მიჭირს!

• გურამ, მიყვარხარ სიგიჟემდე. ნინჩო23.

გილოცავ!

• სევდიან ქალს, გრუზინკას, კაკუს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებთ

ყველა მსახიობს სურს შეიძლოს
დააქმეგინოს სჭეშტატი, სადაც
ის დასაგეშილი სურს სრის

ჯანმრთელობას და ყველა ოცნების ასრულებას. უფალი გფარავდეთ. ოლეგარიო.

• გია და მაია ციბაძეებს ვულოცავთ შვილის, თეონას გაბედნიერებას. სულ ბედნიერი და გახარებული ყოფილიყოს. მოგიშენოთ და მოგიმრავლოთ ღმერთმა. ღმერთი იყოს თქვენი, ახლად გაბედნიერებულების მფარველი. თქვენი მეგობრები.

• 23 ოქტომბერს ფრიდონ მაჩიტაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, ლამაზ ოჯახთან ერთად. დიდი სიყვარულით, ლელა მაჩიტაძე.

• ხაშურში ჩემს საყვარელ შვილს, ასმათ ტყეშელაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 29 ოქტომბერს. იხარე და იბედნიერე, შენს ახალ ოჯახში. გკოცნით შორიდან, მონატრებული დედა და ბებია, მზია და ცინო.

• ჩემს შვილს, ეკა მანაგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 29 ოქტომბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, ლამაზ ოჯახთან ერთად. დედა, მაგული კობახიძე.

• ეკა მანაგაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 29 ოქტომბერს. ვუსურვებ ყოველივე კარგს, ლამაზ ოჯახთან ერთად. ფიქრია გელაშვილი.

• თიანეთში, ჩემს მონატრებულ დაიკოს, ბელა შუშანაშვილს 24 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა დაგლოცოს და ბედნიერი გამყოფოს, ოჯახთან ერთად. შენი დაიკო.

• თამთა დადუნაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ, გაიზარდოს ჯანმრთელი და სასახელო გოგო. მაგული.

• ალიონა, ჩემო ძვირფასო, გილოცავ 26 ოქტომბერს, ოქროს დაბადების დღეს. გისურვებ კარგად ყოფნას, შენს მეუღლე გაბროსთან და ორ გოგონასთან ერთად. შენი დედამთილი, მერი. გკოცნი.

• მზია ხარაბაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 26 ოქტომბერს. მუდამ ბედნიერი და გახარებული მენახე, საყვარელ ქმარ-შვილთან და შვილიშვილ თეკლასთან ერთად. ღმერთმა გიმრავლოს შვილები. გფარავდეს ღმერთი. დიდი სიყვარულით, უცნობი.

• იტალიაში, დიდი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს, 26 ოქტომბერს, ქეთი ჭუმბურიძეს. გეცოცხლოს, გევლოს სულ ნათელ გზაზე, სავსე ჭაღარა გერიოთ თმაში, ასი წლის შემდეგ, გევლოთ და წლები ვერ მოგერიოთ. მზია მამასახლისი.

• ქუთაისში, ჩემს უსაყვარლეს და ულამაზეს გიორგი მალხაზის ძე კვიჟინაძეს ვულოცავ 4 წლის იუბილეს. ბებო, გაიზარდე სასახელო და საამაყო. არ მოგკლებოდეს უფლის წყალობა და მფარველობა. მენატრები ტკივილამდე. გკოცნის და გეფერება შენი მონატრებული ბებო, ირა ვირსალაძე.

• ფიქრია კახიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 22 ოქტომბერს. ფიქრო, გისურვებ ყოველივე საუკეთესოს, ცხოვრებაში. გფარავდეს უფალი. მიყვარხარ და მენატრები. გკოცნი, ჩემო ლამაზო გოგო. ირა ვირსალაძე.

• 24 ოქტომბერს დაბადების დღეს ვულოცავ შმაგი ზახვაშვილს. გისურვებ შენი ოცნების ახდენას, ლამაზ მომავალს. მალე გათავისუფლებას. უფალი გფარავდეს და გინათებდეს გზას. მარი.

• თამთა და მამუკა, გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ ბედნიერებას და დიდ სიყვარულს. ვწუხვარ, რომ თქვენთან არ ვართ. იხარეთ და იბედნიერეთ. მონატრებული მამიდა.

• სოფიკო კირთაძეს და გიორგი ჭონიშვილს ვულოცავ პატარა გიორგის დაბადებას. ღმერთი იყოს მათი მფარველი. ჯანმრთელი და ბედნიერი ბიჭი გაზრდილიყოს. მანანა ბებია.

• ჩემს დაიკოს, გრუზინკას, 23 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს. სულ მუდამ ისე მენახე, როგორც შენს პატარა, ლამაზ გულს გაუხარდება. უზომოდ მიყვარხარ. ქალი ცდუნება.

• არღუნში მცხოვრებ თამაზ ჯანგირაშვილს 25 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ულევ სიხარულს, საყვარელ ოჯახთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი, დეიდას სიხარულო. მიყვარხარ, გკოცნი და გეფერები. დეიდა თინა.

• ჩემს საყვარელ სიძეს, არაბულ ზვიადს მსურს მივულოცო დაბადების დღე, 23 ოქტომბერი. დაესწარი მრავალს, შენს საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად. წინსვლა და სიხარული მოეტანოს ყოველი წლის მომატებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. მიყვარხართ და მენატრებით ძალიან. გკოცნის შენი სიდედრი, თინა.

• გრუზ, ჩემო სულის მალამოვ, დაბადების დღეს გილოცავ, საყვარელო, ყველაზე სანუკვარი სურვილების ასრულებას და ქალურ ბედნიერებას გისურვებ, მიყვარხარ. სარვიეტა, გაკოცე. ტირიფი73.

ამ შეგეშალოთ: მსახიობები ლოპენსან ოტლიარეულოთია, ნაძღვლი ადამიანები კი — ოსიეკარეულოთია

• 21-ში GREEN GIRLS, 23-ში გრუზინკას, 25-ში — 9717-ს, 28-ში ნონ სტოპს ვულოცავ იუბილეს! უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის! მიყვარხართ, გკოცნით... CRAZY GIRL.

• დიდი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს 23 ოქტომბერს გრუზინკას, 24-ში ჩემს საუკეთესო მეგობარს, სევდიან ქალს და 25-ში 9717-ს, მიშკას. სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს თქვენი თანამგზავრი. საუკეთესოს გისურვებთ, ასეთი კარგები და ტკბილები იყავით მუდამ. გაკოცეთ ბევრი. კეთილი სურვილებით, თქვენი იდუმალი ქალი.

• აბეზარავ, ლამაზო, დაგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს. ასევე 17 ოქტომბერს ვულოცავ ლაშა ხაჩიძეს. გაკოცეთ. ASHLEY PCD.

• სიყვარული, სიხარული დაგებედოს, დღეს სიკეთე და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. გეფერები და გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო სევდიანო ქალო. შენი დაიკო, ხათაბალა.

• ლელა, გილოცავ დაბადების დღეს. გაიხარე შენს პატარებთან ერთად. ძალიან, ძალიან კარგი ხარ. ყველაფერს კარგს გისურვებ. პატივისცემით, კომბლე ბიჭი.

• საყვარელ დისშვილს, ნინო სოფრომაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 26 ოქტომბერს. დაესწარი მრავალს, საყვარელ ქმარ-შვილთან და ახლობლებთან ერთად. უფალი გფარავდეს. მაყვალა.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფოტო, რომელმაც ოჯახური ღალატი

„ჩემთვის „მეხანიკობა“ იგივეა, რაც სამზარეულოში ტრიალი. შენ კი, სიძევ ბატონო, თავში ხელებს ნუ კი იშენ, გაინძერი და თორმეტიანი „კლუჩი“ მომაწოდე, დროზე!“ კეკე19.

„იმედია, ბავშვის „გაკეთება“ მაინც იცი“...

„კარბურატორი გაფუჭდა,/ „ტორმუზს“ ვერ იჭერს „რუჩნოი“,/ აქეთ პიპია, აქეთ მე, სიძე გვერდით დგას, „ბუხოი“. ლიმონა.

„ეს „ატვიორტკა“ არ მიდის, აღმოჩნდა მეტად ურჩიო, თავში ცემასა ჯობია, მომცე რვიანი „კლუჩიო“. ლიმონა.

„ქორწილს მაინც ვერ აიცდენს“. ლიი.

„დაუჩქარე, ქალო, დაგვაგვიანდა ჯვრისწერაზე“. ხატია.

„სიძე: მე უნდა ვიყო სიძე და ეს პატარძალი? თუმცა, ხმამაღლა როგორ ვიტყვი?“ შოკოლადა.

„დაიმახსოვრე, ბიჭო, დღეიდან ოჯახში ქალიც მე ვარ, კაციც და „მეხანიკიც“. შოკოლადა.

„ტიტუ... ვაი, ჩემი ბრალი... „მეხანიკი“ მომიყვანია ცოლად, მე კიდევ ქალი მეგონა“. მარწყვის გოგო.

„შენ გვერდზე მიიწი, დედას ბუშტო“... კლეოპატრა.

ღმერთო, ჩემი ქორწინება როგორ უარყოფილა, თურმე ჩემი „დედოფალა“ „მოტორისტი“ ყოფილა. აწი ტვინსაც კი ამიწყობს, „ატვერტკით“ და „კლუჩებით“, მის გარეშე რომ ვეღარსად მოვიარო ქუჩები“. ნანა შათირიშვილი.

„ალფონსი მამაკაცის მორიგი მსხვერპლი“.

„როცა ნეფე უგონო პახმელიაზეა“.

„ეს დღევანდელი მატრიარქატის დადასტურებაა“. ინა.

„აბა, რა გეგონა? ცოლად რომ მოგყავდი, მარტო შენს სულში დავიწყებდი ფათურს? წაიშინე ახლა ხელები, სხვა რა გზა გაქვს?“ ინა.

„ასე უნდა მიაჭირო!“ გურამ სილაგაძე.

„პატარძალი საპატარძლო მანქანას ჭრის, — ძვირფასო, ეს აუცილებლად უნდა გასინჯო“.

„ეს გოგო სასიამოვნოდ მაოცებს დღეს, ივარგებს აშკარად ოჯახში, იცის, როგორ მოიგოს ჩემი გული. მანქანა ჩემი მეორე სიყვარულია... თუ კერძების გაკეთებაც იცის“... სვანის ასული.

„ვაიმე, ვგიჟდები „ატვიორტკიან“ პატარძლებზე“.

„ოჰ, ოჰ, სად აქვთ კაცებს კაცობა?“ აფერისტა.

„wow! ძვირფასო, ეს რა ორიგინალური საქორწილო ტორტია, ფრთხილად „შეაკეთე“, რა!“ ჩუმლაყელი.

„— მღუპავ, გოგო?
— მაცადე ერთი, თუ კაცი ხარ“. ლუნა.

„ეგ არის, ბოდრუმში მივდივართ თაფლობის თვის გასატარებლადო? შენ რა, ბოდრუმს გლდანისგან ვერ ასხვავებ? ჰოდა, მე შენ გიჩვენებ სეირს!“ ჭრიჭინა.

„შენ, საყვარელო, ჯობია, წახვიდე და ჭურჭელი გარეცხო, ამ მანქანას მე მივხედავ. აბა, წაცუნცულდი“. კლეოპატრა.

„ნუ ნერვიულობ, სახლამდე თუ ვერ მივაღწიეთ, აქ დაგნებდები, ბიჭოო“. კლეოპატრა.

„მგონი, დავიღუპე! ქალი კი არა, „მატორისტი“ მოვიყვანე ცოლად!“

„ხალხოოო! აღარ მინდა ცოლი! არაააა!“

„ქალო, განახე ფეხშიშველი, აკეთებდი „მატორსაო“...

„თეთრი კაბა არ ჩაიცვა, „ატვიორტკა“ გიხდება“...

„ამას უყურეთ, „ატვიორტკას“ ისე ხმარობს, როგორც დანაჩანგალს“...

„ქალი — მატორისტი“, „ქალი — „მეხანიკი“, ქალი — ლეგენდა“...

„ეს რომ დედაჩემმა დაინახოს, ამ ქალს ცოლად არ მომაყვანინებს“...

„როგორ უნდა გათხოვება?!“

„მოდი, აიწიე კაბა, „მატორია“ „დასტუკული“, აბაა!“

„ახლა ვაჩვენებ ამას მასტერკლასს! ეგონა, ქორწილს ჩაშლიდა?“

ზაიმ-აუზი

ყველაზე ძვირად ღირებული ტილოები

1907 წელს გუსტავ კლიმტმა ადელა ბლოხ-ბაუეის პორტრეტი შექმნა. მას „ოქროს ადელას“ და „ავსტრიელ მონა ლიზასაც“ ეძახიან. პორტრეტი ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა, რონალდ ლაუდერმა 135 მლნ დოლარად შეიძინა.

პაბლო პიკასომ „ბიჭი ჩიბუხით“ 1905 წელს დაასრულა. პორტრეტი 2004 წელს 104 მლნ 100 ათას დოლარად გაიყიდა.

პაბლო პიკასოს „დორა მაარი კატასთან ერთად“ (დორა მაარი მხატვრის ერთ-ერთი ცოლი იყო) ნიუ-იორკის „სოთბის“ აუქციონზე, 95.2 მლნ დოლარად შეიძინეს.

ვინსენტ ვან გოგის „ექიმ გაშეს პორტრეტი“ „კრისტის“ აუქციონზე, 82,5 მლნ დოლარად გაიყიდა. მხატვარმა ტილოზე მუშაობა თვითმკვლელობამდე ერთი კვირით ადრე დაასრულა. მისი მფლობელი იაპონელი მეწარმე, რიოეი საიტო გახდა.

ოგიუსტ რენუარის Bal au moulin de la galette 78 მლნ დოლარად გაიყიდა.

რუბენსის „ჩვილთა ჟლეტა“ კერძო კოლექციონერმა, კენეტ თომასმა 2002 წელს, 76 მლნ 700 ათას დოლარად შეიძინა.

ვინსენტ ვან გოგის ავტოპორტრეტი — „წვერის გარეშე“ 1998 წელს, 71.5 მლნ დოლარად გაიყიდა.

პოლ სეზანმა Cruchon et compotier-ზე მუშაობა 1894 წელს დაასრულა. ტილო ამერიკულმა უმდიდრესმა ოჯახმა 60 მლნ 500 ათას დოლარად შეიძინა.

პაბლო პიკასოს „ქალი გადაჯვარედინებული ხელებით“ ნიუ-იორკში, „კრისტის“ აუქციონზე, 55 მლნ დოლარად გაიყიდა.

1889 წელს შესრულებული ვინსენტ ვან გოგის „ნარცისები“ ავსტრალიელმა კოლექციონერმა 1987 წელს, 54 მლნ დოლარად იყიდა. ■

არაბ მამაკაცს ცოლთან ხუმრობა ძვირად დაუჯდა

საუდის არაბეთში მცხოვრებ ქალს, რომლის სახელი და გვარი არ ხმაურდება, ქმარმა ხუმრობით „გუანტანამო“ შეარქვა. ტერორისტებისათვის განკუთვნილ ციხესთან შედარებამ ქალი ისე გაამწარა, რომ 17 წლის წინ შექმნილი ოჯახი ერთი ხელის მოსმით დაანგრია. ■

ყველაზე მომხიბვლელი პოლიტიკოსი გამოავლინეს

იტალიურმა გაზეთმა ყველაზე ლამაზი პოლიტიკოსები გამოავლინა. ამ საპატიო კონკურსში პირველი ადგილისა და „მის პოლიტიკოსის“ ტიტულის მფლობელი უკრაინის პრემიერი, იულია ტიმოშენკო გახდა, მეორე ადგილი კი ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს, ენს სტოლტენბერგს ერგო. ლიდერთა სამეულს ბუტანის მეფე, ჯიგმე ქჰესარ ნამგიელ ვანგჩუკი ასრულებს. რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი, ვლადიმირ პუტინი მე-18 ადგილზე გავიდა. მას უსწრებს (მე-12 ადგილი) ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო და აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა (მე-15 ადგილი). ■

უნგრელმა პოლიციელებმა სამსახური მიატოვეს

ჩრდილოეთ უნგრეთის ქალაქ ბუდაროშის პოლიციის 15 თანამშრომელი სამსახურიდან იმის გამო წავიდა, რომ ლატარიაში ჯეკ-პოტი მოიგო. თითოეული მათგანის მოგებამ 10 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა. პოლიციელებისგან მიტოვებული ქალაქის უსაფრთხოებაზე სარეზერვო ქვედანაყოფი მანამდე იზრუნებს, ვიდრე ძალოვან უწყებაში მუშაობის სურვილი ადგილობრივ მოსახლეობას არ გაუჩნდება. ■

მინისტრების სკანდალური გადაწყვეტილება

მალდივის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა სხდომა ზღვის ფსკერზე გამართა და ამ მეთოდით კლიმატის ცვლილების პრობლემისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სცადა. მათი ინფორმაციით, მალდივის კუნძულებს (არქიპელაგი ინდოეთის ოკეანეში) ჩაძირვა ემუქრება, რადგანაც წყლის დონე კუნძულების გარშემო გამუდმებით მატულობს.

ლაბირინთის საიდუმლო გამჟღავნებულია

ინგლისურ-ბერძნული ექსპედიციის წევრებმა — სპელეოლოგებმა და გეოგრაფებმა კუნძულ კრეტაზე, მიწის ქვეშ, ქვის სამტეხლოში ლაბირინთი აღმოაჩინეს. როგორც სპელეოლოგები ირწმუნებიან, ეს სწორედ ის ანტიკური ლაბირინთია, სადაც მინოტავრი იმალებოდა. შეგახსენებთ, მინოტავრის სამალავ ლაბირინთად კნოსის სასახლე მიიჩნეოდა.

ღვინის ჰოროსკოპი



ფეთქებად ვერძებს მშრალი ღვინო და შამპანური უყვართ;

თუ კურომ სპირტიანი სასმლით სავსე ჭიქას მოჰკიდა ხელი, გირჩევთ, მოერიდოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, „რქებით“ დაგეტაკოთ. მას არომატიზებული სასმელი ხიბლავს.

ტყუპისთვის სასმლის ხარისხს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, სასიამოვნო კომპანიაში იყოს. უყვარს ლაპარაკი და გართობა. ასტროლოგები მას თეთრი ღვინის სმას ურჩევენ.

კირჩხიბს ერთი ჭიქი ალკოჰოლიც კი ათრობს და კარგი იქნება, თუ სასმელს მოერიდება.

ლომს სუსტი გული აქვს და მისთვის დალევა ან სიგარეტის მოწევა არ შეიძლება.

ქალწულები თავადაც არ ეტანებიან სასმელს და ამას არც სხვებს ურჩევენ.

სასწორებს თანამესუფრეებისგან ჩამორჩენა არ უყვართ. ამიტომაც, ქეიფის მეორე დღეს თავის ტკივილით იტანჯებიან.

მორიელი ისედაც ფეთქებადი ნიშანია და ალკოჰოლი მეტად აგიჟებს. კარგი იქნება, თუ კონიაკსა და შავ ღვინოს მოერიდება.

სიმთვრალეში სისულელეების ჩადენა მშვილდოსნისთვის უცხო არაა. თუ ცხოვრების გამწარება არ სურთ, ალკოჰოლს უნდა მოერიდონ.

თხის რქა ერთადერთი ნიშანია, რომელსაც ასტროლოგები ალკოჰოლის მიღებას ურჩევენ. მათ შეუძლიათ, თამამად მიირთვან წითელი ღვინო, რომელიც გუნება-განწყობილებას აუმაღლებს და შემოქმედებით ტალღაზე გადართავს.

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ მერწყულებს ასტროლოგები მშრალი ღვინის დალევას ურჩევენ.

გურმან თევზებს სხვადასხვა სასმლის დაჭაშნიკება უყვართ, მაგრამ ხშირად, გონების დაკარგვამდე სვამენ. ■

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი სოფიაში, ბულგარეთთან 2:6 მარცხით დასრულა და ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა. როგორც ცნობილია, მთავარ მწვრთნელს — არგენტინელ ექტორ რაულ კუპერს ხელშეკრულება 30 დეკემბერს ეწურება და უნდა ვივარაუდოთ, რომ კონტრაქტს აღარ გაუგრძელებენ. დღეს ქართული ფეხბურთისთვის ამ, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხით დავიწყეთ საუბარი ნაკრების წევრთან, ქართველ ლეგიონერ ზურაბ ხიზანიშვილთან, რომელიც მიმდინარე სეზონისთვის კლუბ „ნიუკასლში“ ივჯარით გადავიდა.

ლაშა თაბაგარი

ზურაბ ხიზანიშვილი:

— ...კარგია, რომ ჩერნოგორიასა და ბულგარეთში ქართველი გულშემატკივრები არ იმყოფებოდნენ: ჩემთვისაც უკვე დამღლელია იმის თქმა, რომ პირველი ან მეორე ტაიმი კარგად ვითამაშეთ ან 90 წუთი კარგად გამოვიყურებოდით, მაგრამ მაინც წავაგეთ. მით უმეტეს, ბულგარელებთან მარცხის შემდეგ, სალაპარაკო არაფერია...

— როგორ ფიქრობთ — ნოდარ ახალკაცის პოსტიდან გადადგომა და ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის არჩევა მდგომარეობას გამოასწორებს?

— ახალკაცის გადადგომასთან დაკავშირებით, ის ინფორმაცია მაქვს, რომელიც ტელევიზიიდან მივიღე. მან ოფიციალურ მიზეზად ნაკრების წარუმატებლობა დაასახელა და თუ სხვა რაიმე პრობლემა კიდევ იყო, ალბათ ყველაზე უკეთ თავად ბატონმა ნოდარმა იცის. რაც შეეხება ზვიად სიჭინავას — მას პირადად არ ვიცნობ. საქმისადმი ასეთი მიდგომა, რომ საკუთარი ფინანსებით რაღაცის გაკეთება სურს და თუ ნათქვამის შესრულება ვერ შეძლო, მაშინ წავა, მისაღებია. საერთოდ, ვინც სათავეში მოდის, დაპირება უნდა შეასრულოს. თორემ მეც ვიტყვი, ფედერაციის სათავეში მოვალ-მეთქი და რა აზრი ექნება, თუ რაიმე არ გავაკეთე?!. ბოლო ხანებში არაერთხელ მომისმენია — საქართველოს ჩემპიონატი წინ წავიდაო. მე ამას ვერ ვხედავ და ვფიქრობ, პირიქით, უკან მიდის. მივესალმები ისეთ ადამიანს, რომელიც ქართულ ფეხბურთში არსებულ ვითარებას სასიკეთოდ შეცვლის.

— „ნიუკასლში“ გადასვლამდე, „ვესტ ბრომვიჩი“, „მიდლსბრო“ და „შეფილდი“ გიწვევდნენ; თქვენი არჩევანი რამ განაპირობა?

— ჩამოთვლილი კლუბების მხრიდან სერიოზული დაინტერესება მართლაც იყო, ხოლო „შეფილდის“ ხელმძღვანელობამ, როცა დამირეკა, ისიც მითხრა, — კონ-

ზურაბ ხიზანიშვილის სამთვიანი იჯარა და პრემიერლიგაში დაბრუნების პერსპექტივა

ტრაქტი ხვალვე გავაფორმოთო... რაც შეეხება „ნიუკასლს“, — პრეზიდენტს კლუბის გაყიდვა სურს და ამიტომ, ახალი ფეხბურთელის შეძენა აღარ უნდოდა. მაგრამ საბოლოოდ, მასსა და მთავარ მწვრთნელს, კრის ჰიუტონს შორის არსებული პრობლემა მოგვარდა, რის შემდეგაც ნიუკასლელები დამიკავშირდნენ და მათთან გადასვლა შემომთავაზეს. ამის შემდეგ ვუთხარი „შეფილდს“ უარი და ნიუკასლში ჩავედი. შეიძლება ითქვას, რომ არჩევანის გაკეთებისას გადამწყვეტი როლი ამ კლუბის დიდმა ტრადიციებმა იქონია.

— თემურ ქეცბაიას შესახებ, რომელიც „ნიუკასლში“ 3 სეზონის განმავლობაში თამაშობდა, რა აზრის არიან?

— როდესაც შეიტყვეს, რომ ქართველი ვარ, ბუნებრივია, ქეცბაიაზეც ვილაპარაკეთ. იმ ხალხმა, რომელიც კლუბში დიდი ხანია მუშაობს, მის შესახებ მითხრა, — შესანიშნავი ფეხბურთელი და მაგარი კაციაო; თან დაამატეს, — „გიჟი“ იყოო!.. მე ვუპასუხე, — ფეხბურთელები ყველანი „გიჟები“ ვართ-მეთქი. დამეთანხმნენ, მაგრამ „ქეცბაზე“ თქვეს — ეგ მაგარი „გიჟი“ იყოო. ბუნებრივია, სიტყვა „გიჟს“ დადებით კონტექსტში ხმარობენ... ყველამ კარგად დაახასიათა და მასთან მეგობრობით ამაყობდნენ კიდეც. სტადიონზე ქეცბაიას დიდი ფოტოა გამოფენილი და სხვათა შორის, „ნიუკასლის“ ხელმძღვანელობას გუნდის ერთ-ერთ თამაშზე მისი მიწვევა სურს. ცხადია, ჩემთვისაც სასიამოვნო იქნება, თუ ოდესმე ქართველი ფეხბურთელი „რეინჯერსში“, „ბლექბერნში“ ან „ნიუკასლში“ გადავა და ისევე გამიხსენებენ, როგორც ქეცბაიას — „ნიუკასლში“.

— პრემიერლიგის „ბლექბერნიდან“ ჩემპიონლიგის გუნდში გადასვლას უკან გადადგმულ ნაბიჯად ხომ არ მიიჩნევთ?

— უკან გადადგმული ნაბიჯი ის იქნებოდა, „ბლექბერნში“ რომ დავრჩენილიყავი და კიდევ რამდენიმე თვე არ მეთამაშა. მართალია, „ნიუკასლი“ ჩემპიონლიგაში გამოდის, მაგრამ ლიდერობს და პრემიერლიგაში დაბრუნებაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ჩემთვისაც და საქართველოს ნაკრებისთვისაც სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

— ახალ გუნდში როგორ მიგიღეს?

— ინგლისში ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან რამდენიმე წელია, ბრიტანეთში ვცხოვრობ და იქაურობა ჩემთვის მეორე სახლივითაა. თუმცა, როდესაც ისეთი ისტორიის მქონე კლუბში მიდიხარ, როგორიც „ნიუკასლია“, ცხადია, ფიქრობ იმაზე, თუ იქ რა დაგხვდება. როგორც აღმოჩნდა, ძალიან მეგობრული გუნდია. გარდა ამისა, იქ არიან ფეხბურთელები, რომლებთან ერთადაც, „რეინჯერსა“ და „ბლექბერნში“ მითამაშია; ზოგიერთი, ჩემი მოწინააღმდეგე ყოფილა; ერთი სიტყვით, შეხება ფაქტობრივად, ყველასთან მქონია და თითოეულ მათგანთან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა.

— „ნიუკასლში“ 13-ნომრიანი მაისურით თამაში ისურვეთ, არადა, ეს ნომერი ინგლისში იღბლიანად არ მიაჩნიათ...

— ინგლისში ყველას მიაჩნია, რომ 13 უიღბლო ნომერია, მაგრამ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. იმედი მაქვს, გუნდს 13 ნომრითაც მოვუტანთ წარმატებას.

— ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კლუბთან სრულფასოვანი კონტრაქტის გასაფორმებლად მზად ხართ...

— „ბლექბერნიდან“ ჩემი სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვაზე ლაპარაკი ჯერჯერობით არ ყოფილა. პირველ ყოვლისა, „ნიუკასლს“ პრემიერლიგაში გადასვლა აქვს დასახული და ამ მიზნის მიღწევის შემთხვევაში იფიქრებენ იმაზე, სამომავლოდ ვინ შეიძინონ. თუმცა კლუბის ხელმძღვანელობამ სეზონის ბოლომდე იჯარის გაგრძელება შემომთავაზა. სხვათა შორის, მათ ეს თავიდანვე სურდათ, მაგრამ არსებული წესის თანახმად, ვინაიდან სეზონი დაწყებული იყო, პრემიერლიგიდან ჩემპიონლიგის კლუბში გადასვლისას, სამთვიანზე უფრო ხანგრძლივი იჯარის გაფორმების უფლება არ მქონდა.

— ჩემპიონლიგისა და პრემიერლიგის გუნდების სათამაშო კლასი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება?

— განსხვავება მართლაც შესამჩნევია. ჩემპიონლიგის მოწინავე 5 გუნდს, რომელსაც პრემიერლიგაში გადასვლა სურს, ასე თუ ისე, კარგი ფეხბურთელები ჰყავს და მათი სათამაშო დონეც ნორმალურია. მაგრამ ის კლუბები, რომლებიც წლების განმავლობაში ამ ლიგაში გამოდიან, პრემიერლიგისას საგრძნობლად ჩამორჩებიან. ძირითადი განსხვავება სათამაშო კლასშია, თორემ მოედანზე აქ უფრო მეტს იბრძვიან და ფიზიკურადაც კარგად არიან მომზადებული. ■

გუნდს 13 ნომრითაც მოვუტან წარმატებას

მხიარული და სევდიანი ბიზნესმენის რჩევები მამაკაცებს

ის ბოლო 17 წლის მანძილზე რუსეთში ცხოვრობდა, აგვისტოს ომის შემდეგ კი გადაწყვიტა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. თბილისში ჩამოსვლისთანავე გადაცემის — „ვის უნდა 20.000“-ის წაყვანა შესთავაზეს. როცა ბატონი მამუკა გამყრელიძე გავიცანი და ვთხოვე, რუბრიკა „ერუდიტში“ ჩაწერაზე უარი არ ეთქვა, მიპასუხა: წინასწარ ვიცი, თქვენს კითხვებზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ მაინც, სიამოვნებით შეგხვდებითო. ეს შეხვედრა მეორე დღესვე შედგა.

„თუ გსურს, ქალის გული მოინადირო...“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ბატონო მამუკა, რუსეთში რას საქმიანობდით?

— მშენებლობისა და უძრავი ქონების ბიზნესით ვიყავი დაკავებული. იქ ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი, მერე კი სამშობლოში დაბრუნება გადავწყვიტეთ.

— ამის მიზეზი რა იყო?

— კონკრეტული მიზეზი არ ყოფილა. ვერ ვიტყვი, რომ იქ პირადად მე რაიმე სახის პრობლემა შემექმნა, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ ძალიან მძიმე პერიოდი დამიდგა, ზოგჯერ ისე ვიყავი, სახლიდან გასვლაც კი არ მინდოდა. თბილისში ჯერ ჩემი შვილები წამოვიდნენ, მათ მალე მეც გამოვყევი.

— მერე, ბიზნესი?

— ბიზნესს ჩემი პარტნიორები მართავენ, მათ აქედან ვაკონტროლებ და როცა საჭიროა, რუსეთში ჩავდივარ კიდეც.

— გადაცემაში როგორ მოხვდით?

— შემთხვევით. ერთ დღეს „რუსთავი 2“-ში ახლობლებთან მივედი. იქ მთხოვეს, ერთ-ერთი ხელმძღვანელის კაბინეტში შევსულიყავი. შევედი, შემათვალიერეს და გადაცემის წამყვანობა შემომთავაზეს. უარი ვთქვი, მაგრამ დამიყოლიეს.

— ცნობილია, რომ გადაცემის წაყვანაში ჰონორარს არ იღებთ. საქართველოში კიდევ, რას საქმიანობთ?

— მეტს არაფერს ვაკეთებ, გარდა იმისა, რომ თავს ვუვლი, ვერთობი, ვვარჯიშობ.

— თავისუფალი დრო გქონიათ. წიგნებს თუ კითხულობთ?

— ბოლო ერთი წლის განმავლობაში არაფერი წამიკითხავს. ახლა უნდა დავიწყო ჯემალ ქარჩხაძის კრებულის კითხვა, რომელიც მეგობარმა მაჩუქა. ბავშვობაში, როცა ამ მწერლის მოთხრობებს ვკითხულობდი, შთაბეჭდილება დიდხანს მიმყვებოდა. სხვათა შორის, მაშინ წასაკითხ წიგნებს დედა მირჩევდა და ამიტომაც, მისი მადლიერი ვარ. საერთოდ, ამერიკული ლიტერატურა მიყვარს.

— კარგი მეხსიერება გაქვთ?

— საშინელი. ფილმის და წიგნის შინაარსიც მალე მავიწყდება, მაგრამ ყოველთვის მახსოვს ის განცდა, შთაბეჭდილება, რომელიც ამა თუ იმ ნაწარმოების კითხვის დროს მქონდა. მაგალითად, როცა სელინჯერის ნაწარმოებებს ვკითხულობ, ტანში ჟრუანტელი მივლის.

— ასეთი რამ კარგი ლექსის წაკითხვის დროს არ გემართებათ?

— პუშკინზე ვგიჟდები. ვაჟა-ფშაველა რომ გენიოსია, ამაზე აღარაფერს ვიტყვი, მის ჩაწვდომას სხვა ნიჭი უნდა. შოთა რუსთაველი სათანადოდ არ არის გაპიარებული, თორემ მას ვერც დანტე და ვერც შექსპირი ვერ შეედრება.

— ლიტერატურული პერსონაჟებიდან რომელთან იმეგობრებდით?

— ამაზე არასდროს მიფიქრია. ძალიან მომწონს მურაკამის ერთ-ერთი პერსონაჟი, რომლის სახელსაც ახლა ვერ ვიხსენებ. მასთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი, რადგან ჩემნაირია — ერთდროულად, მხიარულიცაა და სევდიანიც.

— საკუთარ თავს როგორ დაახასიათებთ?

— თქვენთვის ექსტრავერტი ვარ, ჩემთვის — ინტრავერტი.

— ეს ქვეყანა 13677 კუნძულზეა გაშენებული და მისი დედაქალაქი კუნძულ იავაზე მდებარეობს. დაასახელეთ ეს ქვეყანა.

— ინდონეზია. მისი დედაქალაქია — ჯაკარტა.

— იგი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალის თანამდებობიდან 1886 წელს გადააყენეს, 1 წლის შემდეგ კი სტავროპოლში მოკლეს. მისი მკვლელობის ორგანიზატორი რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II-მ წაახალისა — იგი ბრილიანტის ჯვრით დააჯილდოეს. ვინ იყო ცარიზმისთვის „საშიში“ ეს ქართველი მოღვაწე?

— ვაიმე! ახლა კი „გავიჭედე“ (*იცინის*).

— მიგანიშნებთ, იგი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

— ვერ გიპასუხებთ.

— დიმიტრი ყიფიანი. ამ ქალაქის ფარგლებში 5 რაიონია: ბრონქსი, ბრუკლინი, მანჰეტენი, კუინზი და სტეიტენ-აილენდი. დაასახელეთ ეს ქალაქი.

— ნიუ-იორკი.

— რომელი მდინარე იყინება ყველაზე ხანგრძლივი დროით?

— (*ფიქრობს*) ჩემი აზრით, სწორი პასუხია ლენა.

— ნამდვილად ასეა. წყალში მძიმე ქვის ხელით აწევა გაცილებით იოლია, ვიდრე ხმელეთზე. რატომ?

— ეს ფიზიკის ამბავია (*იცინის*), ქვაზე წყლის ამომგდები ძალა მოქმედებს.

— ეს ქართველი მწერალი, რომელმაც სახელი ნოველებით გაითქვა, 1944 წლის 25 მაისს აღესრულა. თავდაპირველად, ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს, 10 წლის შემდეგ კი მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს. ვისზეა ლაპარაკი?

— ვერ გიპასუხებთ.

— მიგანიშნებთ, მის ერთ-ერთ პერსონაჟს ილია

ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივსაც ადარებენ.

— (*ფიქრობს*) ნიკო ლორთქიფანიძე ხომ არა?

— **დიახ. 1629 წელს ორი ძალიან ცნობილი პიროვნება გარდაიცვალა. ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალება ჩვენი ქვეყნისთვის შვება იყო, ხოლო მეორის — დანაკლისი. დაასახელეთ ეს ორი პიროვნება.**

— ვერ გიპასუხებთ.

— **შაჰ აბასი და გიორგი სააკაძე. რა ჰქვია ზეპირი მეტყველების სწრაფად ჩაწერას?**

— სტენოგრაფია.

— **„ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“, — ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?**

— ეს სიტყვები მახსოვს, მაგრამ ავტორს ვერ დაგისახელებთ.

— **ილია ჭავჭავაძე. მცენარეები ამ კუნძულის მხოლოდ სანაპირო ზოლში თუ ხარობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მაინც „მწვანე მიწას“ უწოდებენ. დაასახელეთ ეს კუნძული.**

— გრენლანდია.

— **ქართული ენის გრამატიკა კარგად იცით?**

— სკოლაში კარგად ვსწავლობდი.

— **მეტყველების რომელი ნაწილის კითხვებია: როგორი? რომელი? სადაური? როდინდელი?**

— რომ ვერ გიპასუხო, გავგიჟდები (*ფიქრობს*). ზედსართავი სახელის, არა?

— **გამოიცანით.**

— ვაუ! მაგარი ვარ!

— **უილიამ შექსპირის რომელი პერსონაჟი ამბობს: „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ქვეყნად ისეთი...“**

— (*მაწყვეტინებს*) „...რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ“, — ეს ჰამლეტის სიტყვებია.

— **რომელ ძუძუმწოვარ ცხოველს არა აქვს თვალები?**

— რა თქმა უნდა, თხუნელას.

— **დაასახელეთ მუსიკალური წყობა, რომლის ბგერები ქმნის მცირე ტერციაზე აგებულ აკორდს. დამახასიათებელია ნაღვლიანი ბგერითი ელფერი.**

— მინორი.

— **ის 2 წელს და 2 თვეს — 1887 წლის 28 იანვრიდან 1889 წლის 31 მარტამდე შენდებოდა. მისი სიმაღლე 320 მეტრია, კიბეს კი 1702 საფეხური აქვს. რაზეა ლაპარაკი?**

— ვერ ვხვდები. ეს „რაღაც“ სად არის?

— **საქართველოში ნამდვილად არ არის...**

— მაშინ ვერ გიპასუხებთ.

— **ეიფელის კოშკი.**

— ავჩქარდი, რომ მეფიქრა, აუცილებლად გიპასუხებდით.

— **ის დიდი ხანია, ბრუნვაშია...**

— (*მაწყვეტინებს*) დედამიწა.

— **კითხვა არ დამისრულებია. თავიდან წითელი ფერის იყო, შემდეგ — მწვანე. რაზეა ლაპარაკი?**

— ვაიმე! (*ფიქრობს*) დოლარზე.

— **„თუ ქალის გულის მონადირება გინდა, მომეტებული ყურადღება არ უნდა მიაქციო“, — ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?**

— არ ვიცი.

— **კონსტანტინე გამსახურდია. მას ეთანხმებით?**

— ნაწილობრივ. ქალის გული რომ მოინადირო, თავიდან ძალიან ყურადღებიანი უნდა იყო, მერე — ნაკლებად და აი, სწორედ მაშინ „იბრიდება“ (*იცინის*). ქალს თავი უნდა მოანატრო.

— **ამას საკუთარი გამოცდილებიდან მეუბნებით?**

— რა თქმა უნდა! ქალები ძალიან მიყვარს.

— **„არც ერთი სიტყვა არ დამცდენია მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ მეთქვა, როცა პწკარები პწკარებს სდევნიან, საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა“, — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— ეს სტროფი ძალიან მომეწონა, მაგრამ მის ავტორს ვერ დაგისახელებთ.

— **ტიციან ტაბიძე. დაასახელეთ აშშ-ის პრეზიდენტი, რომელიც მეორედ არჩევის შემდეგ ნიუ-იორკელ ბანკირთა მიერ მოსყიდულმა აგენტმა მოკლა.**

— აბრაამ ლინკოლნი. იგი თეატრში მოკლეს.

— **ვინ იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, რომელსაც ღორმუცელობის გამო „ზაქიჭამიას“ ეძახდნენ?**

— ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს.

— **გიორგი XII. ვის მიმართ ითქვა შემდეგი სიტყვები: „მან ზეცას მეხი და ტირანს ხელისუფლება გამოჰგლიჯა“?**

— პასუხი არც ამ კითხვაზე მაქვს.

— **მიგანიშნებთ, ლაპარაკია ერთ-ერთ ამერიკელ ხელისუფალზე.**

— (*ფიქრობს*) ბენჯამინ ფრანკლინზე. ეს ჩემი სავარაუდო პასუხია. გამოვიცანი?

— **დიახ. რა ჰქვია ამა თუ იმ ქვეყნის დაზვერვის ორგანოების საიდუმლო თანამშრომელს?**

— აგენტი.

— **რომელი ტაძარია ნახსენები გალაკტიონის ცნობილ ლექსში — „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“?**

— არ ვიცი.

— **სიონი. სპორტული შეჯიბრების დროს რა ეწოდება დისტანციის საბოლოო პუნქტს?**

— ფინიში.

— **X საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორმა დახმარებისთვის დავით კურაპალატს მიმართა. ვინ მეთაურობდა დავითის მიერ ბიზანტიაში გაგზავნილ ჯარს?**

— ვერ გიპასუხებთ.

— **თორნიკე ერისთავი. რა ჰქვია ოთახს, რომელშიც ბერები და მონაზვნები ცხოვრობენ?**

— სენაკი.

— **XVIII საუკუნეში ამ მცენარეს „ეშმაკის ვაშლს“ ეძახდნენ. მისი სამშობლო სამხრეთ ამერიკაა, რუსეთში კი პეტრე I-ის დროს შეიტანეს. რომელ მცენარეზეა ლაპარაკი?**

— კარტოფილზე.

— **დიახ. რომელ ქვეყანაში მდებარეობს ევროპის გეოგრაფიული ცენტრი?**

— ვიცოდი, მაგრამ ვეღარ ვიხსენებ.

— **უკრაინაში. რომელი ჟანრის ფუძემდებლად მიიჩნევა ბერძენი მწერალი ეზოპე?**

— იგავ-არაკის.

— **დაბოლოს, დაასრულე ლეონარდო და ვინჩის ცნობილი გამონათქვამი: „თითქმის ყოველთვის და ყველგან, სადაც გონივრული საბუთები მთავრდება, იწყება...“**

— „...ყვირილი“. ■

ერუდიტი +

1. **მოცულობით ყველაზე დიდ პოეტურ ნაწარმოებად ინდოეთის ხალხური პოემა — „მაჰაბჰარატა“ მიიჩნევა, რომელიც ორი სამეფო საგვარეულოს — კაურავებისა და პანდავების ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს. ეს პოემა 200000 ლექსისგან შედგება.**
2. **ერთხელ ვიქტორ ჰიუგომ იმისთვის, რომ სამუშაოდან მოწყვეტის საშუალება არ მისცემოდა, თმა და წვერი ნახევრად გაიკრიჭა, მაკრატელი კი ფანჯრიდან მოისროლა. მას სახლიდან გასვლა აღარ შეეძლო და სამუშაოც გათვალისწინებულ ვადაში დაასრულა.**
3. **1 კგ თაფლის შესაგროვებლად ფუტკარმა 3000 კმ უნდა იფრინოს და 19 მილიონ ყვავილს ეწვიოს.**
4. **ბაყაყი მხოლოდ მოძრავ მსხვერპლს იჭერს.**
5. **„ქალები მამაკაცთა საზოგადოების გარეშე ჭკნებიან, ხოლო მამაკაცები ქალთა საზოგადოების გარეშე ტუტუცდებიან“, — ამბობდა ანტონ ჩეხოვი.**

ანეკდოტები

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. ბრაზილიელი პლანტატორები რის სიახლოვეს აბამდნენ შაქრის ლერწმის პლანტაციებში მომუშავე ურჩ მონებს?

2. ანტარქტიდაში არსებულ დასახლება „მირნიში“ ყველა სახლს, ჩვეულებრივი კარის გარდა, დამატებით კიდევ ერთი კარი აქვს. რა ადგილას?

3. არაბულ ქვეყნებში ნაკლებად პოპულარულია თოჯინა „ბარბი“. რატომ?

4. ეს ფრინველი ამერიკაში 1850 წელს შეიყვანეს. მათ ისე ელოლიავებოდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს, ღორმუცელობით დაეხოცათ, განმეორებით შეყვანილები კი ისე გამრავლდნენ, რომ მარცვლეულის მთელი მოსავალი გაანადგურეს. მოგვიანებით, როცა ბოსტონში მუხლუხო გაჩნდა, მათ ქალაქის მოსახლეობა შიმშილისაგან იხსნეს, რის გამოც, მადლიერმა ბოსტონელებმა ძეგლი დაუდგეს. დაასახელეთ ეს ფრინველი.

5. სექსოლოგთა თქმით, პრობლემები სად იღებს სათავეს?

6. ვისი მეუღლე გახლდათ პირველი მევიოლინე ქალი საქართველოში — ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანი?

7. რითი იჭერენ საფარის პარკში ჟირაფებს, რომლებსაც აცრა ან მკურნალობა სჭირდებათ?

8. ვიქტორ ჰიუგო 40 წლის ასაკს ახალგაზრდობის სიბერეს ეძახდა. რას ეძახდა იგი 50 წლის ასაკს?

9. ჭამის დროს იაპონიაში პირის წკლაპუნი უზრდელობად არ მიიჩნევა. რისი გამომხატველია ამგვარი ჭამა?

10. რის მიხედვით არის განლაგებული ბრაზილიის დროშაზე გამოსახული ვარსკვლავები?

11. რას ამზადებდა თავდაპირველად ტყვიამფრქვევ „მაქსიმის“ გამომგონებელი ხაირემ მაქსიმი?

12. „ის უდიდესი მასწავლებელია და რა სამწუხაროა, რომ ბოლოს, იგი საკუთარ მოსწავლეებს კლავს“, — რის შესახებ ამბობდა ამას ჰექტორ ბერლიოზი?

* * *

სიდედრი წუწუნებს:

— მთელი ღამე კოღო მკბენდა. დილით გავიღვიძე და მთელი ბალიში სისხლით იყო მოსვრილი.

— ეტყობა, გული აერია, — გული „აუჩუყდა“ სიძეს.

* * *

— რამდენი წლის ბრძანდებით? — ეკითხება ხანდაზმულ მამაკაცს ახალგაზრდა ქალი.

— ოთხმოცის.

— ნამდვილად არ მოგცემდით.

— არც მინდა.

* * *

ოთხი წლის მიშიკოს ეკითხებიან, დათვლა თუ იციო?

— როგორ არა: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ათი!

— „ცხრა“ რატომ გამოტოვე?

— ეგ თითი მტკივა!..

* * *

— ბატონო ადვოკატო, ტყუილად ნუ ლაპარაკობთ, თქვენმა კლიენტმა უკვე აღიარა დანაშაული.

— რა ხალხი ხართ, ეს მოსამართლეები, რა, მაგ ნაძირალასი გჯერათ და ჩემი არა?!

* * *

ზოოპარკში სპილო ავად გახდა. ოპერაცია გაუკეთეს, გაკერეს და მოულოდნელად, ქირურგი აყვირდა:

— რა ჩემი ფეხების ასისტენტი ხარ — მაკრატელი სპილოს მუცელში ჩაგრჩა, პინცეტიც, ლანცეტიც, შპრიციც! კაცო, აქ რომ სანიტარი იდგა, სად გაქრა?!

* * *

— აღარ გიყვარვარ, ძვირფასო?

— საიდან მოიტანე?!

— ადრე სამსახურიდან რომ დაბრუნდებოდი, ყველა კარადაში შეიხედავდი ხოლმე, ახლა კი მხოლოდ მაცივარს ამოწმებ, ლუდი თუ არის ჩაცივებული.

* * *

სტაჟიორი მედდა განყოფილების უფროსთან მიდის და ეკითხება:

— სხვა პაციენტს ვერ მომცემთ? ის უკვე მოკვდა.

* * *

80 წლის კოვბოი ახალგაზრდა ქალს „კერავს“.

— ტყუილად კარგავ დროს, მე ლესბოსელი ვარ, — ეუბნება ქალი.

— ეგ რაღას ნიშნავს?

— რა და, დღე და ღამე ლამაზი ქალები მელანდება და მათ გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. შენ ვინღა ხარ?

— რა ვიცი, 80 წელი თავი კოვბოი მეგონა, მაგრამ თურმე, მეც ლესბოსელი ვყოფილვარ.

* * *

— ჩემი ნაშა დაწყებითი კლასის მასწავლებელია.

— მერე რა?

— რა და შემიკლა ხელში: „კოცნის დროს ენას ნუ აწკლაპუნებ, მხრებში გასწორდი, ტანსაცმელს რომ გაიხდი, უნდა დაკეცო და სკამზე ისე დადო, საწოლში ბევრს ნუ იხმაურებ; მორჩა, დაჯექი, ოთხიანს გიწერ“.

* * *

კახელებმა ბურვაკი წააქციეს, ღვინო ჩამოასხეს და გახურდა ქეიფი.

— მოდი, ახლა ჯანზე ყოფნისა ვთქვათ.

— მოიცა, კაცო, ეს ბურვაკი რა, ჯანზე არ იყო?! მოდი, იღბალს გაუმარჯოს.

* * *

საპირფარეშოში შესული მთვრალი კაცი შარვალში იქექება.

— რამდენჯერ უნდა ვუთხრა ცოლს — აიღებ რაღაცას, იხმარ, დადე, რა, თავის ადგილზე!

* * *

დედა ქალიშვილს ეჩხუბება:

— არ გაბედო და მაგ იდიოტს არ გაჰყვე ცოლად!

— კარგი, რა, დედა, სულ ცოტა ხნით, რა!

* * *

როგორც იქნა, შინაბერას ბედმა გაუღიმა და შეყვარებულმა მის ფანჯარასთან კიბე მიადგა.

— ჩუმად ამოდი, — ეუბნება ქალი, — მამამ არ გაიღვიძოს.

— ნუ გეშინია, მამაშენს კიბე უჭირავს.

* * *

კოჭლი, უკბილო, მელოტი და ჩამოძონძილი მამაკაცი პაემნების ბიუროში მივიდა:

— ახალგაზრდა, მდიდარ, ლამაზ და პატიოსან ქალზე მსურს დაქორწინება.

— მაპატიეთ, ბატონო, მაგრამ ალბათ, თავადაც ხვდებით, რომ ასეთი ქალი ცოლად არ გამოგყვებათ, თუ რა თქმა უნდა, სულელი არ არის.

— არა უშავს, იყოს სულელი.

* * *

მიტო მიხოს ეუბნება:

— გავიგე, ძალზე პატარა გქონია.

— შენს ცოლს უთხარი, ენას კბილი დააჭიროს!

* * *

რაზმის მეთაური ამბობს:

— მოწინააღმდეგე ცოცხლად უნდა შევიპყროთ!

— ასეთი საჭირო კაცია?

— არა, ტყვიები გაგვითავდა!

* * *

— ნამდვილი ძროხა ხარ! — უყვირის ქმარი ცოლს.

— მე თუ ძროხა ვარ, შენ ზოოფილი გამოდიხარ!

* * *

გურული სადგურის მორიგეს ეკითხება:

— ოზურგეთის მატარებელი მალე მოვა?

— დღე-დღეზე ველოდებით, — ამთქნარებს მორიგე.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ქიანჭველების ბუდის სიახლოვეს.
2. სახურავზე, რათა ნამქერის მიყრის შემთხვევაში, მცხოვრებლებმა სახლიდან გამოსვლა შეძლონ.
3. იმიტომ, რომ მისი გამომგონებელი რუთ ჰართლი ებრაელი გახლავთ. „ჩვენს გოგონებს არ შეშვენით ებრაელის მიერ შექმნილი თოჯინათი თამაში“, — ამბობენ არაბები. მათ თავად შექმნეს თოჯინა, სახელად „ფულა“, რომელიც „ბარბის“ დაუპირისპირეს. „ფულას“ შავი ტანისამოსი აცვია და სახეზე ჩადრი აქვს ჩამოფარებული.
4. ბეღურა.
5. საძინებელ ოთახში.
6. ივანე ჯავახიშვილის.
7. ჩვეულებრივი ლასოთი.
8. სიბერის ახალგაზრდობას.
9. ჭამის დროს პირის წკლაპუნი ნიშნავს, რომ კერძს გემრიელად მირთმევთ და ის ძალზე მოგწონთ.
10. მათ ზუსტად ისეთი განლაგება აქვთ, როგორი განლაგებაც ჰქონდათ ცაზე მაშინ, როდესაც ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა შეიქმნა.
11. საბავშვო კარუსელებს.
12. დროის შესახებ.

ჩვენი ფოტო გაღვრეა

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ვოროსკოპი

(22-28 ოქტომბერი)

ვერძი:
თუ ამ კვირაში იმიჯს შეიცვლით, წარმატება გარანტირებული გექნებათ. მთავარია, სიახლეებსა და ცვლილებებს არ შეუშინდეთ. უქმე დღეები საყვარელი ადამიანის გარემოცვაში გაატარეთ.

ხუცი:
ახალი საქმის წამოწყება მატერიალურ კეთილდღეობას გიქადით, მაგრამ ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. ძალების აღსადგენად ივარჯიშეთ. თავისუფალი დრო შვილებთან ერთად გაატარეთ.

ტყუპი:
ყველა საქმის ერთდროულად მოგვარებას ნუ შეეცდებით. წარმატებას მოგიტანთ სპორტულ შეჯიბრებასა და ინტელექტუალურ კონკურსში მონაწილეობა. სიყვარულშიც გაგიმართლებთ.

ჯიგრისხიტი:
თქვენს სასიკეთოდ გადაწყდება მემკვიდრეობასთან და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები. კვირის ბოლოს სასმელსა და აზარტულ თამაშებს მოერიდეთ.

ლომი:
საქმეების მოგვარებისას უმნიშვნელო დაბრკოლება ნუ შეგაფერხებთ. კომპეტენტური პირები დაიხმარეთ და საწადელს მიაღწევთ. ამ კვირაში მატერიალური კეთილდღეობა გელით.

ქალწუდი:
დაღლილობასა და მოთენთილობას ბუნებაში ვარჯიში მოგიხსნით. ჭორების მთავარი გმირი რომ არ გახდეთ, სამსახურებრივ რომანს, თანაც დაქორწინებულ ადამიანთან, არ გირჩევთ.

სასწორი:
კარგი პერიოდია ახალი ბიზნესგეგმის განსახორციელებლად. თუ ვალების აღება არ გსურთ, კვირის ბოლოს ფულის ფლანგვას მოერიდეთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

მორიგი:
მთელი კვირის მანძილზე საოჯახო საქმეებით იქნებით დაკავებული. შესაძლოა, ნათესავების პრობლემებიც თქვენი მოსაგვარებელი გახდეს. სიმშვიდეს კვირის ბოლოს მოიპოვებთ.

მშვილდოსანი:
თუ გარშემო მყოფების მიმართ თავაზიანი იქნებით, მეტ მეგობარსა და თანამოაზრეს შეიძენთ. კვირის ბოლოს საკუთარ თავს განტვირთვის საშუალება მიეცით.

თხის რქა:
ნუ გარისკავთ, ნებისმიერი ნაბიჯი გათვალეთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროხელსაწყოებთან. წვეულებაზე გაიცნობთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

მეთევზე:
ამ კვირაში თვითრეალიზებას შეძლებთ. წარმატებას მოგიტანთ სამეცნიერო სამუშაო. მოერიდეთ საყვარელ ადამიანთან კონფლიქტს. კარგია, თუ სამოგზაუროდ წასვლას გადაწყვეტთ.

თევზები:
ეს კვირა თქვენთვის ჯადოსნური იქნება — რასაც იტყვით, აგისრულდებათ. დადებით რაღაცებზე იფიქრეთ და ოჯახის კეთილდღეობისთვის ილოცეთ.

პატარები გვიოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

პატარა ვახტანგს მამა ცოტნე დადიანის გმირობის ამბავს უყვება. ვახტანგმა დიდხანს იფიქრა, იფიქრა და მამას ეკითხება:

— ნეტავ, რა ღირდა მაშინ თაფლი?

5 წლის მარიამმა დედას სთხოვა:

— დედიკო, კალენდარს ბევრი მოვახიოთ და იქნებ, მალე მოვიდეს ზაფხული.

6 წლის ნიკა დედას ებუზღუნება:

— რომ მეუბნები, უწმაწური სიტყვები არ თქვაო, წმაწურიანი სიტყვები რომელიღაა?

პატარა რეზიკომ თვალი მოჰკრა აბრას, წარწერით — „ვეტაფთიაქი“ და დედიკოს ეკითხება:

— ვეტაფთიაქი რას ნიშნავს?

— როცა ცხოველებს რაიმე სტკივათ, მათი მოსარჩენი წამლები აქ იყიდება, — უპასუხა დედამ.

— მაშინ ცხოველები რიგში რატომ არ დგანან? — გაიოცა ბავშვმა.

პატარა მაიას ბაბუა ობოლი ბავშვის ზღაპარს უყვება.

— ბაბუ, ობოლი ის არის, რომელსაც უკნიდან ბოლი ამოსდის? — აწყვეტინებს გოგონა.

— დედიკო, მე რომ სალომეს მეძახით, ლომის შესაჭმელი ვარ? — ეკითხება 4 წლის სალომე დედას.

— შენ და მამიკო შუაღამისას რომ ჩურჩულებთ, მე მეღვიძება. ჰოდა, ბებოს ვეტყვი, რომ ერთად აღარ დაგაწვინოთ, — დაემუქრა ნანული მშობლებს.

6 წლის მიშიკო გივიკოს ეკითხება:

— მამაშენი ყოველთვის მთვრალი რომ მოდის, თავისი მამიკო არ სცემს ხოლმე?

— რომ ვერ ერევა, როგორ უნდა სცემოს? — მიუგო გივიკომ.



1. ბოსტნეული
2. ჯიში, მოდგმა
3. წყლის ტრამვაი ვენეციაში
4. ვარცხნილობა
5. პარფიუმერიული სითხე
6. ქართული ლიტერატურული პრემია
7. პარკოსანი კულტურა
8. წინასწარი საშჯდისი რაიმე საქმისათვის
9. ისლამის წმინდა თქმულება
10. სპირტიანი სასმელი
11. მაღალი ფასის მქონე
12. ხმლის ან ხანჯლის ტარი
13. ბანკის მეპატრონე
14. ინფორმაციის ერთეული
15. ერთგვარი კანფეტი
16. ბუნების დამანგრეველი მოვლენა
17. მამლების ჩხუბი
18. გემშაშნი საწარმო
19. დროშა
20. საეკლესიო წესების კრებული
21. ევნატე ინგოროყვას ფსევდონიმი
22. ქალაქი საქართველოში
23. ჩუქურთმიანი ქვა ან ნიჟარა
24. ქმრის და
25. ათასი კილოგრამი
26. ფელინის ფილმი
27. ხერხემლის ძვალი
28. მატიანე
29. ნოეს ერთ-ერთი ვაჟი
30. პორტის მუშა
31. ჩამონათვალი
32. ... კიდმანი
33. გარეული მოჩვენებითი ბრწყინვალება
34. მუნიციპალიტეტი
35. კენკროვანი ხილი
36. სახ. ევროპაში
37. გერმანელი ფილოსოფოსი
38. მთავარი საწყობი
39. ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. ლექსიკონი; 2. ქართლი; 3. კანა; 4. კოპენჰაგენი; 5. ილინოისი; 6. ტურგენევი; 7. კები; 8. კეთრი; 9. ზვინი; 10. გრაფიტი; 11. პეგასი; 12. წავი; 13. გიდი; 14. ოაზისი; 15. აიაქსი; 16. გზა; 17. დასი; 18. ეკლერი; 19. როტარუ; 20. რუმინეთი; 21. აია; 22. ანძა; 23. ჭური; 24. კენჭი; 25. ვაქცინა; 26. სია; 27. ასი; 28. ნიუ; 29. კარლოსი; 30. სინხუა; 31. რკო; 32. ვალენსია; 33. აბატი; 34. კიკინი; 35. კაბაშური; 36. მესტალია; 37. ენისტონი; 38. ბია; 39. სტაფილო; 40. იგი.

სურათები: 1. ლეტიცია კასტა; 2. კლაივ ოუენი.

სპეციალური კროსვორდი

გ	ზ	ა	გ	ზ	ი	ს	თ	ვ	ი	ს	ა	ო	მ	კ	ი	თ	ხ	ვ	ე	ლ	ი	ს	თ	ვ	ი	ს	ა	ო
ნ	ე		ლ	ა	უ	ა	ე	ე	ო	ლ	დ		ი	ო	რ	ს	ი		ე	ი	ბ	ა		ი	ლ	უ	ი

შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

გ. რა ერქვა დათა თუთაშხიას შვილს; **ზ.** დიდი მტაცებელი თევზი; **ა.** სოფლის სახელწოდება ჩრდილოეთ კავკასიასა და შუა აზიის ზოგიერთ ქვეყანაში; **გ.** ჩრდილოეთ ამერიკაში მობინადრე დათვი; **ზ.** ნოდარ წულეისკირის რომანი; **ი.** კავკასიონის უმაღლესი წერტილი; **ს.** ფინური აბანო; **თ.** ლეჩხუმის უძველესი სახელწოდება; **ვ.** წვრილი, ბოლოში ორად გაყოფილი დროშა, რომელსაც სამხედრო გემებზე აღმართავენ; **ი.** ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომელიც მამის მიერ გაკეთებული ფრთებით გაფრინდა კრეტის ლაბირინთიდან; **ს.** მაფიის სამშობლო; **ა.** რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **ო.** ნორვეგიის დედაქალაქი; **მ.** ვარდობისთვე; **კ.** შექსპირის „ოტელოს“ ერთ-ერთი პერსონაჟი; **ი.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **თ.** დებულება (ლოგიკაში), რომლის ჭეშმარიტება უნდა დამტკიცდეს; **ხ.** გაიძვერული ხერხი რაიმეს მისაღწევად, — ოინი; **ვ.** თბილისის საკალათბურთო კლუბი; **ე.** რა ერქვა ქალს, რომლის გულისთვისაც დაიწყო ტროას ომი; **ლ.** საფრანგეთის მეფეთა რეზიდენცია; **ი.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა მონად მიჰყიდეს ეგვიპტელებს; **ს.** გამოცდა, გამოცდების პერიოდი უმაღლეს სასწავლებელში; **თ.** ლითონი, რომლისგანაც ფოლადს იღებენ; **ვ.** ალბერტ აინშტაინისა და შერლოკ ჰოლმსის საყვარელი მუსიკალური ინსტრუმენტი; **ი.** ცალკე პირის ან დაწესებულების რომელიმე წლისთავი და ამ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი; **ს.** რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **ა.** რა ერქვა ანარქისტს მხატვრულ ფილმში „ლაზარე“, მღვდელს რომ უშრობდა სისხლს: ქრისტე ღმერთი გამხდარი იყო, შენ რამ გაგასუქაო; **ო.** რა ერქვა ბისმარკს.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

პასუხები: **ჩ.** ჩადრი; **ვ.** ვიაგრა; **ე.** ექსცესი; **ნ.** ნიანგი; **თ.** თიკუნი; **ა.** აკლდამა; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ელვა; **რ.** რახი; **თ.** თიანეთი; **ა.** ავრორა; **დ.** დასაევი; **ა.** აბრაზია; **რ.** რეალი; **ა.** არღანი; **ს.** სტატია; **ო.** ოსლო; **დ.** დრო; **ე.** ენდემი; **ს.** სეინერი; **ი.** იუნონა; **წ.** წვივი; **ყ.** ყაურმა; **ე.** ერნესტი; **ნ.** ნადეჟდა; **ე.** ეპარქია; **ნ.** ნიორი.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
დასაკლავ ხარს რაღა ლოდინი უნდაო.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

6	1	9	8	2	5	7	4	3
5	7	4	6	3	9	1	8	2
2	3	8	1	4	7	6	9	5
4	8	5	9	6	1	3	2	7
3	9	7	4	5	2	8	6	1
1	6	2	3	7	8	9	5	4
7	2	3	5	8	6	4	1	9
9	5	6	7	1	4	2	3	8
8	4	1	2	9	3	5	7	6

2	3	9	1	4	8	7	6	5
1	6	5	7	9	3	4	8	2
4	8	7	2	6	5	3	1	9
8	9	4	5	3	1	6	2	7
5	2	1	8	7	6	9	4	3
6	7	3	4	2	9	1	5	8
3	5	8	9	1	4	2	7	6
9	1	2	6	5	7	8	3	4
7	4	6	3	8	2	5	9	1

6	8	4	2	7	3	1	5	9
1	2	3	8	9	5	7	6	4
9	5	7	6	1	4	8	2	3
4	3	2	1	6	9	5	7	8
8	6	9	5	4	7	3	1	2
5	7	1	3	2	8	4	9	6
2	9	8	4	5	1	6	3	7
3	1	6	7	8	2	9	4	5
7	4	5	9	3	6	2	8	1

* მარტივი

	6				7	8		
9			3			5	6	
	3				2		1	
		1	7			9		
		4	5			6		
		2	1	9		4		
	5		8				9	
	2	6			9			7
		9	2				8	

** საშუალო

9					8	5		
		3	4	6				9
		7			1		6	
		5			4	3		
			7					
		8				1		
	5		6			9		
3				4	7	8		
		6	9					2

*** რთული

	9				3			6
	1		7					
6					9	5		
		5	3		1		9	
		8		5		4		
	6		4			2		
		4	9					8
					5		4	
3			6				7	

ფოტოკუჩიოზები

როგორ შევიძინოთ

ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი საქონელი

~~100~~ 65

~~180~~ 130

~~70~~ 40

~~50~~ 20

~~400~~ 320

გასაყიდ ფასზე გაცილებით იაფად

იწილეთ, გაზეთ „სიტყვა და საქმეში“
„პალიტრის“ მედიასახლის ახალი,

ანტიკრიზისული პროექტი – **„მედია-დანაზოგი“!**